ლადო ჯანია

სინათლისა და ცეცხლის ჯვაროსანი

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2006

UDC (უაკ) 321.353.1.09+821.353.1.[092 გამსახურდია კ.]
ჯ – 23

მონოგრაფიაში გაშუქებულია კ. გამსახურდიას შემოქმედების ზოგიერთი საკვანძო საკითხი. წიგნში გამოვლენილი და გაანალიზებულია არაერთი უცნობი ლექსი თუ ბიოგრაფიული ფაქტი. ყურადღება გამახვილებულია კ. გამსახურდიას ურთიერთდამოკიდებულებაზე და მის სულიერ სიახლოვეზე ქართველ მწერლებთან. წიგნი განკუთვნილია თანამედროვე ქართული მწერლობით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი: პროფესორი ს. სიგუა

რეცენზენტები: პროფესორი ნ. ტაბიძე
პროფესორი რ. მიშველაძე

© ლ. ჭანია, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი", 2009

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1. ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-758-8

„იქმენით ნათელი“

ყოველ ერს, რომელსაც მომავლისაკენ პირი უქნია დასაბამიდან ფანატიური სინათლის წყურვილი ამოძრავებდა. ქართველი ხალხის დაუცხრომელი ბუნება და პოეტური ფანტაზიაც სამყაროს შემეცნებით გზაზე მუდამ სინათლისა და ცეცხლის ემანაციით ღვიოდა. ერის რჩეული შვილების ნათლით მოსილი ცხოვრების გზაც წყვდიადით მოსილი გარემოს განათება და ღვთისაკენ სწრაფვა იყო. „ღმერთი იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ნათელი“, გვიქადაგებს ბიბლია, ნათელი კი ბნელსაც ანათებს. ბნელსაც აქვს თავისებური მისტიკა და იდუმალება, თუმცა რჩეულნი მეტწილად მზეს და სინათლეს ეთაყვანებიან, როგორც უზენაესის განცხადებას და ქმნადობრივ ძალას:

„იმათ მივანდე გულისა ზრახვა
მზის სადიდებლად შეკქმენი ჰიმნი“

კ. გამსახურდიას ღვთაებრივი რწმენით აღსავსე ეს პოეტური სტრიქონები ღვთისა და სინათლის მოყვარე ქართველ ხალხს იმედის ნაპერწკალს უღვივებდა. სინათლე უნდა ჩამოშვებოდა ანექსირებული ერის დაბნელებულ გონებასა და დაზაფრულ გულს, ნათელმოსილის სიმშვიდით განაწამები ერის ვულკანურ მთასთან მიყვანა მხოლოდ ცეცხლთან ზიარებაში იყო შესაძლებელი. ამიტომაც მიმართავს პოეტი თავისუფლების აღდგომის ცისკართან შემართულ ქართველობას ცეცხლოვანი სიტყვებით:

„ჰხამს მომაკვდავი მამულისთვის ცეცხლს ეზიაროს,
ქართველო ერო გარეწართა გროშზე გაგყიდეს!
სჯობს მტრად მოსულმა ჩვენ ცხედრებზე გადაიაროს,
ვიდრე სამშობლოს ვერაგულად თვალებს დასთხრიდეს.“

კ. გამსახურდიას დაუოკებელი სულიც ვერ ეგუება ერის ღირსების ფეხქვეშ გათელვას. ამიტომაც მუზების პარნასს ის ცეცხლთან ზიარებას და თოფის წამალს არჩევს, ოღონდაც კი ელირსოს საქართველოს ხელმეორედ გამობრწყინებას.

კ. გამსახურდიას რწმენით ცეცხლში დიდი მაგია მძვინვარებს. ყოველი რელიგია და პოეზია ამ ცეცხლს უკავშირებს თავის

პირველყოფას. „დედამიწაზე ცეცხლის მოსატანად მოვედი და როგორ მინდა რომ უკვე ენთოს“ - ბრძანებს იესო. (ლუკას სახარება 144). ამასვე გვიამბობს საქართველოსთან დაკავშირებული მითიც ერთი ადამიანის ხელით მასებისადმი ცეცხლის გადაცემის შესახებ, როცა ცეცხლის სიყვარულით გათავხედებულ ამირანს კაცნიერებისათვის რკინის ბორკილი ერგო სასჯელად:

„ამირან ცეცხლის სიყვარულმა გაათავხედა
ამირან ცეცხლით მოგვევლინა ვით მიწის შვილი;“

კ. გამსახურდიას ცეცხლი სუბსტანციურ არსებად ჰქონდა წარმოდგენილი. ცეცხლი როგორც ღმერთი და იარაღი მოგვების ხელში მასების დასაელექტროებლად არჩეული, „ცეცხლი ემანაცია ღვთაებრივი სულისა, ათორმეტ მოციქულის თავზე გადმოსული, ცეცხლი-კატარზის, საქმე მუდამ ამ ცეცხლთან ზიარებაშია. ერისათვის სწორედ ამ ცეცხლში მონათვლაა საქმე.“

როგორც მაცხოვარი სულიწმინდითა და ჩაუქრობელი ცეცხლით ნათლავდა თავის შვილებს, ისე უნდა მონათლულიყო ქართველობა სიცოცხლის ნათელის ძიების გზაზე. უფლისაგან გარდმოსული სინათლის მადლი ნეტარებას ჰფენდა ჭეშმარიტ ქრისტიანებს, ვინაიდან თავად მაცხოვარია წუთისოფლის ნათელი და ვინც მას წაჰყვება ბნელში აღარ იქნებოდა.

წუთისოფლის ნათელის ძიებაში განვლო თავისი ცხოვრების წლები კ. გამსახურდიამაც. როგორც სინათლის ღმერთის მსახური ის თავს აკუთვნებდა იმ მაღალ მოდგმას, ვინც სიბნელიდან სინათლეს ეტრფოდა. ქართული სიტყვის სპარაზენი გულის სისხლად თაყვანს სცემდა იმას, ვინც დიდი სულიერი ტკივილებითა და პრომეთესეული ამტანობით ნათელ ჭეშმარიტებას გვაზიარა, ვინაც ხორციელი გვემის საზღაურად მიწას მაღლით ნათელი წარუგზავნა.

„სინათლის კვერთხით მან გაჰკვეთა უტეხი ბნელი.
სინათლის სიძე ჯვართმტვირთველი ჯვარზე ეწამა.“

„იქმენინ ნათელი“ მაცხოვრის მიერ სამყაროს შექმნისას წარმოთქმული ეს სიტყვები სულიერი ბრწყინვალებით ანათებს კ. გამსახურდიას შემოქმედებით სამყაროს, ვინაიდან მწერალი უფლის დარად ნათლის შემოქმედია.

თავი I

ეროვნული დამოუკიდებლობა და ქართული ენერგია

ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ პერმანენტული ლტოლვა მუდმივად ეხმიანებოდა ქართველი ხალხის საბრძოლო განწყობას და გულისთქმას. წმინდა ნაციონალური და მაღალხარისხოვანი კულტურა იმ ერს შეუქმია, რომლის ფიქრი და გონება მუდამჟამს ქვეყნის დამოუკიდებლობის სურვილით რომ იყო დამუხტული. არადა ქართველობა დიდი ხანია ეთნიურ მასალას არ წარმოადგენს. რადგანაც მის შემოქმედებით კალოზე ადრევე დაირწა კულტურისა და ცივილიზაციის აკვანი, რამაც მისცა მას საშუალება ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინათ ზიარებოდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიციებს. კ. გამსახურდია ერთგან აღნიშნავს: „ჩვენ უკან სძევს ორიოდე ათასეული წლის სახელმწიფოებრივი ცხოვრება და ჩვენი საზოგადოებრივობა უფრო ხნიერია, ვიდრე რომელიმე დასავლეთ ევროპიელ ეროვნებისა.“[1]

მიუხედავად სახელმწიფოებრივი ცხოვრების და ტრადიციების ხანგრძლივი არსებობისა ქართველი მეფეები და დიპლომატები ხშირად უშვებდნენ საბედისწერო შეცდომებს პოლიტიკური ორიენტაციის არჩევის თვალსაზრისით, რასაც მწერალი დაუფარავად ააშკარავებს: „პოლიტიკა ჩვენ არასოდეს გვემარჯვებოდა. ჩვენთვის პოლიტიკა ხათრი-ჯანობა იყო მუდამ. ჩვენთვის პოლიტიკური ტრაქტატების თავზე გადახევა მოკითხვის ბარათის უკან დაბრუნებას უდრიდა. ჩვენი მინისტრები და მეფეები უფრო კაი მოშაირენი იყვნენ, ვიდრე დიპლომატები.“[2] მართალია, ლექსებს დავითი, დემეტრე უფლისწული და თამარიც სწერდნენ, მაგრამ მათი მეფობის ჟამს ქვეყანა ზეობის მწვერვალზე იყო. ლექსების თხზვა კი გამარ-

ჯვებულ მეფეს ეხელწიფებოდა მეტადრე, ვიდრე – დამარცხებულსა და გვემულს.

კ. გამსახურდია თავის პოლიტიკურ წერილებში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ტრაგედიის აკვანი მაშინ დაირწა, როცა ქართველობამ სწორი ორიენტაცია ვერ აირჩია. სწორი არჩევანის გაკეთებას ართულებდა ის გარემოებაც, რომ საქართველოს უხდებოდა არსებობა და ბრძოლა ორ სავსებით მტრულად წაკიდებულ სამყაროს შორის. აქედან გამომდინარე, ქვეყანა მუდამჟამს ორ ორიენტაციას შორის მურყეობდა, და ერი რომელიც ორ კულტურულ სამყაროთა, ორ დიდ მიმდინარეობათა ქროლვას განიცდის თავის სხეულზე, რომელიც ორ ძუძუსა სწოვს, იძულებულია ფიზიკური გადარჩენის მიზნით ერთ-ერთ მათგანს შეეხიზნოს. თუმცა მწერლის აზრით „ერისათვის არც ერთი ორიენტაცია არაა ისე ხელსაყრელი, როგორც საკუთარი, მაგრამ როცა ჩვენი ხმალი ჩვენი უფლებების ფარად ველარ გამოდგება, ჩვენ იძულებული ვართ უცხო ორიენტაციას შეუფარდოთ შეძლებისდაგვარად საკუთარი.“[3]

საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია ქვეყნის სულიერი განვითარების ტენდენციებს განსაზღვრავდა. მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა იმ გარემოებასაც, თუ რა ინტელექტუალური განვითარების საფეხურზე იდგა ის ქვეყანა, რომლის სახელმწიფოებრივი ინტერესები თავის პოლიტიკურ ორბიტში აქცევდა მეზობელ სახელმწიფოს. ამ მხრივ IV საუკუნეში ქართლის და ეგრისის ირგვლივ შექმნილმა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემამ დააჩქარა აქ ქრისტეს სჯულის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. ქრისტიანული მსოფლმხედველობა, რომელიც საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების საქართველოს კულტურას და ეროვნულ ცნობიერებას, ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფოებრივ რელიგიას წარმოადგენდა. ერთმორწმუნეობა ბადებდა საფრთხეს ბიზანტიელებთან ათქვეფისა, მაგრამ ქართული ეროვნული სულის

მძლეთი ძალა საკმაოდ ღონიერი აღმოჩნდა. რელიგიის პოლიტიკასთან აღრევის ტენდენცია ქვეყნის სუვერენიტეტს უქმნიდა საფრთხეს. ამიტომაც ქართული ეკლესია იმთავითვე დაადგა ნაციონალიზაციის გზას. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ქართლის მესვეურებმა ბიზანტიის პოლიტიკური კირთებისაგან თავდახსნის მიზნით ქრისტეს სარწმუნოება იერუსალიმის საპატრიარქოსგან მიიღეს. ასე შეუფარდეს მათ საკუთარი პოლიტიკური მიზნები უცხო ორიენტაციას.

რელიგიისა და პოლიტიკის ერთმანეთთან შეურევლობის პოლიტიკა გაერთიანებული საქართველოს მეფეების ძირითად პოლიტიკურ კურსს წარმოადგენდა. ისინი მეტ ლავირებას იჩენდნენ. ერთმორწმუნეობას ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას და არსებული სიტუაციიდან გამომდინარე მოქმედებდნენ. თავად ერთმორწმუნე ბიზანტიაც იმსახურებდა ქართველთა მხრიდან აგრესიას, რამეთუ იმის მაგიერ, რომ ეს დიდი მეზობელი ქვეყანა საქართველოს ბუნებრივი მოკავშირე ყოფილიყო აღმოსავლური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხანდახან გადაუდგებოდა და თავად შეუდგებოდა ქართული ტერიტორიების მიტაცებას.

კ. გამსახურდიამ მთელი სისრულით ამხილა თავის ისტორიულ რომანებში ბიზანტიის იმპერატორების მტაცებლური, ანტიქართული პოლიტიკა, რაც ქართველ მეფეებში ადეკვატურ რეაქციას იწვევდა. საქართველოს მეფემ, გიორგი პირველმა კარგად ამოიცნო ბიზანტიის მზაკვრული გეგმა, რაც ერთმორწმუნეობის სახელით ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებას ითვალისწინებდა სომხეთის დარად და უკომპრომისო ომი გამოუცხადა აგრესორს. გიორგი პირველი სჯულის ერთობას არაფრად აგდებს და ერთმორწმუნე მეზობელთან გამართულ ომში ხალიფა ალ-ჰაქიმთან ჰკრავს კავშირს თანადგომის ნიშნად. არც დავით აღმაშენებელი ანიჭებს დიდ მნიშვნელობას რელიგიურ მომენტს. მასაც ანტიბიზანტიური კურსი აქვს აღებული. ის დროისა და მოვლენებთან შეფარ-

დებით ცდილობს იმოქმედოს და ბასილ კეისრის მიერ მიტაცებულ ბასიანის მიწა-წყლის დაბრუნების გარდა ტრაპიზონისა და ხალდეას ქვეყნების მიერთებასაც ლამობს. ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მესვეურები ნათლად ხედავდნენ ბიზანტია დაცემის გზაზე რომ იყო. ამიტომაც ცდილობდნენ დასავლეთ ევროპაში მოეძიათ მოკავშირეები. აკ. ბაქრაძე მიუთითებს: „თუ საქართველოს საკუთარი ეროვნული ენერგიის გამოვლენა უნდოდა, იგი უნდა განთავისუფლებულიყო ბიზანტიის მეურვეობისაგან. ბიზანტიის უარყოფა აბეზარი მეურვის მოცილებასაც ნიშნავდა და უმოკავშიროდ დარჩენასაც. არადა, ჯერ მოკავშირე აუცილებელი იყო. ქრისტიანული ქვეყნისათვის ასეთი მოკავშირე მხოლოდ კათოლიკური დასავლეთი შეიძლებოდა ყოფილიყო“.[4]

კ. გამსახურდია „დავით აღმაშენებელში“ შეგნებულად წარმოაჩენს ბერძენთა ფიზიკურ და სულიერი დაცემის პროცესს. ოდესღაც სახელოვანი ბიზანტია, ქართველთა თვალში შეუმუსვრელი მითიური ლომი, დაოსებული და დაცემული ახლა თავად საჭიროებს შველას. დავითი ცდილობს დაარწმუნოს თანამებრძოლნი ბიზანტიელთა თანადგომისა და საიმპერატორო კარზე მომსახურე ქართველთა „საამაყო სიძეებისაგან“ მოსალოდნელი წყალობის უნაყოფობაში და საკუთარ ძალაზე დაყრდნობის აუცილებლობაში.

გაერთიანებული საქართველოს მეფეთა პოლიტიკური მიზნები მომდევნო საუკუნეებში იგნორირებულ იქნა. აღორძინების ხანის ქართველ მეფეთა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია ქრისტიანული დოგმატიზმით იყო გამსჭვალული. მათ დაივიწყეს ბრძოლის ის ხერხები და მეთოდები, რითაც მათი წინაპრები იყვნენ ეგზომ გაცნობიერებულნი. მათ რეალურ სინამდვილეში ორიენტაციის უნარი დაკარგეს და გადაჭარბებულ იდეალიზმს მიეცნენ. კ. გამსახურდია აღშფოთებას ვერ მალავს იმ ფაქტის გამო, როცა ოსმალების მიერ 1453 წელს კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ ქართლის მეფე ახლადა-

ღებულ ქალაქში ჩავიდა და სულტანს დახმარება სთხოვა სპარსელებთან გამართულ ომში. ამ ფაქტით გულგატეხილი მწერალი აცხადებს: „მეორე არ მეგულება ისეთი ერი, რომელსაც ეგზომ სუსტი ეროვნული ორიენტაცია ჰქონდა წარსულში.“[5] აღორძინების ხანის მეფეებს გადაავიწყდათ ის მანევრირების პოლიტიკა, რომელიც შეადგენდა გიორგი პირველის, ბაგრატ IV, თამარის, დავით აღმაშენებლის დიპლომატიის თავკიდურს. მათ არ გაითვალისწინეს წარსულის მწარე გამოცდილებები და რელიგიური მომენტი თავიანთ პოლიტიკურ საქმიანობაში საყრდენ ღერძად აღიარეს. კ. გამსახურდია წერს: „უცნაური დეზორიენტირება ახასიათებდა XVII-XVIII საუკუნეების ქართველ მეფეებსა და ჩვენი პოლიტიკის თავკაცებს. მათ დაავიწყდათ ის ტრადიციები ქვეყნის მართვისა, შინაურ და გარეულ მტრებთან ბრძოლისა, რომელნიც დაგვიტოვეს ჩვენმა დიდმა მეფეებმა — ბაგრატ III და დავით აღმაშენებელმა, გიორგი III და თამარმა, ბაგრატ IV და გიორგი ბრწყინვალემ: ქართველი ტომების გაერთიანებისათვის ბრძოლა და ეროვნული ენერგიის ერთობლივი მიმართვა გარს მოჯარულ მტერთა წინააღმდეგ. მოკავშირე მეზობელთა გონივრული შერჩევა, ერთი მტრის მეორის წინააღმდეგ გამოყენება, რეალური და ფხიზელი პოლიტიკის წარმოება, როგორც შინ, ასე გარეთ.“[6]

გიორგი XI და ვახტანგ VI სულაც კათოლიკური რელიგია აღიარეს სახელმწიფო იდეოლოგიად. დესპანებსაც აგზავნიდნენ მალიმალ ევროპაში. სულხან-საბა ორბელიანი იძულებული გახდა მამა-პაპისეული სარწმუნოებისათვის ზურგი შეექცია და კათოლიკური კრედო ელიარებინა. საერთოდ კ. გამსახურდიას ქართველი ერი, მარტოსულ, ობოლ ერად წარმოუდგენია, რადგანაც საქართველო ფანატიკურ აღმოსავლეთთან პირისპირ მდგარი ქრისტიანული ცივილიზაციისათვის ჯვარს ეცვა, თუმცა ქრისტიანული დასავლეთი სანაცვლოდ არასოდეს მიშველებია ქრისტეს კუნძულს. ქართველი

მეფეები და მთავრები მუდამ ევროპას უხმობდნენ, მაშველებს ეძებდნენ, მაგრამ გამოხმაურება მხოლოდ, დელიკატურ ეპისტოლებში იხატებოდა.

ევროპის სახელმწიფოების გულგრილმა და ინდიფერენტულმა დამოკიდებულებამ საქართველოსადმი კ. გამსახურდიას სამართლიანი პროტესტი გამოიწვია, რამაც მის ლიტერატურულ პერსონაჟებშიც ჰპოვა გამოძახილი. საგულისხმო და ნიშანდობლივია კონსტანტინე სავარსამიძის მუქარა ევროპელებისადმი, რომლებმაც უკიდურესი გაჭირვების ჟამს ხელი არ გაუმართეს მის სამშობლოს. „ხვალ რომ მარტორქაზე შემჯდარი მონღოლი შეესიოს თქვენს ქვეყანას, ჩვენ ხელს არ გავანძრევთ ისე, როგორც თქვენ გიქნიათ ჩვენთვის მრავალგზის...“[7]

კ. გამსახურდია არა ერთგზის აღნიშნავს, რომ ქვეყნის არასწორი, მცდარი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია ბევრწილად საბედისწერო გეოგრაფიული დაყოფითა და ბუნების მრავალფეროვნებით იყო განპირობებული. მწერლის აზრით ლიხის მთა აორებდა მთლიან საქართველოს, აფერხებდა ქართული პროვინციების ცენტრალიზაციას და საქართველოს ისტორიული ცხოვრების არტერიების ერთ ფოკუსში კონცენტრაციას. ეროვნული ცნობიერების დაქუცმაცება საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის განვითარების ერთიან გეზს სხვადასხვა მიმართულებას აძლევდა, რაც კიდევ უფრო ურთულებდა სახელმწიფოებრივი საქმების მოწესრიგებას დანაწევრებული საქართველოს სამეფოების მესვეურთ. აღორძინების ხანის მეფეებმა საგარეო პოლიტიკა უმეცრულად, დაუფიქრებლად გაატარეს. მათ მიახლოებითი ინფორმაციაც კი არ ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა იმხანად ევროპაში, სადაც არეული ვითარება სუფევდა. ვატიკანი თავად საჭიროებდა დახმარებას. საფრანგეთის მეფემ, ლუი XIV კი გარეშე მეზობლებთან გამართულ ომებში სასტიკი მარცხი იწვნია. ამას დაერთო პირადი, ოჯახური ტრაგედია. საფრანგეთის

მმართველს ხუთი ვაჟი მოუკვდა. ასეთ სულიერ დეპრესიაში მყოფ მეფეს სთხოვს მატერიალურ და სულიერ დახმარებას ქართლის მეფე, რაც ქართლის სამეფო კარის პოლიტიკური ორიენტაციის სიბეცეზე მეტყველებს.

როცა ქართლის სამეფო კარმა ევროპისაგან ვერ იხეირა, ვახტანგ VI ორიათასკაციანი ამალით რუსეთს მიაშურა, რათა პეტრე პირველისაგან გამოეთხოვა სამხედრო დახმარება. მაგრამ აქაც გამტყუნდა ქართლის მეფის პოლიტიკური იდეალები. მართალია, კ. გამსახურდია საფუძვლიანად თვლის, რომ ხსენებული თავკაცები ქართული პოლიტიკისა მართებულად სთვლიდნენ, რომ ერთმორწმუნე რუსეთის ძალა და ავტორიტეტი უნდა გამოეყენებინათ ისლამის ბნელეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგანაც მწერლის მითითებით პეტრე პირველის რუსეთი გაცილებით უფრო პროგრესული მოვლენა იყო, ვიდრე ირანისა და ოსმალეთის ტირანია. თუმცა იმასაც დასძენს, რომ მათ სწორად ვერ შეაფასეს არსებული სიტუაცია, არასწორი პოლიტიკური გეზის გატარებით გააღიზიანეს ისლამური სახელმწიფოები, ანგარიში არ გაუწიეს მათ მომძლავრებულ აგრესიას, რომელიც უწინარესად მიმართული იყო რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ მცირე აზიაში და თავიანთი ბეცი პოლიტიკის მსხვერპლნი შეიქნენ. მწერლის სამართლიანი მითითებით აღორძინების ხანის მეფეების მმართველობის ნაყოფი იყო ისედაც არეული სამეფოს უაღრესად აღრევა. მათ თავიანთი გაუწონასწორებული პოლიტიკით მუსულმანური აღმოსავლეთი გადაჰკიდეს საქართველოს და რასაკვირველია ამის შედეგად ქართველ ხალხს მონობის უღელი დაედგა. მწერალი ხოტბით მოიხსენიებს იმ მეფეთა პოლიტიკურ ღვაწლს, რომელთაც რელიგიური ნიშნით ბრძოლა არ უწარმოებიათ ერის გადარჩენის მიზნით. „მე ახლა ვხედავ თუ როგორი ჭკვიანები ყოფილან ის პოლიტიკური მოღვაწენი ჩვენი წარსულის, მუსულმან მეზობლებთან დაზავებას რომ მოითხოვდნენ, რათა ქრისტეს ჯვარის გამო ბრძო-

ლაში არ გაეწყვიტათ ხალხი. ჯერ იყო და ანაციონალურ და დამპალ ბიზანტიას ავყევით, ისლამური ხალხების ზღვა მტრად მოვიკიდეთ და ჭიანჭველასავით წელში გაგვწყვიტეს.“[8]

რელიგიური მომენტის პოლიტიკაში აღრევის გზა ერეკლე მეორის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის უმნიშვნელოვანეს ღერძს წარმოადგენდა. ერთმორწმუნეობის ფაქტორისადმი ბრმადმინდობის ტენდენცია ქვეყნის სახელმწიფოებრიობის არსებობას საფრთხის ქვეშ აყენებდა. ნადირ-შაჰისა და აღა-მაჰმად-ხანის სადამსჯელო ხასიათის ლაშქრობები იმ მცდარი პოლიტიკური ორიენტაციის ნაყოფი იყო, რომელსაც ერეკლე მეფე მიმართავდა იმხანად. კ. გამსახურდია ერეკლე მეორის შესახებ აღნიშნავდა, რომ იგი დავით აღმაშენებელს სპასალარად თუ გამოადგებოდაო. თუმცა ამ შეფასებით მის დამსახურებას ქართველი ერის წინაშე როდი ამცირებდა, უბრალოდ, ამით მწერალი აღიარებდა მეფის სამხედრო ნიჭსა და მეომრულ სულს, მაგრამ უარყოფდა მის პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას და გამჭრიახობას.

კ. გამსახურდიას მითითებით არც ძველ დროში გაუმარჯვნიათ მარტოოდენ ხმლის მეოხებით. დიპლომატიური მანევრირება ზოგჯერ წაგებულ ომს მოაგებინებდა ჭკვიან მეფეს. არც კომპრომისზე, მოჩვენებით მორჩილებაზე უთქვამთ უარი მათ, ვინაიდან გარდასულ დროებაში სახელმწიფოთა ურთიერთობებში, ომში და ბრძოლაში, კომპრომისი მუდამ საჭირო იყო. ამგვარი დიპლომატიური ნაბიჯებით ქართველმა მეფეებმა მრავალჯერ იხსნეს ქვეყანა განსაცდელისაგან. სწორედ ეს დიპლომატიური ალღო აკლდა ერეკლეს. ერთმორწმუნეობით დაბრმავებულს არ ჰქონდა სრულად გათვითცნობიერებული თუ რა მზაკვრულ მახეს უგებდა ქრისტიანული რუსეთი საქართველოს. „დიპლომატია — წერს ერთგან კ. გამსახურდია — ყოველ დროში მოითხოვდა არა შუბლით კლდესთან შეხეთქებას, არამედ გონივრულ მანევრირებას,

როგორც არაერთხელ მოუხერხებია იმავე ერეკლეს. მას უნდა მოეცადა რუსეთის ეფექტური სამხედრო დახმარების მიღებისათვის და მერმე შებმოდა შაჰს. ერეკლე მეორეს საქართველოს გაერთიანების შემდეგ უნდა დაეწყო ეკატერინე მეორესთან მოლაპარაკება. ცხადია, გაერთიანებულ საქართველოს უფრო მეტი თავისთავადი უფლებების მოხვეჭა შეეძლებოდა.“[9]

კ. გამსახურდიას შეხედულებით ერეკლე მეორის სამეფო შინაგანი გამოფიტულებისა და დაძაბუნების მეოხებით დაიღუპა. დაძაბუნებისა და დაკნინების პირველი უჯრედი საკუთარ ოჯახში ჰქონდაო ერეკლეს, რომელმაც ხვანჯების მოყვარულ დარეჯან დედოფლისა და თავაწყვეტილი უფლისწულების წვრთვნა ვერ შეძლო. დარეჯან დედოფალი ნატრობდა კიდეც აღა-მაჰმად ხანის თბილისში შემოჭრას, რადგანაც მას არ სურდა გიორგის გამეფება. ასეთივე პირადული ინტერესები ამოძრავებდა ერეკლე მეორის შვილებს, რომლებიც დიპლომატიისაგან შორს იდგნენ და პოლიტიკაში მწყრალად გამოიყურებოდნენ. ამ ფაქტზე მეტყველებს ირანის შაჰის ელჩების აუდიენცია ერეკლე II სამეფო კარზე. მაშინ როცა მეფესა და ელჩებს შორის სახელმწიფოებრივი ურთიერთობების პრობლემებზე მიმდინარეობდა მოლაპარაკება, ერთ-ერთმა ბატონიშვილმა მინარეთზე აყვირებულ მოლას თოფი ესროლა და სული გააცხებინა. ამ ინციდენტის გამო პოლიტიკური ვითარება დაიძაბა ორ სახელმწიფოს შორის. ასეთი უნიათო უფლისწულებისაგან დახმარებას ამაოდ ელოდა საქართველოს „უკანასკნელი ლომი“ კრწანისის ველზე. შვილებმა მამის მიშველებას უთავბოლო ქეიფი და ზარბაზნებით ნადირობა ამჯობინეს. ამგვარმა უპრინციპობამ, ოჯახში გამეფებულმა ანარქიამ და მცდარმა საგარეო-პოლიტიკურმა ორიენტაციამ იმსხვერპლა ბაგრატოვანთა სამეფო დინასტია და ორიათასწლოვანი ნაციონალური სახელმწიფო ხუხულასავით დაინგრა.

კ. გამსახურდიას ღრმა რწმენით ფეოდალურმა საქართველომ კი აღიარა ერეკლე მეორის პირით რუსული ორიენტაციის საჭიროება და აუცილებლობა, რაც 1783 წლის ტრაქტატით გამოიხატა, მაგრამ სამწუხაროდ საქმე საქართველოს რუსეთის დიდი პოლიტიკის ორბიტში მოქცევით არ დამთავრებულა. რელიგიურ ფაქტორზე არჩეულმა ორიენტაციამ კრახი განიცადა, ვინაიდან ერთმორწმუნეობის მიღმა მიჩქმალული იყო ის უმთავრესი განმასხვავებელი ფაქტორი, რომელიც ნ. ბარათაშვილმა შეამჩნია თავისი უტყუარი ალღოთი.

„სახელმწიფოსა, სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?[10]

რუსმა ქართველი მართლაც ვერ შეითვისა, ქართველმა ვერ შეიწყნარა რუსთა მეფობა. ასე, რომ, ერთმორწმუნეობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ქრისტეს სჯული მწერალს ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნია. თუმცა მწერალი მიუთითებს იმ მნიშვნელოვან ფაქტორზეც, როცა ქრისტიანულმა რელიგიამ იხსნა ქართველი ერი არაქართულ რასათა წიაღში ათქვეფისაგან. მწერლის აზრით ქრისტიანულმა სარწმუნოებამ თავისი კოსმოპოლიტიკური, ანაციონალური პრინციპების წყალობით მრავალ ერს გაუთხარა საფლავი, მაგრამ ქართველ ხალხს ის უებარ მალამოდ მოევლინა, ვინაიდან ქართველობამ იმთავითვე გაითავისა ამ რელიგიისათვის ნიშანდობლივი შტრიხები. ქართველი ერის შემოქმედებითი ძალის თავისებურება და მისი სიძლიერე აქაც გამოიხატა. საქართველოს ეროვნული სხეუ-

ლი იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ ქართველობამ ქრისტეს რელიგია ნაციონალურ დარჯაკში გაატარა და უცხო რასის მიერ შექმნილ სჯულს ქართული, ეროვნული სახე მისცა. ამიტომაც არ გაბატონდა საქართველოში არც ესპანური ფანატიზმი, არც რომაულ-კათოლიკური ასკეტიზმი და დოგმატიზმი. ქართველებს არ ახსოვს არც ბართლომეს ღამის საშინელებანი, არც ჰუგენოტები, არც აუტოდაფე.

ქართველობამ პოეზიის თვალსაწიერიდან შეისისხლხორცა ქრისტიანული სენტენციები და ქრისტიანული იდეოლოგია უფრო პოლიტიკური თავდაცვის იარაღად აქცია. მართლაც, საუკუნეების მანძილზე ნაზარეველის მოძღვრება იყო ფარი ეროვნული სახის შესანარჩუნებლად. ამ მხრით არც პოლიტიკურ წყობილებას, არც გეოგრაფიულ, ბუნებრივ ზღუდეებს იმდენი მფარველობა არ გაუწევია მცირე აზიიდან ტრანსკავკასიაში შემოფარებულ ქართული რასისათვის, როგორც სჯულს.

მაგრამ თუ ქრისტიანიზმი ჩვიდმეტი საუკუნის მანძილზე იცავდა ქართულ სახელმწიფოებრიობას და ამ ხნის მანძილზე წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ერთობის იდეის მედროშეს, XIX საუკუნის დასაბამიდან მოუქნელი ქართული დიპლომატიის წყალობით ის აქტიურ როლს თამაშობს ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმის დანგრევაში. მწერლის განცხადებით: „ქრისტიანული სარწმუნოება ჩვენთვის ის ფონი გახდა, რომელიც თავში კარგია და ბოლოში ახრჩობს.“[11] რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ ისარგებლა ქვეყანაში შექმნილი მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარებით და ერთიანი რელიგიის ეგიდით ქართლ-კახეთის ოკუპაცია მოახდინა.

საქრისტიანოზე დამყარებულმა ყალბმა ილუზიამ ქართულ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტს პოლიტიკური დამბლა დასცა. კ. გამსახურდიას ღრმა რწმენით გიორგი პირველისა

და დავით აღმაშენებლის ეროვნული პოზიცია წარმოადგენს ერთგვარ საბრძოლო მოდელს, რომელსაც უნდა დაეყრდნოს ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი. სწორედ ეს ფაქტორი ვერ გაითავისეს შუა საუკუნეების ქართველმა მეფეებმა და ერთმორწმუნეობის ბანგით გაბრუებულებმა 1801 წელს ქართული სახელმწიფო რუსეთს გადაულოცეს. მწერალი გვაფრთხილებს, რომ ამიერიდან მაინც გაუგოთ გემო ერთმორწმუნეობის სახელით შემოპარულ სამსალას.

კ. გამსახურდიას მითითებით ქართული სახელმწიფოს იავარქმნა შინაგან ძალთა რესურსების ამოწურვითა და გახრწნით დაიწყო. როცა ეს განსხეულებისა და გახრწნის პროცესი დასრულდა, ფიცის გამტეხმა მეზობელმა ნგრევის პროცესი დააჩქარა. ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ტრაგიკული აღსასრული განპირობებული იყო იმ ფაქტორითაც, რომ ჩვენმა ცივილიზაციამ ქართული კულტურის მეცხოვნეობა ვერ გასწია. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობა, მისი ცივილიზაცია იმ დროისათვის მოძველებული იყო. ამიტომაც იმ იარაღით, რომლითაც ის დაპირისპირებული იყო მუსულმანური კოალიციისადმი ვერ დაუპირისპირდა ევროპულ ყაიდაზე მომართულ რუსეთის სახელმწიფო მანქანას. ქართულმა სახელმწიფომ ფეხი ვერ აუწყო იმ პროგრესულ ტემპს, რომელსაც მიჰყვებოდა ევროპული სახელმწიფოები და როცა ამ მოძველებულ სახელმწიფოებრივ აპარატს დაუპირისპირდა ნახევრად ევროპულ ყაიდაზე მომართული მაშინა, იგი დაინგრა და გაითქვიფა. ქართული სახელმწიფოებრიობა ფეოდალურ ტირანიაში გაიყინა. მწერალი მკაცრი და დაუნდობელია ჩვენი ისტორიის ამ ტრაგიკული ფურცლის შეფასებაში. მისი აზრით ქართველი ერი იმსახურებდა იმ ბედს, რომელიც მან თავად გამოჰხედა XVIII-XIX საუკუნეების შესაყარზე: „ყოველი ერი თვითვე დაიმსახურებს ხოლმე თავის ბედსა და უბედობას. ყოველი ერი ღირსია თავის ბედისა. ისტორიაში არც ერთი ერი არ დაღუპულა ისე, რომ მისი და-

ღუპვის მიზეზები მარტო მისი ტემპერამენტის, მის შინაგან ძალთა განწყობილების გარეშე ყოფილიყოს საძებნელი.“[12]

კ. გამსახურდია ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას კულტურულ წარმატებას ანიჭებს. მისი აზრით ქართული კულტურა დაფუძნებულია ევროპული და აზიური კულტურების შემრიგებლურ ნაზავზე, ვინაიდან საქართველო ისეთ გეოპოლიტიკურ სივრცეში იმყოფებოდა, რომ ერთიანი დოზით ისრუტავდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა შემოქმედებას. ამიტომაც მან საგანგებოდ შეიმუშავა იმ დროისათვის „მონოკლისა და ჩოხის“ რომანტიკა. მწერლის მინიშნებით ქართველებს გაუმართლდათ, რომ ისინი ორი ათასი წლის მანძილზე მახვილით, ჯვრითა და კალმით აღჭურვილნი ევროპისა და აზიის ურთიერთ შეხლის სამანზე იღვწოდნენ. კაცობრიობის კულტურა ევროპისა და აზიის ცივილიზაციათა შენაკადებისაგან იკვებებოდა. „ჩვენი ტერიტორია „ხალხთა ხიდი“ იყო. ჩვენი ისტორიული მისია ორი შეურიგებელ უკიდურესობათა და კონტრასტთა შერიგება-შეგუება, ორი დიდი სამყაროს ევროპის და აზიის სულის შეხამება“.[13]

ქართული კულტურა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა შესაყარზე ვითარდებოდა. ქართული კულტურა ამ ორი დიდი სამყაროსაგან გადმოსროლილი ჩრდილისა და სინათლის ნიუანსების ნათელყოფაა. თვით ისეთი დიდი სარკე ქართული კულტურისა, როგორიც „ვეფხისტყაოსანია“ წარმოადგენს უმძლავრესს სინთეზს ორ შეურიგებელ სამყაროთა. კულტურის განვითარება წარმოუდგენელია სხვა ქვეყნებისა და ხალხების მხატვრულ გამოცდილებათა გაუთვალისწინებლად. მთავარია სრულად და მიზანმიმართულად მოხდეს ამ გამოცდილების ათვისება. კ. გამსახურდიას რწმენით ქართული კულტურა შემაერთლის როლს ასრულებდა საუკუნეების მანძილზე. ის ისე აკავშირებდა მცირეაზიურ კულტურას

ელინურ-ბიზანტიურთან, რომ ეროვნულ სახეს მუდამჟამს ინარჩუნებდა. დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა გავლენის სამანებთან მდგომი ქართული სიტყვის, ფერწერისა და ხუროთმოძღვრების დიდოსტატები კარგად იცნობდნენ ირანის, არაბეთის, ძველი საბერძნეთისა და ბიზანტიის კულტურათა საუნჯეებს. მაგრამ არასოდეს კმაყოფილდებოდნენ მათი რეცეპტული ათვისებით, უცხოური სულიერი ფასეულობების ხელაღებითა და ბრმა მიღებით. ისინი ნიადაგ სინთეზის გზებს ეძებდნენ და თავიანთი ხალხის ხელოვნებაში ახალ სიტყვას ამბობდნენ. საქართველომ იმთავითვე გაიცნობიერა ერთი ჭეშმარიტება, რომ ერი ერად მაშინ იწოდება, როცა ის ღირებულების შექმნას იწყებს. ერის ისტორიაც იქ იღებს თავისი არსებობის სათავეს, სადაც იგი თავისი შემოქმედების ჭირნახულის მიტანას იწყებს ზოგად-ადამიანური შემოქმედების კალოზე. ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის წყალობით ქართული კულტურა უაღრესად ქრისტიანული იყო იმთავითვე. ქართული კულტურის კორიფეებმა შოთა რუსთაველის წინამძღოლობით ზღვა სისხლი გაიღეს ქრისტიანული კულტურის დაცვისათვის, და თუ ქართველობამ დღემდის მოატანა და იგი არ ჩანთქა იმ საშინელი ხალხების ტალღებმა, რომელნიც განუწყვეტლად მოდიოდნენ იმ ხალხთა ხიდზე, რომელსაც გეოგრაფიულად კავკასიას უწოდებდნენ, ეს მხოლოდ კულტურული უპირატესობის წყალობის შედეგია, ვინაიდან გამარჯვების საწინდარი მუდამ და მარად კულტურული წარმატება იყო.

პოლიტიკური ვითარების ცვლილებასთან ერთად ქართული კულტურის ორიენტირიც ირღვეოდა, რადგანაც ისტორიის ასპარეზზე პრიმერული მნიშვნელობა პოლიტიკურ მომენტს ჰქონდა ყოველთვის. როცა თეიმურაზ I აცხადებს „სპარსული ენის სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“, აქ მარტო სპარსული ენის მუსიკალურობას როდი ენიჭება პრიორიტეტი, არამედ — მომძლავრებულ სპარსულ პოლიტიკურ ბერკე-

ტებსაც. მაგრამ ის კულტურული უპირატესობის დაფნა, რომელიც ქართველებს ხელთ ეპყრათ საუკუნეების მანძილზე, XVIII საუკუნის მიწურულს მათ ხელიდან გაუვარდათ. თითქოს ერის წიაღში არსებული შინაგანი ენერგია ერთიანად ამოიწერა და დაიშრიტა. კ. გამსახურდიას განცხადებით პოლიტიკური კატასტროფა მუდამ წინ უსწრებს სულიერ რენესანსს. სწორედ პოლიტიკური კატაკლიზმების გამო წარმოიშვა ისეთი ლიტერატურული სკოლები, როგორიცაა რომანტიზმი, სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი. ქართველი ერის სინამდვილეშიც იდენტურ მოვლენასთან გვაქვს ადგილი. თუმცა მწერლის აზრით ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძისა და სხვა განმანათლებლების მიერ რუსეთიდან ჩამოტანილმა პრიმიტიულმა იდეებმა ქართული სულისა და კულტურის რენესანსი ვერ გამოიწვიეს. ქართული კულტურა XIX საუკუნეში მოდერნიზაციას, იდეურ განახლებას მოითხოვდა. მაგრამ რუსული დიდმპყრობელური პოლიტიკის მეოხებით ის პროვინციულობის ჩიხში მოექცა და დასავლური კულტურისათვის ნიშანდობლივი განვითარების მილმა აღმოჩნდა.

საქართველოს რუსეთთან დაახლოების მოტრფიალენი იმ რწმენით იყვნენ შეპყრობილნი, რომ საქართველო რუსეთის მეშვეობით ევროპული განათლების გზას დაადგებოდა. მაგრამ როგორც მწერალი აღნიშნავს XIX ს-ში ჩაეყარა საფუძველი არა ქართული კულტურის ევროპეიზაციას, არამედ — ქართული სულის რუსიფიკაციას, ვინაიდან თითქმის მთელი XIX ს-ის ქართული ლიტერატურა, ჟურნალისტიკა და პუბლიცისტიკა პისარევის, ჩერნიშევსკის, ლერმონტოვის და ბელინსკების ზეგავლენით წარმოიშვა. რაც შეეხება ისეთ ევროპელ განმანათლებლებს, როგორებიც იყვნენ ნიცშე, სვედენბურგი, შოპენჰაუერი, ვოლტერი, რუსო და სხვები მათი ინტელექტუალიზმი უცნობი იყო XIX ს-ის ქართველობისათვის. ქართულ მწერლობის კრიზისსაც მაშინ დაედო სათავე, როცა წრესგადასული ეპიგონობით შეპყრობილმა ქართველმა ინტე-

ლიგენციამ „რუსული ღმერთის“ ძიებაში საბალხო პოეზიისა და ხალხურ თქმულებათა თვალწარმტაცი ნაშთები მიივიწყა.

მწერალი XIX საუკუნეს სამართლიანად უწოდებს ნაციონალიზმის საუკუნეს, ვინაიდან XIX ს-ში გააჩაღეს დასავლეთ ევროპელმა ერებმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მაგრამ ეს არ ითქმის ქართველ ხალხზე, რომელიც მიშვებული იყო დროის დინებას და საღათა ძილით ეძინა. მწერალი აღნიშნავს: „თუ XIX საუკუნე ევროპელთათვის უბედნიერესი საუკუნე იყო, ჩვენთვის ხსენებული საუკუნე არა მარტო ჩვენი პოლიტიკური დეგრადაციის ხანა იყო, არამედ ფსიქიკური ეპოპეა. ქართული ეროვნული შემოქმედების აუზი არასოდეს ისე მღვრიე არ ყოფილა, როგორც მაშინ. ქართულ ეროვნულ სხეულს არასოდეს ისე მახინჯი სახე არ მიუღია, როგორც ამ საუკუნეში.“[14] თუმცა მწერალი ერთგან იმასაც აღნიშნავს, რომ თუ საქართველო XIX ს-ის პირველ ნახევარში სულიერად გაერთიანდა, ეს ნაციონალიზმის საუკუნის დამსახურებაა, ვინაიდან იდეები ბაქტერიების მსგავსად ვრცელდება ერთი ქვეყნიდან მეორეზე. მართალია, საქართველო ამ დროისათვის ერთ უმნიშვნელო გუბერნიას წარმოადგენს, მაგრამ ევროპის რიგ ქვეყნებში აზვირთებულმა ეროვნულ-გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებასაც შთაბერა სული, რომლის ნათელი დადასტურებაა ილია ჭავჭავაძის ლექსი „მესმის, მესმის.“ მწერალს არ უკვირს ხსენებული საუკუნის ქართველობის სულიერი წყაროს ამღვრევა, რადგან მისი სათავე იყო ტალახიანი და მღვრიე. მისი აზრით, თუ XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორია უნდა დაიწეროს, უნდა გაწითლდეს მგრძნობიარე ქართველი, ვინაიდან არც ერთ ახალ აზრს და არც ერთ მიმდინარეობას, რომელიც ამ საუკუნის ქართველობას აღელვებდა, ქართული ეროვნული ფუძიდან არ გამოჰყოლია ფესვი. იმ ეპოქის ქართველს ვერ გაეთვალისწინებინა „ჩვენისა და უცხოს“ საზღვარი. ვერ ხედავდა, თუ რა საოცარი ვანდალუ-

რი ინსტინქტებით სდევნიდა და ანადგურებდა ყოველივე არა რუსულს რუსის „მუჟიკი“.

ქართველ კაცს არ ჰქონდა გაცნობიერებული ის რეალობა, რომ გაბატონებული ერი დაბეჩავებულ, დამონებულ მეზობელს მარტო ზარბაზნებით როდი ებრძვის, არამედ — მთელი თავისი შინაგანი არსებითაც. რუსეთის ორთავიანი არწივის მიერ ქართველთა ეროვნულ ცხოვრებაზე მიტანილ სახელმწიფოებრივ იერიშს ზურგს უმაგრებდა რუსი მწერლებისა და პოეტების ძახილი. ისინი თავიანი მშვიდობიანი იდეებით არანაკლებად ასნეულებდნენ დამონებული ერის სხეულს, ვიდრე მათი სახელმწიფოსაგან მოგონილი სარეპრესიო წესები. რუსული კულტურა არა თუ გაემიჯნა რუსულ პოლიტიკას, არამედ მის სამსახურში ჩადგა და თავისი მოშხამული კოსმოპოლიტიკური მსოფლმხედველობით აქტიური იერიში მიიტანა სახელმწიფოებრიობადაკარგულ ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებაზე. მწერალი თავად ლევ ტოლსტოისაც არ ინდობს და კულტუროფობს უწოდებს, რომლის იდეური რეაქციონერის მოძღვრება კოსმოპოლიტიზმის სახით შემოიჭრა ქართველთა სულში და სხეულში და ისედაც მილეული ქართველთა ეროვნული თვითშემეცნება კიდევ უფრო გააცამტვერა.

რუსეთის კოლონიალურმა პოლიტიკამ გეგმაზომიერად დაიწყო ქართული ეროვნული სხეულის რღვევისა და დაკნინების პროცესი. გაუქმებულ იქნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ქართული ენა გამოიდევნა სახელმწიფო დაწესებულებებიდან. უტიფრად და მოურიდებლად აგებდნენ რუსული სტილის ტაძრებს, ხსნიდნენ რუსულ სკოლებს, რათა იქ მომუშავე მოშხამული იდეოლოგიით გათანგული რუსიფიკატორების აგიტაციის წყალობით საერთოდ წაეშალათ საქართველოს გეოგრაფიული კარტიდან არასლავიანული შტრიხები. მწერალი გულდაწყვეტილია იმის გამო, რომ რუსეთმა ასი წლის განმავლობაში ერთადერთი შტო გაიყვანა ნავთობისა

ბაქოდან ბათუმამდის და მთელი მისი კულტურული მუშაობის უდიდესი ნაყოფი კავკასიაში ამით გამოიხატა. რუსეთის ინტელიგენციის მოწინავე თაობას არ უცდია შეესწავლა საქართველო მეცნიერული თვალსაზრისით. მათ საქართველო ლერმონტოვის დემონის გმირის ან და ტოლსტოის „ჰაჯი მურატის“ გლუპი გრუზინსკი კნიაზის“ სამშობლოდ წარმოედგინათ მხოლოდ. იმპერიალისტური რუსეთის სოლდატესკა ასი წლის მანძილზე სდევნიდა ქართულ ენას საქართველოში, მთელი არსებით ლამობდა ქართული ზნე-ჩვეულებებისა და კულტურის მოსპობას, ეროვნული ცნობიერების რუსული ცნობიერებით შეცვლას.

მწერალი მიუთითებს, რომ ფეხქვეშ ითელებოდა ქართველი ხალხის ეროვნული ღირსებანი. თუ ინგლისის კოლონიალურმა პოლიტიკამ ინდოეთში 6 უნივერსიტეტი დააარსა, რუსებმა საქართველოში პოლიგონებისა და ყაზარმების მთები აღმართეს. გამარუსულებელი სკოლებითა და შხამიანი რუსული გაზეთებით ქართული ნაციონალური სულის ჩაკვლას ესწრაფოდნენ. ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა კოსმოპოლიტიკური და შოვინისტური სულით გაჟღენთილი რუსეთი ქართველობის მიწის პირიდან აღსაგვეღად.

რა დაუპირისპირა რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას ქართველობამ სანაცვლოდ. კ. გამსახურდია ამის თაობაზე აღნიშნავს: „როცა სულით ძლიერი და კულტურულად მაღალი, პატარა ერი დიდი ერის გავლენის ზონაში მოხვდება, იგი უფრო შეიკუმშება და გასალკლდევდება.“[15] მაგრამ მე-19 საუკუნის ქართველობამ სამარცხვინო ლაქა დასტოვა ჩვენს ისტორიაში. ასი წლის განმავლობაში ქართული თავადაზნაურობა, რომელიც ამ დროისათვის ერთადერთი მესაჭე იყო ერის კულტურისა და მისი პოლიტიკის მახვილის მტვირთველიც, ეპოლეტებზე ყიდდა თავის პატრიოტიზმს. რუსეთის იმპერიალიზმის აგენტებმა ოქრო-ვერცხლის წყალობით მოისყი-

დეს არა მარტო თავადაზნაურობა, არამედ სამღვდელოებაც და გლეხობაც. ინტელიგენცია კი რუსული მაშტაბის აზროვნებისათვის დამახასიათებელი იდეებით გადაიბირეს. ისინი, ვისაც ერის მეცნიერნეობა უნდა გაეწია ზურნითა და დაფდაფებით ხვდებოდნენ იმ სულგაყიდულ რუსებს, რომელთაც საქართველო უქართველებოდ წარმოედგინათ.

ვისაც კალმის ხმარება ეხერხებოდა და გონება უჭრიდა საქართველოდან გადახვეწილ მეფეებსა და ბატონიშვილებს გაჰყვნენ რუსეთში. რაც შეეხება ქართულ მებრძოლ სულს, მწერლის აზრით მას განასახიერებდა აღმ. საქართველოში ალ. ბატონიშვილი, ხოლო დასავლეთში — კონსტანტინე დადიშკელიანი, რომელთაც არ იკადრეს ეპოლეტებზე მათხოვრობა და უკომპრომისო ომი გამოუცხადეს უწმინდურთ.

კ. გამსახურდია არ წყალობს 1832 წლის შეთქმულებასაც, რომლის თავკაცებმა უნიათო პოლიტიკისა და მალერწმუნეობის გამო დროზე ვერ ააგიზგიზეს საყოველთაო აჯანყების ცეცხლი და დამარცხებულნი განილტვნენ ბრძოლის ველიდან. თავიანთი ცხოვრების მწუხრში კი გუშინდელი მტრების სამსახურში ჩადგნენ და ჭაობიან ადგილებში თუ უსეირ ტევრში უცხო ქვეყნის მიზნებისათვის იქნევდნენ მახვილს. 1832 წლის შეთქმულების შემდეგ ქართული საზოგადოებრიობა უიმედობამ მოიცვა. ისინი შეეგუენ მონურ ხვედრს, თუმცა ვერ იაზრებდნენ იმ ჭეშმარიტებას, რომ ქვეყანაზე პატივისცემას მხოლოდ ძალითა და ღონით სავსე არსება იმსახურებდა, გადაგვარებული მონა კი არავის არ უყვარს. მათ ქართველი ერის დანიშნულება და ისტორიული მისია ამოწურულად მიიჩნიეს. ისინი ვერ ხედავდნენ ერის არტერიებში დარჩენილ ხელუხლებელ, საღ ენერგიას, რომელიც მოწოდებული იყო ეროვნული ცხოვრების საფუძვლის ამოსაკირავად. კ. გამსახურდია ქართველთა თავზე დაწეული ყველა უბედურების მიზეზად სახელმწიფოებრივი მასშტაბის აზროვნების უქონლობას მიიჩნევს ქართველებში. მწერლისათვის „სახელ-

მწიფო უდიდესი ბედნიერებაა — ერისათვის, არა მარტო მისი მფარველი, მისი აღმზრდელი და წარმატებისაკენ წარმმართველიც.“[16] სწორედ ეს სახელმწიფური ზრუნვის უდიდესი სიკეთე დააკლდა ქართველობას. ერთადერთი, ქართული მწერლობა მოაგონებდა ლიტურგიულ ძილში წასულ ქართველობას სახელმწიფური ტრადიციების რომანტიკას.

მწერლის განცხადებით, ქართული მწერლობა მუდამ მაღალი ჭაღი იყო ქართული ნაციონალიზმისა. როცა მტრის შემოსევების წყალობით ნადგურდებოდა ნაციონალური სახელმწიფოს ბჭეები, ქართული მწერლობა ძილფხიზლობდა და მიძინების უფლებას არ აძლევდა რეტდასხმულ ერს. მისი შემუსვრა ვერავინ ვერ შესძლო. „როცა ქართველების თავზე გადაიქროლებდა გამანადგურებელი გრიგალი მეზობელთა აგრესიული შოვინიზმისა, მხოლოდ ქართული მწერლობა ფესვმაგარ მუხასავით უშვერდა თავს საქართველოზე მოვლინებულ უბედობას და ღვთისწყრომას.“[17] ქართველობა მონობის ხუნდებში გადაეჩვია სახელმწიფოს ერთგულებას, ვინაიდან იმდროინდელი ქართველები შინაგანად გრძნობდნენ, რომ ისინი რუსეთის გერები იყვნენ და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში ოდენ მეორეხარისხოვანი ფუნქცია ენიჭებოდათ. ერთადერთი ღირსეული მწერალი, ვინც ევროპეიზმის ნიღბით შემოპარულ სლავიანურ-მონგოლური გონების სიჩლუნგეს ქართული ცნობიერება დაუპირისპირა ილია ჭავჭავაძე იყო. ის მედგრად შეებრძოლა რუსული კულტურის ნიჰილიზმს და ბისმარკის მსგავსად ეროვნული ცნობიერების მობილიზაცია მოახდინა. ქართველი რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, რომელთაც საქართველოს ნანგრევებზე ცრემლების ნთხევა და იერემიასებური უსასო მოთქმა ემარჯვებოდათ, ილიამ მომავლის პერსპექტივა იქადაგა. მისი პროტესტი საუკუნის პროტესტის ტოლფასია ქართველთა დაცემილი ვინაობის აღდგენის სურვილით განმტკიცებული.

კ. გამსახურდიას ღრმა რწმენით ილიას ცხოვრებისეული კრედო მოხევის პირით იქნა გამჟღავნებული. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნისო“, წარმოსთქვა სიტყვები ხევის შვილმა ისეთ ქვეყანაში, რომელიც სხვას გაუხდია სამშობლოდ. მწერლის ეროვნულ-პოლიტიკური კონცეფცია რუსულ მსოფლმხედველობას რადიკალურად ემიჯნებოდა. ილია ჭავჭავაძე უარყოფს იმ მოჩვენებით კეთილდღეობას, რომელიც რუსთა მეგობრულ ხიშტზეა აგებული:

„მას აქეთ რაცა კურთხევა ღვთისა
მიეცა ტანჯულს ივერიის ერს.
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა
ღმერთმა იმ რუსვე ასკეცად მისცეს“.[18]

ილიას ეროვნული იდეალები, უწინარეს ყოვლისა, ქართველი კაცის სულმდაბლობისა და მონური ფსიქოლოგიის წინააღმდეგ იყო მიმართული. არადა, სულიერად მოღლილილ და დაქანცული ეროვნული სხეულის მკურნალობა საოცარ ძალისხმევას და მოთმინებას მოითხოვდა. მწერალსაც ცდა არ დაუკლია, რათა ქართველი ხალხის მიძინებული ენერგიის მაჯისცემა კვლავ აღეზევებინა და მოძრაობაში მოეყვანა.

კ. გამსახურდიას განცხადებით, ილიამ ქართველი ხალხის სულიერი გამრთელება განიზრახა მიზნად უწინარესად. მწერლის აზრით არც ერთი ქართველი უკანასკნელი 7 საუკუნისა არ ყოფილა შეპყრობილი საქართველოს გაერთიანების ისეთი წყურვილით, როგორც იყო ილია ჭავჭავაძე. მაგრამ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მონური ფსიქოლოგიით შეპყრობილი საუკუნე ამხედრდა, კოსმოპოლიტიკური მსოფლმხედველობით გონებადაბინდული კაცუნები ილიას ეროვნულ იდეალებს დაუპირისპირდნენ და სვეგამწარებულ მოხუცს 40 წლის იუბილე წიწამურზე გადაუხადეს.

ილიამ ქართველი ერის დაცემული ვინაობის აღდგენის ლოზუნგი კი გადაისროლა, მაგრამ ხალხი ვერ გრძნობდა მის ტკივილებს, ბევრსაც კი, ქართველი ერის ისტორიული მისია გათავებულ ამბად წარმოედგინა. კ. გამსახურდია, იმასაც აღნიშნავს, რომ ილიამ მართალია, ქართველი ერის ცხოვრების წესი და პრინციპები იღალადა, მაგრამ გზა და საშუალება ამ პრინციპების ცხოვრებაში გატარებისა ბოლომდე არ მოუცია. თუმცა იქვე დასძენს, რომ ვერც მოგვცემდა, რამეთუ მაშინდელ ქართველობაში არ არსებობდა ერთიანი სული, და „ვაი, იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი, იმ ქვეყანას, სადაც საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, სადაც ყველაში თვითო არ არის, და თვითოში ყველა“.[19]

მაგრამ მთელ ერზე ეს არ ითქმოდა. გარკვეულმა ნაწილმა მაინც იგრძნო ის საშინელი კატასტროფა, რომელიც 1801 წელს ჩვენში უცხოდან შემოჭრილმა უხეშმა ძალამ მოახდინა. მაგრამ ეს არ ითქმის ჩვენი ისტორიული ცხოვრების მესვეურებზე და მის ავანგარდზე თავადაზნაურობაზე, რომელიც დასამარების მწუხრში იდგა. თუმცა ქართველობას რეზერვი კიდევ გააჩნდა.

აგუზგუზებული ეროვნული რევოლუციის ჭიაკოკონები მოწმობდა იმას, რომ ხალხში მთლიანად ჯერაც არ გამქრალიყო ინსტიქტი ზეადამიანური წინააღმდეგობისა. ქართველობის მთლიანი და განუყოფელი ეროვნული არსებობის დასტურად ეს წინააღმდეგობაც კმაროდა. ამ დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის ალამდარნი იყვნენ ალექსანდრე ბატონიშვილი, დიმიტრი ყიფიანი და არჩილ ჯორჯაძე — ქართული დემოკრატიული აზროვნების მესვეურნი. მწერალი დიმიტრი ყიფიანს საქართველოს ტრაგედიის გმირს უწოდებს, თვით ერეკლე მეორეს ადარებს, ვინაიდან დიმიტრი ყიფიანმაც ერეკლე მეორის მსგავსად სამშობლოს მაგივრად მიღებული მრავალი იარა ჩაიტანა სამარეში. ამიტომაც ის ერის სინდისის და ნამუსის განსახიერებაა. მას ილიას დარად ქართული

მწერლობა არ გაუმდიდრებია შესანიშნავი ლექსებითა და პროზაული თხზულებებით, მაგრამ თავად მისი ბობოქარი ცხოვრება და მოწამეობრივი აღსასრული იმ წინაპართა გენეალოგიაში მიუჩენს მას ადგილს, რომელთა მეამბოხე სული მარადიული, თანამდევი და გზის გამკვალავია მომავალი თაობებისთვის.

დიმიტრი ყიფიანის მსგავსად არჩილ ჯორჯაძეც მთელი არსებითა და ძალისხმევით ეძებდა რეალურსა და კონკრეტულ საშუალებას ქართველი ერის ზრახვათა და ლტოლვათა ხორცშესასხმელად, თავისუფლებისაკენ მიმართული დაბშული გზის გასაკაფავად. მწერლის აზრით, სწორედ მან მიაგნო ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენის გზას. თუ ილია აღიარებდა ქვეყნის თავისუფლების აუცილებლობას, იქვე იმასაც დასძენდა, რომ „ეს გულში უნდა გვქონდეს დამარხულიო“, არჩილ ჯორჯაძე კი, რომელიც ილიას იდეალების დამცავი და გამგრძელებელი იყო, ერს ბრძოლის გზით თავისუფლების მოპოვების, სახელმწიფოებრიობის აღდგენის პერსპექტივას უსახავდა მიზნად.

ქვეყნის დამოუკიდებლობის თვალსაზრისით მწერალი ჯეროვან ყურადღებას აქცევს 1905 და 1917 წლის რევოლუციებს, იაზრებს რა მათ ქართული ეროვნული მოძრაობის ახალ ეტაპებად. თუმცა მწერალი ანსხვავებს ერთმანეთისაგან ამ რევოლუციებს თავისი ხასიათითა და დანიშნულებით. კ. გამსახურდიას მინიშნებით რევოლუციას, თუ ის ეროვნული ნიშნით არ მიმდინარეობს, ნგრევა და უბედურება მოაქვს კაცობრიობისათვის. ამასთან დაკავშირებით მწერალი გოეთესა და ჰაინეს დიალოგზე მიუთითებს, სადაც რევოლუციისაგან აღფრთოვანებული ჰაინე გატაცებით ესაუბრებოდა გოეთეს იმის შესახებ, თუ როგორ ქუხდნენ პარიზში ზარბაზნები, რაზედაც ვაიმარელმა ბრძენმა გულდამშვიდებით უპასუხა: „ვაიმარის გზაზე, თუ შეამჩნიე, ტყემლები ხომ არ აყვავებულანო?“[20] დიდმა გოეთემ ბუნების გამოღვიძების სიდიადის

შეგრძნება საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაზე მაღლა დააყენა, ვინაიდან მან წინასწარვე შეიცნო ამ რევოლუციით მოპოვებული თავისუფლების ყალბი ილუზია.

კ. გამსახურდიაც ანალოგიურად აცნობიერებს რევოლუციისადმი თავის დამოკიდებულებას. მწერლის მინიშნებით 1905 წლის რევოლუცია სულ სხვანაირად მოიმარჯვა ხელში ქართველმა ხალხმა, სულ სხვა მისწრაფებანი ჩააქსოვა მასში. მისთვის ეს რევოლუცია ერთი თვალსაჩინო ეპიზოდია იმ მრავალი წლის ეროვნული რევოლუციისა, რომლის პირველი საბედისწერო თოფის ხმა მთიულეთში გაისმა 1804 წელს. ქართველმა ხალხმა ამ რევოლუციით ეროვნული აჯანყების ქარიშხალი მოიმკო.

უფლებააყრილი ხალხი ეროვნული გათვითცნობიერების ახალ გზას დაადგა. ეროვნული ენერგია ჩვეული კალაპოტიდან ლამობდა გადმოხეთქვას. მტერმაც იგრძნო ხიფათი, გულხელდაკრეფილი ყოფნა მას კარგს არაფერს უქადდა და დამსჯელ ოპერაციებს მიმართა. მიწასთან იქნა გასწორებული გურია. ათი წლის განმავლობაში რუსეთის ჟანდარმერია ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა აღზევებულ ქართულ ენერგიას და გონს. იმპერიის ციხეები ქართველი პატრიოტებით აივსო. ათი წელი დასჭირდა ქართველობას, რათა წელში გამართულიყო და ახალი რევოლუციისთვის მოეკრიფა საკმაო ენერგია. მაგრამ თუ 1905 წლის რევოლუციას ორი ფრონტი და ორი სახე ჰქონდა, ერთის მხრივ, ერი ირაზმებოდა გარეშე ძალის უვნებელსაყოფად, მეორეს მხრით, სოციალ-კლასიკური ბრძოლის გასაჩაღებლად...“ 1917 წლის რევოლუცია სულ სხვა კალაპოტში და სხვა სფეროში იშვა. კერენსკის მთავრობის დამხობიდან, როგორც საქართველო, ისე მთელი კავკასიელი ერები, უწინარეს ყოვლისა, რევოლუციის პოლიტიკურ მხარეს აპყრობდნენ გულისყურს“.[21] ქართველმა ერმა და მთელმა კავკასიამ შეიცნო ის გარემოება და ჭეშმარიტება, რომ დადგა დრო პოლიტიკური ცხოვრების მო-

წესრიგებისა და საკუთარ მიწა-წყალზე თვითმმართველობის დამყარებისა.

საქართველოს ორიენტაციის საკითხი აქტიურად იყო დასმული XIX და XX საუკუნეების შესაყარზე. თავად მწერლის ლოზუნგი აქაც უცვლელია. მისი ოპტიმისტური მზერა დასავლეთისკენაა მიმართული. სწორედ დასავლეთიდან მობერილ უცხო ქარს ძალუძს საქართველოს ინტელექტუალური სტომაქის გაწმენდა მასში დაგუბებული ბალასტისაგან. დადგა ჟამი დასავლეთის დიდი ცივილიზაციის შეძენისა და გათავისებისა. დღეს ევროპა ყველა დაჩაგრული ერის მსაჯულია. ევროპის საზოგადოებრივი აზრი კი უთუოდ ანგარიშგასაწევი ძალაა უფლებააყრილი ერისათვის, რომელიც თავისი შელახული თავმოყვარეობის სამზეოზე გამოტანას ლამობს. კ. გამსახურდიას ღრმა რწმენით, რაკი ევროპელი ერები უდებდნენ საფუძველს ინტერნაციონალურ უფლებათა კოდექსებს, ყოველი დამონებული ერი ცდილობდა სწორედ ევროპის შუაგულში გამართულ კონგრესებსა თუ კონფერენციებზე გაემჟღავნებინა საქვეყნოდ თავისი პოლიტიკური აზრი და სატკივარი. რაკი ევროპის საზოგადოებრივი აზრი ეგზომ ანგარიშგასაწევი მოვლენა იყო, ყოველი მცირე ერი იმის ცდაშია დღენიადაგ, რაც შეიძლება მეტი ელაპარაკა მასზე ევროპულ პრესას, რომელიც ბევრ შემთხვევაში ევროპის დიპლომატიის საყვირის ფუნქციას ასრულებდა.

მეოცე საუკუნის ოციან წლებში თვითგამორკვევის გზაზე დამდგარი ერები ევროპის სხვადასხვა ქალაქებში გამართულ კონგრესებზე თუ სხდომებზე ცდილობდნენ მიჩქმალული პოლიტიკური ვნებების სრულად გამომჟღავნებას. ქართველები აქაც ჩამორჩნენ სხვებს, კერძოდ სომხებს, რომლებმაც ევროპის რიგ სახელმწიფოებში მდიდარი დიასპორის წყალობით მოახერხეს მთელი რიგი საზოგადოებათა დაარსება, რომელთა აქტიური მუშაობის შედეგად თავიანთი პოლიტიკური ტკივილები ევროპის დიპლომატიას მიაწვდინეს. მათმა ძალის-

ხმეცამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. სომხეთის საკითხი ევროპელის ყურს უკვე არ ეხამუშება. მწერლის მითითებით ევროპულმა პრესამ იმდენი წერა ოსმალეთში სომხური მოსახლეობის ჟლეტის შესახებ, რომ ოსმალეთის მთავრობა იძულებული გახდა ენერგიული ზომები მიეღო, რათა სომხების გენოციდს წერტილი დასმოდა.

კ. გამსახურდიას გულს უკლავს ის გულგრილობა, რომელსაც იმხნად იჩენდნენ ევროპელი ერები საქართველოსადმი. მწერალი ობოლ ერს უწოდებს ქართველებს, ვინაიდან თუ ევროპის სახელმწიფოები თავგამოდებით ესარჩლებიან სომხებს, სერბებს, ბულგარელებს, ქართველებისადმი ინტერესს საერთოდ არ ამჟღავნებენ. არადა საქართველოს მათზე ნაკლები შემოქმედებითი თუ ფიზიკური ენერგია როდი დაუხარჯავს ევროპული ერების წინაშე. ამაზე მეტყველებს პირველი მსოფლიო ომის მოვლენებიც, რომლის საერთაშორისო ალში საქართველოც გაეხვია ნებსით თუ უნებლიეთ და სისხლისაგან იცლება სხვათა ცოდვის გამოსასყიდად. მაგრამ მწერლის მინიშნებით ქართველთა უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მას სახელმწიფოებრივი ორგანო არ მოეპოვება საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. თუმცა მწერალი აქვე იმის იმედსაც გამოთქვამს, რომ საქართველოსაც მალე გამოესარჩლებიან ევროპელი ერები და ქართველთა წინაშე ახალი ჰორიზონტები და პერსპექტივები გადაიშლება.

ევროპაში ქართული პრობლემებისა და ტკივილის შესახებ პირველად ხმა სოციალისტ-ფედერალისტებმა ამოიღეს. მათ მიაპყრეს პირველად საქართველოზე განათლებული კაცობრიობის გულის-ყური. მწერალი მიუთითებს არჩილ ჯორჯაძეზე, დეკანოზიშვილზე და ჟურნალ „საქართველოზე“. სწორედ მათი კულტურულ-პოლიტიკური საქმიანობის შედეგად ჰააგის კონფერენციაზე გახმიანდა ქართველთა ტკივილი, რასაც ევროპული დიპლომატია შეძლებისდაგვარად გამოესარჩლა, თუმცა რეალური შედეგი ამ ღონისძიებებს არ მოჰყო-

ლია. 1912 წელს აკ. ჩხენკელმა პირველად ახსენა საქართველოს ავტონომიის აუცილებლობა და ქართული ენის სავალალო მდგომარეობა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, რამაც რუსეთის ინტელიგენციის საერთო აღელვება და პროტესტი გამოიწვია.

ევროპაში საქართველოს საკითხის გაშუქების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1912 წელს ქ. ჟენევაში „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის შექმნა“ და მის ბაზაზე ჟურნალ „თავისუფალი საქართველოს“ გამოცემა. გერმანია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კომიტეტს, როგორც რუსეთის იმპერიისადმი დაპირისპირებულ ორგანოს. ჟურნალის თითოეული ნომერი ანტირუსული იდეებით იყო გაჟღენთილი. მისი თანამშრომლები კი სახალხოდ გმობდნენ და კიცხავდნენ რუსეთის იმპერიულ, შავრაზმულ პოლიტიკას, რომელსაც ისინი მიმართავდნენ საქართველოში ქართული რასისა და გენის შესარყვნელად. ხოლო პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ „თავისუფალი საქართველოს“ რედაქციამ მოწოდებით მიმართა ევროპულ საზოგადოებას, სადაც მოკლედ და მკაფიოდ იყო მოხსენებული თუ როგორ ვერაგულად დაარღვია რუსეთმა 1783 წლის ხელშეკრულება. ეს მოწოდება ცნობილმა გერმანულმა გაზეთებმა გადაბეჭდეს.

საქართველოს საკითხი თანდათანობით ევროპული პრესის ყურადღების არეალში მოექცა და ისინი მეტი დაჟინებით და წყურვილით ცდილობდნენ ქართული სინამდვილის რიგ საკვანძო საკითხებში გარკვევას. გამოიცა ბროშურები, სადაც მრავალ საინტერესო, პრობლემური საკითხს ეფინება შუქი. მეფის რუსეთის დამხობის შემდეგ რეალურად დადგა საკითხი ერთა თვითგამორკვევისა და ეროვნული ტკივილების განკურნებისა. კ. გამსახურდია თავის პუბლიცისტურ წერილებში მიუთითებს იმ საყურადღებო მომენტზე, რომ უცხოეთში მოღვაწე ქართველი და უცხოელი მწერლების უმრავლესობა ამ საკითხის ერთადერთ გამოსავალ გზად საქარ-

თველოს სრულ სახელმწიფოებრივ აღდგენას მიიჩნევდნენ. ევროპის საზოგადოებრიობის ნაწილი საქართველოსათვის მოითხოვდა „ბუფერ შტატის მიცემას“. ეს აზრი ჯერ კიდევ 1915 წლის „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ მიერ რუსეთის იმპერიის დაშლის გეგმაში მუსირებდა, რომლის ერთი პუნქტის თანახმად უნდა შექმნილიყო დასავლეთ საქართველოს შტატი და აღმოსავლეთ აზერბაიჯანის შტატი. ამ მოსაზრებას ავითარებდა გერმანელი პროფ. ბორკი თავის წიგნში „ქართველი ხალხი“. თუმცა ამ იდეას ბევრი ოპონენტი ჰყავდა, რომელთა შორის კ. გამსახურდიაც იყო, რომელიც არ იზიარებდა ამ შემთხვევაში ევროპელების პოლიტიკურ თვალსაწიერს. მწერლის აზრით „ბუფერ სახელმწიფოს არც ერთი ერისათვის არ მიუზღავს პოლიტიკური მშვიდობიანობა. წინააღმდეგ, ამგვარი გადაკვრით მუდამ ორ ცეცხლს შუა ვარდებოდნენ მცირე ერები. მომავალმა ინტერნაციონალურმა კონგრესმა საქართველოს ბუფერობა კიდევაც რომ აღიაროს, ეს ვერ იქნება ქართველი ერისათვის იდეალური ფორმა სახელმწიფოებრივი წყობილებისა“.[22]

მიუხედავად საქართველოსთვის მიუღებელი პოზიციისა მწერალი მნიშვნელოვნად აფასებს ევროპის საზოგადოებრივ აზრს და მიუთითებს იმ სასარგებლო როლზე, რომელიც მას შეუძლია გამოიჩინოს საქართველოს სრული სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე. მაგრამ იმისათვის, რომ ქართველი ერის პოლიტიკური იდეალები ჯეროვნად იქნეს მოვლილი, საჭიროა არა რუსეთის დამფუძნებელი კრების დასტური, არამედ — ინტერნაციონალური გარანტია. ამასთან ერთად, მწერლის ღრმა რწმენით საქართველოს ტკივილების გაშუქება საზღვარგარეთ ქართველთა ძალისხმევისა და აქტიური ქმედების შედეგად უნდა მოხდეს უწინარეს ყოვლისა. თავად მწერალი 1916 წლის 8 ივლისს ლოზანაში დაესწრო მესამე, ერთა სამშვიდობო კონფერენციას, სადაც საკუთარი ეროვნული პოზიცია გამოხატა. მისი აზრით ამ ფორუმზე საერთო

ეროვნულს კერძო პარტიული ანგარიშები და ინტერესები უნდა დაეჩრდილა, მაგრამ აქ საპირისპიროდ მოხდა. ქართველი მარქსისტები მთელი ხმით გაჰყვიროდნენ „თავისუფლება არ გვინდაო.“ ვიწრო კლასობრივი ინტერესები ჯერაც არ ჩამცხრალიყო მავანნთა ცნობიერებაში, რაც მწერლის საერთო გულისწყრომას იწვევდა.

აქვე ლოზანაში მწერალი დარწმუნდა, რომ ქართული ეროვნული ენერგიის გათიშვის პროცესი ჯერაც გრძელდებოდა, რომ ურთიერთ მტრობის ისტორიული სენი ძველი ქრთველების ერთმა ნაწილმა თანამედროვე ქართველებსაც უანდერძა. მწერალი ვერ მალავს აღშფოთებას იმის გამო, რომ იქ სადაც ყველა ერის წარმომადგენელი თავისი ერის წყლულებზე ღაღადებდა და ეროვნულ ღირსების დაცვას ლამობდა, ქართველებმა ურთიერთდაპირისპირებით ისახელეს თავი. მისივე მითითებით მ. წერეთლის დასაბუთებულსა და დიდი ნიჭით დაწერილ დეკლარაციას, რომელსაც ყველა ერის წარმომადგენელი აღფრთოვანებით შეხვდა, ისევ ქართველთა ერთი ნაწილი შეეწინააღმდეგა, რომლებიც სოციალ-დემოკრატიის სახელით გაპკიოდნენ „თავისუფლება არ გვინდაო“.

კ. გამსახურდიას მითითებით ისევ ქართველი გამოვიდა ქართველის წინააღმდეგ, ისევ ქართველმა მოინდომა ხელი მიეფარებია ბაგეზე იმ კაცისათვის, ვინც ქართველი ერის აბუჩად აგდებას უყიჟინებდა რუსის ძველ მთავრობას მსოფლიო ხალხების თვალში. მწერლის განცხადებით კონფერენციაზე სხვა ერის წარმომადგენლებიც იყვნენ წარმოდგენილნი სხვადასხვა პარტიებით, მაგრამ არც ერთი ერის წარმომადგენელი არ სცემია ყელში თავისავე მოძმეს. ყოველ მათგანს შეგნებული ჰქონდა, რომ საერთო ეროვნულს აქ კერძო პარტიული ანგარიშები და დიფერენციაციები უნდა ჩაენთქა, დაეჩრდილა.

მწერლის აღშფოთებას იწვევს ქართველებში პოლიტიკური ტაქტის და უნარის უქონლობა. ქართველები ვერ შეთანხმებულან იმ ანბანურ ჭეშმარიტებაზე, რომ მასაც აქვს და მოეძევება ეროვნული უფლებები იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ის მიწის ნაჭერი, ღმერთს რომ უბოძებია ჩვენთვის, რომლის ყოველი ფეხის ნატერფალი სისხლითა და ოფლითაა გაპობიერებული. ამგვარი შეუთანხმებლობის მიზეზად მწერალი ქართველთა გაორებულ და მონობის მიერ შერყვნილ გადაგვარებულ ფსიქიკას მიაჩნევს. ერთგან ის აცხადებს: „დღეს მსოფლიო ერთა ცხოვრების მოედანზე მხოლოდ ის-ღა გაიტანს ლელოს, ვინც თავის უფლების დაცვაში მეტ ძალასა და უნარს გაიღებს ერის სასიცოცხლო ენერგიიდან. ამ შეუდარებელი ჭიდილიდან ქართველობას რომ რამე ერგოს, სწორედ ამისთვის გვმართებს მთელი ეროვნული ძალების მჭიდრო კონცენტრაცია. მოვალეობა მომავალ თაობათა წინაშე მოითხოვს ჩვენგან, რომ გაორებული საქართველო უნდა გაერთიანდეს. ისე ერის არსებობის ჭირნახული ფუჭი და მომცდარი იქნება, თუ ყოველი ჩვენგანი მარჭვალად არ გამოადგება იმ ჯაჭვს, რომლის თითო-თითო გაწყვეტილ რგოლსაღა წარმოადგენს დღევანდელი ქართველობა“.[23]

კ. გამსახურდია არსებული ვითარებისდა მიხედვით დარწმუნდა, რომ რუსეთის დროებითი მთავრობა ისეთივე ერთგული დარაჯია რუსეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობისა, როგორიც მეფის რუსეთი იყო. მწერლის ღრმა რწმენით დროებით მთავრობას დღეიდან ხელისუფლებაში მოსვლისა არ გადაუდგამს არც ერთი რადიკალური ნაბიჯი ეროვნული პრობლემის გადაწყვეტისათვის. ფერშეცვლილი რუსეთი ჯერაც არაა მზად შინაგანი გარდაქმნისათვის. რუსეთის პოლიტიკის მესვეურნი გამოთქვამენ ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ თუ კულტურული დამოუკიდებლობის უფლებებს მიანიჭებდნენ არარუს ხალხს, ვაი თუ რუსთა კულტურულმა უპირატესობამ ვერ შესძლოს რუსეთის სახელმწიფოს ერთიანო-

ბის შენარჩუნებაო. მწერლის აზრით დროებითი მთავრობის ეს ეჭვი არც თუ უსაფუძვლო იყო. დროა რუსეთმა შეიცნოს ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ დიდ სახელმწიფოებს მხოლოდ დარღვევის, დაშლის უფსკრულისაკენ მიაქანებს თავის ფარგლებში ისეთი მცირე ერების ძალად მომწყვდევა, რომელთაც საკმაოდ ძლიერი კულტურული ტრადიციების გარდა, სრულიად თავისებური, ნაციონალური თვითცნობიერება და მკვიდრი ნაციონალური იდეალი მოეძევებათ. კ. გამსახურდიას მინიშნებით რუსეთისთვისაც საზიანოა საკმაოდ მაღალ კულტურულ საფეხურზე მდგომი ერის თავმოყვარეობისა და ეროვნული თვითშეგნების ფეხქვეშ გათელვა. მწერლის მითითებით მართებულად ახასიათებს გერმ. პროფ. ლეპსიუსი რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურას: „ამ ვეებერთელა ტერიტორიის ცენტრსა და განაპირებს თითქმის არაფერი არ აერთიანებს ტლანქი, უხეში ძალის მეტი. მოსკოვიტელებმა თავისებური, გარეგნული სტილი ვერ ასესხეს ვერც ფინლანდიას, ვერც პოლონეთს და ვერც უამრავი ტომებით დასახლებულ კავკასიას. როგორც კი ცენტრალურ რუსეთს გასცილდებით, არსად სადაც კი არარუსნი ბინადრობენ, მდაბიო ხალხში რუსულს ვერ გაიგონებთ. პოლონეთში რუსულ სტილზე და რუსულ კულტურაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ხოლო კავკასიაში მოსკოველებმა ისღა მოახერხეს მათრახებისა და რუსიფიკატორული პოლიტიკის შემწეობით აქა-იქ რუსული ჟარგონი შემოიღეს და თვალწარმტაც, წერწეტ ტაძრებს ხახვისებური გუმბათები წამოადგეს“.[24] ეს რიგითი გერმანელის უბრალო დეკლარაცია და ნააზრევი როდი გახლდათ. მტკიცე, ძლიერი ეროვნული თვითცნობიერებით გაჯერებულ ორიენტაციას მწერალი საქართველოს უმაღლესი ისტორიის სინამდვილეში გერმანიასთან კულტურულ-პოლიტიკურ კავშირში ხედავს. იმდროინდელი საერთაშორისო მდგომარეობის გართულება, პირველი მსოფლიო ომის პერიპეტიები და ევროპის სახელმწიფოების ერთმანეთთან მტრად მოკიდება და დროებითი

მთავრობის ანტიეროვნული პოლიტიკა აიძულებდა ჯერაც გაურკვეველ ვითარებაში მყოფ საქართველოს მოკავშირედ ევროპის ისეთი მოწინავე ქვეყანა შეერჩია, რომელიც დაეხმარებოდა მას დამოუკიდებლობის მოპოვებაში და სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის მოწესრიგებაში.

კ. გამსახურდიას მითითებით მაშინ როცა რუსეთში მომხდარი ეროვნული ყრილობების რეზოლუციები შინაური გარდაქმნისაკენ მოუწოდებდნენ დროებით მთავრობას, მისი ხელმძღვანელი კერენსკი პეტროგრადიდან მუშტებით ემუქრებოდა ქართველებს: არ გაბედოთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაო. მაგრამ ამ დროისათვის რუსეთში მოსახლე ყველა მცირე ერი მზად იყო ფედერაციულ პრინციპზე აგებული სახელმწიფოებრივი თანამშრომლობა ეკისრათ რუსეთან ერთად. იმ შემთხვევაში თუ მათ თხოვნას ყურად არ იღებდნენ დამფუძნებელი კრების მოწვევას გააჭიანურებდნენ და ეროვნული კრებისადმი მიმართული პოლიტიკა გეზს არ შეიცვლიდა, სავსებით შესაძლებელი იყო დროებით მთავრობას მათი სახით მოკავშირის ნაცვლად მტერი შეეძინა და მცირე ერებს მოძრაობის უზრუნველსაყოფად თავადვე გამოეძებნათ პოლიტიკური მოკავშირენი, მითუმეტეს რომ ევროპელი ერები და განსაკუთრებით გერმანია, ამ დროისათვის არნახულ ინტერესს იჩენდნენ ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ საქართველოსადმი. ამას მოწმობს ბერლინის ფრიდრიხ ვილჰელმის უნივერსიტეტში ქართული კათედრის დაარსება. კ. გამსახურდიას აზრით ასეთი კათედრების დაარსება ხელს შეუწყობს ქართველი და უცხოელი ერების დაახლოებას და ევროპაში ქართული იდეის პოპულარიზაციას. კ. გამსახურდია იმასაც დასძენს, რომ გერმანიას ამ ქმედებით მარტო ჰუმანური გრძნობები როდი ამოძრავებდა, არამედ საკუთარი პოლიტიკის დამკვიდრება ახლო აღმოსავლეთში და რუსეთთან ტრადიციული მეტოქეობა.

საქართველოს პოლიტიკური გაძლიერება იმ დროისათვის სწორედ გერმანიისათვის იყო ხელსაყრელი, რამეთუ რუსეთის იმპერიის ყველაზე დაუძინებელი მტერი გერმანია იყო, რომელიც თავადვე იყო დაინტერესებული სტრატეგიული მოკავშირე ჰყოლოდა საქართველოს სახით. გერმანიას კავკასიის საკუთარ სტრატეგიულ ოპერაციათა ბაზისად გადაქცევის შემდეგ მთელი გეგმა ჰქონდათ შემუშავებული პან-სლავისტური პოლიტიკის ფრთების შესაკვეცად, რაც გულისხმობდა უპირველეს ყოვლისა მოსკოველების სრულ განდევნას ბალტიისა და შავი ზღვის ნაპირებიდან და ინგლისელ-რუსთა მისწრაფებების შეზღუდვას ვასიონის მიდამოებისაკენ. გერმანელთა სურვილი იყო თუ რუსეთის შინაგან გარდაქმნას ვერ მიაღწევდნენ, იმპერიის გარეგანი ფაქტორების ცვლილებისათვის მაინც დაემჩნიათ თავიანთი ზეგავლენის კვალი. მაგრამ საბოლოოდ მაინც გამტყუნდა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური იდეალები. გერმანიამ კი ალმოუჩინა ქვეყანას დახმარება დამოუკიდებლობის მოპოვებაში და განმტკიცებაში, მაგრამ თავად იწვნია მარცხი ამ ომში. მწერლის აზრით საქართველომ მაშინ დაკარგა დამოუკიდებლობა, როცა მან მოკავშირე დაჰკარგა გერმანიის სახით.

კ. გამსახურდია მთლიანად უარყოფს რუსეთის ფუნქციას და როლს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე. აძაგებს კიდეც იმ ქარიხვეტია ინტელიგენციას, ვინც დღენიადაგ გაიძახოდა: ურუსეთოდ საქართველოს არსებობა არ შეუძლია, რუსეთიდან პური მოგვდისო. მწერალი ამგვარი მეზობლის ქურქით გათბობის მოტრფიალეთ სულით მონებს და კუჭის აპოლოგეტებს უწოდებს, რომლებიც სტომაქის ამოვსებას ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობასთან აიგივებდნენ. მწერლის განცხადებით ისე დაიშრიტა სასიცოცხლო ენერგია, რომ მავანთ დამოუკიდებლად არსებობა წარმოუდგენლად მიაჩნდათ. მწერალი იმედოვნებს, რომ ქართველი ერი ახლა მაინც არ დაუშვებს 1917 წლის 19 ნოემბრის

დაშვებულ შეცდომას, როცა ქართველმა ინტელიგენციამ რუსული ორიენტაცია აბსენა. მწერალი ჯვარს აცმევს რუსოფილებს, შეახსენებს მათ, რომ ფეოდალურმა საქართველომ ერეკლე მეორის პირით ერთხელ უკვე აღიარა რუსული ორიენტაციის საჭიროება, მაგრამ ამ ორიენტაციამ სავალალო შედეგი გამოიღო. ქვეყანამ დაჰკარგა სახელმწიფოებრიობა და ის ეთნიურ მასალად იქცა.

მწერალი არაერთგზის აღნიშნავს, რომ სწორედ რუსეთის შოვინისტურმა პოლიტიკამ შეაცვლევინა პოლიტიკური მრწამსი ნოე ჟორდანიას, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე უარყოფდა ეროვნულ ფაქტორს. მან მართალია გვიან, მაგრამ მაინც აღიარა, რომ საქართველოს ერთადერთი და შესაძლებელი ორიენტაცია — ევროპის ორიენტაციააო. ასი წლის განმავლობაში საქართველოში რუსეთის მიერ დათესილმა ბოროტებამ, ქართული სახელმწიფო აპარატის განადგურებამ არა მარტო ნ. ჟორდანია, არამედ სრულიად საქართველო აიძულა რუსული კულტურულ-პოლიტიკური ორბიტიდან გამოერიცხა თავი.

კ. გამსახურდია, რომელიც სოციალ-ფედერალისტურ პარტიაში ირიცხებოდა, 10 წლის განმავლობაში იდეურად ებრძოდა ქართველ მენშევიკებს და მათ იდეურ ხელმძღვანელს, არ იზიარებდა მათ მიერ გატარებულ პოლიტიკურ ხაზს. ერთი პირობა ნ. ჟორდანიას მთავრობის დაპატიმრებასაც კი ამზადებდა იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება დამოუკიდებლობის მანიფესტს არ მიიღებდა. მაგრამ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და მწერალმა შეცვალა თავისი დამოკიდებულება მათ მიმართ. ამიერიდან მწერალი შემწყნარებლობასა და ლოიალურ მოპყრობას ქადაგებს. ამ მოსაზრებით დატოვა მწერალმა პარტიის რიგები, გაეცალა პარტიულ ბრძოლას. იმ დღიდან, რაც საქართველო განთავისუფლდა, მწერალს არანაირი სურვილი არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო პარტიათა ბრძოლაში. ერთადერთ მის სწრაფვასა და

წადილს წარმოადგენდა ერთგვარი შემარიგებელი ტონი შეეტანა იმ პოლიტიკურ უთანხმოებაში, რომელიც ქართველ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მიმდინარეობდა. მწერალი პოლიტიკურ კონპლიქტში განზე გადგა იმ მიზეზითაც, რომ მას არ სურს რომელიმე პოლიტიკური პარტიის მოჯამაგირე იყოს, რადგანაც მისი ხელის საქმეა ერისა და კულტურის სამსახური და არა რომელიმე პარტიისა, ან რომელიმე მთავრობისა. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მწერალს არ მოსწონდა ამ პარტიის პროგრამა, რომელიც კულტურულ-ავტონომიის მოთხოვნას ითვალისწინებდა მხოლოდ მისივე რწმენით. იცვლებიან და ქრებიან პარტიები და მთავრობები, ხოლო ერი უკვდავია, ვითარცა მარადიულ ღირებულებათა შემქმნელი და მატარებელი სუბსტანტი.

1918 წლის 26 მაისს ახალი ეპოქა დაიწყო საქართველოს ისტორიაში, მაგრამ ხალხი ეროვნული მოძრაობის საუკუნეში გადაჩვეული იყო სახელმწიფოებრივ ერთგულებას. მწერლის აზრით, პოლიტიკა უძვირფასესი იარაღია ერის ხელში, მაგრამ მას მიზანმიმართული გამოყენება სჭირია რაც ქართველ ინტელიგენციას არ აღმოჩნდა. პირიქით, ნებით თუ უნებლიეთ ერი დაუპირისპირდა სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობას, რამაც უარყოფითი როლი ითამაშა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. მწერალი წერს: „სახელმწიფო წყობილებისადმი მტრული განწყობილება რყვნის პოლიტიკურად ერს, ეს ავითარებს მასში ანტისახელმწიფოებრივ ტრადიციებს, ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს კატასტროფის მიზეზიც ქართველი ერის შინაგან არსებაშია საძებნელი“.[25]

უწინარეს ყოვლისა, მწერალი ამუნათებს ქართულ ინტელიგენციას, რომელიც ვერ გაუძღვა სახელმწიფო აღმშენებლობის მისიას. არადა მწერლის აზრით, ქართველობა, როგორც სახელმწიფო აღმშენებლობის მასალა კარგია, მაგრამ ეს მასალა ჯეროვნად ვერ გამოიყენა ქართველმა ინტელიგენციამ. ამიტომაც ის არ არის ერის ბელადობის ღირსი. ერის

გაჭირვების ჟამს ქვეყნის წინამძღოლისა და გადამრჩენის მანტიას ვერ მოირგებენ ზნედაცემულნი. „ქართველმა ინტელიგენციამ ვერ მოახერხა ქართველი ხალხის ეროვნული ძალების სრული და მწყობრი მობილიზაცია ეროვნული სახელმწიფოს ასაშენებლად. ქართველმა ინტელიგენციამ ვერ მოახერხა სწორი ორიენტაცია ჩვენს თანამედროვე პოლიტიკურ გარემოში. არსად იმდენს არ სწერენ და ლაპარაკობენ ორიენტაციაზე, რამდენსაც ჩვენში, არსად იმდენი შეცდომები არ დაუშვიათ ამ მხრით, როგორც საქართველოში“.[26] შეცდომები დაშვებულ იქნა მაშინ, როცა რეალურად არ იქნა შეფასებული საქართველოს ძალები, ამავე დროს სათანადოდ არ იქნა შეფასებული ის ფაქტორები, რომელზედ დამოკიდებული იყო არა ევროპული ერების ცხოვრება. პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები გამოწვეული იყო იმ ყალბი პატრიოტიზმით, რომელსაც ეწეოდნენ მენშევიკები საქართველოში თავიანთი მმართველობის ჟამს. ეს ის თაობაა, რომელიც მხოლოდ წარსულით იკვებება და საფლავიდან მოელის სასწაულებს, თაობა, რომლის წარმომადგენლები მუდამ განზე თითს იშვერდნენ და ქართველობის გარეშე ეძებდნენ ქართველობის დამღუპველებს, ქართული ოჯახის წახდომისა და დაქცევის მიზეზებს. მწერალი მენშევიკებს ამუნათებს ქართული მიწისადმი გამოჩენილ გულგრილობაში, სულიერ გაუცხოებაში. ბრალს დებს მათ ინტელექტუალურ გაორებაში და რენეგატობაში. მწერალი აღნიშნავს: „იმ თაობებმა, რომელთაც ქართული ერის სადავეები ეპყრათ ახლო წარსულში, მათ ქართულ მიწაზე ორიენტაცია ვერ მოახერხეს, რადგან ქართული მიწა ვერ იცნეს. უცხო მიწამ ისინი უარყო და არ მიიღო. მათ ქართული სული არ ედგათ სხეულში, მათ არ უყნოსიათ სინოყივრე ქართული მიწისა და ამიტომაც ქართული მიწის პოხიერება მათთვის უცნობი დარჩა“.[27]

მმართველი პარტიის მიერ არასწორად შერჩეულმა ორიენტაციამ და სულით გაორების ფაქტორმა გამოიწვია

ქართული თეატრის და ქართული ლიტერატურის ჩამორჩენა. დრომოჭმულ დოგმებში გაიყინა ქართული ეკლესია. არ არსებობს ქართული საზოგადოებრივი აზრი. ქართველობა საკმაოდ ჩამორჩა თანამედროვე ცივილიზაციურ სამყაროს, ვინაიდან, დღევანდელ დღეს ერები იბრძვიან და ჰქმნიან არა მარტო მიწაზე, მიწის ქვეშ, მიწის ზევით. ის ერი, რომელიც მხოლოდ მიწის ზედაპირზე ახერხებს ორიენტაციას, იმ ერს დღეს არავინ გაუტოლდება, არავინ გაუყადრებს თავს.

კ. გამსახურდია წინამორბედი თაობების ზრდას „ვეგეტაციას“, მცენარეულ ზრდას უწოდებს, ვინაიდან ეს თაობა იზრდებოდა ოჯახის, სახელმწიფოს, ლიტერატურისა და ეკლესიის ტრადიციების გარეშე. ახალ დროში ქართველობას დიდი სიფხიზლე და ნერვების მოთოკვა მართებს, რათა ზრდასრული ერის სახე აღიდგინოს. ძირძველი ტრადიციების აღსადგენად და ახალი ქართული ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად კი უნდა განახლდეს ქართული შეგნება, მორალურად და შინაგანად უნდა გარდაიქმნას ჩვენი ეროვნული აზროვნება. სენტიმენტალიზმი, წუწუნის პოლიტიკა კარგს არაფერს უქადის ერის მომავალს. არც საფრთხესა და გასაჭირს არ უნდა შეუშინდეს ახალი თაობა, ვინაიდან დიდი ღირებულება არ შექმნილა დიდი საფრთხისა და გასაჭირის გარეშე. მთავარია დროული მობილიზაცია და სერიოზული დაფიქრება მოსალოდნელი განსაცდელის ჟამს: „ქართველობა ერთხელ კიდევ უნდა დაფიქრდეს, არა იმისათვის, რომ შეჩერდეს და უკან დაიხიოს, მხოლოდ იმისათვის, რომ ვეფხვისებური ნახტომი გააკეთოს წინ“.[28]

თავიდან მწერალი არც საბჭოთა ხელისუფლებისადმია ოპოზიციურად განწყობილი, რადგანაც მიაჩნია, რომ გადაჭარბებული ოპოზიციონური სული ასუსტებს ერის სახელმწიფოებრივ ტრადიციას და შეგნებას, ისიც ისეთ სახელმწიფოში, როგორიცაა საქართველო, სადაც სახელმწიფოებრივი ეთოსი ეგზომ სუსტია. მწერალს არ აშინებს საბჭოთა სისტე-

მა. მას მიაჩნია, რომ სახელმწიფოს ფორმა, იქნება ეს საბჭოთა სისტემა თუ დემოკრატიული პარლამენტარიზმი „ორივე მისაღებია, რადგან ფორმა კი არ არის მთავარი, არამედ ის შინაარსი, რომელსაც მთავრობა და ერი ჩასდებს მათში.“[29] ამიტომაც მწერალი, როგორც თავად ამბობს, არ აპირებს ბოლშევიზმის წინააღმდეგ იარაღით გალაშქრებას. რამდენადაც ბოლშევიზმი განსაზღვრული იდეების მატარებელია, ასეთ დროს იდეების წინააღმდეგ იარაღით ბრძოლა სიგიჟეა და დონკიხოტობა. ავადმყოფ და აბსურდულ იდეებს ჯანსაღი იდეებით უნდა დაუპირისპირდე. მთავარია, ახალმა მთავრობამ არ უარყოს ქართული სახელმწიფოს ეროვნული ნიშნით განვითარების გზა და შემოქმედებითი უნარი გამოიჩინოს ახალფეხადგმული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. მწერალი არ იცნობს ამ ნახევრადლეგალურ პარტიას და არც ძალუძს, რომ ბოლომდე გაითავისოს მათი მოქმედებები. თუ ქართველი კომუნისტები ქართული სინამდვილისადმი შესაფერის ნიშანდობლივ რეფორმებს გაატარებენ, მწერალი მზადაა ასეთ შემთხვევაში შეძლებისდაგვარად დაეხმაროს კიდეც მათ. მთავარია, ხელშეუხლებელი დარჩეს საქართველოს სახელმწიფოს სუვერენობა. ქვეყანამ უნდა შეინარჩუნოს მისთვის დამახასიათებელი სახელმწიფო ატრიბუტები. უნდა შენარჩუნდეს ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი, ჩამოყალიბდეს ქართული წითელი არმია, რომელიც შესძლებს საკუთარი ძალების ამარა სახელმწიფო საზღვრების დაცვას. მიმოქცევაში ეროვნულ ფულს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი და ა. შ. 1921 წლის ივნისში კ. გამსახურდია ხაზგასმით მიუთითებს ერთ წერილში: „დღეს ყოველი ქართველისათვის ურყევი დებულებაა, რომ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ლაპარაკი და ამ ლაპარაკის ტონი და კილო სავსებით გარკვეული უნდა იქნეს ორივე მხარისათვის“.[30]

მწერლის აზრით, ქართველი კომუნისტები, როგორც ქვეყნის პატრიოტები, ვერ ითანამშრომლებენ რუსეთის კომუნისტებთან მანამ, ვიდრე საქართველოს სუვენერობა მხოლოდ დეკლარაციებში იქნება აღნუსხული. მწერალს აშინებს ის გარემოებაც, რომ რუსეთს სწადია საქართველო გამოიყენოს მოკავშირედ აღმოსავლეთის გაკომუნისტებისათვის, ისე როგორც 100 წლის უკან მან ქართული ერი გამოიყენა აღმოსავლეთის პოლიტიკის ურთულესი მიზნების მისაღწევად და განსახორციელებლად. დღესაც ანალოგიური ვითარებაა. ლენინისადმი გაგზავნილ წერილში მწერალი დაუფარავად წარმოთქვამს თავის შეხედულებებს ამ საკითხთან დაკავშირებით: „დღევანდელი რუსეთი – წერს მწერალი – უფრო დიდი მასშტაბით აწარმოებს მსოფლიო პოლიტიკას. ამ პოლიტიკის მიზანთა რკალში საქართველოსაც აკისრებენ საკმაოდ რთულ მოვალეობას. საქართველო და თბილისი უნდათ ამ ოპერაციების ბაზად გახადონ, რომელსაც აღმოსავლეთის გაკომუნისტების პოლიტიკა მოითხოვს“.[31]

მწერალიც არ უარყოფს იმ ფაქტორს, რომ ქართველები აღმოსავლეთის მეკლიტეები ვიყავით ოდითგანვე და დღესაც რომ არ გვაქვს ეს ფუნქცია დაკარგული, მაგრამ მცირე აზიისა და სპარსეთისაკენ გზად მიმავალი ვერ გადაალაჯებს ქართულ მიწაზე ისე, თუ მას ზურგს უკან კეთილგანწყობილი ქართველი ხალხი არ უდგას. კეთილგანწყობილების შენარჩუნება კი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვით თუ მოხერხდა მხოლოდ. გარდა ამისა საქართველო ვერ გახდება სტრატეგიული მოკავშირე და საყრდენი ძალა რუსეთის კომუნისტებისათვის, რომლებიც მთელი აღმოსავლეთის და კერძოდ, ინდოეთის განთავისუფლებას ცდილობენ ინგლისის ბატონობიდან. ასევე ეწადათ მათ ოსმალეთის „განთავისუფლება“ ოსმალებისაგან. ქართველობამ შუამავლის როლი უნდა შეასრულოს დასავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს შორის. მისი ფუნქცია, როგორც დამოუ-

კიდებელი სახელმწიფოსი, სწორედ აქ უნდა გამოიკვეთოს: „დასავლეთის დიდი ცივილიზაციისა და კულტურის ცეცხლოვანი ეტლი უახლოვდება ჩვენი სამშობლოს საზღვრებს. უახლოეს მომავალში ქართველობამ უნდა იკისროს ამ ახალი კულტურის შუამავლობა ძველის ლევანტში, ირანისა და წინა აზიის მიდამოებში, ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ოდესმე ჩვენს შემოქმედებას ანაყოფიერებდა იდეურად, დღეს ჩვენგან მოელის განაყოფიერებას და ახალი იდეების თესლს“.[32]

კომუნისტური რუსეთი საქართველოს, ძალის გამოყენებით თავის საგარეო პოლიტიკის ზეგავლენის ქვეშ ვერ მოაქცევს, რამეთუ ნაციონალური შტრიხებისა და ნიუანსების წაშლა მეოცე საუკუნეში შეუძლებელია. ვინც ეს მოინდომა, ის თავად შეიქმნა ამ უხეში პოლიტიკის მსხვერპლი. კ. გამსახურდიას აზრით წითელმა რუსეთმაც უნდა აიღოს ხელი ამგვარი შოვინისტური პოლიტიკის გატარებაზე, რამეთუ ადრე თუ გვიან ნაციონალური იდეების იგნორირება და ეროვნული ფაქტორის უარყოფა ბუმერანგივით დაუბრუნდება მისსავე გამტარებელს. მწერალი წერს: საგარეო პოლიტიკის ორბიტში ვერც ერთი დიდი ერი ძალით ვერ მოაქცევს რომელიმე მცირერიცხოვან ერს და თუ ეს ჩაიდინა მან, მით უარესი მისთვის. მოკავშირის ნაცვლად ის მტერს დაიახლოვებს“.[33]

დღესდღეობით შეუძლებელია აბჟრის ჩხარუნით გონების არგუმენტების წინააღმდეგ ლაპარაკი. სამი წელიწადი საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისა ქართველობისათვის ისეთ დიდ მანძილს წარმოადგენს, რომ მისი უკან, ეროვნულ ჭაობში მობრუნება შეუძლებელია და თუ მაინც საქართველო რუსეთის პოლიტიკის ორბიტში უნდა მოხვდეს ანგარიში უნდა გაეწიოს ისტორიულ მოვლენებსა და პროცესებს, უწინარეს ყოვლისა — რუსეთის ჯარების საქართველოში ყოფნას მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობის პრინციპის დაცვით. რუსეთს არაფრად არ უნდა მართებდეს 2-მილიონია-

ნი საქართველოს მტრად მოკიდება. ანგარიში უნდა გაეწიოს ქართველი ერის სასიცოცხლო ძალებს, რადგანაც კეთილგანწყობა და ურთიერთპატივისცემა ორმხრივ პრინციპებზე უნდა იქნეს აგებული.

მწერლის აზრით რუსები იმ შემთხვევაში გააძლიერებენ შინაგან და გარეგან ფაქტორს, თუ მეზობელ ქვეყნებს დამოუკიდებელი აღმშენებლობის საშუალებას მისცემენ. დემოკრატიული რუსეთი მაინც განსხვავდება ავტოკრატული რუსეთისაგან, მაგრამ დღეს ისე წარიმართა პოლიტიკური ქმედება, რომ საქართველოს და რუსეთის დემოკრატებისაგან შემდგარი ჯარები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთნენ ერთი-მეორეს. რუსეთ-საქართველოს ტრაგიზმით აღსავსე ამ უკანასკნელ ომში ქართულმა ჯარმა მარცხი იწვნია. მართველი პარტია უცხოეთში გაიხიზნა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აქედან დავიწყოთ ქართული სახელმწიფოებრიობის დასამარების ქრონიკონი. მწერალი მიუთითებს: „არც 1801 წლის ამბების გამეორება შეუძლია ვინმეს, რადგანაც დღევანდელი საქართველოს მახვილით დაპყრობა შესაძლებელია, ხოლო ქართველი ერის ჩაჩუმება და პოლიტიკური დამუნჯება კი, ყოვლად მოუხერხებელია“.[34] შესაძლებელია ერთი მეტყველი ბაგის ძალით დადუმება, ერთი პარტიის ან ჯგუფის იზოლაცია, მაგრამ დღეს ყოველ ქართველს მიუხედავად იმისა, ეხერხება თუ არა მას წერა და ლაპარაკი, ერთი ზრახვა უდევს გულში; ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტიურად შენარჩუნება.

მონობის ხუნდებში გახვეულ ქართველობას მწერალი კულტურის დიქტატურის დამყარებას უქადაგებს. მწერლის აზრით ბედმა და ისტორიამ ქართველებს დასავლეთის დიდი კულტურის პიონერობა დააკისრა ახლო აღმოსავლეთში და თუ კულტურულ ჰეგემონობას მოიპოვებს წინა აზიაში, მაშინ მისი პოლიტიკური ჰეგემონობაც შეურყეველი იქნება. მთავარია პიროვნებისა და სახელმწიფოს ძალთა ურთიერთობისა

და თანაცხოვრების ფონზე ყველამ გაიცნობიეროს, რომ დღეს მთლიანი ერთეულში სულდგმულობს და ჰქმნის, ხოლო ერთეული - მთლიანში სახიერდება.

პარტიების ძიძგილაობას საქართველოს ინტერესები არ უნდა შეეწიროს, ერთი პარტიის ჩაჩუმებას საქართველოს სახელმწიფოებრიობა არ უნდა გადაყვეს. საქართველოს თავისუფლება, რომლისთვისაც ზღვა სისხლი გაიღო ხალხმა, ნებისმიერი ფორმით უნდა შენარჩუნდეს. ამ შემთხვევაში ქართულ სახელმწიფო ორგანიზმს უნდა გაუძღვეს საქართველოს კომუნისტური პარტია, ისე რომ ფუნდამენტალური საკითხების მოგვარებაში აუცილებლად შეუთანხმდეს საქართველოში არსებულ ეროვნულ ძალებს. მხოლოდ ამგვარი ჯანსაღი ურთიერთკავშირი გამოიღებს სასურველ წაყოფს.

რუსთა ჯარის საქართველოში ექსპანსიის პირველ თვეებში მწერალს ჯერ კიდევ აქვს იმედი იმისა, რომ საქართველო შეინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას. ამგვარი ოპტიმიზმის საფუძველს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება და თავად რუსეთში მიმდინარე შიდაპოლიტიკური ვნებათაღელვა იძლევა. თუმცა მწერალი მალე დარწმუნდა, რომ რაც არ უნდა იდეები გაეტარებინა კომუნისტურ ხელისუფლებას, ადრე თუ გვიან მათ მიერ გატარებული არაეროვნული პოლიტიკა ქართულ სახელმწიფოებრივ სისტემას უცილობლად მოშლიდა, რადგანაც ყოველი დაპყრობა ისტორიის მანძილზე მუდამ განმანთავისუფლებელის როლში მოუხდენია დამპყრობელს. სწორედ განმანთავისუფლებელის სახელით ესტუმრნენ რუსი იმპერატორის ჯარისკაცები ბალკანეთის ნახევარკუნძულს, რათა იქ მოსახლე ერებისათვის მონობის ხუნდები დაედოთ. ნაპოლეონიც ევროპის სახელმწიფოებს მჩაგვრელთა ხელყოფისაგან ანთავისუფლებდა. შაჰ-აბაზი კი პროკლამაციებს ავრცელებდა ქართველ ხალხში „საქართველოს ხალხს მეფისაგან ვათავისუფლებო“. მწერალი დასძენს: „ისტორიულად გაწვრთნილი თვალი ყოველთვის შეამჩნევს, რომ ყოველი

დამპყრობელი ერთგვარ იდეოლოგიურ შირმას წაუმძღვანებს თავის სამხედრო ოპერაციებს".[35] აღა-მაჰმად-ხანიც განმანთავისუფლებელის როლში მოეშურებოდა საქართველოსაკენ. იმავე რუსეთის ფერშეცვლილი მხედრობაც ქართველი ხალხის კონტრევოლუციონერებისაგან განთავისუფლების ლოზუნგით შემოვიდა საქართველოს დედაქალაქში. ამიტომაც ადარებს მწერალი ერთმანეთს კრწანისის ტრაგედიას და 25 თებერვლის სისხლიან ღამეს: „ორი დიდი უფსკრული რომელთა გაღმა იწყება ეპოქა ცრემლისა და ბორკილის ლესვისა. ერი, ტანჯვის ჩირაღდნით განათებული, საქართველო ტანჯვისა და ცრემლის ელიპსზე, ჟამთა სივრცეში გაქანებული, სად ბრძოლის რაინდებს მიუვალ გზის ახმაურება უყვართ, სადაც სძულთ ნაძირალის სული — ნაყიდი და გაყიდული".[36]

სავარაუდოა, რომ მწერალი ნაძირლად სერგო ორჯონიკიძეს მიიძნევს, რომელმაც 30 ვერცხლად სული მიყიდა სატანას და დამპყრობლებს მეგზურად გამოუძღვა მშობელი ქვეყნის იავარსაქმნელად. პოლიტიკური ქმედებაც ამ სულით გაყიდულთა სცენარით წარიმართა, ანუ ეროვნული ფაქტორისა და ნაციონალური სახელმწიფოს ხელყოფის გზით, რამაც კ. გამსახურდიას სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. მწერალი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს ბოლშევიკების ანტიხალხურ, ანტიეროვნულ პოლიტიკას.

ასეთ დროს ერი არ უნდა დაეცეს სულიერად, არ უნდა შეუშინდეს კარს მომდგარ საფრთხეს, პირიქით, ერთ მუშტად უნდა შეიკრას და ერთიანი ძალით თავისუფლების მოპოვების ჩირაღდანი ააგიზგიზოს, რამეთუ „ეროვნული თავისუფლების ერთხელ დაკარგვა შეიძლება, მაგრამ იგი ყოველ დღე ბრძოლით ხელმეორედ უნდა მოიპოვოს ერმა".[37] 1921 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების დღეს, მაშინ როცა სულ ორი თვეა, რაც წითელმა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპ-

ყრო, მწერლის დევიზი და ეროვნული კონცეპცია უცვლელი რჩება. მისი მოწოდებაც ჰეროიკული ტონით არის აღსავსე:

„ის არის ღირსი ცხოვრებისა და თავისუფლების ყოველ – დღე ბრძოლით ვინც შესძლებს მის მოპოვებას“.[38]

მწერლის აზრით დეკლარაციების დრო წავიდა. ქართველი ერის უფლებები ძალას უნდა დაემყაროს და ეს ძალა საკუთრივ ქართული უნდა იყოს. „ჩვენი არსებობის გარანტია ჩვენივე ძალღონე უნდა გახდეს, თუ გვინდა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეკუთვნოდეს“.[39] მიუხედავად იმისა, რომ 1921 წელს კ. გამსახურდია გულის ტკივილებისა და იმედის მსხვრევის წელიწადს უწოდებს, სულიერად მაინც მხნედაა და მომავალსაც ოპტიმისტურად უყურებს. ბრძოლის ველზე განცდილი მარცხით გამოწვეულმა ტკივილმა ახალი ძალით უნდა დაანთოს და გამოაბრწყინოს ქართველი ერის შემოქმედებითი ლამპარი, ვინაიდან დიდ პოლიტიკურ კატასტროფებს ხშირად დიდი სულიერი გამოფხიზლებისაკენ მიჰყავს ერი.

თებერვლის ამბების შემდეგ ქართველი მწერლები არ შედრკნენ, ნირი არ წაიხდინეს და გაორკეცებული ენერგიით განაგრძეს მუშაობა, რათა თავიანთი გულის ვარამი კალმით წარმოესახათ. მართალია, ქართველი ერი ათასი იარიდან იწრიტება, მაგრამ ამ ტანჯვის ბარძიმში შხამის გარდა გამძლეობისა და შეურყევლობის მომგვრელი შარბათიც მოიპოვება, რომელიც ქართველობის ბედის ვარსკლავს არათუ ჩააქრობს, არამედ ახალი ბრძოლებისათვის აღანთებს. დამარცხებაში უნდა იწვრთნებოდეს ერის ფოლადისებრი ენერგია. დამარცხებამ სასოწარკვეთა არ უნდა გამოიწვიოს ხალხის, პირიქით, ამ მარცხმა ძალების მოკრეფა და მობილიზაცია უნდა მოახდინოს ახალი გამარჯვებისათვის.

კ. გამსახურდია მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შეგრიგებია საქართველოს კვლავ რუსული პოლიტიკის ორბიტში მოქცევას. მწერლის შთაგონებით ამ არასასურველმა მოვლენამ არ უნდა გამოიწვიოს ქართული კულტურის დასავლური

კულტურის სამყაროსაგან გამიჯვნა. მწერალი პოლიტიკური ბრძოლის პარალელურად კულტურული მუშაობის მომხრეა. დაპყრობილ საქართველოში უნდა გამოცხადდეს კულტურის „საალყო წესები“ და უნდა დამყარდეს კულტურის დიქტატურა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველ ერს ისე გასთქვეფავენ ფერშეცვლილი რუსეთის ჩინოვნიკები, როგორც უბრალო ეთნოგრაფიულ მასალას. კულტურული საქმიანობა უდიდესი საფუძველია საქართველოს ხვალინდელი დღისა, რაც მთავარია ეს კულტურა ეროვნული ფესვებიდან ამოწვდომილი ენერგიით უნდა საზრდოობდეს. სწორედ ასეთი ეროვნული სულით შთაბერილი კულტურა შეინარჩუნებს თვითმყოფადობას და უცხოური კულტურის ზეგავლენასაც უმტკივნეულოდ მოინელებს.

კ. გამსახურდიას შეხედულებით დასავლეთის კულტურას ზიარებული ნაციონალური იდეები ფესვმაგარია. მწერალი დასავლეთის კულტურის აპოლოგეტად რჩება ბოლშევიკური ტირანული თვითმართველობის დროსაც. ამის გამო მას საყვედურობდნენ და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ. მავანნი უკმაყოფილონნი იყვნენ იმით, რომ ის ყველა ერს გერმანული საზომით ზომავს, რომ მის წერილებში უცხოეთის ქარი ჰქრის და ეროვნული ფასეულობები ყალბადაა წარმოჩენილი. მწერალს ბრალს სდებდნენ იმაშიც, რომ თითქოსდა ის არ ლამობდა ქართული კულტურის საკუთარი სახით გამობრწყინებას. მწერალი არ უარყოფს, ის „უცხო ქარის“ მთესველი რომ არის, მაგრამ იმასაც მიუთითებს, რომ ეს უცხო იდეები საკუთარ შეესატყვისება ქართული სულისა და კულტურის აღორძინებას. მსოფლიოში არც ერთი მწერლის ნაციონალური იდეები ნასესხებ იდეებთან შეჯერების გარეშე არ გაუხარებია. უცხო იდეების სესხად აღება კი არაა მთავარი, არამედ მისი მოხმარება და ინტელექტუალური მონელება. მთავარია, უცხოეთიდან გადმონერგილი იდეები ტემპერამენტის მიხედვით გარდაიქმნას და ადგილობრივ სინამდვილეს

მოხმარდეს. სწორედ ამ პრინციპს უნდა დაეყდრნოს ქართული კულტურის განვითარების გეზი. მწერალი აღნიშნავს: „მე ქრისტიანული მისტიციზმის იდეოლოგიას ვადექი დღემდის. საქართველოში დასავლეთის კულტურა ამ გზით მიდის დღესაც. ქართული კულტურაც ამ იდეურ ფონზე გაიშალა და სწორედ აქ არის ის მარჭვალი, რომელიც ჩვენ ორგანულად გვაკავშირებს დასავლეთის კულტურასთან. მე-19 საუკუნის ქართული კულტურა ასცდა ამ გზას. დღეს ჩვენ სწორ გზაზე ვლამობთ გამოსვლას".[40] კ. გამსახურდიას რწმენით ქართული კულტურა, მწერლობა ჩამორჩენილია იდეურად და მოითხოვს მის განახლებას. მე-19 საუკუნეში, ქართული კულტურა ჩამორჩა თანადროულობას.

სასწრაფოდ უნდა მოხდეს ქართული კულტურის მოდერნიზაცია და ურბანიზაცია, კულტურა უცილოდ ურბანისტული უნდა იყოს. ქართულ კულტურას თუ სურს რომ თავი დააღწიოს პროვინციალურობის ჭაობს, მან ის გეზი უნდა აიღოს, რომელსაც მისდევდა ძველი საბერძნეთი, რომი და იტალიის სანიშნოებით აღძრული დასავლეთის კულტურა. დღესდღეობით ქვეყანაზე თუმცა მრავალი კულტურანი არსებობენ, მაგრამ ერთადერთი სწორი გეზი დასავლეთის კულტურას აქვს აღებული. მის გარეშე ყველაფერი წარსულს, ეთნოგრაფიას და მსოფლიო პროვინციას ეკუთვნის.

კ. გამსახურდიას პროდასავლურ ეროვნულ-პოლიტიკურ ორიენტაციას ბევრი მოწინააღმდეგ ჰყავდა საქართველოში. განსაკუთრებით მტრობდნენ მწერლის იდეურ კონცეპციას რუსული კულტურის მოტრფიალენნი, რომელთაც ქართული კულტურის განვითარება რუსული კულტურის კეთილისმყოფელი ზეგავლენის გარეშე ვერც წარმოედგინათ. მწერალი საჯაროდ ამათრახებს ყველას, ვისაც ბრმად სჯეროდათ რუსული კულტურის ღვთაებრიობა და გამორჩეულობა. დროა შეიგნონ რუსული კულტურის ქართველმა გერებმა, რომ საქართველოს ჭეშმარიტი სულიერი აღორძინება ქართულ მიწა-

ზე, ქართული ენით და ქართული თვალსაზრისითაა შესაძლებელი. კ. გამსახურდია უპრინციპობაში და მლიქვნელობაში სდებდა ბრალს რუსული კულტურის ეპიგონებს: „დიმიტრი ყიფიანს ეგონა: რუსეთის მეფე კარგია, რუსის მეფეს საქართველო უყვარს და პატივსცემს საქართველოს, თავად-აზნაურების ისტორიულ გარანტიებს, მხოლოდ რუსის მინისტრები არ ვარგან. ნოე ჟორდანია და არჩილ ჯორჯაძე ფიქრობდნენ ერთ დროს: არ ვარგა არც რუსის მეფე, არც რუსის მინისტრები, არც რუსის ჟანდარმერია, ყველანი მტრულად განწყობილნი არიან ჩვენდამი, კარგია რუსის დემოკრატია. დღეს ზოგიერთები ფიქრობენ: ყველა-ყველა და რუსის მსახიობები და რუსის მწერალი — ისინი კულტურის წარმომადგენელნი არიან — ჩვენ ისინი გვიყვარსო. ჩვენ კი სულ სხვანაირად ვფიქრობთ: ყველა კარგია თავის ადგილას. თავის დროს და თავის ქვეყანაში. ჩვენ გვაქვს ჩვენი გეზი, ჩვენი მწერლობა, ჩვენი კულტურული პოლიტიკა და ყველას იმდენად დავაფასებთ, რამდენადაც ისინი ჩვენ ანგარიშს გაგვიწევენ და სარგებლობას მოგვიტანენ“.[41]

კ. გამსახურდიას აზრით რუსეთისადმი პირფერობა და ლაქიობა გამოიწვევს ქართული კულტურის დეგრადაციას. მწერალი ამ პოზიციიდან აკრიტიკებს სუმბათაშვილს, გ. რობაქიძეს, მარჯანიშვილს, ნ. მარს, რომელთაც თავმოყვარეობა არ გააჩნიათ და რუსული მუნიციპალიტეტით ლამობენ ქართული საქმის კეთებას. მწერალი მათ სულით ლაქიებს და პროვინციულ რუსებს ეძახის, რომელთაც ევროპის მოძველებული იდეები რუსული ენის ფილტრიდან მიიღეს და ჩვენში გადმონერგვა სცადეს. თუმცა ამ უნაყოფო ეპიგონობამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო, ვინაიდან ეს იდეები ხალხისათვის მიუღებული აღმოჩნდა, რაც შეეხება „ევროპით შეზარხოშებას“, როგორც ამას ვახუშტი კოტეტიშვილი ირონიულად მოსთქვამდა, ევროპით ჩვენში ჯერ არავინ დამთვრალა. თუმცა უმთავრესი მაინც ისაა, რუსული ფსიქიკის ბანგით არ გა-

მოვთვრეთ, ვინაიდან როცა ერთი ერი მეორის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცევა, პოლიტიკურ დაპყრობას კულტურული მოჰყვება, მხედარს მწერალი შეენაცვლება, მახვილის მტვირთველს — კულტურის აგენტი.

კ. გამსახურდია საქართველოს გასაბჭოების წლებში არსებულ სინამდვილის უმთავრეს პირობად ორიენტაციის საკითხის გარკვევას მიიჩნევს. იმ დროისათვის, ვინც ევროპის ორიენტაციისაკენ საქართველოს უბიძგებდა ქართველი ხალხის მტრად რაცხდებოდა, რადგანაც ევროპელი ორიენტაციის აღიარება თავის მხრივ რუსული ორიენტაციის უარყოფას ნიშნავდა. მწერალი ხედავს, რომ ბოლშევიკური ხელისუფლების ლაქიები მთელი არსებით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ რუსეთისადმი საქართველოს ორიენტაციის პრიორიტეტი. მაგრამ საქართველოში მწერლისავე მინიშნებით, იყო საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც მიუხედავად გარკვეული ორჭოფობისა და სიფრთხილისა, მაინც ვერ ეგუებოდა თავსმოხვეულ ბოლშევიკურ ხელისუფლებას და კვლავაც იმედით აღსავსენი ევროპისაკენ იცქირებოდნენ. მწერალი ღრმადაა დარწმუნებული იმაში, რომ რუსული ორიენტაციის მიღება მოასწავებდა ეროვნული ინტერესებისა და პოზიციების უარყოფას, სოციალიზმის, როგორც წამყვანი იდეოლოგიის აღიარებას, რუსეთის რევოლუციის მიზნების გაზიარებას და ევროპული სახელმწიფოებისადმი დაპირისპირებას. ამიტომაც, საქართველოს ხვალანდელი დღის სახელით მწერალი მთელი არსებით ილაშქრებს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვისაც ბრმად სჯეროდა რუსული კულტურის გამორჩეულობა. მწერლის მინიშნებით, დროა შეიგნონ რუსული კულტურის ქართველმა გერებმა, რომ საქართველოს ჭეშმარიტი სულიერი და პოლიტიკური აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ ქართულ მიწაზე, ქართული ენით და ქართული ცნობიერებით. მთავარია, ერმა და ქვეყანამ თავისუფლების შეგრძნების წყურვილი არ დაკარგოს, ვინაიდან „ერთადერთი გარანტია ჩვენი დამოუკიდებლო-

ბისა ეს იყო, არის და იქნება თვით ქართველი ხალხის შეგნებაში, რადგან ყოველი განთავისუფლების დედაბოძი თვით თავისუფლების შეგნებაა. ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებას და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაართმევს მას. ქართველი ერის ხსნა თვით ქართველი ხალხის მაჯასა და მკლავშია“.[42]

§1. სულის ამბოხი

კონსტანტინე გამსახურდია მეამბოხე სულის მწერალი გახლდათ. მას ისეთ ძნელბედობის ჟამს მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა, როცა ყოფნა-არყოფნის სასწორზე ერის სვებედი ესვენა. ასეთ დროს სამშობლოს კეთილდღეობა ჭეშმარიტი ქართველისაგან უკიდურეს თავგანწირვას მოითხოვდა. მწერალიც თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე დგება, როგორც რიგითი ჯარისკაცი, ვინაიდან მან კარგად უწყოდა, რომ ქართველობას, როგორც წარსულში, ისე აწმყოში საკუთარი სისხლის დანთხევა ემარჯვებოდა თავისუფლებისა და ერის არსებობის უფლებების დასაცავად. სისხლის გაღების თვინიერ სასურველი მიზანი არ მიიღწევა. კ. გამსახურდიას მე-19 საუკუნის ქართული ნაციონალიზმის თავკაცებად ალ. ბატონიშვილი და კ. დადეშკელიანი იმადაც მიაჩნდა, რომ მათ ეპოლეტებისათვის მათხოვრობა არ იკადრეს და ქართველი ხალხის სულიერად გარუსების პროცესს სისხლითა და მახვილით აღუდგნენ წინ. ქართველობამ სწორედ მათ კვალზე უნდა იაროს, რათა მათი საგმირო საქმეთა გამო გულაღტკინებულნი დაუთრობლად გადაეშვან ომის ქარცეცხლში ალისფერი სისხლის დასანთხევად. თუმცა, მწერლისავე მინიშნებით სისხლის გამოშვება ყოველთვის როდი იძლევა შვებას და ნუგეშს. უმთავრესი სწორედ ისაა, რომ არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებითა და ზომიერი, პრაგმატული ორიენტაციის ძალისხმევით მიღწეულ იქნას სასურველი შედეგი. სისხლის გაღება უკიდურეს, გამოუვალ მდგომარეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

კ. გამსახურდიამ რუსეთის იმპერიულ მონსტრთან ბრძოლისა და დაპირისპირების იარაღად მახვილი და კალამი იგულვა. ის, როგორც თავისი მამაცი წინაპრების ღირსეული ნაშიერი, კეთილშობილური ზრახვებით გასხივოსნებული, მახვილის მტვირთველიცაა და უებრო კალმოსანიც. მწერალმა

თავისი შეურიგებელი პოზიცია და პოლიტიკური მრწამსი კონსტანტინე სავარსამიძეს დაანათლა, რომელიც ცხელი ტყვიებით უმასპინძლდება რუს სალდატებს და ქართული სატევარის სადღეგრძელოს სვამს. მწერალი ამბობდა: სავარსამიძეს ცოდვებს მე ნუ ამკიდებთ, მე ჩემი ცოდვები მეყოფაო, მაგრამ ისიც უტყუარია, რომ სავარსამიძე მწერლის სულიერი პირმშოა, მისი ეროვნული სულისკვეთების ორეული და ანარეკლი. მაგრამ კ. გამსახურდია მხოლოდ მწერლური ტიპაჟის გამოხატვით არ შემოფარგლულა თავისი შეურიგებელი პოზიციის გამოსახატავად. მწერალი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საქართველოდან რუსთა ჯარების განდევნაში, დიდი ძალისხმევის ფასად გემით ჩამოჰყავს ქართველი ტყვეები საქართველოში. უნივერსიტეტის ეზოში მოწყობილ მიტინგზე გამოსული მგზნებარებით მოუწოდებს ქართველობას თურქი ასკერების წინააღმდეგ საბრძოლველად. თავად კი პირველი გაეშურება თურქების მიერ მიტაცებულ აჭარაში საომრად. ასე რომ კ. გამსახურდია თავისი შემოქმედებითა და მეომრული ძალისხმევით ერის ინტერესების სადარაჯოზე დგას, ვინაიდან მისი თქმით, მხოლოდ იმ მეცნიერსა და მწერალს სცემს თაყვანს ქართველი ხალხი, ვინც თავის მოღვაწეობაში მამულიშვილურ პოზიციებზე დგას.

მამულიშვილურ პოზიციებზე იდგა მწერალი მაშინაც, როცა ქვეყანა 117 წლიანი ოკუპაციის შემდეგ თავისუფლების მადლს ეზიარა. თუმცა მან მიზანშეწონილად მიიჩნია აქტიურ პოლიტიკას ჩამოშორებოდა და შემოქმედებით მოღვაწეობას მისცემოდა. კ. გამსახურდია საქართველოში კულტურის დიქტატურას ქადაგებს, ცდილობს თავისი პუბლიცისტური წერილებით ერის ინტელექტუალური ცნობიერება აამაღლოს, მომავლის რწმენის შთანერგვით აქტიური ქმედების სტიმული მისცეს ქვეყანას. ის მთლიანად შემოქმედებით საქმიანობაშია ჩართული და პოლიტიკიდან განზე დგას. ეს არცაა გასაკვირი. მწერალი პოლიტიკაში საქართველოს სახელმწიფოებრიო-

ბის აღდგენის წადილმა მოიყვანა. როცა აღსრულდა საოცნებო ზრახვა მწერალი დაუბრუნდა შემოქმედებით მუშაობას, თუმცა დროებით. რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ საქართველოს ხელმეორედ ხელყოფამ კ. გამსახურდიას ისევ გაუღვივა პოლიტიკური ვნებანი. მწერალი ამგვარად მიმართავს ახლად ანექსირებულ ქვეყანას: „განგებამ ინება, რომ ჩემი იარაღი კალამი იყოს. თუ ისეთი ბნელი დრო დაგვიდგება, რომ კალამს და გონებას გასავალი აღარ ექნება, შეიძლება სხვა იარაღის ხმარებაშიაც არ ჩამოვრჩე სხვებს".[1]

კ. გამსახურდია ამტანობას, ჭირთათმენას და სიმამაცეს უქადაგებს ხალხს, სასოებით შეახსენებს თუ ვისი გორისაა და საით მიმართოს ჯერაც ჩაუმქრალი, აზვირთებული ენერგია. მწერლის მინიშნებით ეროვნული თავისუფლების ერთხელ დაკარგვა შეიძლება, მაგრამ იგი ყოველდღე ბრძოლით უნდა მოიპოვოს ერმა. თავის შეურიგებელ პოზიციას ლენინისადმი გაგზავნილ წერილშიც ამჟღავნებს. ის კატეგორიული ტონით შეახსენებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მესაფლავეს, რომ ერს შეიძლება ყველაფერი წაართვან — თავისუფლების შეგნების გარდა. ლენინისადმი დაწერილი წერილი დაიბეჭდა გაზ. „ტრიბუნაში" და ტფილისის რუსულ გაზეთშიც. როგორც იმჟამინდელმა ცეკას მდივანმა მიხ. ოკუჯავამ ამცნო გამსახურდიას, რომ ეს წერილი ლენინს წაუკითხავს და არაფერი უთქვამსო. თავად კ. გამსახურდიაც აღიარებს წერილი საკმაო უხეში ტონით რომ იყო დაწერილი. მისივე მინიშნებით, ლენინის სულგრძელობა რომ არა, სხვა ვინმე მას ასეთ კადნიერებას არ აპატიებდა. იქვე დასძენს რომ, საქართველოს მანამ არ გამოელევა ეროვნული მოძრაობის გმირები, სანამ სავსებით არ იქნება უზრუნველყოფილი ქართველთა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. 1921 წლის 26 მაისს საქართველოს თავისუფლების დღეს, 3 თვის ოკუპირებულ ქვეყანას კ. გამსახურდია აქტიური ქმედებისაკენ მოუწოდებს, მეომრულ სულს უნერგავს, პერმანენტული მოქმედე-

ბის აუცილებლობას უქადაგებს თავისუფლებაწართმეულ ქართველობას.

მწერალმა თავისი უკომპრომისო დამოკიდებულება დამპყრობლებისადმი მომდევნო წლებშიც შეინარჩუნა. ის ასე მოძღვრავს თავისუფლების მზის სიმცხუნვარით გულით გაუმთბარ ქართველობას. „მოდის ათას ცხრაას მეოცდასამე წელი და ქართველობა კიდევ ერთხელ უნდა დაფიქრდეს. დაფიქრდეს არა იმისათვის, რომ შეჩერდეს და უკან დაიხიოს, მხოლოდ იმისათვის, რომ ვეფხისებური ნახტომი გააკეთოს წინ. დაფიქრდეს არა იმისათვის, იჭვნეულივით რომ შეყოყმანდეს, არამედ იმისათვის, რომ შეპყრობილივით წინ გაეშუროს“.[2] თუ გავიაზრებთ იმ გარემოებას, რომ ამ სტრიქონების დაწერიდან 1924 წლის ამბოხებამდე სულ ერთი წელი ძევს, მაშინ მწერლის ეს სიტყვები ერთგვარ საბრძოლო მოწოდებად შეიძლება მივიჩნიოთ ქართველთათვის.

კ. გამსახურდიას ხმაურიანი გამოსვლები და შეურიგებელი პოზიცია სულიერ წონასწორობას აკარგვინებდა ბოლშევიკურ ხელისუფლებას. კონფრონტაცია მწერალსა და ხელისუფლებას შორის კიდევ უფრო ღრმავდებოდა. კ. გამსახურდია თავადაც აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში საკმაოდ უხეში გამოსვლების გამო მას მტერი ერთიორად მოუმრავლდა. ამიტომაც მეგობრები ურჩევდნენ როგორმე თავი შეეკავებინა ცხარე დებატებისა და მწვავე განცხადებების გაკეთებისაგან. მის ირგვლივ საავდრო ღრუბელი იკვრებოდა. მან მმართებულად მიიღო ერთადერთი გონივრული გადაწყვეტილება: დროებით გარიდებოდა ბოლშევიკურ ტირანიას. მწერალი იმ დროისათვის თბილისის უნივერსიტეტის თანამშრომელია. ის 1917 წლის 3 ოქტომბრიდან უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი იყო, ხოლო იმავე წლის 26 ნოემბერს ექ. თაყაიშვილის ბინაზე შედგა პროფესორთა კოლეგიის პირველი წინასწარი სხდომა, სადაც ივ. ჯავახიშ-

ვილმა მწერალი საპროფესოროდ მოსამზადებელ პირველ რიგში დასატოვებელთა შორის დაასახელა.

კ. გამსახურდიამ ადრეც მიმართა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს, რათა მიეცათ მისთვის მივლინება იტალიაში წასასვლელად, რათა იქიდან უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ისტორიის კათედრას დაბრუნებოდა, როგორც კვალიფიცირებული პროფესორი. ამ მიმართვაში მწერალი ევროპაში გამგზავრების უმთავრეს მიზეზს თბილისის ბიბლიოთეკებში არსებული ისტორიული ჟურნალებისა და საარქივო მასალების სიმცირით ხსნის. ის აღნიშნავს: „ისტორიულ შრომებსა და მონოგრაფიებს იმდენი მნიშვნელობა არ ჰქონდა ჩემი შორეული განვითარებისათვის, რამდენიც დამუშავებულ საარქივო მასალის გაცნობასა და შესწავლას“.[3]

ანალოგიურ განწყობილებას გამოხატავს მწერალი პროფ. პოლიევტოვისადმი გაგზავნილ წერილში: „ჩემი მუშაობა გასული ექვსი თვის განმავლობაში ვერ იყო ჩემთვის სავსებით დამაკმაყოფილებელი, რადგანაც გარდა აუტანელი მატერიალური პირობებისა, ჩემს მუშაობას წინ ელობებოდა ვრცელი მეცნიერული პირველწყაროების უქონლობა. აწინდელი მუშაობა უნდა გამოიხატოს ისტორიული პირველწყაროების შესწავლა-გაცნობაში“.[4]

მიუხედავად მწერლის აქტიური მონდომებისა და ძალისხმევისა 1921 წელს მისი უცხოეთში გამგზავრება არ შედგა.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციიდან ორი წლის შემდეგ კ. გამსახურდიას ისევ გაუჩნდა შანსი უცხოეთში გამგზავრებისა. თუმცა ევროპაში წასვლა ჩვეულებრივი გზით საბჭოთა ხელისუფლების მიერ იმხნად გამკაცრებული და გართულებული იყო. ამიტომაც მწერალმა საზღვარგარეთ გასამგზავრებლად საქართველოს კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს შ. ელიავას წერილობით მიმართა მისთვის დახმარების გასაწევად, სადაც ის აღნიშნავს: „როცა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ახლად ჩამოსული ვიყავი ევროპიდან, სადაც მე პირად ცხოვრებას გაცილებით უკეთ მოვიწყობდი. მაინც დავრჩი საქართველოში და წამსვე კულტურულ მუშაობას შევუდექი, რადგან მწამდა და მწამს რომ კულტურული მუშაობა მუდამ დასჭირდება საქართველოს, სულერთია, რომელი მთავრობაც არ უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის სათავეში".[5]

მწერალი შეახსენებს ხელისუფლებას მის მიერ კულტურულ სარბიელზე გაწეული მუშაობის დავთარს, სალიტერატურო ჟურნალებისა და გაზეთების დაარსებას, ლექციების და ლიტერატურული საღამოების ჩატარებას. ის საგანგებოდ მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ მას ბერლინულ გამომცემელთა ამხანაგობასთან მიწერ-მოწერა ჰქონდა და შეპირებულებიც ჰყავდა გერმანელები ვაჟა-ფშაველას ერთტომეულის გამოსაცემად. ამასთან ერთად მას განზრახული ჰქონდა მე-19 საუკუნის ქართველი პოეტების ლექსების თარგმნა და გერმანიაში გამოცემა. გარდა ლიტერალურული გეგმებისა მწერალი სამსახურეობრივ მიზეზსაც ასახელებს უცხოეთში გასამგზავრებლად: „როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის კანდიდატს განზრახული მაქვს 2 წელიწადი კიდევ ვიმუშავო ბერლინის უნივერსიტეტში, რათა 2 წლის შემდეგ უფრო მომზადებული დავბრუნდე ტფილისში და ევროპის ისტორიის კათედრა დავიკავო. საამასოდ შესაფერისს მივლინებასაც მავიღებ უნივერსიტეტიდან".[6]

მწერალს დიდად წყალობდა სახალხო კომისარი ალ. გეგეჭკორი, რომელსაც განმარტებით უთქვამს მწერლისთვის: „კონსტანტინე ძლიერ მეცოდები შენ. კახიანი, ღოღობერიძე და სხვა ხელმძღვანელი პირები ისე ალესილნი არიან შენს მიმართ, გირჩევ თავი აარიდო და ევროპაში წახვიდე. მე გითავდებებ ამიერკავკასიის სამხედრო კომიტეტის მდივნის ამხ. ს. ორჯონიკიძეს წინაშე, თუნდაც პარიზში წადი და გიჯობს საერთოდ არ ჩამობრძანდე".[7]

სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით რომელსაც თავმჯდომარეობდა შ. ელიავა 1933 წლის 8 თაბერვალს კ. გამსახურდიას მიეცა ვიზა უცხოეთში გასამგზავრებლად. მწერლის განცხადებისათვის შ. ელიავას ხელი მოუწერია შემდეგი შინაარსით: „მოქ. კ. გამსახურდიას საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად წასვლის საწინააღმდეგო დაბრკოლება არ არსებობს“.[8]

ვიზის მიღების შემდეგ მწერალმა შესაფერისი მივლენებაც მიიღო თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტისაგან, რასაც თავადაც აღნიშნავს იმ განცხადებაში, რომლითაც მიმართავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას მისთვის ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე უცხოეთში გასამგზავრებლად: „ვთხოვ გამიწიოთ ერთდროული დახმარება (უნივერსიტეტის გამგეობას — ხ. ჩ.) საზღვარგარეთ წასასვლელად. როგორც მოგეხსენებათ მე მივლინებელი ვარ პედაგოგიური ფაკულტეტის მიერ 1923 წლის 24 იანვრის სხდომის დადგენილების თანახმად, გარდა ამისა სათანადო ნებართვა მაქვს აღებული განათლების სახალხო კომისარიატისაგან“.[9] წერილი თარიღდება 1923 წლის 10 მაისით.

უნივერსიტეტის გამგეობამ ამჯერადაც ვერ გაუწოდა დახმარების ხელი კ. გამსახურდიას, თუმცა საზოგადოება „ჩემომ“ მწერალს 25 გირვანქა სტერლინგი გადაუწყვიტა სტიპენდიის სახით. მაგრამ განათლების სახალხო კომისარმა კანდელაკმა ხელისუფლების მითითებით აღნიშნულ თანხა მწერალს ყოველგვარი მოტივაციის გარეშე ჩამოართვა.

ამ შეუწყნარებელი მოვლენით აღშფოთებულმა თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა ივ. ჯავახიშვილმა დაიცვა მწერალი და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიმართა კატეგორიული ტონით: „სრულიად საქართველოს ც.ა.კ. თავმჯდომარის რეზოლუციით გიგზავნით განკარგულებისათვის მოქ. კ. გამსახურდიას განცხადებას განათლების კომისა-

რის მიერ გამსახურდიას მიმართ უსამართლობის ჩადენის შესახებ".[10]

1923 წლის 15 ივნისს საქ. სახ. კომის. საბჭომ განათლების სახალხო კომისრისაგან ამრ. კანდელაკისგან ასხნა-განმარტება მოითხოვა გამსახურდიასათვის სტიპენდიის ჩამორთმევის თაობაზე. ,,გეგზავნებათ ახსნა-განმარტების მისაცემათ სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომს საქმეთა მმართველის მიერ 2082 N-ით გადმოგზავნილი მოქ. კ. გამსახურდიას განცხადება".[11]

განათლების სახალხო კიმისარიატს თვითნებურად არ ძალუძდა ასეთი საჩოთირო და პასუხისმგებელი საკითხის გადაწყვეტა. კომისარიატი ცეკადან ელოდა დირექტივებს, რამაც არ დააყოვნა. 1923 წლის 6 ივლისს განათლების სახალხო კომისარმა მ. ორახელაშვილმა საქ-ლოს სახალხო კომისარიატის საბჭოს მოახსენა ის მიზეზი, რის საფუძველზეც მწერალს მიცემული თანხა ჩამოერთვა: ,,პასუხათ თქვენი მიმართვისა განათლების სახალხო კომისარიატი გაცნობებთ, რომ თანახმად ცეკას დადგენილებისა არ შეიძლება კოწია გამსახურდიას საზღვარგარეთ გამგზავრება და ამის გამო ჩამოერთვა მას ის თანხა, რომელსაც სთვლის უკანონო საქციელათ".[12]

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ განათლების კომისარი კანდელაკი თავიდან აქტიური მხარდამჭერი იყო მწერლის უცხოეთში გამგზავრებისა, რასაც ის პირად საუბარში ადასტურებს, როგორც ტფილისის უნივერსიტეტის რექტორთან, ისე კ. გამსახურდიასთანაც. 1924 წლის თებერვალში კომისარმა ივ. ჯავახიშვილს ცირკულარიც გაუგზავნა მწერლის მივლინების შესახებ, თუმცა მეორე დღესვე ზემდგომი ორგანოების ჩარევის შედეგად საწინააღმდეგო ცირკულარიც გაუგზავნა უნივერსიტეტის რექტორს, მწერალს კი განუცხადა, რომ თუ თავისი ჯამაგირით წავიდოდა საზღვარგარეთ განათლების კომისარიატს საწინააღმდეგო არაფერი არ ექნებოდა. თუმცა განათლების კომისარის ეს სიტყვები სიმართლეს რომ

არ შეიცავდა იქადანაც გამოჩნდა, რომ როცა საზოგადება"ჩემომ" მწერლის სასარგებლოდ თავისი მოგებიდან 25 სტერლინგი გადასდო კანდელაკმა ეს ფული მწერალს წაართვა, მიზეზად კი ის დაასახელა, რომ თითქოსდა საზოგადოება „ჩემომ" მთავრობის ფულიდან გადასდო მწერლისათვის დასმრება, რაც ყოვლად შეუწყნარებელ სიცრუეს წარმოდგენდა. მწერალი გულგატეხილია სიტუაციის ამგვარი შემობრუნებით... „ამგვარად კომისარმა არამც თუ არ შეასრულა დაპირება, არამედ დამეშუქრა ჯამაგირის მოსპობით და ბოლოს სხვისგან გაწეული დახმარება წამართვა".[13]

კ. გამსახურდიას განცხადებით სწორედ განათლების კომისარმა შეუშალა ხელი მისი პიესის „გარსი მარადის" სცენაზე დადგმას, რომელიც რეჟისორმა მარჯანიშვილმა თურმე მოიწონა. თუმცა განათლების კომისარი უფრო მძიმე, პოლიტიკური ხასიათის ბრალდებას უყენებს მწერალს. როცა კ. გამსახურდია პირადად შევიდა კომისართან განმარტებისათვის, მან უპასუხა: - «Вы выступали против нас».[14]

კ. გამსახურდია აღშფოთებას არ მალავს კანდელაკის ამ ბრალდების გამო. მართალია, ის მწვავე ოპოზიციონურ კილოზე აკრიტიკებდა იმას, რომ საქართველოში დაწესებულებების ნაციონალიზაცია არ ხდებოდა, თუმცა მისივე განცხადებით მთელი მისი ოპოზიცია კულტურული საკითხების ფარგლებს არ გასცილებია. მწერალი აცხადებს: „როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა მე ახალი ჩამოსული ვიყავი. გადატრიალების დროს ევროპას მიმავალმა მთავრობამ წინადადება მომცა წავსულიყავი, მაგრამ მე არ წავედი, რადგან არავითარი სიცუდე არასოდეს არ ჩამიდენია არც ქართველი კომუნისტების და არც ვინმეს წინააღმდეგ. და გარდა ამისა მე არ მინდოდა გაქცეულთა რიცხვში ყოფნა. მე ვფიქრობდი კულტურის ნიადაგზე ალბათ ქართველ კომუნისტებთანაც მოვძებნი საერთო ენას მეთქი".[15]

მწერლის განცხადებით ის არ არის პოლიტიკური მოღვაწე და ამ ხნის მანძილზე არც ერთ პოლიტიკურ პარტიას ახლოსაც არ გაკარებია. და თუ ის ამხელდა ველიკორუსულ ნაციონალიზმს მოკავშირე რესპუბლიკების კულტურულ ცხოვრებაში, ამგვარი რეციდივები და ცირკულარები მთავრობამაც მიიღო კომპარტიის მე-12 ყრილობაზე. ასე რომ მისი დანაშაული ამ შემთხვევაში უმნიშვნელოა. მწერლის განცხადებით თუ ქართული მწერლობის, ქართული ენისა და თეატრის პრობლემებზე აქტიური მუშაობა და საჯარო ლექციების წაკითხვა მტრობად მიაჩნია საქართველოს მთავრობას, ის მზადაა ნებაყოფლობით დატოვოს საქართველოს საზღვრები და არასოდეს ჩამოვიდეს სამშობლოში. თუმცა მწერალი დარწმუნებულია თავის სიმართლეში და ყველანაირად ცდილობს თავისი მწერლური ღირსება და იმიჯი შეინარჩუნოს. ამისათვის ის მზადაა რესპუბლიკის კომისარს ცეკას მდივანთან უჩივლოს: „ბატ-ონო თავმჯდომარე! აბსოლუტიზმის დროს მეწისქვილემ უჩივლა სასამართლოში ფრიდრიხ დიდს და მას სამართალი არ დაუკარგავს. მე ვბედავ და რესპუბლიკის კომისარს ვუჩივი თქვენს წინაშე. მე განათლების კომისარი არ მექცეოდა ისე, როგორც ეკადრებოდა ისეთ ადამიანს, რომელსაც 15 წლის მუშაობა მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე. მე ყველაფერს ადვილად ვიტან და უმართებულობას ვერ შეურიგდები“.[16]

კ. გამსახურდიას ამ ძნელბედობის ჟამს აქტიური თანადგომა გაუწია თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც უშუამდგომლა მწერალს განათლების სახალხო კომისარიატში. ივ. ჯავახიშვილის და სხვა პასუხისმგებელი პირების შუამდგომლობამ გასჭრა და განათლების კომისარმა ახლა თავად აღძრა შუამდგომლობა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი კ. გამსახურდიას საზღვარგარეთ მივლინების თაობაზე: „ტფილისის სახ. უნივერსიტეტის შუამდგომლობის თანახმად განათლების სახალხო

კომისარიატის მიერ მივლინებულ იქნას საზღვარგარეთ გერმანიაში უმაღლესი სწავლის მისაღებად და საპროფესოროდ მოსამზადებლად. ამით ვშუამდგომლობ თქვენს წინაშე გასცეთ სათანადო განკარგულება, რათა კ. გამსახურდიას, როგორც სამეცნიერო მიზნით მივლინებულს, უფასოდ მიეცეს საზღვარგარეთ სამგზავრო პასპორტი და სხვა საჭირო საბუთები".[17]

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა დააკმაყოფილა თბილისის უნივერსიტეტის და განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა და კ. გამსახურდია 1923 წლის აგვისტოში სამეცნიერო მივლინებით გერმანიას გაემგზავრა.

კ. გამსახურდიასთანა ეროვნული შემართების მსგავსს პიროვნებას იმჟამად საქართველოში სიცოცხლის ხელყოფის საშიშროება ელოდა, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ „ინტერპარტიული კომიტეტის სამხედრო შტაბის" წევრები უკვე დაპატიმრებულნი იყვნენ. მწერალი 1923 წლის აგვისტოს მიწურულს ბერლინს ჩავიდა. სამგზავრო ხარჯებისათვის თანხა ივ. ჯავახიშვილმა მისცა. მიუხედავად უნივერსიტეტის მძიმე დუსჭირი მდგომარეობისა სახელოვანმა მეცნიერმა მაინც გამონახა 900 ვირგანქა სტერლინგი უმცროსი კოლეგის ევროპაში გამგზავრების უზრუნველსაყოფად. მწერალი ბერლინში დიდხანს არ დარჩენილა. ის მალე დრეზდენს ეწვია, სადაც ცნობილი მეცნიერი ფელიქს ჰოლდაკი მოინახულა, რომელსაც საქართველოს ისტორიის შესახებ წერილები ჰქონდა გამოქვეყნებული. მწერალი ბოლოს პარიზს გაემგზავრა, სადაც მას დახვდნენ ზ. ავალიშვილი და ლ. გუდიაშვილი. პარიზში მწერალი შევიდა სორბონის უნივერსიტეტში, სადაც ანრი ბერგსონის ლექციებს ისმენდა. როგორც თავად მიუთითებს ბერლინში ყოფნისას პრუსიის სამხედრო აკადემიაში შესვლა სურდა, თუმცა მ. წერეთელმა და სხვა ქართველმა მეგობრებმა დაუშალეს და გადააფიქრებინეს ეს უცნაური განზრახვა.

— ფილოსოფიის დოქტორი ხარ და გენერლობა რა ჭირად გინდაო“.[18]

კ. გამსახურდია პარიზში ყოფნისას გაქცეული მთავრობის წევრებს არ შეხვედრია. ნოე ჟორდანიამ ორჯერ დაიბარა თავისთან მწერალი, თუმცა მან სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელთან შეხვედრას თავი მოარიდა. ნიშანდობლივია, რომ მწერალი ინტუიციით გრძნობდა ჟორდანიასთან შეხვედრისას საუბარი მოსალოდნელ ამბოხებასაც რომ შეეხებოდა, რასაც მწერალი შეგნებულად გაურბოდა.

მოგვიანებით კ. გამსახურდია 1924 წლის ამბოხებას კოშმარულ აგონიას უწოდებს და ამ სისხლისღვრის მედროშედ და სულისჩამდგმელად ნ. ჟორდანიას გამოაცხადებს. მწერლის განცხადებით ემიგრანტების ლიდერს პარიზიდან შემოუთვლია აჯანყებულებისათვის: ამბოხებას წინ ლეკები და ჩერქეზები წაუმძღვარეთო. ეტყობა, ამით სურდათ საერთო კავკასიური მასშტაბის ხასიათი მიენიჭებინათ აჯანყებისათვის.

აქ გასათვალისწინებელია ის კონფლიქტური დამოკიდებულებაც, რომელიც გააჩნდა მწერალს სოციალ-დემოკრატებისა და მათი წინამძღოლის მიმართ. კ. გამსახურდია 10 წლის განმავლობაში ებრძოდა იდეურად ქართველ მენშევიკებს, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ გასცილდა პოლიტიკური ასპარეზს, რადგანაც არ უნდოდა პარტიათა შორის გამართულ დაპირისპირებაში მონაწილეობა მიეღო. მისივე განცხადებით ჭეშმარიტი მწერალი თავისუფალი სულისა და სიტყვის მოჯამაგირე უნდა იყოს და არა რომელიმე მთავრობისა. რაც უმთავრესია ნ. ჟორდანია თავისი იდეოლოგიით სრულიად არ უახლოვდებოდა მწერლის ეროვნულ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობას და იდეალებს. ამის გამო მას ნ. ჟორდანიასა და მისი მთავრობის წევრების დახვრეტაც განუზრახავს მასზე დაქვემდებარებული საჯარისო შენაერთების ძალისხმევით, და რომ არა მეგობრების მუდარა და ხვეწნა, იქნებ განზრახვა სისრულეშიც მოეყვანა.

მწერლის განცხადებით ასეთ შემთხვევაში ხომ ასცდებოდა საქართველოს ის სისხლის წვიმები,რომელიც შემდგომ წლებში თავს დაატყდა ქვეყანას მეტწილად სოციალ-დემოკრატების დაბნეული და უნიათო პოლიტიკის მეოხებით. კ. გამსახურდიას აზრით მენშევიკების მთავრობა, რომელიც ცრემლით იგლოვდა რუსეთთან დაშორებას და დაჩოუკიდებლობის გამოცხადებას იძულებით ფორმად მიიჩნევდა, ვერ შესძლებდა იმ სახელმწიფო სადავეების ხელმეორედ ხელში ჩაგდებას, რომელიც მან თავისი ბეცი პოლიტიკის წყალობით ქარს გაატანა.

მოგვიანებით კ. გამსახურდია უარყოფს პარიზში ყოფნისას ბოლშევიკების მტრებთან მის ურთიერთობას: „ღმერთმა დიდი დოზით მომანიჭა მოთმინების უნარი. ამიტომაც დიდ ამბებში არასოდეს მიღალატნია ვაჟკაცური სიტყვისათვის და არასოდეს მიკადრებია საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან უბრალო ჩალიჩიც არც შინ და არც უცხოეთში, თუნდაც 1923 წელს“.[19]



მიუხედავად ბოლშევიკების მიერ საქართველოში დამკვიდრებული აუტანელი ვითარებისა მწერალმა პარიზში ცხოვრებას სამშობლოში დაბრუნება არჩია. მან არ შეისმინა ემიგრანტების ერთ-ერთი ლიდერის გაფრთხილება თბილისში მისი მოსალოდნელი დაპატიმრების თაობაზე და თავისი ცხოვრებისეული კრედო ასეთი სიტყვებით გამოხატა: „მე აქ კონკორდის მოედანზე თქვენთან სეირნობას

საქართველოს „ჩეკაში“ ვჯდომა მირჩევნია“[20]. პარიზში ყოფნისას მწერალი ხვდებოდა მიხ. წერეთელს, რომელსაც ის მენშევიკურ მთავრობაში ყველაზე მეტად აფასებდა. მაგრამ მას მაინც არ სჯერა იმ ეროვნული ენერგიისა, რომელსაც ძალუძდა უცხოეთიდან სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვა. მწერალი მორალური პოზიციის მხრიდანაც არ იწყებს თანამშრომლობას ემიგრანტებთან. როცა მას პარიზში ყოფნის ჟამს „ადამიანის დაცვის ლიგის“ თანამშრომელი და რამდენიმე მემარჯვენე გაზეთის კორესპონდენტი ეწვივნენ და წერილობითი გამოსვლა მოსთხოვეს ბოლშევიკების წინააღმდეგ, მწერალმა ამგვარად წარმოაჩინა თავისი მრწამსი: „მე ბოლშევიკების დიდი მეგობარი არ გახლავართ, მაგრამ ადამიანების ლანძღვით პურის ფულის მოპოვება სამარცხვინო საქმედ მიმაჩნია“[21].

კ. გამსახურდიას მართებულად არ მიაჩნია იარაღით ბრძოლა იმ მოძღვრების წინააღმდეგ, რომელიც რაღაც იდეების მატარებელია. მწერალი ერთგან წერს: „რამდენადაც ბოლშევიზმი განსაზღვრული იდეების მატარებელია, სიგიჟეა მის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგანაც იდეების წინააღმდეგ იარაღით ბრძოლა დონკიხოტობაა“[22]. ასეთ ხალხთან მწერალი „დისტანციის თეორიას“ იცავს. ცდილობს გაემიჯნოს მათ. თუმცა პარიზში, ქართულ ემიგრაციის სიახლოვესთან ყოფნაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ საქართველოში გავრცელებულიყო ხმა; კონსტანტინე გამსახურდია პარიზში ემიგრანტებს ხვდებაო და მათ ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოსვლაში აგულიანებსო.

პარტიული აქტივის კრებაზე გამოსულმა ორჯონიკიძემაც იგივე თქვა. „კ. გამსახურდია ჩვენ რაინდი გვეგონა. ამიტომაც ვენდეთ მას, საკმაო თანხები მივეცით და პარიზს წარვგზავნეთ სწავლის გასაგრძელებლად. ჩვენ მოვტყუვდით. ის უნამუსო კაცი აღმოჩნდა. როგორც ვიცით, ჩვენს წინააღმდეგ გამოდის პარიზშიო“[23].

ბოლშევიკებმა კ. გამსახურდია ყოველგვარი გამოძიებისა და გამოკითხვის გარეშე 1924 წლის აჯანყების თანამზრახველად შერაცხეს და დასჯის მიზნით საქართველოს განათლების კომისარიატმა ის უნივერსიტეტიდანაც გაანთავისუფლა. ივ. ჯავახიშვილმა წერილობით აცნობა მეგობარს ამის თაობაზე. მწერლის ძმამ ალექსანდრემაც გაუგზავნა წერილი, სადაც ატყობინებდა მის წინააღმდეგ დაწყებული კომპანიის შესახებ და საქართველოში დაბრუნებას სთხოვდა ძმას.

კ. გამსახურდიამ კარგად გაიცნობიერა მის წინააღმდეგ მიმართული კომპანიისაგან მოსალოდნელი საფრთხე და საქართველოში ჩამოსვლამდე დაიწყო აქტიური ქმედება უნივერსიტეტში აღსადგენად. 1923 წლის 2 ნოემბერს მწერალმა ვრცელი წერილი მისწერა სსრ სასალხო განათლების კომისარიატს, სადაც ის საკუთარ უდანაშაულობაზე და თბილისის უნივერსიტეტში რეაბილიტაციაზე ამახვილებს ყურადღებას: „თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა მაცნობა, რომ განათლების კომისარის განკარგულებით მოხსნილი ვარ თანამდებობიდან. მოტივი ამ განკარგულებისა ცირკულარში არ იყო ნახსენები. ჩემმა მეგობრებმა მაცნობეს, რომ ამის მიზეზად ასახელებენ ვითომდა ჩემს მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს საზღვარგარეთ. მე დაუყოვნებლივ გავაგზავნე თბილისურ პრესაში ამ ინსინუაციების ლემანტი-უარყოფა“[24].

კ. გამსახურდია დაჟინებით უარყოფს იმ გარემოებას, რომ ის თითქოსდა საქართველოს დღევანდელი მთავრობის წინააღმდეგ იღებდა ხმას საჯაროდ, და კალმითა და სიტყვით კომუნისტური მმართველობის დამხობისაკენ მოუწოდებდა საფრანგეთში გახიზნულ ქართველობას. მისი აღიარებით ის არაა პოლიტიკური მოღვაწე და მისი საქმიანობა მხოლოდ კულტურული სფეროთი შემოიფარგლება. სწორედ ამ მიზნით დაესწრო ის ბერლინში ქართული კოლონიის კრებას, სადაც საუბარი იყო ნ. მარის ლექციების გამოცემაზე. ამავე კრებაზე მწერალს შეეკითხნენ მიიღებდა თუ არა მონაწილეობას საზ-

ღვარგარეთ გამოსულ ჟურნალებში. მწერალმა კატეგორიულად განაცხადა, რომ მხოლოდ იმ ორგანოში მიიღებდა მონაწილეობას, რომელიც თავისი ხასიათით აპოლიტიკური იქნებოდა და მხოლოდ კულტურულ საკითხებს გააშუქებდა. მწერლის აზრით როგორ უნდა გამოხატულიყო მისი რაიმე სახით გამოსვლა მთავრობის წინააღმდეგ, როცა ევროპაში საქართველოს ამბებისათვის არავის არ ეცალა და არც რუსეთს აინტერესებდა საქართველოში მიმდინარე მოვლენები. ევროპის დიდ ქვეყნებს რევოლუციების და უმუშევრობის ტალღა წალეკვით ემუქრებოდა. ასეთ დროს ყველა საკუთარი ქვეყნის ბედზე ფიქრობდა და ნაკლებად ადარდებდათ შორეული ქვეყნის ჭირ-ვარამი. აქედან გამომდინარე კ. გამსახურდია ძიიჩნევს, რომ ის უსამართლოდ იყო დასჯილი და ერთი უკეთური კაცის დასმენას არ უნდა შეეწიროს მისი პიროვნული პრესტიჟი და ღირსება. მწერალი ამგვარად ეხმიანება თავის იდეურ მტრებს: „შეძლებისამებრ დავბრუნდები საქართველოში და მართლაც თუ რამე ფაქტიური საბუთები ექნება მთავრობას იმის დასამტკიცებლად, რომ მე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ევროპაში აგიტაციას ვეწეოდი ან სხვა საქმე, მე სრულიად დამშვიდებული შეურიგდები უარესს სასჯელს“[25].

კ. გამსახურდია პარიზიდან 1923 წლის 13 დეკემბერს დაბრუნდა. ოფიციოზის მხრიდან ყველაზე მეტად მისი ჩამოსვლა ს. ორჯონიკიძეს გაუხარდა, ვინაიდან ის იყო თავმდები მწერლის ევროპაში გამგზავრებისა. პარტიული ფუნქციონერი ასე შეეგება მას:

— „კონსტანტინე, რა მიხარია, რომ შენ მართლაც ვაჟკაცი ყოფილხარო.

— სერგო ბატონო, უპარტიო კი ვარ, მაგრამ უნამუსო არასოდეს ვყოფილვარო“[26]. უპასუხნია მწერალს ამ რენეგატისათვის.

მწერალი მშვენივრად ხედავდა რა გაუსაძლისი ვითარება სუფევდა საქართველოში, მაგრამ უცხოეთში ფუფუნებით ცხოვრებას ისევ მშობლიური მიწა-წყლის ტალახი ერჩივნა. ამასთან ერთად მას გააჩნდა დიპლომატიის, ლავირების უნარი, რაც აუცილებელი იყო დიქტატორულ ხელისუფლებასთან ურთიერთობისას. თუმცა მწერალს არც პირდაპირობა და არც სიფიცხე აკლდა. ს. ორჯონიკიძემ მწერალს უთხრა, რომ შენი პარიზული ამბები ლევან ღოღობერიძემ მიამბოო, ეტყობა მასაც ჰქონია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შენ თითქოსდა ჩვენს წინააღმდეგ გამოდიოდიო პარიზში. მწერალი თავის მართლების და უდანაშაულობის პრეზუმციის იმედით კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ლ. ღოღობერიძეს ესტუმრა სამსახურში. პარტიულმა ფუნქციონერმა როგორც კი დაინახა კ. გამსახურდია ჯიქურ მიახალა:

— „როგორ მუშაობდი ჩვენს წინააღმდეგ პარიზში“

მწერალმა იგივე გაუმეორა მას, რაც ს. ორჯონიკიძესთან თქვა. გახელებულმა ფუნქციონერმა მას სიცრუეში და თვალთმაქცობაში დასდო ბრალი. კ. გამსახურდია აღუშფოთებია ამ ბრალდებას და სიტყვიერი სილა გააწნა ჩინოვნიკს:

„მე ასეთი შეურაცხყოფა ჯერ არ მომისმენია. მადლი მიაგეთ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის სავარძელს, რომელზედაც ზიხართ, ეს რომ არა, ამ ჩემი სატევრით შუაში გაგაპობდითო“

ძველ ბოლშევიკს შიშის ქარი ჩაუდგა ფეხებში, ტელეფონისაკენ გააპარა თვალი. მწერალმა დაიჭირა მისი გამჭოლი მზერა და პირში მიახალა ერის გამყიდველს:

— „დარეკე თუ დედალი არ ხარო?!“[27]

ლ. ღოღობერიძეს მწერლის სვანური სატევრისათვის შეუვლია თვალი და ადგილზე გაქვავებულა. თუმცა მოგვიანებით ამ ჯალათმა ჯავრი იყარა არა მარტო კ. გამსახურდიაზე, არამედ მთელს ქართველ თავადაზნაურობაზე, რომელთა პროცენტულ შემცირებას ავადმყოფურად მიელტვოდა. მშობე-

ლი ერის სიყვარულის კარიერისტულ პორტფელზე გამხურდაებელი ფუნქციონერი ასე ემუქრება მეამბოხეებს: „თქვენ იცით ამხანაგებო, რომ საქართველოში 6 პროცენტი თავადაზნაურობისაა. ეს არაჩვეულებრივი პროცენტია, რომელიც არც ერთ ქვეყანაში არ არის. ჩვენ უნდა შევამციროთ საქართველოში თავადაზნაურობის პროცენტი“[28]. ასეთ კაცთან დაპირისპირება იმხნად დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. თუმცა კ. გამსახურდია სულ სხვა ცომისგან იყო მოზელილი და ასეთ ავტორიტეტებთანაც პრინციპულობას იჩენდა.

კ. გამსახურდიას დაზაფრული ცხოვრება და სიკვდილთან გაშინაურების ფაქტორი გულს უზარავდა და ანაღვლებდა მრავალსაგანს. ასე იგონებს იმ ავბედით დღეებს ვ. ნინუა: „განა ჩვენ ქართველ სტუდენტებს იმაზედ უნდა გვეჯავრა, რომ კონსტანტინე გამსახურდია არ დაეხვრიტათ? თუმცა კ. გამსახურდიას ვერაგულად ვერავინ მოკლავდა, თორემ მან არ იცის და მე ამ პატარა ადამიანმა ვიცი რამდენი ცდა იყო და რამდენი გვიმწუხრია“[29]

მოგვიანებით, როცა თავად ღოღობერიძე და მისი მოაზრეები შეიქმნენ კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლნი, მწერალმა არ დაინდო ისინი და ახალი ცხოვრების მგალობლებს განაჩენიც შესაფერისი გამოუტანა: „გადაათვალიერეთ ჩვენი ლიტერატურა 1924 წლიდან 1936 წლამდე: ღოღობერიძეები, ტოროშელიძეები, ქიქოძეები, რაქოუშვილები. ვარდან მგელაძე, აბულაძე – ეს ხალხი გაჰკიოდა „მტერი, მტერიო“. როგორც ახლა ირკვევა მათ თვალის ასახვევად სჭიროდათ ეს და თურმე თავად ჰქონიათ ჩვენი ქვეყნის მტრებთან ქსელი გაბმული“[30].

კ. გამსახურდია საქართველოში ჩამოსვლისთანავე შეუდგა თავისი შელახული ავტორიტეტის აღდგენას და 1923 წლის 22 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილს წერილით მიმართა, რათა მას განათლების სახალხო კომისართან შუამდგომლობა აღეძრა მწერლის რეაბილიტაციის თაობაზე:

— ბ-ნო რექტორო! სახალხო განათლების კომისარიატთან საუბარში მან განმიცადა, რომ ჩემს შესახებ გავრცელებული ხმები უსაფუძვლო აღმოჩნდა. აგრეთვე მე მოველაპარაკე საქ. კომპარტიის ცენტ. კომისიის მდივანს (ფ. მახარაძე ხ.ჩ.) და მან განაცხადა, რომ ოფიციალურად ცეკას არავითარი ბრალდება არ ჰქონია ჩემს წინააღმდეგ. მას გაუკვირდა, რომ მე უნივერსიტეტიდან გამორიცხული ვყოფილვარ. რაკი ჩემი რეაბილიტაცია უკვე მოხდა, გთხოვთ მიშუამდგომლოთ განათლების სახალხო კომისრის წინაშე, რომ აღმადგინონ ჩემს თანამდებობაზე სახელმწიფო უნივერსიტეტში“[31]. იქვე მწერალი უნივერსიტეტის რექტორს თხოვს უკანასკნელი სამი თვის ჯამაგირიც მისცენ, რამეთუ პარიზიდან წამოსვლისას ვალები დადებია და ეს ფული ვალების გასასტუმრებლად სჭირდებოდა.

— „გაახლებთ რა ყოფილი, უნივერსიტეტთან დატოვებული კ. გამსახურდიას განცხადებას ჩემს სახელობაზე, გთხოვთ გვაცნობოთ შესაძლებლად ცნობთ თუ არა დაკმაყოფილებულ იქმნეს მისი შუამდგომლობა“[32].

ოფიციოზმა გაითავისა და გაიცნობიერა მწერლის უსაზღვრო ავტორიტეტი ხალხში. არც მამხილებელი ფაქტებიც გააჩნდათ საკმარისი მწერლის დისკრედიტაციისათვის. ამიტომაც განათლების კომისარიატს მიეცა უფლება ცეკ-გან მწერლის რეაბილიტაციის თაობაზე. 1924 წლის 3 იანვარის განათლების სახალხო კომისარიატის მიერ მწერლის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შედეგად კ. გამსახურდიამ აღიდგინა თავი პროფესორად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კ. გამსახურდია პარიზიდან 1923 წლის დამდეგს ჩამოვიდა, 1924 წლის აგვისტოს ამბოხებამდე მეტწილად თბილისში იყო. მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ დენთის სუნი ტრიალებდა მწერალი შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. იმავე წელს გამოსცა თავისი მოთხრობების პირველი წიგნი,

„ქვეყანა, რომელსაც ვხედავ“. მწერალმა გაანახლა ჟურნალ „ილიონის“ გამოცემა, ამავე დროს იყო გალაქტიონთან და ლ. ქიაჩელთან ერთად დამაარსებელი და თანარედაქტორია ჟურნალ „ლომისის“ და „ქართული სიტყვის“. ქვემეხთა მოსალოდნელმა სროლამ მისი შემოქმედებითი მუზა ვერ დაადუმა. მართალია, მწერალს არ აქვს სურვილი ამბოხებაში მონაწილეობა მიიღოს, მაგრამ ავჭანყების ხელმძღვანელები ყველანაირად ლამობენ აქტიურად ჩააბან მწერალი ამბოხებაში. სოციალ-დემოკრატების პარიტეტულმა კომიტეტმა რამდენჯერმე გამოუგზავნა მოციქული. საზღვარგარეთ გაპარვას და ბოლშევიკების წინააღმდეგ გენუის კონფერენციაზე გამოსვლას სთავაზობდნენ, რომელიც 1922 წლის მარტში ჩატარდა, სადაც გაგზავნილ იქნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარი ეპირსკოპოსის ამბროსი ხელაიას „მოწოდება“, რომელიც შეიცავს მძიმე ბრალდებას ბოლშევიკების მიმართ. მოწოდება წარმოადგენდა მემორანდუმს, რომელშიც მთელი ქართველი ხალხის სახელით გაიჟღერა მუდარამ ევროპის სახელმწიფოების მიმართ, რათა მათ ხელი გამოეღოთ ქვეყნის გასათავისუფლებლად. მემორანდუმი კორ. კეკელიძის მიერ იყო შედგენილი, ხელს კი ამბროსი ხელაია აწერდა.

საქართველოს სულიერი მწყემსი საზოგადოებრიობას აუწყებდა იმის შესახებ, რომ საქართველო წინა აზიაში ქრისტიანული კულტურის ფორპოსტს წარმოადგენდა საუკუნეების მანძილზე. მისივე მინიშნებით მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს ქვეყანა გარეშე მტრებთან ბრძოლებში ძალამიხდილი და ქანცგაწყვეტილი, ნებაყოფლობით მიეკედლა რუსეთს. თუმცა გაცრუებული იმედების ამარა დარჩენილი საქართველო 117 წლის მანძილზე რუსეთისაგან აუტანელ შევიწროებას და ჩაგვრას განიცდიდა. ამიტომაც ქართველებმა 1917 წელს გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და აღადგინეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ა. ხელაია თავის

მემორანდუმში პირუთვნელად აღწერს თუ როგორი სისასტიკით შემოიჭრა საქართველოში რუსეთის საოკუპაციო არმია და საქართველოს ხელმეორედ დაადგა მონობის უღელი, რამაც შეიძლება ქართველი ხალხის ფიზიკური გადაშენება და სულიერი გახრწნა გამოიწვიოს. ა. ხელაია თავის მემორანდუმში აღნიშნავს: „ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამაპაპურ ეროვნულ კულტურას, უბღალავენ წმინდათა-წმინდას სარწმუნოებრივ გრძნობას. მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია, მისი ეკლესია, ეს ძველის ძველათვე ფაქტორი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა, დღეს უფლებააყრილია. ერთი სიტყვით ერი გმინავს, მაგრამ უფლება არა აქვს ხმის ამოღებისა“[33]. კათალიკოსი კულტურული კაცობრიობის გასაგონად კატეგორიულად მოითხოვს რუსებისაგან შემდეგი პირობების შესრულებას: 1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნას საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი. 2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავის ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნეჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

ამგვარი ნაციონალური სულისკვეთებით შეთხზული მემორანდუმის საჯაროდ გამოქვეყნების გამო საქართველოს კათალიკოსმა ა. ხელაიამ ბოლშევიკების რისხვა და გულისწყრომა გამოიწვია. მათ არ აპატიეს სულიერ მოძღვარს ეგზომ გაკადნიერება, დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს, სადაც მოგვიანებით კ. გამსახურდიასაც მიუჩინეს ბინა.

კონსტანტინე გამსახურდიას გადმობირების მიზნით თავად აჯანყების ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი ქ. ჩოლოყაშვილი დაუკავშირდა, რაც მიუთითებდა იმ დიდ გავლენაზე, რითაც სარგებლობდა მწერალი მეამბოხეებში, რასაც თავადაც

იხსენებს: „კაცი გამომიგზავნა ცნობილმა მეამბოხემ, პოლკოვნიკმა ქაქუჩა ჩოლოყაშვილმა: ოსმალეთის საზღვარი გადავლახოთ და ბოლშევიკებს ვებრძოლოთო“, მწერალმა ასეთი პასუხი გასცა ქ. ჩოლოყაშვილს:

— მე არ შემიძლია ქართველი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა. ეგ რომ მდომოდა, პარიზში ვიბრძოლებდიო“[34]. ამ განცხადებიდან ჩანს, რომ მწერალს გულზე არ ეხატება ბოლშევიკები იმ უკულმართი და ანტიეროვნული პოლიტიკის გამო, რომელსაც ისინი ატარებდნენ ქართულ სინამდვილეში, თუმცა მის ცნობიერებაში დამკვიდრებული მორალური კანონი არ აძლევს მას საშუალებას აჯანყებულებს გვერდში ამოუდგეს;

მწერლის აზრით, „ტრაგედია მხოლოდ იმ ადამიანებს შეეყრება, ვისაც რაიმე მორალური კანონი ბორკავს. მადლი უფალს, რომ მე ემანუელ კანტის შეგონებას არასოდეს ვიყიწყებდი: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და მორალური კანონი ჩემში“[35].

მართალია, კ. გამსახურდია უშუალოდ ამბოხებაში მონაწილეობის მიღებაზე უარს აცხადებდა, მაგრამ შინაგანად თანაუგრძნობდა მათ. ამასთან ერთად „ჩეკასთვის“ შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენილიყო მეამბოხეთა მიერ გამოგზავნილი მოციქულების მიმოსვლა მწერალთან. მოგვიანებით კ. გამსახურდიას ბრალდებად თავის ბინაში ახლო ნათესავის მიხეილ ხოფერიას დამალვა წარუდგინეს, რომელიც „ჩეკამ“ დახვრიტა კიდეც აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით. ყოველივე ეს საკმარისს საფუძველს ქმნიდა იმისათვის, რომ მწერალი დაეპატიმრებინათ.

1924 წლის 28 აგვისტოს გამოსვლა ბოლშევიკური ტირანიის წინააღმდეგ კ. გამსახურდიას საიდუმლოდ ია ეკალაძემ გაანდო. მწერალმა ეს ამბავი ჭორად მიიჩნია და თავისი საქმიანობა განაახლა, თუმცა მალე დარწმუნდა ფაქტის სინამდვილეში. აჯანყებამ სრულიად საქართველო მოიცვა.

განსაკუთრებით ანტიბოლშევიკურმა გამოსვლებმა დასავლეთ საქართველოში მიიღო მასიური ხასიათი. გ. ზალდასტანიშვილი ამის შესახებ წერს: „საქართველოს 1924 წლის ამბოხება მიუთითებს იმის შესახებ, რომ სამეგრელო და სვანეთი რამდენიმე დღე მეამბოხეთა ხელში იყო. მეამბოხეებმა დ. მხეიძის მეთაურობით სენაკი დაიკავეს, „ჩეკა" განაიარაღეს და რუსებს ბრძოლა გაუმართეს ფოთისა და სამტრედიის მიმართულებით"[36].



ვ. ჯუღაშვილი

ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის ზუგდიდის რევკომის თავმჯდომარე ი. ჟვანია თავის მეგრულ ენაზე გამოცემულ წიგნში „როგორ ელოდა სამეგრელოში გლეხობა საბჭოეთის ხელისუფლებას“. ისაკ ჟვანიას აზრით „პარიტეტული კომიტეტის“ წევრები მრავალ ხერხს მიმართავდნენ, რათა წელში გაეტეხათ ბოლშევიკთა წინააღმდეგობა. ისინი საეკლესიო პირებს იყენებდნენ გლეხობაში პროპაგანდა-აგიტაციის გასაწევად. კერძოდ, მათ უნდა გაევრცელებინათ გლეხობაში აზრი იმის შესახებ, რომ მენშევიკური ხელისუფლება გამარჯვების შემთხვევაში ქრისტეს რჯულის აღორძინებას და ეკლესიებში წირვა-ლოცვის განახლებას ჰპირდებოდა გლეხობას. მეამბოხეთა გათვლით გლეხობა აჯანყებულებს გვერდში უნდა დადგომოდა, ვინაიდან მათ კარგად ახსოვდათ სატანისტი ბოლშევიკები ეკლესიიდან გამოტანილ ხატებს ნაჯახით რომ ჩეხდნენ შუაში. „პარიტეტული კომიტეტის წევრები“ გამარჯვების მოსაპოვებლად ფსიქოლოგიურ ზეწოლას მიმართავდნენ. ისინი რადიოთი უპატაკებდნენ ნოე ჟორდანიას იმის თაობაზე, რომ ინგლისისა და საფრანგეთის გემებმა ბათუმის პორტთან დესანტი გადმოსხეს აჯანყებულთა მხარდასაჭერად. ანაც ქალებს გამოუშვებდნენ თეთრი ბაირაღებით და დააბარებდნენ; იარაღი ჩააბარეთ ბოლშევიკებმა და სასამართლოს გარეშე არავის არ დაგსჯით. ი. ჟვანიას წიგნი რა თქმა უნდა ტენდენციურობით და არაობიექტურობით გამოირჩევა, თუმცა მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს 1924 წლის აგვისტოში სამეგრელოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ბანდიტიზმის წინააღმდეგ მოწინავე წერილები იბეჭდება გაზ. „კომუნისტში“, სადაც მოუწოდებდნენ მოსახლეობას, რომ „ცეცხლითა და რკინით“ ამოეწვათ მეამბოხეები. თან დასძენდნენ, რომ 20-25 წლის ახალგაზრდებს, ვისაც ოდნავ მაინც ჰქონდა შეხების წერტილი აჯანყებულებთან, დაუნდობლად გაუსწორდებოდნენ.

ასეთივე ხელწერით აჯანყება ქვეყნის სხვა რეგიონებში ვრცელდებოდა, თუმცა ამბოხება იმთავითვე განწირული იყო ერთიანი სამოქმედო ცენტრის უქონლობისა და ძალთა არათანასწორობის გამო. ამბოხებამ მძიმე შედეგი გამოიღო მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ქ. ჩოლოყაშვილის რაზმი დათარეშობდა. ამ მხრივ მაინტერესო ცნობებს გვაწვდის თავის მემუარებში ანჩისხატის მღვდელი ნიკიტა თალაკვაძე: „ამჟამად დიდი არეულობა სუფევს დუშეთის მაზრაში და ფშავ-ხევსურეთში ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამოსვლებისადმი. კომუნისტურმა მთავრობამ მეტად დიდი ზარალი მიაყენა განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთს. 12 სოფელი აიკლეს, მათ შორის 3 მიწასთან გაასწორეს, სახლები გადაწვეს, ნავთს ასხამდნენ შენობებს, დაგროვებულ სანოვაგეს, სწვავდნენ ყველაფერს. ენით უთქმელია და კალმით აუწერელი ის ტანჯვა-წამება, რაც ფშავ-ხევსურებს დაადგათ ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამოსვლების გამო. ხალხში ისეთი რწმენა იყო გამეფებული, რომ ქაქუცას უნდა გამოხმაურებოდა მთელი საქართველო და ქვეყანა განთავისუფლებულიყო ბოლშევიკთა ბატონობისაგან. ქაქუცა გარშემორტყმული იყო დუშეთზე. ამ დროს მენშევიკებმა უღალატეს, წინადადება მისცეს უკან დაეხია, ხელი აეღო გამოსვლაზე“[37]. ასეთი ქაოსი და უთანხმოება სუფევდა თავად მეამბოხეებში, რაც იყო უმთავრესი მიზეზი მათი მარცხისა. მმართებულად მიუთითებს თავის წიგნში ნ. კირთაძე: „მაშინაც საქართველოს, თავისუფლებისათვის საბრძოლო ჟინით გზნებამორეულს და უკვე ბრძოლის ზღურბლზეც ფეხშედგმულს, ყველაზე დიდი, საბედისწერო სენი სჭირდა, სენი შინაგანი დაქსაქსულობისა, შინაგანი დაპირისპირებისა ან ახალ თანამედროვე კატეგორიებით – შინაპარტიულობისა“ თუ „შინაკლანურობისა“[38].

დაიწყო მასიური დაპატიმრებები. კ. გამსახურდია იმ წლებში ჯაფარიძის ქუჩაზე ცხოვრობდა, მეორე სართულზე სამოთახიან ბინაში. ერთხელაც გვიან ღამე მივიდა სახლში.

ნაშუაღამევს მეეზოვე გევორქამ ძაღლების (ჩეკას ხალხის) მოსვლა აუწყა მწერალს. მწერალი მიხვდა თუ ვის გულისხმობდა მეეზოვე. საჩქაროდ ჩაიცვა პიჯაკი, შიგ რევოლვერი ჩაიდო და ეზოში გავიდა. დაუპატიჟებელი სტუმრები დერეფანში მწერლის მეზობელს ექიმ სამუელ შახპარონიანს და მის სტუმარს, სომხეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარს წააწყდნენ. მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— გამსახურდია ხომ არ გინახავთო? შახპარონიანმა ასე მიუგო მათ:

— გამსახურდია დედაკაცების მოყვარული კაცია. ღამით გვიან მოდის, ბარე სამი დღეა, თვალითაც არ გვინახავსო"[39].

მწერალი ერთხანს ახლობლის ოჯახში იმალებოდა. მერე შეეშინდა, ან ის ოჯახი არ აეწიოკებინათ რომელმაც შეიფარა, ან დედა არ შეეწუხებინათ. გადაწყვიტა წერილი მიეწერა იმჟამინდელი „ჩეკას" უფროსის თანაშემწისათვის. კ. გამსახურდია ატყობინებს წერილობით ლ. ბერიას: „თქვენი თანამშრომლები ღამე თავს დამსხმიან მე როცა შინ არ ვყოფილვარ, დასამალი მე რა მაქვს, თქვენი აგენტები გამოგზავნეთ და დამიჭირეთ"[40]. ნაშუაღამევს დაბარებულივით მწერალს სახლში მოადგნენ და ამიერკავკასიის „ჩეკაში" წაიყვანეს. იქ ადგილი არ აღმოჩნდა. საქართველოს „ჩეკაშიც" არ აღმოჩნდა მწერლისათვის ადგილი. ბოლოს მეტეხში მიუჩინეს დროებითი თავშესაფარი.

მეტეხის ციხეში გამწესებულ მწერალს საკანში დახვდნენ ლეო ქიაჩელი, შ. დადიანი, საქართველოს კათალიკოსი ამბროსი ხელაია, ქრისტეფორე რაჭველიშვილი. გენ. წულუკიძე, ძმები დადიანები, ილიკო მახარაძე, მიხ. საყვარელიძე და სხვები. პატიმრებს მთელი ღამეები არ ეძინათ დახვრეტის მოლოდინში. დაკითხვაზე გამოძახებისას არც ჰქონდათ იმედი უკან ცოცხალნი რომ დაბრუნდებოდნენ. ახალმოყვანილ პატიმრებს ამბავი მოჰქონდათ თბილისსა და მთელს საქართველოში დამდგარი სისხლის წვიმების გამო. არც ერთი მათგა-

ნი არ ნატრობდა გადარჩენას. მორიგი დაკითხვის შემდეგ დახვრიტეს მწერლის ახლო მეგობარი ი. მახარაძე. მწერალი ძალზედ დაამწუხრა მისმა მუხანათურმა მკვლელობამ. ისინი ხომ მხარდამხარ იბრძოდნენ თურქი ასკერების წინააღმდეგ გამართულ ომში. ი. მახარაძე ასე მიმართავდა თავის სულიერ ძმას: „შენთან ერთად თუნდაც ჯოჯოხეთში წამოვალ საქართველოსათვის საომრად, კონსტანტინე!“[41] მწერალმა გვიან გაიგო ილიკოს დახვრეტის ამბავი, რამაც მასზე შემაძრწუნებელი გავლენა მოახდინა. თურმე სიკვდილის წინ ი. მახარაძეს ორივე ხელი აუწევია და წამოუძახია: „საქართველოს გაუმარჯოსო“. მეორე დღეს „ჩეკას“ კომენდანტმა ვინმე შულმანმა ბაგრატიონთა გვარის ჩამომავალ ახალგაზრდა ოფიცერს საყელოში სწვდა აგდების ნიშნად და დასახვრეტად წაყვანა დაუპირა. უცნობმა იუკადრისა ასეთი მოპყრობა და დაჟანგული ლურსმანი მარცხენა თვალში გაურჭო ჩეკისტს. იქნებ ეს ჟესტი ბაგრატიონთა ბრწყინვალე დინასტიის უკანასკნელი რაინდული გაბრძოლება იყო.

კ. გამსახურდია ციხეში ყოფნის ჟამს სულიერ მხნეობას არ კარგავდა და სხვებსაც აგულიანებდა. პატიმრებთან ნარდს თამაშობდა, მღეროდა, ჰუმორისტული კედლის გაზეთი შეადგინა და მეგობრებს გულიანად აცინებდა. ერთ საღამოს გენ. წულუკიძე ასე გაეხუმრა თანასაკნელებს:

არ გამამხილოთ და მე რომ ბოლშევიკების ადგილზე ვიყვე, თქვენ ყველას დაგხვრეტდით.

მიხეილ საყვარელიძემ პასუხი არ დააყოვნა.

ჩვენ არა და დასახვრეტი ნამდვილად თქვენ ხართ, გიორგი ბატონო!

- რატომ — იკითხა გენერალმა.

რატომ და იმიტომაც, რომ თქვენ ამისათვის ყოველივე სათანადო ატრიბუტი მოგეპოვებათ; გენერალი ხართ, თავადი და მოხუცი“[42]. გენერალმა წულუკიძემ ამ ცრემლნარევი ხუმრობით ფაქტიურად პატიმრები 1924 წლის აჯანყების თანა-

მონაწილეებად და თანამოაზრეებად შერაცხა, რითაც ისინი სამართლიანად იმსახურებდნენ შეუბრალებელი ბოლშევიკებისაგან სასჯელის უმაღლეს ზომას.

კ. გამსახურდია მეტეხის ციხეში ხუთი თვე იჯდა. ის რამდენჯერმე იქნა დაკითხვაზე გამოძახებელი. მას ბრალდებოდა ამბოხების მომზადებაში მონაწილეობა. მისი გამომძიებელი თავად ლავრენტი ბერია იყო, რომელიც სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული აჯანყება არ შემდგარიყო და უშედეგო სისხლისღვრა თავიდან აეცილებინათ. სწორედ ამ მიზნით შეიპყრეს „დამკომის წევრი" ვალიკო ჯუღელი, რომელსაც თავისი დიდი ავტორიტეტით უნდა დაერწმუნებინა თანამებრძოლნი ამბოხების უპერსპექტივობაში.

ვ. ჯუღელი კ. გამსახურდიას მეგობარი იყო. ისინი ერთად თანამშრომლობდნენ გაზ. „კოლხიდაში". მიუხედავად ახლო უთიერთობისა და მეგობრობისა მწერალმა სრულად არ გაიზიარა თავისი თანამოკალმის პოლიტიკური ცხოვრების გზა... მისი ასეთი ფრთხილი დამოკიდებულება ამბოხებასთან იმითაცაა განპირობებული, რომ მწერალი ინტუიციით გრძნობს, თუ რანაირი შინაგამცემლობის ქსელში არიან გახვეულნი აჯაყებულები. „ჩეკას" მრავლად ჰყავდა თავისი აგენტები მეამბოხეთა რიგებში. ისინი თავიანთი ჯაშუშური საქმიანობით სათანადო ინფორმაციას აწვდიდნენ ხელისუფლებას აჯანყების მასშტაბურობისა და მიმდინარეობის თაობაზე. ძალისმიერი და იდეოლოგიური ზემოქმედების შედეგად ცდილობდნენ მოწინააღმდეგეთა საკუთარ პოზიციებზე გადმობირებას. ასე დაარწმუნეს მათ ჯუღელი იჯანყების უპერსპექტივობაში. თავის მხრივ ვ. ჯუღელი „ჩეკას" სარდაფიდან ცდილობს შეეხმიანოს თავის თანამებრძოლებს და ხელი ააღებინოს უიმედო განზრახვაზე: „ძალიან ბევრი გამცემია, სადაც მე გამყიდეს, იქ ყველას გაყიდიან. ეს დიდი საკითხი გადაჭრით უნდა მოიხსნას და ამით აშორებულ იქნეს უცილობელი ეროვნული კატასტროფა"[43]. ვ. ჯუღელის ვარაუდით აჯანყე-

ბის საკითხის მოხსნა ქვეყანას დამოუკიდებლობის ილუზიისაგან გაათავისუფლებს და მისცემს მას საშუალებას ეროვნულ-კულტურული აღორძინების გზით განვითარდეს.

უმიზნო სისხლისღვრის შეჩერების საბაბით ლ. ბერიამ „დამკომის“ თავმჯდომარესა და მის თანამზრახველებს, რომლებიც ამბოხების დამარცხების შემდეგ „ჩეკას“ ჯურღმულებში აღმოჩნდნენ, დეკლარაციის შედგენა მოსთხოვა: „თქვენ დამარცხდით, მაგრამ ნაწილობრივ შიგა და შიგ შებრძოლებები გრძელდება. ამ შეიარაღებული ჯგუფების შეჩერება შეგიძლიათ თქვენ კომიტეტს. გააკეთეთ განცხადება და მიეცით ბრძანება დაფანტულ რაზმებს ჩაგვაბარონ იარაღი და მათ კი ჩვენ ხელს არ ვახლებთ და მასიურ დახვრეტასაც შევაჩერებთ“[44].

მიუხედავად „დამკომის“ მიერ შედგენილი დეკლარაციისა და მათ მიერ ავჯანყების ავანტიურად მონათვლისა მეამბოხეები მასიურად იქნენ დახვრეტილნი, რაშიაც გარკვეული როლი ლ. ბერიამაც ითამაშა. ავჯანყების დამარცხებიდან ერთი თვის თავზე ოპერის თეატრში თავყრილობაზე გამოსულმა ს. ორჯონიკიძემ სცენის კულისებიდან კარგად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი გამოიძახა და ასე წარუდგინა საზოგადოებას: „ეს არის საქართველოს უშიშროების საგანგებო კომისიის ოპერატიული ნაწილის უფროსი ლ. ბერია, რომელმაც მიაგნო ავჯანყების შტაბის ბუნაგს შიო-მღვიმის მონასტერში, შეიპყრო ამ შტაბის ყველა წევრი და მენშევიკურ-კონტრევოლუციურ-ავანტიურისტულ უდღეურ ავჯანყებას მოჰკვეთა მურტალო თავი“[45]. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლ. ბერია კრემლის დავალებას ასრულებდა, რაზედაც სტალინის მიერ გამოგზავნილი შეტყობინება მოწმობს, სადაც პროლეტარიატის ბელადმა ორიოდე სიტყვით შეაფასა ავჯანყების შიდა პროცესები და ხასიათი: «допустит и проучит».

კ. გამსახურდიამ მოვლენებს გაუსწრო და თავისი უდანაშაულობის აღიარების ნიშნად წერილი მისწერა ლ. ბერიას,

სადაც კატეგორიულად მოითხოვს მისდამი წაყენებულ ბრალდებაში ცხადად გარკვევას და სამართლიანი განაჩენის გამოტანას: „ამდენი ხანია ციხეში გყავართ, არც კი ვიცი რას მაბრალებთ? თუ რაიმე წილი მიდევს იმ უბედურ აჯანყებაში დამხვრიტეთ, თუ არადა გამათავისუფლეთ“[46] ბოლშევიკები იძულებულნი შეიქმნენ საფუძვლიანი სამხილის უქონლობის გამო მწერალი მეტეხის ციხიდან გაეთავისუფლებინათ.

კ. გამსახურდია გადაურჩა ბოლშევიკთა მიერ მოწყობილ სისხლიან ვაკხანალიას, მაგრამ მისი სულიერი სამშვინველი სამუდამოდ დაასახიჩრეს. ავისმოსურნეებს დიახაც რომ არ გაუხარდათ მისი ციხიდან გათავისუფლება, რასაც მწერალი აღნიშნავს: „ჩემი მტრები დღემდის გაოცებულნი არიან. ამ კაცს არც ტყვია ეკარება, არც ჯირითის დროს ცხენის წაქცევია, არც დუელების დროს მოქნეული რაპირები ვნებს. ათას ცხრაას ოცდაოთხ წელს გადაურჩა, ოცდაჩვიდმეტში არ დახვრიტეს, ჭეშმარიტად ეშმაკთან წილნაყარიაო, ამბობენ თურმე ისინი“[47].

ზოგიერთი უნიათო ლიტერატორი მიესალმებოდა კ. გამსახურდიას მეტეხის ციხეში განთავსებას. მათი აზრით მწერალი შავი ჩოხის ტარებისა და უპასუხისმგებლო ლაყბობისათვის იმსახურებდა კიდეც ამ სასჯელს. იმასაც დასძენდნენ, რომ დასჯილი მწერალი უფრო თვინიერი ხდებოდა, ამჟღავნებდა რა წარუშლელ „მეგრულ ზრდილობას“ და ყველასთან კონტაქტურობას. თუმცა ამ ცოდვისშვილებს სულაც არ აღელვებდათ ის გარემოება, რომ მწერალი მეტეხისა და სოლოვკის მძიმე ხვედრს ეროვნული იდეალების მოტივაციით რომ ეზიარებოდა. მწერალს გულს უკლავს ის ფაქტი, რომ უმართებულოდ დახვრიტეს აჯანყების ორგანიზატორები გიორგი ქავთარაძე, პოლკოვნიკები გიორგი იშხნელი და ვასო ჯავიშვილი, გოგი მესხი, კარგარეთელი. მხოლოდ გენ. მაზნიაშვილს ხვდა წილად ბუნებრივი სიკვდილი. ხალხის მტრების მსხვერპლი შეიქმნა მწერლის სიყრმის მეგობარი ქრისტეფო-

რე რაჭველიშვილი, რომელსაც გამსახურდია ერის სინდისის გამოვლინებად მიიჩნევს. მწერალი ასეთ შეფასებას აძლევს ხალხის თავისუფლების იდეალებისათვის წამებულ რაინდებს: „ასეთი ბედი ეწია ქართველი ხალხისათვის თავდადებულ ვაჟკაცებს ჩვენს თვალწინ. ამგვარ რაინდებს სხვა ერი უკვდავ გვარდიელებად შერაცხავდა უთუოდ“[48]. როგორც გამსახურდიას შეუტყვია მოგვიანებით, თავადაც დასახვრეტთა სიაში ყოფილა, მაგრამ ვიდრე მისი ჯერი დადგებოდა დახვრეტის შეწყვეტის განკარგულებამ მოუსწრო.

მწერლის მითითებით ეს ყოველივე წარსულს ეკუთვნის და გასახსენებლად შედარებით იოლია, მაგრამ მაშინ მისი განცდა მეტად რთული იყო. ადამიანი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე თუ საშინელებას და გაჭირვებას ხშირად განიცდის თანდათან ეჩვევა მას. მწერლის აზრით სიკვდილიც არ არის იმდენად საზარი, რამდენადაც მისი წარმოდგენა.

საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ ფიზიკური ანგარიშსწორებით არ კმაყოფილდებოდა და ცდილობდა თავისი უპირატესობა იდეოლოგიურ ფრონტზეც მოეპოვებინა. ამ მიზნით ოფიციოზი მწერლობაში პროლეტარული და გლეხური მწერლების ჰეგემონიის დამკვიდრებას ლამობდა, ეროვნულ-ნაციონალური შტრიხების მწერლობიდან განდევნასა და მოკვეცას მიელტვოდა. ანტიეროვნული პროპაგანდის აუცილებლობა განსაკუთრებით საჭირო გახდა 1924 წლის ამბოხების ჩახშობის შემდეგ. ს. ორჯონიკიძე დაჟინებით მოითხოვდა ბურჟუაზიული იდეოლოგიის განადგურებას და კომუნისტური იდეალების დამკვიდრებას. „პარტიამ — აღნიშნავს ორჯონიკიძე — უნდა გაცხრილოს ანტირევოლუციურის /ახლა ძალიან მცირერიცხოვანი/ ელემენტები, უნდა ებრძოლოს „სმენა ველოველების მაგვარ „თანამგზავრებს“ შორის ახალი ბურჟუაზიის იდეოლოგიას და მოთმენით უნდა შეეცადოს ამ აურაც-

ხელი ფორმების აღმოფხვრას კომუნიზმის კულტურულ ძალებთან მჭიდრო ამხანაგური თანამშრომლობის პროცესში“[49].

ს. ორჯონიკიძე უშუალოდ არ შეეხო მწერლების შემოქმედებით დამოკიდებულებას 1924 წლის აჯანყებასთან, თუმცა გალაქტიონს მაინც გადასწვდა „მოგონებების“ გამო, სადაც შენიღბულ ფორმებში ასახულია აჯანყების კოშმარი: „ჟურნალ „მნათობში“ ამას წინათ დაბეჭდილი იყო გ. ტაბიძის პოემა, სადაც ავტორი მხატვრული ფორმის სახით გვაწვდის მეტად ვულგარულ, რეაქციონურ სახეებს. ეს ლექსი აშკარად მიმართული იყო ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ. ასეთი გზა არაფრით არ ვარგა. მწერლობა ამას უნდა ერიდოს“[50].

ს. ორჯონიკიძის ამ გამოსვლას მოჰყვა ჟურნალის მთელი ტირაჟის განადგურება და გ. ტაბიძის დაპატიმრებაც. გადარჩა მხოლოდ ერთი ეგზემპლარი, რომელიც 1970 წელს დაიბეჭდა პოეტის რვატომეულში, როგორც სრულიად უცნობი ნაწარმოები.

მოქმედება თითქოსდა უცხოეთში ხდება, თუმცა დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ სიუჟეტი ვითარდება თბილისში რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების ფონზე:

„მთელი სამი დღე გაგრძელდა სროლა
სისხლიც ათავდა.
ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა
მწარედ გათავდა
დაჭრილი, მკვდარი, მრავალი მსხვერპლი
მსხვერპლს ეფარება
სახლების ნაცვლად ნაცარი, ფერფლი,
მგლოვიარება.
გამარჯვებულნი სასტიკი ხელით
აღრჩობენ ტყვეებს
ჰკაფავენ, ხვრეტენ, ხალხის სახელით

უსპობენ დღეებს
...რბის ორი ძაღლი, მათ ისტორია ვერ დააფეთებს,
პირიდან გლეჯენ ერთი მეორეს
ხორცის ნაფლეთებს"[51].


1924 წლის საქართველოს მძიმე პოლიტიკური ხვედრი გ. ტაბიძის უბის წიგნაკში შემორჩენილი ჩანაწერითაცაა გადმოცემული:

„ეს ვალიას, ეს იოსებს
ეს ტარიელს, ეს კი მოსეს,
ჯერ ვითვლებით ქართველებად
თუ არა გაგვაესკიმოსეს"[52].

1924 წლის აჯანყების შემზარავმა შედეგმა წარუშლელი დაღი დაამჩნია ტ.გრანელის სულიერ სამშვინველს. პოეტის სატკივარმა მთელი სიმძაფრით იჩინა თავი იმ დღეებში, როცა საქართველო ერთ დიდ სასაფლაოს დაემსგავსა:

„ახლა ეს ფიქრი სხვა სამარეა
მოვიდა ქარი, ხე შეარხია
და საქართველო ეს ის მხარეა
სადაც ცოცხალი ხალხი მარხია.

ციხეში ვზივარ, გარეთ მთვარეა,
შორს გაუსხლავი, ლურჯია ბაღი
და საქართველო ეს ის მხარეა,
სადაც ცოცხალი მარხია ხალხი."



კ. გამსახურდია ციხიდან გათავისუფლების შემდეგ დიდხანს „ჩეკას“ მეთვალყურეობის ქვეშ რჩებოდა. როგორც აღინიშნა მას გერმანიასთან ჯაშუშობაში დებდნენ ბრალს. ამიტომაც მწერალმა თავის შეყვარებულს ადელა ლენცს, რომელიც წლების მანძილზე სიყვარულით სავსე წერილებს უგზავნიდა მას, 1924 წლის ამბოხების შემდეგ უსაფრთხოების მიზნით სთხოვა რომ ამიერიდან მისთვის წერილები არ მოეწერა. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი განიცდის ხელმოკლეობას და დევნას, ის მაინც განაგრძობს აქტიურ ქმედებას. მწერალი იძულებულია არსებობის შენარჩუნების მიზნით მთარგმნელობით საქმიანობაზე გადაერთოს, რათა დროებით მაინც განშორებოდა „ჩეკ-ას“ გამჭოლავ მზერასა და მეთვალყურეობას. ამ მიზნით ის გრ. ვაშაკიძის დახმარებით დაუკავშირდა გამოჩენილ უკრაინელ პოეტს პ. ტიჩინას. როცა გრ. ვაშაკიძემ პ. ტიჩინას დახმარება სთხოვა „დიონისოს ღიმი-

ლის“ უკრაინულ ენაზე თარგმნის თაობაზე, ამ უკანასკნელმა ლიტერატურული ენციკლოპედია მოძებნა, რათა მწერლის პოლიტიკური ორიენტაცია სრულიად შეეცნო. რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როცა ამ ენციკლოპედიას გაეცნო. თუ რაიმე უარყოფითი და ნაციონალური შეიძლება ჰქონოდა მწერალს, ყველაფერი მასზე იყო მოწერილი. ე. ი. უშიშროება ფხიზლად იყო, არ ენდობოდა და ჯერაც შავ სიაში ჰყავდა შეყვანილი.

1924 წლის აჯანყებამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მწერლის ცნობიერებაზე. როგორც თავად აღნიშნავს სწორედ მაშინ როცა სისხლიანი კალო დატრიალდა საქართველოში მას განსაკუთრებულად ძლიერად მოაწვა შეიძოქმედების დარდი. ის ცხრა თვის განმავლობაში ებრძოდა ქართულ სიტყვას და ქართველ პატრიოტთა მწუხრის სურათი თაკის გულის ვარამთან ერთად ქაღალდზე გადმოანთხია. ასე შეიქმნა „დაკარგული თაობის ნაციონალური პესიმიზმით გაჟღენთილი წიგნი „დიონისოს ღიმილი“[53].

რომანის მთავარი პერსონაჟი თავად საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზმია თავისი დამსხვრეული ეროვნული იდეალებითა და ტკივილებით, რასაც კ. გამსახურდიაც ადასტურებს: „ამ რომანის გმირი არის ჩვენი უსაყვარლესი, უძვირფასესი და უდიდესი მეფე შემკრები და დამფუძნებელი იმ დიდი ზნეობრივი, ეთნიური და სახელმწიფოებრივი კატეგორიისა, რომელსაც ჰქვია საქართველო“[54].

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ რომანის აწყობა 1925 წლის 26 მაისს დამთავრდა, დღის სინათლე კი რომანმა აგვისტოში იხილა, ე. ი. ამბოხებიდან ერთი წლის თავზე. ამის გამო ავისმჩხრეკელნი უკიჟინებდნენ, შენ აქაოდა საგანგებოდ დაამთხვიე რომანის აწყობის და გამოშვების თარიღი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ათას ცხრაას ოცდაოთხი წლის ამბოხების ერთი წლისთავსო. მწერალს ასეთი ბრალდებით ხშირად ესხმოდნენ თავს. თუ გა-

ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მან „დიონისოს ღიმილის" დაწერა უკვე მესამეჯერ მეტეხის ციხეში გადაწყვიტა, მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ აქ უბრალო დამთხვევასთან მართლა არ გვაგქვს საქმე. თავად მწერალიც აღიარებს, რომ რომანისტიკა, როგორც მწერლობის ჟანრი თავისუფალი აზრის გაქანების ბრწყინვალე საშუალებას იძლევა. მწერალი წერს: „მე 1925 წელს ვბეჭდავდი „დიონისოს ღიმილს". ბეჭდვა დაიწყო 1924 წელს და დასრულდა 1925 წლის 26 მაისს. მოვიდა ჩემთან ერთი მეგობარი მეტრაპაჟე და მეუბნება: ეს შენ განზრახ გაათავე დღეს, იმიტომ რომ 26 მაისი არისო. მე მოგახსენებთ: ფილოსოფიას აქვს თავისი შეუვალობა. როდესაც ნაწარმოები სილოგიზმებით შეკრულია, იქ ვერავინ შევა გარდა ულოგიკოსი. მაგრამ საერთოდ რომანისტიკას აქვე ერთი ხვრელი. რა თქმა უნდა, მე არ მინდა იმის თქმა, რომ მრჩებოდა ხვრელები და მტრები შემოძვრებოდნენ"[55].

ეჭვსგარეშეა, რომ კ. გამსახურდიამ საგანგებოდ დაამთხვია ეს თარიღები ერთმანეთს, განცდილი და ნანახი სიუჟეტურ ჩარჩოებში მოაქცია და თავისი შეურიგებელი დამოკიდებულება სახეშეცვლილი რუსული იმპერიალიზმის მიმართ ალეგორიულად ამ რომანის მეშვეობით გამოხატა. მწერალი ერთგან თავად მიუთითებს რომანის ეროვნულ-ნაციონალურ ხასიათზე: „როცა მე პირველ ჩემს რომანს „დიონისოს ღიმილსა" ვწერდი, მე უპირველეს ყოვლისა მიზნად მქონდა დასახული ისეთი ნაციონალური რომანის შექმნა, რომელიც ამ ჟანრის თავკიდური იქნებოდა"[56].

ამ რომანით მწერალმა თითქოსდა აისრულა დიდი ხნის ოცნება, აწი სიკვდილიც არ ენაღვლება, ვინაიდან ეროვნული ტკივილები გულის სისხლად გადმოანთხია. თუმცა მწერლის დევნა და შევიწროება „დიონისოს ღიმილის" გამოცემის დღიდან არათუ შენელდა, არამედ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. კ. გამსახურდიას აზრით მწერლის ჯვრის შეუბილწავად ტარება, როცა პოლიტიკური წნეხის ქვეშ ხარ მოქცეუ-

ლი, ერთოდ მძიმე და რთულია. ოფიციოზს იმდენად აღიზიანებდა მწერლის ანტიკომუნისტური განწყობილება, რომ „მგლის ბილეთს“ აძლევენ, რომლის საფუძველზეც მას არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში არ ამწესებენ. მის რომანს „დიონისოს ღიმილს“ არც ერთ გამავრცელებელ ექსპედიციაში არ ღებულობენ. დაუბურეს ჟურნალი „ილიონი“ და გაზ. „საქართველოს სამრეკლო“ კ. გამსახურდია დეპრესიაში ვარდება, რასაც ის არ მალავს რებეკა ვაშაძისადმი გაგზავნილ წერილში: „მე დიდი სატანჯველი გამიჩინა ბედმა და ღმერთმა. მთელი ჩემი იდეალები დაინგრა. კერძო ცხოვრება და სიხარული მე აღარ შემრჩა. სრულიად უვარგისი გავხდი ამ ცხოვრებისათვის. ოთხი წელია განუწყვეტელი დევნის ქვეშ ვიმყოფები. უნივერსიტეტში აღარ მიშვებენ, საზღვარგარეთ წასვლის ნებას არ მაძლევენ, არც ჟურნალისა და გაზეთის გამოცემის ნებას მაძლევენ. პირზე ბოქლომი მაძევს, ხელ-ფეხი შეკრული მაქვს. მარტო ვარ მილეთის მტრების წინააღმდეგ... ათასწილად მირჩევნია ციხეში ვყავდეთ. მინდა გადავვარდე სადმე მოუსავლეთში, მაგარამ ვაი, რომ დავიღალე ამდენი ყიალით და გული აღარ მერჩის“[57] მწერლის ამ ტირადიდანაც ჩანს, რომ მას არ პატიობდნენ 1924 წლის აჯანყებულებთან სულიერ თანაზიარობას და ქმნიდნენ საფუძვლიან წინაპირობას მისი მორალური და სულიერი განადგურებისათვის.

იმ ავბედით წელს კ. გამსახურდიამ და მისმა ექვსმა მეგობარმა შავი ჩოხები შეიკერეს და ამბოხების სისხლში ჩახშობის პროტესტის ნიშნად თბილისის ქუჩებში გამომწვევად დადიოდნენ. ხალხმაც მათი მოქმედება გლოვის გამოხატულებად მიიღო და მრავალმა მიბაძა კიდეც მათ ქმედებას. მტრებმა კი ჩოჩქოლი ატეხეს: კ. გამსახურდიამ მორიგი გამოხტომა გააკეთა. შავი ჩოხა ჩაიცვეს შვიდთათა და საქართველოს იგლოვენო. მწერლის მითითებით მავანნი ცდილობდნენ არსებული სინამდვილე უფრო დაემძიმებინათ და შავჩოხიანთა საქ-

ციელი საქართველოს განსხეულებისა და მის შვიდ სამთავროდ დაშლის სიმბოლურ გააზრებად წარმოესახათ. მწერლის აღიარებით მათ „იგიც არ იცოდნენ, რომ ჩვენ შვიდად გაყოფილი საქართველოს მონატრული არასოდეს ვყოფილვართ“[58].

ხელისუფლებას შინაგანად არ სჯეროდა მწერლის უდანაშაულობის და ამბოხებაში მისი არმონაწილეობის. ბოლშევიკები მცირეოდენ საბაბს ეძებდნენ, რათა მწერალი კვლავაც ოთხკედელს შორის მოემწყვდიათ. ავანყება ახალი დამარცხებული იყო და ოფიციოზს ყველგან მეამბოხეები ელანდებოდა. განსაკუთრებით კ. გამსახურდიას არავინ გადაუსვამდა თავზე ხელს, ვინაიდან ის ისედაც ეჭვმიტანილი იყო და ეს ეჭვი კიდევ უფრო გაუმძაფრდათ მწერალთა კავშირში მისი გამოსვლის შემდეგ. კ. გამსახურდიამ არად ჩააგდო ფ. მახარაძის ავტორიტეტი და თავისი სათქმელი პირში მიახალა ხელისუფლების წარმომადგენელს, რაც გამოიხატებოდა საქართველოში ავტონომიური რესპუბლიკების შექმნითა და თბილისში ქართული წიგნის სავალალო მდგომარეობით. საპასუხო სიტყვაში ფ. მახარაძემ აღნიშნა, რომ ქართული წიგნის ამბავს შევისწავლითო, ხოლო მწერლის მიერ ჩამოგდებული პოლიტიკური სასიათის საკითხებზე დუმილი არჩია. თუმცა ეს დუმილი ვ. ბახტაძემ დაარღვია, რომელიც ფ. მახარაძის შემდგომ გამოვიდა ტრიბუნაზე და მწერალს „შინაური ემიგრანტი“ უწოდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ კ. გამსახურდიამ თავისი გაბედული სიტყვით ოფიციოზისაგან დიდი რისხვა დაიმსახურა.

კ. გამსახურდიას სიტყვა მეორე დღესვე გამოაქვეყნეს, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ მწერლის დაპატიმრებას გარკვეულ პოლიტიკურ სარჩულს უძებნიდნენ. ასეთი სარჩულიც მოიძებნა და მწერალი 1926 წლის I მარტს დააპატიმრეს. მას ბრალდებოდა გერმანიის ყოფილ კონსულ ვეზენდონკთან ურთიერთობა და თანამშრომლობა. მწერალი არ უარყოფს ამ ურთიერთობას, თავის მხრივ იმასაც აღიარებს, რომ

ვეზენდონკთან კავშირი მას ჯერ კიდევ გერმანიაში ცხოვრების დროს ჰქონდა, სადაც მან დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიენიჭა. კ. გამსახურდიას ვეზენდონკი რიჰარდ ვაგნერის ფესტივალზე გაუცნია. როგორც თავად მწერალი მიუთითებს ის ვაგნერის უკანონო შვილი იყო. ვეზენდონკს როგორც კი შეუტყვია მწერლის ავადმყოფობის შესახებ მას უნახულებია ის და დახმარება გაუწევია შვეიცარიაში სამკურნალოდ გამგზავრებაში. ვეზენდონკის თხოვნის მიხედვით მწერალს მეორე ხარისხის ინვალიდობა და ხელნაწერების თან წაღების უფლებაც მისცეს.

კ. გამსახურდიას პროგერმანულ ორიენტაციას და ბერლინში არსებულ „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტში“ მუშაობას აბრალებდნენ, რასაც მწერალი არ უარყოფდა, თუმცა ყველაფერს შემოქმედებითი თვალსაზრისით აცნობიერებდა. სწორედ ლიტერატურული თანამშრომლობა აკავშირებდა მწერალს თბილისში ჩამოსულ პროფ. ვეზენდონკთან. მოგვიანებით გერმანიიდან ვეზენდონკმა წერილით მიმართა ივ. ჯავახიშვილს, რათა ჰუმბოლტის პრემიის მისანიჭებლად ღირსეული კანდიდატურა დაესახელებინათ. ივ. ჯავახიშვილსაც ასეთ ღირსეულ კანდიდატად კ. გამსახურდია დაუსახელებია. ვეზენდონკმა საქმეში უკეთ გაცნობიერების მიზნით გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს შტრეზემანს მისწერა ამის შესახებ, სადაც იტყობინება: „თქვენ ალბათ იცნობთ, ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორს, კონსტანტინე გამსახურდიას. როგორც ტფილისური უნივერსიტეტის რექტორმა ბ-მა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა დამიმოწმა ამ პრემიის ღირსეული კანდიდატი კ. გამსახურდია იქნებოდაო. მეც აგრე მგონია“[59] კ. გამსახურდია საგანგებოდ გაეგზავრა გერმანიაში მონიჭებული პრემიის მისაღებად. „ოგეპუს“ ბრალდებით მწერალი უცხოეთში გერმანიის სახსრებით გაემგზავრა. ამასთან ერთად იქ გამგზავრება და „შემოქმედებითი

მუშაობის“ გაგრძელება თურმე კონსპირაციულად, საბჭოთა ორგანოების გვერდის ავლით მომხდარა.

კ. გამსახურდია, როგორც თავად აღნიშნავს, საქმის ვითარებაში ჭეშმარიტად ათი წლის შემდეგ გაერკვა. თურმე, როცა ვეზენდონკის წერილი მიჰქონდათ ბერლინში, გზაზედ როსტოვში დიპლომატიურ კურიერს თავს დასხმიან „ჩეკას“ აგენტები. წერილი წაურთმევიათ, თბილისს გაუგზავნიათ და საქმე გრძელ უჯრაში შეუნახავთ. უშიშროების სამმართველომ მშვენივრად უწყოდა, რომ მალე დადგებოდა ისეთი შესაფერისი დრო, როცა ამ წერილს მახვილივით აძგერებდნენ მწერალს. ასეთმა დრომაც მოაწია.

ს. ორჯონიკიძემ ციხეში დატყვევებულ კ. გამსახურდიას მწერალთა დელეგაცია გამოუგზავნა გ. ქიქოძის ხელმძღვანელობით. დელეგაციის წევრებმა კოლეგას თავისი ეროვნული პოზიციის შერბილება და გარკვეულ დათმობებზე წასვლა სთხოვეს, რაზედაც მისგან მტკიცე უარი მიიღეს. გ. ქიქოძემ პირადად გადასცა მწერალს ს. ორჯონიკიძის წერილი, სადაც ეს ერის გამყიდველი სწორედ კ. გამსახურდიასა და ვეზენდონკის ურთიერთობას მოიხსენიებს აუგად. „ჩვენ დარწმუნებული რომ არ ვიყვეთ, რომ კონსტანტინე ფულისთვის ცუდად რაიმეს არ იკადრებდა, მას დღესვე მივაყენებდით კედელზე. მაგრამ ჩვენ ის არ მოგვწონს რომ მის შესახებ გერმანიის ელჩს, ვეზენდონკს მიუწერია გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის შტრეზემანისათვის: თქვენც კარგად იცნობთ გამსახურდიასო“[60].

კ. გამსახურდიამ დელეგაციის წინაშე როგორც შეეძლო, ისე იმართლა თავი. მათთან საუბარში მან აღნიშნა, რომ ბერლინში ყოფნისას, შტრეზემანი უბრალო მოქალაქე იყო და ხშირად დადიოდა ქართულ-გერმანული საზოგადოებების კრებებზე. ვეზენდონკს კი მისი საქართველოში ყოფნის პერიოდში ისტორიისა და კულტურის საკვანძო საკითხების შესწავლაში ვეხმარებოდითო. მწერალი იმასაც დასძენს, რომ ჰუმ-

ბოლტის პრემიის შესახებ არაფერი არ ვიცოდიო. მისსავე განმარტებით პრემიის მისთვის გადაცემის თაობაზე მას ხომ არ შეეკითხებოდნენ. თუმცა მოგვიანებით მწერალმა უარყო ადრე მიცემული ჩვენება და დაადასტურა ის ფაქტი, რომ სწორედ მისი ინიციატივით გაიგზავნა შუამდგომლობა გერმანიაში თბილისის უნივერსიტეტის რექტორის მიერ ჰუმბოლტის სტიპენდიის მისაღებად.

მიუხედავად თავის მართლებისა მწერლის არგუმენტები საკმარისად არ მიიჩნიეს და მას უფრო მძიმე ბრალდებები წაუყენეს. კერძოდ: აგენტური ურთიერთობის დამყარება გერმანიის გენშტაბთან ახლო წარსულში, აქტიური თანამშრომლობა მენშევიკურ ხელისუფლებასთან და ბერლინის ქართულ საელჩოში ატაშედ მუშაობა. ერთ-ერთი უმძიმესი ბრალდება კი, რომელიც კ. გამსახურდიას წაუყენეს იყო მისი არაპირდაპირი მონაწილეობა 1924 წლის აჯანყების ორგანიზაციაში. ბრალმდებელთა აზრით მწერალი თავის სახლში მალავდა დიდი ხნის მანძილზე თავის ბიძაშვილს მიხ. ხოფერიას, რომელიც აჯანყების აქტიური მონაწილე იყო და „ჩეკას" მიერ დახვრეტილ იქნა.

მწერლის ხშირი ვიზიტები და მეგობრული კავშირები გერმანიის გენერალური შტაბის წევრთან ფონ ნორმანთან, გერმანიის ელჩთან კავკასიაში რაუშერთან, საქმიანი ურთიერთობები საკონსულოს ყოფილ კონსულთან ვეზენდონკთან და ვიცე-კონსულთან შრედერთან, მისი გერმანულენოვანი ორიენტაცია, ფარული კავშირი აჯანყებულებთან იძლეოდა იმის საფუძველს, რომ „ჩეკას" ის შპიონაჟში და გერმანიის სამხედრო-სადაზვერვო საქმიანობაში დაედანაშაულებინა... ბრალმდებელთა აზრით გერმანიის საკონსულო მწერლის მიერ იყო ინფორმირებული, თითქოსდა კ. გამსახურდია აწვდიდა ცნობებს საკონსულოს თბილისში იჯანყების მსვლელობის შესახებ.

კ. გამსახურდიამ უარყო მის მიმართ წარდგენილი ყველა ბრალდება და თავი დამნაშავედ არ სცნო. თუმცა ხელისუფლებას ნაკლებად აინტერესებდა მწერლის უდანაშაულობის დამამტკიცებელი არგუმენტები. მისი საქმიანობა დანაშაულად ცნეს 66 – მუხლის მიხედვით და საქმე №37242 განსასილველად „ოგპეუ-ს“ კოლეგიის საგანგებო სათათბიროს გადასცეს. „ჩეკამ“ ბრალდება დადასტურებულად სცნო. მის საფუძველზე მოითხოვა მწერლის სამი წლით გასახლება. თუმცა მწერლის პირადი მტრები ამ განაჩენით არ დაკმაყოფილდნენ. განსაკუთრებით მიხ. კახიანი და ლ. ღოღობერიძე გადაეკიდნენ სამტროდ. მათ არაერთხელ გაილაშქრეს მწერლის წინააღმდეგ პრესაში, თუმცა ვერაფრით ვერ მოახერხეს მისი მოთვინიერება. ამჯერად ისინი მოითხოვდნენ მწერლის უფრო მკაცრად დასჯას. მათი ხელშეწყობით კ. გამსახურდია გადააგზავნეს ძერჟინსკისეულ მოსკოვის „ჩეკაში“, სადაც მისი საქმე ხელახლა გამოიძიეს.

„ოგპეუ-ს კონტრ-სადაზვერვო განყოფილების კოლეგიამ გამოითხოვა სსრკ-ს „ცაკ“-დან ნებართვა სასამართლოს გარეშე მწერლის გასამართლებისა. 1926 წლის 28 ივნისის „ცაკ“-ის ნებართვის საფუძველზე „ოგპეუ-ს“ კოლეგიის საგანგებო სათათბირომ კ. გამსახურდიას მიუსაჯა ათი წლის ვადით გადასახლება საკონცენტრაციო ბანაკში“[61].

კ. გამსახურდია თეთრ ზღვაში მდებარე სოლოვკის არქიპელაგზე გადაასახლეს, სადაც ის აუტანელ პირობებში იმყოფებოდა. ყინვა და ქარ-ბუქი ძვალ-რბილში ატანდა ადამიანს. სასტიკ ჰავას მიუჩვეველი მწერლის ორგანიზმი კიდევ უფრო დასუსტდა და დაუძლურდა. საქართველოში ხმაც კი გავრცელდა ჯანმრთელობის გაუარესობის გამო მწერლის გარდაცვალების შესახებ.

კ. გამსახურდიას მძიმე ცხოვრებისეული ხვედრი ყველა მის ახლობელს და ჭეშმარიტ მოქალაქეს ადარდებდა. მაგრამ ბუნებრივია, განსაკუთრებელი მღელვარებით შვილის ტრაგი-

კულ ბედს მისი მოხუცი დედა დარდობდა, რომელიც ყველანაირად ლამობდა სიკვდილის ტყვეობისაგან გამოეხსნა თავისი სახელოვანი შვილი. ამ მიზნით მან ცრემლით დანამული წერილი მისწერა სახელმწიფო პოლიტსამართველოს უფროსს მამია ორახელაშვილს, რათა მწერლის მდგომარეობა შეემსუბუქებინათ, სიკვდილის ხელიდან გამოეტაცათ და უბედური დედისთვის დაებრუნებინათ შვილი: ,,შეიძლება მოგეხსენებათ, რომ ჩემი შვილი კ. გამსახურდია უკვე ერთ წელიწადზე მეტია დაპატიმრებულია. ამჟამად ის იმყოფება სოლოვკაში ავადმყოფი, დასუსტებული. ის ავად იყო აქ ყოფნის დროსაც, ხოლო სოლოვკის მხარის ჰაერი ეს ხომ მისთვის პირდაპირ დაღუპვაა, სიკვდილის დასჯას უდრის“[62].

მწერლის დედის განცხადებით ყოველი დაყოვნებელი წუთი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს მისი შვილისთვის. ამიტომაც თუ შეუძლებელია მისი საქართველო'ში დაბრუნება, მაშინ სამხრეთ ოსეთში, ან უკრაინაში მიეცეს ცხოვრების უფლება. მწერლის დედა სთხოვს ხელისუფლებას შეუნდონ მის შვილს თუ რამ დანაშაული მიუძღვის და მისცენ საშუალება ემსახუროს თავის ხალხს: ,,გარწმუნებთ, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებელი ბრალდება სრული გაუგებრობაა. თუ მას მართლაც დაუშავებია რამე, თავისი ახალგაზრდობით, მან თავისი დანაშაული უკვე გამოისყიდა თავისი ტანჯვით და სასჯელით. ის მოგეხსენებათ, მწერალია, კულტურული ძალა, რომელიც ყოველთვის შეძლებს თავისი მუ'შაობით სარგებლობა მოუტანოს ქვეყანას და თუ ცოდვა რამ მიუძღვის ხალხისა და მთავრობის წინაშე – ამ მუშაობით გამოისყიდოს“[63].

ნატ. გამსახურდიას წერილი დაიწერა 1927 წლის 31 მარტს და გაეგზავნა მამია ორახელა'შვილს, რომელმაც თავის მხრივ წერილი განსახილველად შ. ელიავას გაუგზავნა. ელიავა ახლოს იცნობდა მწერალს, გარკვეული თანაგრძნობაც ჰქონდა მისდამი. თუმცა მწერლის განთავისუფლება უფრო მაღალ ეშელონებში წყდებოდა. კ. გამსახურდიამ რისხვა და

გაკიცხვა უწინარესად ც.ა.კ.-ის ხელმძღვანელისგან ფ. მახარაძისგან დაიმსახურა. მასვე უნდა გადაეწყვიტა მწერლის მომავალი. პარტიულ ხელმძღვანელს ეტყობა სინდისის ქენჯნამ შეაწუხა. ან იქნება მწერლის დედის წერილმა აუჩუყა შებერებული გული. მან იმავე წლის 21 მაისს რეზოლუცია დაადო წერილს, ხოლო 1927 წლის 23 მაისს სს ც.ა.კ.-ის საქმეთა მმართველობამ (საქმეთა მმართველი ა. მენაბდე) ნატ. გამსახურდიას განცხადება ფ. მახარაძის მიერ დადებული რეზოლუციით გადაუგზავნა სს. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარეს ლ. ბერიას:

„სს. ც.ა.კ.-ის საქმეთა მმართველობა გიგზავნით აგრეთვე მოქ. ნატ. გამსახურდიას განცხადებას მისი პოლიტგადასახლებულის შვილის კ. გამსახურდიას განთავისუფლების შესახებ ფ. მახარაძის რეზოლუციით: „ჩემი აზრით შეიძლება დაისვას საკითხი კ. გამსახურდიას საქმის გადასინჯვის შესახებ“[64]. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე იმხნად ლ. ბერია იყო, რომელმაც ნ. გამსახურდიას წერილი შვილის განთავისუფლების შესახებ ფ. მახარაძის რეზოლუციით უკანვე გამოუგზავნა სრულიად საქ. ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტს 1927 წლის 15 ივნისს უარყოფითი რეზოლუციით:

„გებრუნებათ რა ამასთანავე განცხადება მოქ. გამსახურდიასი მისი შვილის შესახებ საქ. სახ. პოლიტ. სამმართველო გაცნობებთ, რომ კ. გამსახურდიას ბრალი ედებოდა შემდეგში: მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა გერმანიის კონსულთან, წინათ კი გერმანიის გენ-შტაბთან.

ბრალდება დამტკიცებული არის, როგორც მოწმეების ჩვენებით, ისე მისი დასტურით და გაერთ. სს. პოლიტ. სამმ. სსდომით 23/6 26 წ. მიესაჯა გადასახლება კონც-ბანაკში ათი წლის ვადით.

იღებს რა მხედველობაში ზემოთ ხსენებული გადასახლებულის დანაშაულობის ხასიათს საქ. სახ. პოლიტ. სამმ-

ლო თავის მხრივ მოქ. ნატ. გამსახურდიას განცხადებაზე უარს ამბობს"[65].

ლ. ბერიას ამ რეზოლუციიდან აშკარად ჩანს, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკი და 1924 წლის ამბოხების ჩახშობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ბოლომდე არ ენდობოდა მწერალს და მას აჯანყების თანამოაზრედ მიიჩნევდა. მეტიც, იმდენად მიუღებელ პიროვნებად მიიჩნევდა კ. გამსახურდიას იმხნად, რომ „ცაკ"-ის თავმჯდომარის ფ. მახარაძის შუამდგომლობასაც მწერლის საბრალდებლო საქმის ხელახლა გადასინჯვის თაობაზე, ანგარიში არ გაუწია.

კ. გამსახურდიას არ აღირსეს მზის სინათლე. თუმცა მისი ოჯახის წევრები და ახლობლები ჩვეული ენერგიითა და მონდომებით ცდილობდნენ მის დახსნას სოლოვკის ტყვეობიდან. განსაკუთრებული ძალისხმევით პ. ინგოროყვა და შ. დადიანი გამოირჩეოდნენ.

საერთო მცდელობამ და თავგანწირვამ სასურველი შედეგი გამოიღო და 1927 წლის 12 დეკემბერის ცაკ-ის გადაწყვეტილებით კ. გამსახურდია გაათავისუფლეს და თბილისში ცხოვრების უფლება მისცეს.

ბოლშევიკებმა ძალაუფლების უზურპაზიის საფუძველზე შეძლეს შეექმნათ ლაქია მწერლის ტიპი, რომელიც გარკვეული ანგარებით შეპყრობილი და კომუნისტური იდეოლოგიის ფერხულში ჩაბმული დაგეშილივით ასრულებდა მავანთა მითითებებსა თუ დავალებას. ბევრმა მწერალმა და პოეტმა ვერ გაუძლო ამგვარი პოლიტიკური წნეხის ქვეშ ყოფნას და შემოქმედებითი თავისუფლების განსყიდვით ცთუნებისა და უზნეობის ჭაობაში ექცეოდნენ. კ. გამსახურდიამ სხვებისაგან განსხვავებით სტოიკურად გაუძლო ოფიციოზის დევნას და მუქარას. ციხეებმა და გადასახლებამ კიდევ უფრო გამოაწრთო მისი მეამბოხე სული. მწერალმა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ის დიადი გრძნობა, რომლის მასულდმულებელი მუხტი ძალოვნად აღ-

ბეჭდილიყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ აფრიალებულ სამფეროვან ქართულ დროშაზე: საქართველოს დახსნა ეროვნული მონობის უღლისაგან და ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენა.

§2. ქართული ჟურნალისტიკის სათავეებთან

კ. გამსახურდიას პოლიტიკური ალღო და ეროვნული კონცეფცია განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოჩნდა იმ ეროვნულ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-ესთეტიკური ხასიათის წერილებში, რომელთაც ის ათეული წლების მანძილზე აქვეყნებდა სხვადასხვა გაზეთსა და ჟურნალში მწერალი თავის კრიტიკულ და პოლემიკურ ესეებში გვევლინება, როგორც მრავალმხრივ ერუდირებული პუბლიცისტი და კრიტიკოსი, სამართლიანობის მქადაგებელი, საკუთარი პრინციპებისა და იდეების ერთგული დამცველი.

კ. გამსახურდია ქართული ჟურნალისტიკის თავკაცებად ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს მიიჩნევდა, რომელთა შემოქმედებაში ყველაზე მძლავრად გაისმა ქართველობის გულიდან ამოხეთქილი პროტესტის ხმა და დაცემული ვინაობის აღდგენის სურვილი. მათი პუბლიცისტიკა ბელინსკის, ჩერნიშევსკის, პისარევის ზეგავლენას განიცდიდა და პრობლემატური საკითხების აქტუალურობით გამოირჩეოდა. თერგდალეულები თავიანთ „სიძულვილნარევი სიყვარულით“ აღსავსე წერილებში და სარკაზმით შეზავებულ სტატიებში ესწრაფვოდნენ მაღალი იდეალებისათვის საბრძოლველად დაერაზმათ წყვდიადიდან სამზეოზე მიმავალი ქართველობა. კ. გამსახურდიაც თავისი სახელოვანი წინამორბედების მსგავსად მამხილებელი ტონით ცდილობდა თანამემამულეთა ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლებას, თუმცა პირველ ჟურნალისტურ ჩანახატებსა და ფელეტონებში, რომლებიც 1909–11 წლებში ქვეყნდებოდა გაზეთებში „ფონი“, „კოლხიდა“, „თემი“ მწერლის უიმედობა და უმწეობა უფრო შეიცნობა, რაც არსებული მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული.

საგულისხმო და ნიშნეულია ადრეულ ასაკში მწერლის მოკრძალებული დამოკიდებულება საკუთარი პუბლიცისტური

შესაძლებლობისადმი. როცა მან ერთ-ერთ რედაქციაში წერილი მიიტანა რედაქტორმა გამოქვეყნებაზე უარი უთხრა და თან დასძინა: ეს რა დაგივლაბნიათო. თუმცა კ. გამსახურდიამ დისკუსია როდი გაუმართა რედაქტორს, არამედ საწერ მაგიდას მიუჯდა და უკეთესი წერილი დასწერა.

კ. გამსახურდიას წერილები იბეჭდება ჟურნალში „ოქროს ვერძი", რომლის პირველი ნომერი 1913 წელს გამოვიდა ქუთაისში პაოლო იაშვილის რედაქტორობით, აგრეთვე „პირველ ტალღაში" „ხალხის მეგობარში". „ნაკადულში", „ვარისკაცში" ახალგაზრდა მწერალი პოლიტიკური მოსაზრებით გაემიჯნა სოციალ-დემოკრატების პრესას.

კ. გამსახურდიას მითითებით მე-20 საუკუნის 10-იან წლებში ქართველობას ჯერაც არ აქვს შესაფერისი კულტურული მოთხოვნილება. ქვეყანაში არ არსებობდა მკითხველების თვალსაჩინო კონტიგენტი, ინტელიგენციას კი არ გააჩნდა ორგანიული სიყვარული ქართული მწერლობისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი-ორი ლიტერატურული გაზეთით და ჟურნალით, რომელთა ტირაჟი 1000 ცალამდისაც არ ადიოდა, არ უნდა სდებოდეს ქართული ლიტერატურით დაინტერესება. ნიშნეულია ისიც, რომ ამ დროისათვის პრესაში ისევ რუსული მძლავრობს, რასაც მწერალი ძალიან განიცდის: „აიღეთ პრესა, ტფილისში გამოდის ერთი და იმავე პარტიის ორგანო, ქართულად და რუსულად. მათი გავრცელების პროპორცია დაახლოებით ასეთია. 15:150, რატომ? იმიტომ რომ ქართველი მკითხველი აბსოლუტურად გადაგვარებულია."[1]

კ. გამსახურდია 1914–1916 წლებში გერმანიაშია და აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწევა. თანამშრომლობს საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის მიერ შექმნილ „ქართულ გაზეთში", რომელშიაც ნაციონალისტური ხასიათის წერილებს აქვეყნებს. უცხოეთშივე თარგმნა ცნობილი გერმანელი პოეტების ლექსები, რომელთა დიდი ნაწილი მოგ-

ვიანებით გაზ. „იმერეთში“ დაიბეჭდა. ბერლინში გამოსცა ორი პუბლიცისტური ბროშურა, რომელთა შორის ერთი „კავკასია მსოფლიო ომში“, ინგლისურადაც ითარგმნა. მწერალი სისტემატურად აგზავნიდა წერილებს ქართული გაზეთების რედაქციებში. ის იმდენად გაიტაცა ჟურნალისტურმა საქმიანობამ, რომ ლაიპციგის პრესის უძველეს არქივში იწყებს აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას. მწერლის ყურადღების არეალში განსაკუთრებით გოეთეს დროინდელი გაზეთები იყო მოქცეული. მან საგულდაგულოდ დაამუშავა გაზეთის ის ნომრები, სადაც ჟურნალისტები აფრთხილებდნენ პატიოსან მოქალაქეებს, რათა ისინი მორიდებოდნენ ვინმე გოეთეს პორნოგრაფიულ ლექსებს.

1917 წელს მწერალი ჩამოდის საქართველოში და მუშაობას იწყებს გაზეთ „სახალხო საქმის“ რედაქციაში. ამ გაზეთში გამოაქვეყნა მან ფელეტონების სერია „ერი და რასა“, რითაც ქართველი მკითხველის ყურადღება საგრძნობლად და შესამჩნევად მიიპყრო. გაზეთის ფურცლებზე ხშირად იბეჭდება მწერლის პოლიტიკური განწყობილების სტატიები, სადაც ის ქართველობას ეროვნული ცნობიერების ამაღლებას უქადაგებს. აქვე გამოქვეყნდა მისი რამდენიმე ლექსი.

1918 წელს მწერალი გაზ. „სახალხო გაზეთში“ იწყებს მუშაობას, რომელიც ცნობილი მწიგნობარის სამსონ ფირცხალავას რედაქციით გამოდიოდა. სწორედ ამ გაზეთში თანამშრომლობის დროს ჩამოაგდეს სამეფო ტახტიდან ნიკოლოზ მეორე. ამ მოვლენასთან დაკავშირებით მეფისნაცვლის სასახლეში დაიგეგმა თათბირის გამართვა, სადაც სხვადასხვა გაზეთის ჟურნალისტები იქნენ მოწვეულნი. „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში ყველაზე კარგად კ. გამსახურდიას და სამსონ დადიანს ეცვათ. ამიტომაც დელეგატებადაც ისინი აირჩიეს. დიდ დარბაზში რუსების გენერალიტეტი და ქართველი ჟურნალისტები გრძელ მაგიდას უსხდნენ და მონუსხული უსმენდნენ „ნამესტნიკის“ საუბარს, რომლის ერთადერთი

სურვილი იყო რევოლუციის ტალღა ჯარში არ გადასულიყო, რაზედაც მენშევიკების გაზეთის წარომადგენელმა ნოე რამიშვილმა აგდებული ტონით მიუგო: „ჩვენ რა შეგვიძლია ვქნათ, რევოლუცია სტიქიონია და ამ სტიქიონს ვინ შეაჩერებსო?“[2]

დაახლოებით იგივე აზრი გამოთქვა კ. გამსახურდიამაც, რითაც ჟურნალისტის რანგში თავისი პირველი პროტესტი ოფიციალურად გამოთქვა დამხობილი რომანოვების ტირანიისადმი.

1918 წელს კ. გამსახურდია ხელმძღვანელობს ჟურნალ „პრომეთეს“ გამოცემას. სულ დაიბეჭდა სამი ნომერი. ალმანახში თანამშრომლობდნენ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ზ. ჭიჭინაძე, ი. გრიშაშვილი, კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი, დ. უზნაძე, პ. ინგოროყვა. ნიშნეულია ისიც, რომ ჟურნალის პირველი ნომრის გამოცემისთანავე ქვეყნისათვის საერთო განსაცდელის ჟამს მწერალი ქართულ ლაშქარში მოხალისედ ჩაეწერა და ბრძოლის ველს მიაშურა. ომისკენ მიმავალი მწერალი გაზ. „ჯარისკაცში“ აქვეყნებს ანტითურქული განწყობილების ლექსს „ქართულ არტილერიას“, სადაც ქართველობას ომის სულს უნერგავს და რევანშისაკენ მოუწოდებს.

კ. გამსახურდია 1919 წელს კვლავ მიემგზავრება გერმანიაში. მენშევიკურმა ხელისუფლებამ მწერალი ბერლინის საქართველოს საელჩოში მრჩეველად დანიშნა. ამ დროისათვის ის ჯერაც ითვლებოდა გაზ. „სახალხო საქმის“ თანამშრომლად, რომელიც მენშევიკურ მთავრობას ოპოზიციაში ედგა. კ. გამსახურდია პოლიტიკური დისბალანსის შენარჩუნების გამო წამოვიდა გაზეთიდან. მწერალი ასე ხსნის თავის პოლიტიკურ ნაბიჯს: „მაშინდელი გაზეთის რედაქტორიც დაამოწმებს, რომ მე იმ ამხანაგებს რომელთანაც ჩემი სიჭაბუკის საუკეთესო ათი წელი მითანამშრომლნია ერთ რამეში არ ვეთანხმებოდი. ჩემი პირველი ამხანაგები ოპოზიციას აწარმოებდნენ, მე კი მოვითხოვდი ლოიალურ მოპყრობას საქართვე-

ლოს მთავრობისადმი, მას შემდეგ რაც მთავრობა ეროვნული მოღვაწეობის გზას დაადგა.“[3]

საერთოდ მწერალი ამ დროისთვის ისეთ აქტიურ პუბლიცისტურ საქმიანობას ეწევა, რომ გერმანიის გენშტაბის ყურადღებაც მიიპყრო. გერმანელმა პროფ. ცუგმაიერმა და გენერალმა კრეზ ფონ კრეზშტაინმა თხოვნით მიმართეს, ეკისრა გერმანული ორიენტაციის ქართული გაზეთის გამოცემა თბილისში. საამისოდ დიდძალ თანხას პირდებოდნენ და რედაქციის საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიასაც იძლეოდნენ. მწერალმა შორს დაიჭირა ეს შემოთავაზება. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა უცხოელთა კეთილი განზრახვა, რაც დაუფარავად აღნიშნა კიდეც. „მე ჩემს თავს ვერ მივცემ ნებას თუნდაც კარგი გაზეთის დასაარსებლად უცხო სახელმწიფოსაგან მიღებული თანხები გამოვიყენო“. როდესაც უცხოელებმა კეთილი მიზნის მისაღწევად ყოველგვარი საშუალების გამოყენების მიზანშეწონილობა შეახსენეს, მწერალმა ასე უპასუხა:

„არა უფალო, ეს მაკიაველის ცნობილი ლოზუნგია და მე ჩემი მორალი, რაც უმთავრესია, ჩემი პატრიოტიზმი ნებას არ მაძლევს მაკიაველის შეგონებას ავყვე.“[4]

გერმანიაში მყოფი მწერალი დღენიადაგ ქართული კულტურის პროპაგანდასა და პოპულარიზაციას ეწევა. მას თანადგომას და მფარველობას უწევდა სახელოვანი გერმანელი მწერალი თ. მანი, რომლის პირადი რეკომენდაციითა და შუამდგომლობით ის იწყებს მუშაობას ჟურნალში „ზიუდ დოიჩე მონატს ჰეფტე“, სადაც რამდენიმე ნარკვევი გამოაქვეყნა.

თ. მანი აგულიანებდა მწერალს გერმანულად დაეწყო წერა და ისიც 1919 წელს გერმანულ ენაზე აქვეყნებს ვრცელ შრომას „მეფობის ჟამი საქართველოს მეფის ერეკლე მეორისა“. გამოჩენილი მწერლის დახმარებით კ. გამსახურდია ფიშერის გამომცემლობაში ბეჭდავს „დიონისოს ღიმილის“

ნაწყვეტებს. პარალელურად მთარგმნელად მუშაობს ბერლინურ ჟურნალში „დერ ნოიე ორიენტში“ („ახალი აღმოსავლეთი“) სადაც იმჟამად მოღვაწეობდა სახელგანთქმული ინდოელი მწერალი რაბინდრანატ თაგორი.

გერმანიაში ყოფნისას მწერალი ცდილობს ქართული ჟურნალი გამოსცეს. ამ მიზნით ის გერმანიიდან „ევროპის მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის სახელით ღია წერილით მიმართავს ქართველ მწერლებს მეტი თანადგომა და ერთსულოვნება გამოიჩინონ ამ ფრიად საშურ და მამულიშვილურ საქმეში. მწერლის მინიშნებით 100 წლის მონობის ტყვეობიდან დაღწეული საქართველო დღეს პოლიტიკურად თავისუფალია, რომლის დამოუკიდებლობა მთავარ ევროპელ სახელმწიფოთაგანაც აღიარებულ იქნა. საქართველო ყოველთვის ეძებდა ევროპასთან უმაშველო და მჭიდრო კავშირს, როგორც ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური აღორძინების ერთადერთ მაგისტრალურ გზას. მწერალი წერს: „ეს არის გზა ევროპისაკენ, რომელმაც იგი უნდა მიიყვანოს ეროვნული ენერგიის აღორძინების ბჭეებამდის. საზღვარგარეთ მყოფ ქართველებში დაიბადა აზრი ისეთი კულტურული ორგანოს შექმნისა, რომელიც გზას გაუკაფავს ამ იდეას. ჩვენს მისწრაფებას თანაგრძნობით შეეგება დიდად პატივცემული „ახალი აღმოსავლეთის“ გამომცემლობა, რომელიც კისრულობს „ევროპის მოამბის“ ქართულად გამოცემას ბერლინში. პირველი ნომრის გამოცემა განზრახულია ოქტომბრის რიცხვებში.“[5]

კ. გამსახურდია ყოველთვის განიცდიდა პუბლიცისტურ აქტივობას, თუმცა 1921 წლის 25 თებერვალს XI არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციამ კიდევ უფრო გაამძაფრა მწერლის ჟურნალისტური მოღვაწეობა. მწერალი აქტიურად იწყებს თანამშრომლობას გაზეთში „სოციალისტ-ფედერალისტი“, რომელიც 1921 წლის 1 მარტიდან 26 ივლისამდე გამოდიოდა. მწერლის კრიტიკული მემკვიდრეობის ერთი სა-

კეთესო ნაწილი სწორედ ამ გაზეთში დაიბეჭდა. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“ რომლის რედაქტორი იყო თედო ღლონტი, იზიარებდა ბოლშევიკებთან თანამშრომლობის იდეას და შემრიგებლურ გზას ადგა, თუმცა არა უკრიტიკოდ.

კ. გამსახურდიას სული დიდხანს იტანჯებოდა 25 თებერვლის ცეცხლით, როდესაც ნაძირლების ხელით გაყიდული სამშობლო ცრემლისა და ბორკილების ტყვეობაში მოექცა. მწერლის სულმა ვერ დაიტია ბოღმა და სიბრაზე რუსთაგან მოწეული და ღია წერილით მიმართა ლენინს. წერილი „ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი“ რვა მაისის ნომერში დაიბეჭდა რუსეთ-საქართველოს 7 მაისის ხელშეკრულების წლისთავზე.

მწერალმა ამ სტატიის რუსული თარგმანი შეგნებულად დაბეჭდა რუსულ გაზეთში, რათა ის უფრო ხელმისაწვდომი გამხდარიყო ფართო მასებისათვის. ამგვარი კადნიერების გამო ცეკ-ას მაშინდელმა ხელმძღვანელებმა მიხ. კახიანმა და ლევან ღოღობერიძემ არა ერთხელ გაილაშქრეს მწერლის წინააღმდეგ პრესაში. წერილში განმანთავისუფლებელის მანტიით შემოჭრილი წითელი არმია ოკუპანტად და აგრესორად არის წარმოჩენილი. სახელმწიფო ჩინოვნიკმა და მწერალთან დაახლოებულმა პირმა მიხ. ოკუჯავამ მას ამცნო, რომ ლენინს წაუკითხავს ეს უკიდურესად მამხილებელი ხასიათის სტატია, თუმცა არაფერი არ უთქვამს. მოგვიანებით კ. გამსახურდია ასე იგონებს მისთვის მძიმე ცხოვრებისეულ ეპიზოდს: „ეს ეპისტოლე საკმაოდ უხეში ტონით არის დაწერილი. თუმცა იგი იწყებოდა ლენინისადმი დიდი პატივისცემის დამოწმებით. მე დღესაც მიკვირს, თუ რა უცნაური სულგრძელობა გამოიჩინა ჩემს მიმართ ლენინმა. ცხადია, ასეთი ეპისტოლე სხვა ვინმესთვის რომ მიმეწერა, თავს გადამაცლიდნენ უთუოდ.“[6]

1922-1923 წლებში კ. გამსახურდია რედაქტორობდა სამეცნიერო-პოლიტიკურ ჟურნალს „ილიონს“, რომლის ოთ-

ხი ნომრის გამოცემა შესძლო. კ. გამსახურდია, როგორც რედაქტორი, ცდილობდა ჟურნალისათვის შეურიგებელი და უკომპრომისო ტონი შეენარჩუნებინა, რითაც ის კიდევ უფრო მწვავედ დაუპირისპირდებოდა საქართველოში შემოჭრილ უხეშ ძალას. მწერალი ჟურნალში ოპოზიციონური ტონით აცხადებდა, რომ საქართველოში დაწესებულებების ნაციონალიზაცია არ სდებოდა. ასევე დაუფარავად ებრძოდა მოკავშირე რესპუბლიკების კულტურულ ცხოვრებაში ველიკორუსული ნაციონალიზმის შემოჭრას და დამკვიდრებას. მიუხედავად ამგვარი ოპოზიციური დამოკიდებულებისა არსებული პოლიტიკური მოვლენებისადმი ჟურნალი მოკლებულია იმ ოპტიმისტურ განცდას, რომელიც ძალუმად შეიმჩნეოდა ჟურნალ „პრომეთეს“ ფურცლებზე. ამ სახეცვლილებას ადასტურებს ს. სიგუაც: „ილიონი იყო ჟურნალ „პრომეთეს“ გაგრძელება, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდია სცემდა 1918 წელს ეროვნული აღმავლობის ჟამს. „პრომეთე“ რწმენასა და აღმაფრენას გამოხატავდა. „ილიონი“ -დაცემას და დამარცხებას გვამცნობდა“[7]. თავად კ. გამსახურდიამ ჟურნალში გამოაქვეყნა რამდენიმე ლექსი და ნიცშესადმი მიძღვნილი თავისი ერთადერთი პიესა „გარსი მარადი“.

1923 წელს მწერალი ევროპაში გამგზავრების თადარიგს იკავებს. ნიშნეულია, რომ უცხოეთში გამგზავრების უმთავრეს მიზეზად ასახელებს ბერლინელ გამომცემელთა ამხანაგობასთან დადებულ პირობას, რომლის თანახმად მას ვაჟა-ფშაველას ერთტომეული და ქართველი პოეტების ლექსების ანთოლოგია უნდა გამოეცა გერმანულ ენაზე. ხოლო საგამომცემლო მუშაობის გარკვეული გამოცდილება რომ ჰქონდა, ამას ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოს კომისართა საბჭოს თავმჯდომარის შ. ელიავასადმი გაგზავნილ წერილში: „ჩვენს დროში ფრიად გაძნელებულ სასტამბო პირობებში რამდენიმე სამეცნიერო-სალიტერატურო ჟურნალი და გაზეთი დავაარსე.“[8]

პარიზში მივლინებით მყოფი მწერალი გამოთქვამს სურვილს ითანამშრომლოს ისეთ პერიოდულ გამოცემაში, რომელიც ლეგალური და პოლიტიკური რემინისცენციებისაგან თავისუფალი იქნებოდა. მიუხედავად მისი ნეგატიური დამოკიდებულებისა ბოლშევიკებისადმი, ის მაღალი მორალური პრინციპების დამცველია და მემარჯვენე გაზეთის კორესპონდენტს უარს ეუბნება ბოლშევიკების წინააღმდეგ წერილის დაწერაზე. ის აცხადებს: „მე ბოლშევიკების დიდი მეგობარი არ გახლავართ, მაგრამ ადამიანების ლანძღვით პურის ფულის მოხვეჭა სამარცხვინო საქმედ მიმაჩნია“.[9]

საქართველოში დაბრუნებულ მწერალს ხელისუფლების წარმომადგენლები აგრესიულად და უნდობლად ექცეოდნენ. ისინი მეტწილად იმ ანტიბოლშევიკური კამპანიის გამო საყვედურობდნენ მწერალს, რომელსაც ის მათი შეხედულებით ეწეოდა უცხოეთში ცხოვრების დროს ევროპულ ჟურნალ-გაზეთებში მუშაობისას.

მიუხედავად ხელისუფლების ზეწოლისა მწერალმა გააგრძელა აქტიური ჟურნალისტური საქმიანობა. 1923 წელს მისი ინიციატივით გამოვიდა გაზეთი „საქართველოს სარეკლო“, რომელშიც „დიონისოს ღიმილის“ ერთი თავი დაიბეჭდა. 1924 წელს გ. ტაბიძესა და ლ. ქიაჩელთან ერთად დააარსა გაზეთები „ლომისი“ და „ქართული სიტყვა“. გაზ. „ლომისში“ გამოაქვეყნა ფელეტონი ილია ჭავჭავაძეზე, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა ქართულ საზოგადოებაში. იმავე წელს განაახლა ჟურნალ „ილიონის“ გამოცემა.

კ. გამსახურდიას მითითებით, გაზეთმა უცილოდ უნდა ასახოს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კატაკლიზმები. ამ მხრივ მწერალთა საბჭოსაგან 7 მაისს გამოცემული გაზეთი „პოეზიის დღე“ თავის დანიშნულებას სრულყოფილად ვერ ასრულებდა. მწერლის აზრით, როცა ყველას პირზე დუმილის რიდე და კლიტე ადევს სწორედ მწერალმა უნდა იტვირთოს ჯვარი და სიმძიმე გამოთქმისა, რამდენადაც ის ერის

ინტელექტის და მის გრძნობების გამომხატველია. გაზეთში „პოეზიის დღე“ კი ეს ტენდენცია ნაკლებად შეინიშნება. რაც შეეხება გაზეთის იდეოლოგიურ მხარეს ის სავსებით ვერ პასუხობდა სათანადო ნორმებს. ამიტომაც კ. გამსახურდია იძულებული იყო შეფარვით მაინც შეეტანა გაზეთის ფურცლებზე ანტისაბჭოთა განწყობილება, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა ხელისუფლების მაღალ ჩინოვნიკებისათვის. ისინი გულისყურით ადევნებდნენ თვალყურს მწერლის აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას და არსებული ვითარების საფუძველზე მიიჩნიეს, რომ უფრო გაემკაცრებინათ ცენზურა მისი შემოქმედების მიმართ. პრესაში მძვინვარე კამპანიები დაიწყო, სადაც მწერლის შემოქმედება მიწასთან იყო გასწორებული. თუმცა ბოლშევიკები ამით არ კმაყოფილდებოდნენ და მწერალთა კავშირიდან გარიცხვითა და დაპატიმრებითაც ემუქრებოდნენ მწერალს. ეს კარგად ჩანს კპ ცკ-ის პრეზიდიუმის 1923 წლის 15 მაისის განკარგულებიდანაც, საიდანაც ირკვევა, რომ პარტიამ სწორედ იმ ორგანოებზე მიიტანა იერიში, სადაც კ. გამსახურდია ხშირად აქვეყნებდა პუბლიკაციებს.

„გაზეთებში „ლომისი“ და „პოეზიის დღე“ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლების შესახებ.

1. გაზეთი „ლომისი“ დაიხუროს.

2. წინადადება მიეცეს „ჩეკას“ – გამოიძახოს და დაკითხოს გაზეთებში „პოეზიის დღე“ და „ლომისი“ დაბეჭდილი სტატიების ავტორები.

3. დაევალოს ცკ-ის აგიტპრომს – გაარკვიოს მთავლიტში ვის ევალებოდა გამოცემაზე მეთვალყურეობა. ამხ. შავიშვილს გამოეცხადოს საყვედური გაზეთებში „ლომისი“ და „პოეზიის დღე“ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული სტატიების გაშვებისათვის.

4. წინადადება მიეცეს განსახკომს – მოხსნას კ. გამსახურდია უნივერსიტეტიდან.“[10]

კ. გამსახურდია აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკასიონში“, რომელსაც მისი სიყრმის მეგობარი პ. ინგოროყვა რედაქტორობდა. 1924 წლის 3 ივნისის მთავლიტის კოლეგიის დასკვნის საფუძველზე „ჟურნალი „კავკასიონი“, რომელიც არის ნაციონალისტური, შოვინისტური და კონტრევოლუციური ორგანო და არ დგას საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე დახურული იქნა.“[11] მალე პ. ინგოროყვამ გამოსცა სახეშეცვლილი ჟურნალი „ახალი კავკასიონის“ ერთი ნომერი. დანარჩენი კ. გამსახურდიას უნდა გამოეცა, თუმცა ამბოხების ბრალდებით დააპატიმრეს და ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. მწერალი არც მეტეხის ციხეში გამომწყვდეული ივიწყებდა თავის საყვარელ საქმიანობას დ თანასაკნელების სულიერად გამხნევების მიზნით იუმორისტული კედლის გაზეთიც გამოუშვა.

ხელისუფლება კვალდაკვალ სდევნიდა მწერლის ჟურნალისტურ აქტივობას. სულ მალე ზემდგომი ორგანოების ინიციატივით ჟურნალი „ილიონი“ და გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“ აკრძალეს, როგორც არასაიმედო და ხელისუფლებისათვის იდეოლოგიურად მიუღებელი პერიოდული გამოცემები. მალე დაიხურა „ქართული მწერლობაც“, რომელშიც მწერლის გახმაურებული ნოველა „ჯამუ“ დაიბეჭდა. ეს ნაწარმოები ხელისუფლების მხრიდან ბანდიტიზმის აპოლოგიად იქნა შერაცხული. ამის შემდეგ საკმაო ხნის მანძილზე კ. გამსახურდიას ნაწარმოებები არსად არ დაბეჭდილა. მწერალი უსახსრობის გამო შეჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. საერთოდ, იმ დროისათვის ქართველი მწერლები გამოზრდილი იყვნენ საცოდავი ქართული გაზეთების კაპიკებით. თავად მწერალიც აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში, სადაც კერძო საკუთრება მოსპობილია, ერთადერთი საშუალება მწერლისათვის მატერიალური პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით – გაზეთია და როცა ამ ერთადერთ შემოსავლის წყაროს უსპობ მწერალს ის უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ვარდება.

ხელისუფლებამ მწერლის მატერიალურ მდგომარეობის მოჩვენებითი ხელშეწყობის სცენა გაათამაშა და მას ჟურნალ „მნათობში“ ნაწერების გამოქვეყნება სხვადასხვა გვარით შესთავაზა. ცეკ-ას მდივანმა მ. კახიანმა ისიც დასძინა, რომ კ. გამსახურდიას სახელის ხსენებამ შეიძლება „მნათობის“ მუშების ავჯანყება გამოიწვიოსო. მწერალმა პასუხი არ დაუყოვნა გაკადნიერებულ ჩინოვნიკს: „ღმერთმა დამიფაროს მუშების ავჯანყებისაგან. რაიცა შეეხება გვარის გამოცვლას, უმალ კახიანს მოუხდება გვარის გამოცვლა, ვიდრე მე გამოვიცვლიდე გვარს.“[12]

კ. გამსახურდია მალე თავად შეიქმნა ჟურნალისა და გაზეთის ლიკვიდაციის ინიციატორი. მწერლის აზრით გაზეთი ღალატის, გაიძვერობის და სიცრუის არენად არ უნდა იქცეს, სადაც გაყიდული კალმოსანი სინდისის გაყიდვის ხარჯზე სხვას გაუთხრის საფლავს. საქმე ეხებოდა ზუგდიდის საოლქო კომიტეტის მდივნის ისაკ ჟვანიას მიერ ხელდასხმულ „ყახაზიში გაზეთის“ და ჟურნალ „ჭითა ჩხორიას“ გამოცემას, სადაც მეგრულ ენაზე ყოვლად უსუსური ხასიათის წერილები იბეჭდებოდა. გაზეთისა და ჟურნალის რედაქტორი ი. ჟვანია მიზნად ისახავდა ქართული ენისათვის ხობში ზღვარის დადებას და სამეგრელოს რეგიონის დანარჩენი საქართველოსაგან გამოყოფას. კ. გამსახურდია სტალინთან ჩივილითაც იმუქრებოდა, თუ მეგრულ პერიოდიკას მწვანე შუქი მიეცემოდა. საბოლოოდ მისმა ძალისხმევამ სასურველი შედეგი გამოიღო და მეგრულ ენაზე გამოცემული გაზეთი და ჟურნალიც დაიხურა.

კ. გამსახურდია ყოველთვის ემიჯნებოდა ისტორიული ფაქტების გაყალბებისა და დამახინჯების შეგნებულ მცდელობას. ქართულ პერიოდიკაში მწერალი არ მალავს თავის აღშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ რუსული კულტურით მოხიბლული ქართველი ჟურნალისტები სიამაყითა და ერთგვარი კმაყოფილებით ასათაურებდნენ თავიანთი გაზეთების

პირველ გვერდებზე ასეთი შინაარსის წერილებს: „გრიბოედოვი საქართველოს სიძეა“. „გორკიმ ახსენა საქართველო“, „მაიაკოვსკი დაიბადა ბაღდადში“ მწერლის აღნიშვნით სირცხვილია ასეთი სერვილიზმი: „მომავალი თაობები უოუოდ შეაჩვენებენ იმათ, ვისაც ქართული მწერლობა და ქართველი ხალხი დასამცირებლად ემეტება. ნუთუ ისე უნდა დავბრმავდეთ, რომ არ გვესმოდეს, ეს მწერლები და არც არავითარი მწერლები საქართველოს თანატოლნი რომ არ არიან.“[11]



კ. გამსახურდია სიცოცხლის ბოლომდე თანამშრომლობდა ჟურნალ „მნათობისა“ და „ცისკრის“ რედაქციებთან. თავადაც დაახლოებული იყო ჟურნალების რედაქტორებთან, რომლებიც მისი შეხედულებით ფრიად განსწავლულნი და უჩვეულო გემოვნების მატარებელნი უნდა ყოფილიყვნენ. მწერალი ხშირად შენიშნავდა მოხდენილად „რედაქტორი მეკარეა ჟურნალისა, ხოლო ჟურნალი – ეროვნული მწერლობი-

სა".[14] მწერლის რომანებს უწინარესად სწორედ ამ ჟურნალების ფურცლებიდან ეცნობოდა ქართველი მკითხველი. მწერალი ხშირად აღნიშნავდა ხსენებულ გამოცემების კეთილისმყოფელ ზეგავლენას მოსახლეობაზე, ვინაიდან მათი მეშვეობით ქართველი მკითხველი თვალყურს ადევნებდა მსოფლიოს ხალხთა კულტურულ მიღწევებს. დაკვირვებული მწერალი იმასაც კარგად ხედავდა, რომ ჟურნალების იმიჯის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო მის გვერდებზე ჟანრობრივი სიმდიდრის და პროდუქციის მრავალფეროვნების გაღრმავება. ის არ მალავდა თავის უკმაყოფილებას იმის გამოც, რომ ზოგჯერ ჟურნალის რედაქტორის ხელშეწყობითა თუ დაუდევრობით მრავალი წუნდებული ნაშრომი იბეჭდებოდა. კ. გამსახურდია მეტი სიახლეების დანერგვისა და აუცილებელი ექსპერიმენტების განხორციელებისაკენ მოუწოდებს რედაქტორებს. გამოთქვამს სურვილს, რომ გაიზარდოს ჟურნალის ტირაჟი, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს იქ გამოქვეყნებული მასალების ხარისხის ხარჯზე.

კ. გამსახურდია ნეგატიურად იყო განწყობილი ზოგიერთი პერიოდიკული გამოცემის მიმართ. განსაკუთრებით არ სწყალობდა გაზ. „კომუნისტს" ჯერ კიდევ 20-იან წლებში ამ გაზეთის ფურცლებიდან ლ. ბერიამ ფაშისტური ელფერის მწერალი უწოდა მას, იმის გამო, რომ ის ქართველი ერის სუვერენობას და ქართული კულტურის უზენაესობას აღიარებდა საჯაროდ. კომუნისტური მორალით მოწამლული მაღალჩინოსნები უმთავრესი გაზეთის ფურცლებიდან სისტემატურად ამუნათებდნენ მწერლის შემოქმედებას. მეტიც, ცილისწამებითა და დაბეზღებით ცდილობდნენ მისი ოჯახის სახელის ღირსებაც შეელახათ. სწორედ ამ მიზნით გაზ. „კომუნისტში" დაიბეჭდა წერილი „სარეველა", რომელიც მწერლის შვილის ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ კომპრომენტაციას ისახავდა მიზნად. კ. გამსახურდიამ გაზეთის რედაქტორს მჭედლიშვილს საკადრისი პასუხი მიაგო. „განა არ ვი-

ცი, როცა ამ ხუთიოდე წლის წინათ, როცა თქვენ საქართველოს ცკ-ს მდივანი ბრძანდებოდით, დასაღუპად გაგვწირეთ მე და ჩემი ოჯახი. „კომუნისტის“ უნამუსო კორესპონდენტს ვ. თორდიას ინსპირაციით დააწერინეთ ყოვლად უხამსი ინსინუაცია ჩემი ვაჟის მიმართ („სარეველა“) თითქოს იგი ისეთი ხულიგანი ყოფილიყოს, რომ ჩემს მკითხველებს ქუჩაში დაეტაკებოდა და ჩემს წიგნს გააგდებინებდა ხელიდან.[15]

კ. გამსახურდია ხშირად ერეოდა ამა თუ იმ გაზეთის შინაარსობრივი მხარის გარდაქმნაზე. ის იყო ინიციატორი იმისა, რომ ერთადერთი ლიტერატურული გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ განთავისუფლებულიყო სახვითი ხელოვნების რუბრიკისაგან, როგორც იძულებითი ინსტრუმენტისაგან და წმინდა ლიტერატურულ ორგანოდ ქცეულიყო. ეს გაზეთი იყო ერთადერთი მესაყვირე ქართული კულტურისა, მაგრამ ომის დროს მოხდა მისი შევიწროება და შეზღუდვა. მწერლის მითითებით გაზეთის რედაქციამ უნდა აღძრას შუამდგომლობა ზემდგომი ორგანოების წინაშე, რათა მან დაიბრუნოს პირვანდელი სახე. მხატვრობაზე კი მაშინ დაწერენ მწერლები ნარკვევებს, როცა ეს მათ მოესურვებათ, და არა იძულებით და დაკვეთით. საგულისხმოა, რომ გაზეთმა მალე დაიბრუნა თავისი პირვანდელი სახელი —„ლიტერატურული საქართველო“

მწერალი ყოველთვის უჭიოდა ქართული ჟურნალ-გაზეთების მცირე ტირაჟით გამოცემას და არ მალავდა თავის უკმაყოფილებას იმის გამო, რომ თბილისში ორი რუსული გაზეთი გამოდიოდა „ზარია ვოსტოკა“ და „ვეჩერნი თბილისი“, მაშინ როცა სომხეთში მხოლოდ ერთი რუსული გაზეთი იბეჭდებოდა. მწერალი იშვიათად რეაგირებდა უცხოელი და რუსი ჟურნალისტების უადგილო გამოხტომებზე. მაგრამ როდესაც მავანნი ჟურნალისტი ხელაღებითა და უცერემონიოდ ერეოდა საქართველოს ისტორიის საკითხებში და არაობიექტურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს მწერალი

შესაბამის რეაგირებას ახდენდა მათ ქმედებაზე და მით უკომპრომისოდ იცავდა თავისი ქვეყნის ღირსებასა და პრესტიჟს.

კ. გამსახურდია უარყოფითად იყო განწყობილი ისეთი მხატვრული პროზის მიმართ, რომლის იდეალს და თავკიდურს საგანგებო ენა წარმოადგენდა. მწერლის აზრით, ნარკვევების, ფაქტოლოგიური პროზისა და რეპორტიორის აპოლოგიამ ჟურნალიზმის მორევში ამოახრჩო ქართული მწერლობა. ამადაც არ სწყალობს ის იმ ოცობედა ჟურნალისტებს, რომლებმაც თავიანთი გაუგონარი მომძლავრების მეოხებით მაკულატურით დაანაგვიანეს ქართული ჟურნალ-გაზეთების პორტფელები და გამომცემლობათა გეგმები. მწერალი ყოველთვის მიუთითებდა ჟურნალიზმის სასარგებლო როლის შესახებ, თუმცა ილაშქრებდა მწერლობაში მოძალებული ჟურნალისტების წინააღმდეგ. ერთგან ის აცხადებს: „ჩვენ არამც და არამც არა ვფიქრობთ ჟურნალისტიკის აუგად ხსენებას. იგი თავისთავად დიდად ხელმარჯვე და ფრიად საჭირო საქმეა. მაგრამ მისი გაიგივება ხელოვნებასთან არ შეიძლება“.[16]

კ. გამსახურდიას მინიშნებით თანადროულ საქართველოში ის უცნაური პროცესი ვითარდება, რომ საშუალო ნიჭის პუბლიცისტები და ნარკვევის ავტორები ისე მჭიდროდ შემოუსხდნენ მწერლობის გაშლილ სუფრას, რომ ნამდვილი ჯვარისმტვირთველნი და ჭირისუფალნი მწერლობისა ლამის ტალანში დასტოვონ. ამის შედეგად ამგვარი ჟურნალისტების მიერ ნაცოდვილარი წყალ-წყალა ნარკვევს რომანი უწოდეს, ყოველ გრძელ ლექსს – პოემა, ყოველ უსიტყვო მოთხრობას – ნოველა. მწერლის მითითებით ეს ყოველივე კრიტიკის უპრინციპო გულმოწყალების შედეგია. უნიათო კრიტიკოსების მიერ შეგულიანებულმა ჟურნალისტებმა და რეპორტიორებმა ხელი შეუწყვეს ლიტერატურული წუნის მოზღვავებას ქართულ ლიტერატურაში. კ. გამსახურდია ასე წარმოაჩენს ოცობედა ჟურნალისტის აღზევების იერარქიულ გზას: „რე-

პორტიორი თამამად მოძვრება რომანის, დრამის, ხანაც ლირიული ლექსის ჟანრებში. მას ყოველ წუთში, ყოველ შემთხვევაში მზადა აქვს პასუხი ყოველი მოვლენისათვის ყოველდღიურ გაზეთში. იგი ეჩვევა ნაუცბათევად შახანხლული ამბების აღწერას. მერმე მოხვეჭს თუ არა მცირე სახელს უკვე აღმატების გზას დაადგება და ლიტერატურის დიდ აეროპაგში წამოსკუპდება."[17]

კ. გამსახურდიას აზრით მწერალსა და ჟურნალისტს შორის ის განსხვავებაა, რომ დიდ მწერალს ხანდაზმული შრომა სჭირია ხშირად მოცულობით მცირე შემოქმედებაში, ხოლო ჟურნალისტი მცირე დროს ახმარს დიდ ტემპს და საბოლოოდ ყოველი დრო უკან სტოვებს მის მიერ შექმნილ მაკულატურას. ისინი წლების მანძილზე განუკითხავად ღრღნიდნენ ლიტერატურის კიდობანს, ანარქია შეიტანეს ჟანრების საქმეში და დღემდის იღწვიან ლიტერატურული ჟანრების აღრევისათვის.

კ. გამსახურდიას არ უყვარდა ჟურნალისტის ტიპის ბელეტრისტები. ამ მიზეზით არ სწყალობდა ე. რემარკს, რომლის ერთი რომანი „დასავლეთის ფრონტი უცვლელია" მან გერმანულიდან თარგმნა კიდეც, მაგრამ როგორც თავად აღნიშნავს ეს გამომცემლობის თხოვნით გაუკეთებია. საერთოდ მწერალი არ მალავდა თავის გაღიზიანებას იმის გამო, რომ ქართველი მკითხველი ხშირად ფეტიშად აქცევდა შედარებით მეორეხარისხოვან, ჟურნალისტური შტრიხებით გაჯერებულ რომანს და ჭეშმარიტ მხატვრულ შემოქმედებას ვერ წვდებოდა.

თავი II

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება და ერთსულობის აპოლოგია

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართული ენერგია სრულად ვლინდებოდა სწორედ ტერიტორიული და სულიერი ერთიანობისათვის ბრძოლაში. ეროვნული მთლიანობის აუცილებლობა იყო ის მწვერვალი, რომლისკენაც ყველა დროის ქართველი მთელი არსებით ისწრაფვოდა და ილტვოდა, რამეთუ ქვეყნის გადარჩენის გასაღები იქ ეგულებოდათ. ამიტომაც არ იყო უცხო ქართული შემოქმედებითი გენისათვის ეროვნული მთლიანობის იდეის თემა და მანაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა ათასხუთასწლოვან ქართულ მწერლობაში.

ეროვნული მთლიანობის იდეა თავის არსში მოიცავდა ქვეყნის, როგორც ტერიტორიულ, ასევე სულიერი გაერთიანების პროცესს. ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობისა და განვითარების გზაზე ორივე ფაქტორს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა, თუმცა გარკვეულ ეპოქაში სულიერი გაერთიანების დომინანტური როლი უფრო და უფრო პრიორიტეტული ხდებოდა. ეს განსაკუთრებულად ითქმის IX-X საუკუნეებზე, როცა სრულდებოდა ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი და ერის ისტორიული აღმასვლა საერთო ქართულ თვითშეგნებას ემყარებოდა.

ამ ეპოქისათვის ქართული ენა იქცა მთელს საქართველოში ღვთისმსახურების, სახელმწიფოებრივი მართვისა და კულტურის ერთადერთ ენად. ქართულ ენას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველური სამყაროს შეკვრა-შედუღაბებაში. ქართველი ერის სულიერი გაერთიანების უმძლავრეს ბერკეტს ენასთან ერთად ქრისტიანული აღმსარებლობა წარმოადგენდა. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამ მნიშ-

ვნელოვანი როლი ითამაშა მთისა და ბარის მოსახლეობის გაერთიანების საქმეში. ერის სულიერი ამაღლებულობა და ქრისტეს მრწამსის ერთგულება უნდა გამხდარიყო საწინდარი ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისა.

მას შემდეგ, რაც ქრისტეს სჯულს ეზიარა ქართველი ხალხი, ნაზარეველის მოძღვრება სულიერ საზრდოდ გაიხადა და სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის გზაზეც ქრისტიანული მცნებებით ვიდოდა, უძველესი ქართველი მწერლები ერის ხსნას ქრისტიანული აღმსარებლობის შენარჩუნებაში ხედავდნენ, რაზედაც სამართლიანად მიუთითებს კ. გამსახურდია. მწერლის აზრით დაქსაქსული საქართველოს ნივთიერი და სულიერი აღორძინების საქმეში ბაგრატოვნებსა და ქართულ მწერლობას თანაბარი ამაგი მიუძღვით: „თუ ქართლოსიანთა ნაშიერთა ოდესღაც განიყვეს საქართველოს მიწა, რათა ხელახლა შეეკრიბათ იგი, ქართული სიტყვაც სამკვიდროდ ჰქონდა მიჩნეული რამდენსამე თავკაცს ქართული მეტყველებისა. როგორც მეფეებმა ვახტანგ გორგასალმა და ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელმა და გიორგი ბრწყინვალემ ხმლით დაიცვეს ის მიწა, რომელიც ისტორიის ნემეზისმა მიანიჭა ჩვენს წინაპრებს, შეკრიბეს ჩვენი დაქსაქსული ტომები, განაძლიერეს ქვეყანა ქართლისა, თავი მოუყარეს მამეულს, ასევე ქნეს, მაგრამ არა მახვილით, არამედ კალმით, ქართული ენის დიდოსტატებმა იაკობ ცურტაველმა და გ. მერჩულემ, რუსთაველმა და ს. საბა-ორბელიანმა, დავით გურამიშვილმა და აკ. წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ და ვაჟა-ფშაველამ“.[1]

კ. გამსახურდიას აღნიშვნით იაკობ ხუცესი „შუშანიკის წამებაში“ წარმოდგენილია არა მარტო მატიანეს ისტორიული თვალთახედვით, არამედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მასშტაბის აზროვნებითაც, ვინაიდან მის მიერ მხატვრულად ხორცშესხმული შუშანიკი თავისი მოწამეობრივი ცხოვრებითა და აღსასრულით ერის სულიერი გაერთიანების მეფსალმუნეა.

ქართული სახელმწიფოებრივი ზღუდეების მოშლისა და ერთიანი ქართული ცნობიერების რღვევის მოსალოდნელ საფრთხეს შეიცავს იოანე საბანისძის ავისმომასწავებელი გაფრთხილება. „აღვერიენით ერსა უცხოსა და სარწმუნოებისა ჩვენსა მაგინებელსა“. ქრისტეს სიყვარულს უნდა შეეკრა და შეედულაბებინა სრულიად საქართველო. ამიტომაც შეახსენებს იოანე საბანისძე, ქართული ეროვნული იდეოლოგიის ეს უდიდესი ბაირახტარი, არაბთა შიშისაგან მილეულ ქართველობას, რომ ამ ძნელბედობის ჟამს გაათმაგებული ენერგიით იბრძოლონ სულიერი წონასწორობის შესანარჩუნებლად.

ქართული სახელმწიფოებრივი მთლიანობის აღმავლობის თვალსაზრისით საპროგრამო მნიშვნელობის თხზულებად გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ უნდა ჩაითვალოს. ეროვნული ერთიანობის იდეა აქ ამ დროისათვის გაფურჩქვნის სტადიაშია. გრ. ხანძთელი დაუფარავად აცხადებს ქვეყნის კონსოლიდაციის აუცილებლობას: „ქართლად ფრიად ქვეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.[2] ქართველობის ერთსულ და ერთხორც შეკავშირებაში აქტიურ თანადგომას ბაგრატოვანთა დინასტიას ქართული ეკლესია უწევდა, როგორც ქვეყნის სულიერი და კულტურული მთლიანობის გარანტი.

გიორგი მერჩულეს ფორმულირება უშუალო გამოძახილს პოულობს კ. გამსახურდიას ეროვნულ-პოლიტიკურ მრწამსთან და ცხოვრებისეულ კრედოსთან. მწერლის დევიზი „წინ მერჩულესაკენ“ წმინდა ლიტერატურულ თვალსაზრისთან ერთად პოლიტიკური მნიშვნელობის დატვირთვასაც ატარებს. გრ. ხანძთელის თაოსნობით ჩაყრილ ეროვნული მთლიანობის იდეის ბალავარს ბზარი გასჩენოდა. ამ ბზარის გამრთელებას ქადაგებს მწერალი, როგორც ენობრივ, ასევე ეროვნულ-პოლიტიკურ ჭრილში. კ. გამსახურდია მწარედ აღიქვამს ი. ცურტაველისა და გ. მერჩულეს მიერ აღზევებუ-

ლი ენის კვლავ დაკნინებასა და დაწრეტას. იაკობ ხუცესის, რუსთაველის, მერჩულეს, პეტრიწონელის, საბა-ორბელიანის და დავით გურამიშვილის უბრწყინვალესი ენა ჩვენი ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალის მეოხებით ისეთ ოჩოფეხებზე შემდგარ არსებად იქცა, როგორიც იყო ანტონ კათალიკოსის ოცობედა მეტყველება, ხოლო მეცხრამეტე საუკუნეში ეს ენა გალატაკების, დაშრეტის ზღურბლს მიადგა.

კ. გამსახურდიას მრწამსით ქართულ ენის სინტეთური ერთიანობა ჯერ კიდევ გ. მერჩულეს შემოქმედებაში იღებს სათავეს და თავის აპოგეას შ. რუსთაველის პოემაში აღწევს. მწერალი წერს: „ქართული ენის სინთეტური ერთიანობის ნაყოფია რუსთაველი. იგი იმ ეპოქაშია წარმოშობილი, როცა ქართული სიტყვა ტომობრივი დიალექტების გადაღმა იდგა, როგორც სპონტანური, უაღრესად თავისებური მოვლენა: და სიტყვა ქართული დიალექტებით გამოჯნულ როდი იყო, არამედ ერთობლიობის მწვერვალამდის ასული. რუსთაველი, საბა-ორბელიანი, გიორგი მერჩულე და დავით გურამიშვილი მთლიანი საქართველოს მესიტყვენი იყვნენ“.[3]

კ. გამსახურდიას მინიშნებით შ. რუსთაველის ენამ უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს ნაციონალური თვითცნობიერების ისტორიაში და ქართველი ხალხის ერთსულად ჩამოყალიბების პროცესში. პოეტი შეგნებულად წარმოსახავს შვიდი სამეფოსაგან გაერთიანებული მეფის ფარსადანის სულიერ მღელვარებას, რაც გამოწვეულია ერთ-ერთ სამეფოში მოსალოდნელი პოლიტიკური განკერძოებითა და განაპირებით. თუმცა პოეტი თანმიმდევრულად გვიჩვენებს ამ სამეფოს მესვეურის სარიდანის ეროვნულ-პოლიტიკურ სულისკვეთებას. მას თხემით-ტერფამდის აქვს გაცნობიერებული სახელმწიფოებრივი მასშტაბით აზროვნება და მზადაა თავისი სამშობლო ინდოეთის მმართველს ნებით შემოავედროს და მის ერთიან არტახებში მოაქციოს:

„შესთვალა, შენ გაქვს მეფობა ინდოეთისა სრულისა,
აწ მე მწადს, თქვენსა წინაშე მეცა ვცნა ძალი გულისა.
სახელი დამრჩეს ჩემისა ერთგულად ნამსახურისა“.

სარიდანის მიერ გადადგმულ პოლიტიკურ ნაბიჯს საქართველოს წარსულშიც მოეძებნება ანალოგი. როცა ფარნავაზ მეფემ ერთიანი საქართველოს სახელით ეგრისის მმართველს ქუჯის დახმარება სთხოვა და აზონის წინააღმდეგ ერთიანი გალაშქრება შესთავაზა, მას ერთი წამითაც არ უყოყმანია. სახელმწიფოებრივი ინტერესები პირადულზე მაღლა დააყენა, უარი თქვა თავისი ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველობაზე და მომავალ საქართველოს მეფეს სულიერი ძმობა შესთავაზა: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი“.[4] აზონის განდევნის შემდეგ ფარნავაზი ერთიანი საქართველოს მეფე გახდა, ხოლო ქუჯი — ერისთავი ეგრისისა. ეს იყო დრო, როცა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნება ჩრდილავდა განაპირებისა და განკერძოების შეგრძნებას.

სავარაუდოდ, შოთა რუსთაველი ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებას“ იცნობდა და ამ წიგნში ასახული ფარნავაზ მეფისა და ქუჯის ურთიერთდამოკიდებულების ამბავი შესაძლოა თავისი პოემის სიუჟეტური ქარგის სარჩულადაც გამოეყენებინა. ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოებაც, რომ წარსულში შემდგარი პოლიტიკური კავშირი ფარნავაზ მეფესა და ქუჯს შორის ისეთივე დამოყვრებით იქნა ხელდასხმული, როგორი დამოყვრებითაც განსრულდა ფარსადანისა და სარიდანის პოლიტიკური შეერთება. კ. გამსახურდიას აზრით, როგორც დანტე ალიგიერმა ჩაუყარა საფუძველი მთლიანი იტალიის იდეალს, ასევე შ. რუსთაველიც ექვსი საუკუნის მანძილზე აკავშირებდა სრულიად საქართველოს, რომელმაც „ბაგრატიონებზე უფრო ხანგრძლივად და მკვიდრად შეგვინახა საქართველოს ტახტი და მისი დროშა“.[5] ამიტომაც

უწოდებს მწერალი მას ქართული სულის არისტოკრატსა და დიდ პატრიციუსს ქართული პოეზიისა.

შ. რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ თანმიმდევრულად ეწევა ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს აპოლოგიას. საგულისხმოა ისიც, რომ სამეფო თათბირზე მიღებული გადაწყვეტილება ნესტან-დარეჯანის ხვარაზმშას შვილზე დაქორწინების თაობაზე თავად ნესტანის მიერ გაცნობიერებულ იქნა, როგორც ინდოეთის რღვევისა და დაქუცმაცების საშიშროება. ერთიანი ინდოეთის განსხეულების თუნდაც უნებლიე მცდელობას არავის ჰპატიობს ნესტანი:

„ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთი, ხანი ვერა დაჰყო,
თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო!“

ნესტანი ტარიელთან დადებულ სიყვარულის ფიცზე უფრო მაღლა სახელმწიფოებრივ ინტერესებს აყენებს. მან კარგად უწყის, რომ ფარსადანისა და ტარიელის მოსალოდნელმა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ შესაძლოა შინაურ ინვაზიებში გახვიოს ქვეყანა:

„შენ და იგი წაიკიდნეთ ინდოეთი გარდაქარდეს“.

ამიტომაც ნესტანი იძულებულია სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ტარიელს ხვარაზმშას სიძის მიპარვით მოკვლა დაავალოს:

„ჰკადრე თუ სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა,
ჩემია მკვიდრი მამული, არ მივცემ არცა დრამასა“.

კ. გამსახურდია ავთანდილის მიერ უდანაშაულო ხვარაზმშას ძის მოკვდინებას ქვეყნის ერთიანობის აუცილებლობისა და ღვთაების ნებისაგან განთავისუფლებული ადამიანის

პოზიციიდან ხსნის, რომელსაც თავმოყვარეობის შეულახაობასთან ერთად ნაციონალური ინტერესები ამოძრავებს. რუსთაველის პოემაში რენესანსის ჰანგებმა უფრო ადრე გაიჟღერეს, ვიდრე დასავლეთ ევროპელ პოეტთა შემოქმედებაში. ეს მაშინ წარმოჩნდა კარგად, როცა ცენტრალიზებული ქვეყნის ტახტზე პრეტენზიას აცხადებს არა გვაროვნული არისტოკრატიზმის წარმომადგენელი, არამედ პირადი ღირსებით შემკული პიროვნება.

მწერლის განცხადებით, „არასოდეს არავის შეუქმნია რაიმე დიდი და შესანიშნავი, ვინც რომელიმე მძაფრი იდეისგან არ ყოფილა შეძრული და აღტყინებული. რუსთაველი ისე მოწიწებით აღწერს მეფეთა კარს, მათ ნადიმებს და ომებს, იგი უთუოდ იქნებოდა თამარისეული იმპერიის ექსპანსიათა თანამზრახველი. რუსთაველი, დავით გურამიშვილი და საბა-ორბელიანი ქართული ერთმეფობის აპოლოგეტები იყვნენ“.[6]

ეროვნული მთლიანობის იდეა აღორძინების ხანის ქართული მწერლობის მასულდგმულებელ წყაროს წარმოადგენდა. ამ დროისათვის მრავალ სამეფო-სამთავროდ დაქუცმაცებულ საქართველოში იმდენადაა დაქვეითებული ეროვნული ცნობიერება, რომ კუთხეები მოსისხლე მტრებივით ებრძოდნენ ერთმანეთს მცირეოდენი გამორჩენის მიზნით. ქვეყანაში არ არსებობდა ერის კონსოლიდაციისაკენ მიმართული პროგრესული ძალა, რომელიც შეაჩერებდა სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მოშლას და ხელს შეუწყობდა ერის ერთ ფსიქიკურ და ეროვნულ ერთეულად ჩამოყალიბებას. საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზმი სასიკვდილო არეცელზე იწვა და მას ყოველი მხრიდან აყენებდნენ სასიკვდილო იარებს. ვინმეს თუ გაახსენდებოდა და სასიკეთო ქმედებას განიზრახავდა ქვეყნისათვის, აქ გამოჩნდებოდა ის მანკიერი თვისება, არჩილმა რომ ამოიკითხა ქართველი კაცის ხასიათში:

„ასრე სჭირს საქართველოსას
დიდებულთ, გინა მცირეთა
აზვავდებიან, იტყვიან
უჩემოთ ვინ იმღერეთა?“

ქვეყნის დაქცევის ეს შეუქცევადი პროცესი კარგად შეამჩნია პოეტმა და ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების დიაგნოზიც თავადვე დასვა. არჩილი პიროვნების ზნესრულობას და ქრისტიანულ ღვთისმოსაობას მიიჩნევს ქვეყნის გაერთიანების უმთავრეს ფაქტორად. ასეთ ისტორიულ გარემოში სწორედ ეკლესიას უნდა ეტვირთა განსხეულებული საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გამაერთიანებლის ფუნქცია:

„დავდევით ქრისტეს რჯულზედა ჩვენი ხორცი და სულობა“

ქრისტიანული საწყისის აღორძინებითა და ადამიანის სულიერი კათარზისით ცდილობს სულხან-საბა ორბელიანი ერის დაცემული ვინაობის აღდგენას. კ. გამსახურდია მას დიდი იდეებისა და ტკივილების მატარებელ კაცს უწოდებს, რომელმაც ეკლიანი გზით იარა მრავალტანჯული მამულის მკვდრეთით აღსადგენად და ჭეშმარიტად ავთანდილის რაინდობით ემსახურა თავის სვეგამწარებულ ქვეყანას და მეფეს. მწერლის მინიშნებით ვახტანგ VI სრულიად დავიწყნოდა ის ტრადიციები ქვეყნის მართვისა, რასაც მისი სახელოვანი წინაპრები ეწეოდნენ. კ. გამსახურდიას აზრით სწორედ ამიტომაც ამოუდგა გვერდში სულხან-საბა ვახტანგ მეექვსეს, რათა მისთვის ფხიზელი, რეალური ორიენტირი დაესახა ქვეყნის გადარჩენის გზაზე.

კ. გამსახურდიას რწმენით ენააღრეული საქართველოს მწუხარე ფონზე სულხან-საბამ ქართველობას ხელახლა აღუძრა ოცნება დიადი საქართველოს შექმნისა. მწერლის ეროვნული კონცეფცია სრულად წარმოჩნდა იგავში „ძალა ერთობისა“, სადაც სულ-სან-საბა მეფის სახელით ასე მოძღვრავს მომავალ თაობებს: „თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგეხართ მტერი აგრე ვერ გაგტეხთ, ვითა წელან შეკრული ისარი ვერ დავტეხე. თუ გაიყრებით, ესრეთ თითოთითოდ დაგლეწოსთ მტერმან, თაციცა მოიხაროთ და მოყვარეცა“.[7]



კ. გამსახურდიას აზრით სულხან-საბა ანიმალურ ნიღაბში გამოვლენილ თავის გმირებს სამარცხვინო ბოძზე აკრავს თავიანთი ანტისახელმწიფოებრივი ქმედების გამო. მწერალი წერს: „საბას დროინდელი საზოგადოების ნაღები – ჩვენი უგუნური თავადაზნაურობა – განა ცოტა საკვებს მისცემდა საბას სარკაზმს. ეს ამორალური სროვა დენაციონალიზებული და დეგრადირებული ადამიანებისა, რომელნიც საკუთარ თვისტომთა ბალღებს ქართლ-კახეთიდან, იმერეთიდან გაიტაცებდნენ და ახალციხის ფაშალიკში ჰყიდდნენ“.[8]

ქვეყნის ტერიტორიულმა და სულიერმა დაქსაქსულობამ ამაღლებული, ეროვნული იდეალები ჩაჰკლა მოსახლეობაში და ქართველობის სულიერი დაცემა გამოიწვია. ადამიანთა გა-

ტაცება-გაყიდვა ლამის ყოველდღიურ მოვლენად იქცა. სწორედ ამგვარი შინააშლილობის მსხვერპლი შეიქმნა დავით გურამიშვილი, რომლის პიროვნული განცდები ორგანულადაა გადანასკვული ქვეყნის სახელმწიფოებრივ იდეალებთან. პოეტი მუხლმოდრეკით ევედრება არსთაგანმრიგეს იმაზედ, რომ ქართველების ერთმანეთთან დაპირისპირებაში მას წილი არ დაუდონ და ამ ცოდვაში ის არ გახვიონ:

„კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს,
ძმამ ძმას სახრე გარდუჭირა, მტერთ კომბალი თავში
დასცხეს“

უკუღმართად ხვნამ და ფარცხვამ ქვეყანაში შინააშლილობა და პოლიტიკური დაპირისპირება გამოიწვია, რამაც ქვეყანა უფსკრულის პირამდე მიიყვანა. პოეტი ქართველთა გადარჩენის ერთადერთ გზას ურთიერთგატანაში, ღვთისმოსაობაში და ერთსულოვნებაში ხედავს.

კ. გამსახურდია დ. გურამიშვილს თავის „სულიერ პაპას“ უწოდებდა, ვინაიდან მწერლისავე განმარტებით სწორედ დავითის პოეზიაში წარმოჩნდა მთელი სიმძაფრით ის ეროვნული იდეალები, რომელიც უშუალოდ მის სულიერ სამყაროს ენათესავება. კ. გამსახურდია დ. გურამიშვილის მსგავსად საქართველოს დაძაბუნების მიზეზს მხოლოდ ჩრდილო კავკასიელი მეზობლების დამარბეველ ლაშქრობებში როდი ეძიებს. მწერლის აზრით, ქვეყნის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ინერტულობისა და პასიურობის ჭაობში იყო მოქცეული. ეს ინერტულობა მოსახლეობაში უზნეობის გაკვეთილს ბადებდა, იწვევდა მათ სულიერ გაორებას, რაც თავის მხრივ ქვეყნის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას აფერხებდა.

კ. გამსახურდიას განმარტებით, დ. გურამიშვილის ტრაგიკული ბედი XVIII – საუკუნის საქართველოს ისტორიული სინამდვილის ანარეკლია: „გურამიშვილი განმარტოებით

სდგას გაჩანაგებულ, გავერანებულ ფეოდალების უჭკუობის, სიბეცის წყალობით აოხრებულ საქართველოს ფონზე. ამ საქართველოში მეფეები და მინისტრები უნიჭო შაირობასა და ნადირობას იყვნენ გადაყოლილნი. სულთმობრძავი მშრომელი ხალხის ნაამაგარი უჭკუო პოლიტიკისაგან გახელებულ მეზობლებს მიჰქონდა. იხრწნებოდა საზოგადოება, იშლებოდა სახელმწიფო“ [9]

ერის შინაგანი ენერგიის ამოწურვისა და ბაგრატიონთა სამეფო კარის მოუქნელი დიპლომატიის შედეგად ქართლ-კახეთის სახელმწიფომ 1801 წელს პოლიტიკური კატასტროფა განიცადა. კ. გამსახურდია XIX საუკუნეს ჩვენი ერის ისტორიის სამარცხვინო ლაქას უწოდებს, თუმცა იმასაც ამტკიცებს, რომ ამ პოლიტიკურმა დამბლამ სულიერად გააერთიანა ქართველობა. მართალია, ერთიანი ეროვნული ცნობიერება და ორიენტაცია მრავალ კუთხეებად დაქსაქსულ ქართველობას ჯერაც არ ჰქონდა სრულად ჩამოყალიბებული, მაგრამ რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში დათესილმა ბოროტებამ და სახელმწიფოებრიობის დაკარგვით გამოწვეულმა ტკივილმა ქართველი ხალხი უსაზღვრო ეროვნული პროტესტის გრძნობით განაწყო, რამაც ყველაზე მეტად ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში იჩინა თავი. ქართველთა ცნობიერებაში მთვლემარე ეროვნული ერთობის კონცეფცია ქართველმა რომანტიკოსებმა სულ სხვა ელფერით გამოაბრწყინეს და შემოქმედებითად გაითავისეს. მათ შორის ეროვნული იდეალების გამძაფრებული გრძნობითა და კილოთი ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანების პოეზია გამოირჩევა. მათ სწამთ, რომ ქრისტეს ჯვრისათვის წამებული და დამსხვრეული საქართველო კვლავაც რომ გამრთელდება. მთავარია, სრულიად საქართველომ გაიცნობიეროს ის ჭეშმარიტება, რომ ცხოვრების საზრისი შეუბღალავ ურთიერთსიყვარულში და ურთიერთმიტევებაში ძევს. ვ. ორბელიანს სწამს ქრისტეს

ჯვარისთვის წამებული საქართველოს ხვალინდელი დღის პერსპექტივა.

„კაცი ის არის, ვისაც გულს ესმის
ციური სიტყვა: ძმობა, ერთობა
და სიყვარულით აღვსილის გულით
დავრდომილ ძმათა მიეხმარება“.

გრ. ორბელიანისათვის კი ფარნავაზია ის მეფე, ვინაც ქვეყნის ერთიანობას პირველმა შთაბერა სული და ეს ერთიანი თანაცხოვრების სულისკვეთება სამარადჟამოდ დაუმკვიდრა ქართველობას:

„შენ, ჰე ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა,
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა წესი და ძალი!“

მიუხედავად ეროვნული გრძნობების გაცნობიერებისა და შემოქმედებითად გააზრებისა, ქართველ რომანტიკოსებს მოჭარბებულად ჰქონდათ გაიდეალიზებული ძველი საქართველო და ქვეყნის სამომავლო პერსპექტივას სრულად ვერ ამჩნევდნენ. კ. გამსახურდია იმიტომაც ამუნათებს მათ, რომ დასამარების მწუხრში ჩამდგარმა თავადაზნაურობამ ქართველი ხალხის არტერიებში არსებული ხელუსლებელი ენერგია ეროვნული ცხოვრების საძირკვლის ამოსაკირავად ვერ გამოიყენა. მწერალი ერთგან წერს: „მათი ბაგით უფლებააყრილი, ცხოვრების ზედმეტ ბარგად გახდილი ქართველი არისტოკრატია მეტყველებს. ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანებს მხოლოდ საქართველოს ნანგრევებზე ცრემლების ნთხევა ემარჯვებოდათ. ისინი ვერ ამჩნევდნენ, რომ ძველმა საქართველომ ერთგვარი მეტამორფოზა განიცადა. ვერ ხედავდნენ იმ

ხალხს, ჯანმრთელსა და პოლიტიკურად შეურყვნელ ქართველ ხალხს".[10]

ნიკ. ბარათაშვილი ქართული სახელმწიფოებრიობის დაღუპვის წინაპირობად ქართული სულის დანაწევრებასა და დაქსაქსულობას მიიჩნევს. პოემაში „ბედი ქართლისა" ერეკლე მეორის სულიერი პორტრეტი საკუთარ ძეთა ურთიერთდაპირისპირების ფონზეა წარმოსახული. მეფის პიროვნული ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მისი ფხიზელი თვალი ვერ ხედავს ღირსეულ ძეს თავის მემკვიდრეებში, „რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს". ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას ენერგია ამოეშრიტა. სახელმწიფოებრივი აზროვნება პირადულ ინტერესებს დაექვემდებარა. ურთიერთმტრობამ და შურლმა მამულის სიმტკიცის ბჭენი მიწას დაანარცხა, რამაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსთა ხელმწიფის ქვეშევრდომობაში მოაქცია.

კ. გამსახურდია ნ. ბარათაშვილს ისტორიის პირუთვნელ მსაჯულად ვერ მიიჩნევს პოეტის ერეკლე მეორესთან ნათესაური სიახლოვის გამო, თუმცა არ უარყოფს მის გამძაფრებულ გრძნობას თავისუფლებისადმი: „ყველა ადვილად იტანდა იმ ატმოსფეროს, რომელშიაც ქართველობის ეროვნული გახრწნის არქიდეები მუდამ ხარობდნენ, მაგრამ ვერ სძლებდა ნ. ბარათაშვილის სათუთი სუმბული-სიმბოლო საქართველოს თავისუფლებისა".[11]

ქართველთა ნაციონალური ერთიანობის დაუოკებელი სურვილით იყო შეპყრობილი იაკობ გოგებაშვილი. მწერლის აზრით, საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერება ძველად ენას, სარწმუნოებას და ლიტერატურას ეყრდნობოდა. სწორედ ამ სამმა ფაქტორმა ჩააბა ქართველობა საერთო პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში. იაკობ გოგებაშვილის აზრით, საქართველო ხშირად ერთ შეერთებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ფარნაოზიდან დაწყებული მეთექვსმეტე საუკუნემდე. მწერალი გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ

ქვეყნის ერთიანობის იდეა თანდათანობით დაიშრიტა და სახელმწიფოებრივი ფუნქციიდან ვიწრო-ეგოისტურ ზრახვებამდე დავიდა. ამის უშუალო დასტურია ერეკლე მეორის ქმედება, როცა მან დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შეერთების მცდელობა ჩაშალა და 1790 წელს თბილისში ჩამოსული იმერეთის დესპანებს ქვეყნის მთლიანობის აღდგენის თაობაზე უარი მოახსენა. სახელმწიფო დიპლომატიისა და პოლიტიკური შორსმჭვრეტელობის უნარმოკლებულობამ ამ დიდ იდეას ფრთები შეაკვეცა და ერთი სკიპტრის ქვეშ ვერ მოაქცია სრულიად ქართველობა. მწერლის აზრით, ქართველობა მეცხრამეტე საუკუნეშიც მიუხედავად სახელმწიფოებრიობის დაკარგვისა, მაინც ერთიან ნაციას შეადგენს – გამსჭვალული მაღალი გრძნობით და ღრმა მისწრაფებით.

ქართული სისხლის განახლებისა და ერის სულიერი აღზევებისათვის საჭიროა ხშირი დამოყვრება და დაქორწინება სხვადასხვა კუთხის ქართველთა შორის. საქართველოს მრავალფეროვანმა ბუნებამ სხვადასხვა კუთხის შვილებს განსხვავებული აგებულება მიანიჭა და ეს ფიზიკური და ფსიქიკური განსხვავება იმდენად შესამჩნევია, რომ სხვადასხვა ჩამომავლობის ერის შვილების შთაბეჭდილებას ტოვებს. რათა მოხდეს „სხვადასხვა ფეროვანი“ ქართველობის გაერთფეროვნება დიდი მნიშვნელობა ენიჭება გენეტიკურ თანააღრევას. დამოყვრებასთან ერთად უნდა მოხდეს კუთხეების გონებრივი და ზნეობრივი შეკავშირება.

ერის განსხეულების და დაშლილი ფსიქოლოგიის აღდგენის აქტიური მებრძოლია აკ. წერეთელი. პოეტს მიაჩნდა, რომ დამონებული საქართველოს გათავისუფლება რუსების უღლისაგან სწორედ ერის სულიერი გამთლიანებით იყო შესაძლებელი. მისთვის სასურველი საქართველო ის აწყობილი ჩონგურია, სადაც ყველა სიმი ჰარმონიულ ჟღერადობას გადმოსცემს:

„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
შეუხმატკბილე ერთმანეთს, ოდელა, დელა, დელაო“.

ჩონგური აკაკისათვის საქართველოს სულიერი და ტერიტორიული ერთმთლიანობის სიმბოლური ხატია, და ამ ხატს ყველა ჭეშმარიტი ქართველი უნდა ეთაყვანოს: „როგორც ჩონგურს სიმები, ისე საქართველოს სხვადასხვა მხარეები, სხვადასხვა კუთხეები აქვს მიბმული. ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, ლეჩხუმი, რაჭა, ლაზისტანი, ფხოვი, ხევსური და სხვა და სხვა. თითოეულს ამ მხარეთაგანს სხვა და სხვა ბუნების გავლენით, თავისი საკუთარი ხასიათი, ჩვეულება, ზნე და საკუთარი ცხოვრების პირობები აქვს. კერძოდ, ცალ-ცალკე ძალას და მნიშვნელობას მოკლებულნი არიან, მაგრამ შეერთებულად კი შეადგენენ ძლიერსა და ვრცელ საქართველოს“.[12]

სწორედ ამიტომ მიიჩნევს კ. გამსახურდია აკაკი წერეთელს სრულიად საქართველოს შემდულაბებელ ძალად. მწერალი ერთგან აღნიშნავს: „1915 წელს მთაწმინდაზე გაიხსნა პირველი ეროვნული ყრილობა. ამ ყრილობას თავმჯდომარეობდა აკაკი. აკაკის სამარის ირგვლივ პირველად მოიყარა თავი გაერთიანებულმა მთლიანმა საქართველომ... აკაკის სამარესთან მოხდა საქართველოს გაერთიანება.“[13]

აკაკის ოცნება იყო გაერთიანების ბილიკზე მიმავალ ქართველს „ქვეყნის საწყენი“ არა საკუთარი კუთხის პოზიციიდან წყენოდა, არამედ სრულიად საქართველოს თვალსაწიერიდან:

„მას შემდეგ, რაც საქართველო
ორ ნაწილად გაყოფილა,
მშვიდობა და მოსვენება
აღარც ერთში არ ყოფილა.

გვავიწყდება რომ ძმები ვართ
ერთმანეთის განაყარი,

ერთი სისხლით მორწყული გვაქვს
მინდორი, ტყე, მთა და ბარი.

ერთი დედის ძუძუები
არის ამერ-იმერეთი,
ჩვენ ძმები ვართ ტყუპისცალი
საქართველო — დედა ერთი!

ცალი ძუძუ რომ ჩამოსჭრან
და შიმშილმა მოჰკლას ერთი
ცალ ძუძუს და მეორე ძმას
რაღა შვებას მისცემს ღმერთი".

აკ. წერეთელი გამოთქვამს კმაყოფილებას იმის გამო, რომ ერთი სისხლის და ხორცის თანაზიარნი ძმები კვლავაც უხრწნელი კავშირით ერთიანდებიან. სრულიად საქართველო ზეიმობს სამეგრელოს დედა-საქართველოსთან იურიდიულად შემოერთებას. აკ. წერეთელი ვერ მალავს აღტაცებას ოსმალეთის საქართველოს შემოერთებით. პოეტი შეახსენებს დაკარგულ ძმებს, რომ მიუხედავად სამსაუკუნოვანი გაყრისა, იმდენად დიდია მრავალსაუკუნოვანი ერთობის ძალა, რომ მისი ათინათი დღესაც აცისკროვნებს ახლად შეერთებული ძმების სულიერ სამშვინველს.

აკ. წერეთელი იმდენად იყო შეპყრობილი საქართველოს განსხეულების გამუდმებული შიშით, რომ ვაჟა-ფშაველას ენაც კი დაუწუნა კუთხური კილოსათვის დამახასიათებელი ჟღერადობის გამო. აკ. ბაქრაძემ სამართლიანად აღნიშნა ამ ორი დიდი პოეტის დაპირისპირების მიზეზი. „ერთიანობის თვინიერ აკაკი შეუძლებლად თვლიდა საქართველოს განთავისუფლებას. ამიტომაც აშინებდა ქართველი ერის ერთმთლიანობის დაშლის ყოველი მინიშნება. ეს შიში გამომჟღავნდა იმ ლექსში, ვაჟას რომ მიუძღვნა: „ენას გიწუნებ ფშაველო, მგოსანო მაღალ მთისაო".[14]

თუმცა საქართველოს დანაწევრების შიში ვაჟა-ფშაველასაც არანაკლები ძალით ჰქონდა გამძაფრებული და აკაკის პასუხად ქვეყნის ერთმთლიანობის საბრძოლო ჰიმნი ააჟღარუნა. თითქოს ამ მთლიანობით საქართველოს საგალობლის მოსმენა ეწადა აკაკის, რათა თავად დარწმუნებულიყო მთისა და ბარის ერთიანობაში, ვაჟკაც მთიელთა შემართებაში და შეუვალობაში.

„აქაც ხომ ქართველები ვართ
ყვავილი აქაც ჰყვავისა
ხატად ჰყავ სალოცავ ხატად
მთიელთ სამშობლო თავისა.
...მე არც ერთ ენას არ ვწუნობ
თუა ქართული გვარისა“.

კ. გამსახურდიაც არ უარყოფს ვაჟას პოეზიაში კუთხური კილოს დომინანტობას, თუმცა მისი გენია ამ კუთხურობას აღემტებოდა. მწერალი წერს: „ვაჟას ჰქონდა კუთხური, ფშაური კილო, მაგრამ საერთო ფონი მისი მეტყველებისა იყო ძველქართული. ეს მოსავდა მას დარბაისლური ეპიურობის შარავანდით“.[15]

ვაჟა-ფშაველა მთელი არსებით ლამობს მთა და ბარი ერთი ტკივილითა და საერთო ზრახვით შეკრას. მთას ბარის საჭიროება და ბარს მთის თანადგომა შეახსენოს. ვაჟას ახარებს ერთმანეთზე დამძახრებული კუთხეების გაერთიანების დაწყება და იმერეთს მიმართავს საქართველოს გაერთიანების საქმეში თავისი წილი დაიდოს:

„ერთხანად ჩემო მძრახაო,
ლიხს – იქეთურო დედაო
ვხედავ, რომ შემრიგებიხარ
მით შენთან სალამს ვბედავო.

შაერთებულად შენშია
ქართლსა და კახეთს ვხედავო
ფარ-ხმალო საქართველოსავ,
სხვაცა გბაძავდეს, ნეტაო!“

ვაჟა ჟშაველას ცნობიერება მთლიანად დაზაფრულია იმ მოსალოდნელი საფრთხით, რომელსაც ქართველთა ერთმთლიანობის ავისმოსურნენი შეგნებულად ქმნიდნენ, რათა ისედაც დაზაფრული და დაკნინებული ქვეყანა განსხეულების ორომტრიალში მოექციათ.

ერთიანი საქართველოს იდეის დამკვიდრების ტენდენცია გასდევს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. ილიასათვის საქართველოს ნივთიერი და სულიერი დაქსაქსულობა „ბალღამში ამოვლებული ჭეშმარიტება“ გახლდათ. მწერალი ქვეყანას იმ ხავსმოკიდებულ გუბეს ადარებს, რომელშიაც ათასზე მეტი ნაკადული მიედინება და ერთმანეთის სიშორის გამო ცალ-ცალკე იწრიტებიან. ქართველობაც ასე განიძარცვა და განიყო. მას საერთო ძარღვი გაუწყდა. ერის ბედნიერების სამარეც მაშინ გაითხარა, როცა საერთოძარღვგაწყვეტილ, დარღვეულ სახელმწიფოში ერთობის კავშირი გაწყდა.

ბევრმა სახელოვანმა მეფემ სცადა ქვეყნის დარღვეული მთლიანობის აღდგენა, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ. თუმცა ანდერძი ამ სურვილის პრაქტიკული აღსრულებისა მომავალ თაობებს გადასცეს. ილიას აზრით, სწორედ მისმა თაობამ უნდა შესძლოს ამ ერთობისა და საზოგადოებრივი კავშირის გამობრწყინება, ერთმანეთზე დამდურებული და ზურგშექცეული ქართველობის საყოველთაო სურვილით დარაზმვა.

ქვეყნის გამთლიანების საქმეში პრიორიტეტული მნიშვნელობა ისტორიული ერთობის აუცილებლობას ენიჭება. ერის ისტორიულ ულელში ცხოვრების რიტმს მოწყვეტილმა ქართველობამ კვლავაც უნდა იგრძნოს ხალხის დარღვეული მაჯისცემა და საერთო ქართული გრძნობის აღზევება. ამი-

სათვის უმთავრესია ქართველობაში გაწყვეტილი საერთო ცხოვრების ძარღვის გამრთელება. თითოეული ქართველი, რომელი კუთხის მცხოვრებიც არ უნდა იყოს ის, თავისი საერთო ისტორიით უნდა სულდგმულობდეს, ვინაიდან სწორედ იმ ერს აქვს ნათელი პერსპექტივა, რომელიც ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობითა და ერთგულებითაა ძლიერი.

ილია ჭავჭავაძის ეროვნული შემართება და განწყობა პატრიოტულ გრძნობებს აღვივებდა ქართველობაში. მხოლოდ ერთ მთლიან ორგანიზმად ჩამოყალიბებულ ერს შეეძლო ოსმალების მიერ წართმეული ტერიტორიების დედა-საქართველოსთან შემოერთება. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის განცდა იმდენად მასშტაბურია, რომ ათასობით ქართველი დაუფიქრებლად მიეშურებოდა ბრძოლის ველზე. სამცხისა და აჭარის შემოერთებით ერთმანეთისაგან დაშორებულმა და ცალ-ცალკე მოარულმა ქართველობამ შეიცნო, რომ ღონე ერთობაშია, ერთად თავ-მოყრაში და საერთო უღლის გაწევაში.

ილია ჭავჭავაძე ერის კონსოლიდაციისა და ქვეყნის სახელმწიფოებრივის აღდგენის გზაზე უდიდეს მნიშვნელობას ქრისტეს სჯულს ანიჭებს. ქართველობა მოქცევის დღიდან ქრისტიანულ მრწამსს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მასშტაბით აღიქვამდა, რასაც თავად მწერალი ადასტურებს: „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებათა აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად“.[16] კ. გამსახურდია ერის დაქსაქსულ და დანაწევრებულ სახელმწიფოებრივი ორგანიზმისათვის ბრძოლაში ილიას ამაგსა და ღვაწლს განუზომელ მნიშვნელობას ანიჭებს. მისი აზრით, „არც ერთი ქართველი უკანასკნელ 7 საუკუნისა არ ყოფილა შეპყრობილი საქართველოს გაერთიანების ისეთი წყურვილით, როგორც იყო ილია ჭავჭავაძე“.[17]

თერგდალეულების დაულალავ ქმედებასა და მარტვილობას ერის სულიერი და ნივთიერი გაერთიანების საქმეში გ. ტაბიძეც აღნიშნავდა. სრულიად საქართველოს იდეის აუცილებლობა მტკიცად გამომუშავებული რწმენა იყო მომავალი თაობებისთვის. პოეტის აზრით, ილიასა და აკაკის ეროვნულმა იდეებმა ნაციონალური თავმოყვარეობა და შელახული ღირსება აღუდგინა ხალხს: „მრავალი პოეტი მისცა საქართველოს მე-19 საუკუნემ, მაგრამ ისეთი, რომელიც მთლიანად გამოხატავდა თავის დროსა და მთელ საქართველოს, პოეზიაში აკაკის მსგავსი არავინ არ არის. მასზედ ამბობდნენ: უგვირგვინო მეფეაო, აბა, რომელმა გვირგვინოსანმა მეფემ ხმლისა და ბრძოლის გარეშე, ჯერ სად და როდის შეაერთა და სულიერად გააერთიანა თავისი ქვეყანა ისე, როგორც ეს ჩაიდინეს ილიამ და აკაკიმ – მარტოოდენ თავიანთი სტვირით, ჩონგურით, სალამურით, ბუკით, ნაღარით, დაფდაფით, ჩანგითა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით. ილიასა და აკაკის მოღვაწეობის შედეგად შეიქმნა შესაძლებელი ამის თქმა: „ქართლ-კახეთი იმერეთი, გურია და სამეგრელო, ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო“.[18]

XX საუკუნის გარიჟრაჟზე ეროვნული მთლიანობის იდეამ შიდაკლასობრივი და პარტიული ხასიათი მიიღო. ეროვნული ენერგია ვიწროკლასობრივი ინტერესების ფარგლებში მოექცა, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა ქართველი ხალხის განსხეულების პროცესი. თავად ქართული დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის დაღუპვის მიზეზიც ერის წიაღში არსებული შინაგანი ენერგიის ამოწურვა და დაშრეტა იყო. იდეოლოგიურმა დაქსაქსულობამ ხელი შეუშალა ქართველი ხალხის ეროვნული ძალების სრულ მობილიზაციას ეროვნული სახელმწიფოს ასაშენებლად. ქართველი ხალხის მთლიანობის რღვევისა და ერის დაცემის ეს პროცესი კარგად შეამჩნია მიხ. ჯავახიშვილმა, რომლის ლიტერატურული პერსონაჟი თეიმურაზ ხევისთავი თავად იყო მსხვერპლი სა-

ქართველოს სულიერი დანაწევრებისა: „ქართული სული! ქართული კულტურა! ქართული სული ზღაპარია, ქართული კუტურა ჭორია! ერთი სული მხოლოდ ერთს მთლიან ერს აქვს. ქართველობა კი, როგორც ფსიქიკური და ეროვნული ერთეული არ არსებობს.



კონსტანტინე გამსახურდია და ძმები აბაშიძე (შუაში), ქ. ფოთი, 1918 წ.

საიდან და როგორ უნდა შექმნილიყო ერთიანი ქართველი ერი და კულტურა?! ორი ათასი წელიწადი მაინც იქნება, რაც ამერ-იმერეთი ერთ ნაჭერ მიწაზე ვცხოვრობთ. ერთად, კი, ერთიან სახელმწიფოებრივ და ეროვნულ შენობაში ორასი წელიწადიც არ გვიცხოვრია. ერთმანეთს ჭირიანებივით გავურბოდით და ისე ვერიდებოდით თითქოს სხვადასხვა ტომის და სისხლისანი ყყოფილიყავით. მუდამ ცალ-ცალკე ვიღუპებოდით და ცალ-ცალკე ვშენდებოდით. ეროვნული ენერგია და ნებისყოფაც ასე გაგვეფანტა".[19]

ნ. ლორთქიფანიძის ისტორიული ხასიათის მოთხრობებს სევდიანი განწყობილება ახლავს, რომელიც გამოწვეულია ქართველი ხალხის ცნობიერებისა და შეგნების დეგრადაციით. საუკუნოებრივმა გაუცხოებამ თავი შხამიანი დაღი იმდენად დაამჩნია ქართველი კაცის ეროვნულ ცნობიერებას, რომ საქართველოს გაერთიანებაზე ფიქრიც კი სახელმწიფო დანაშაულის ტოლფასად ითვლება. მწერალს სრულყოფილად აქვს დახატული, თუ როგორაა დაკარგული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზანი და იდეალი, თუ როგორ იხარჯება მთელი ხალხის ენერგია ფუჭად. სამართლიანად აღნიშნავს აკ. ბაქრაძე: „ქართველი ხალხის მთლიანობის იდეის დაკარგვამ გამოიწვია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნების გაღატაკება და ის გვაროვნულს, ოჯახურს ველარ გასცდა. ამის შედეგად დაიბადა ყველა ზნეობრივი მანკიერებაც და ეროვნული ყოფის შემაძრწუნებელი სურათი".[20]

ნ. ლორთქიფანიძის აზრით, ერი უნდა ამოქმედდეს, მისი ენერგია ვულკანისებურად უნდა ამოიფრქვას და საერთო მიზნის ხორცშესხმისათვის წარიმართოს გეგმაზომიერად. თუ ქვეყნის ეროვნული მთლიანობა აღსდგება, მაშინ დაიბადება მეორე შოთა, აშენდება გელათი და სვეტიცხოველი. მახვილის მტვირთველს კულტურის მესაჭე შეენაცვლება. საქართველოს გაერთიანების დაუოკებელი სურვილი მოცემულია მწიგნობარ

ოტიას ტირადაში, სადაც ყველა ჭეშმარიტი ქართველის გრძნობებია გახმიანებული:

— „საქართველო ირგვლივ მტრებითაა გარემოცული. ოსმალო, სპარსი, ლეკი, ახლა და ახლა სხვებიც ძლიერდებიან ცალ-ცალკე. ქართლი, კახეთი, გურია, ოდიში ვერ გაუძლებს მოზღვავებულ მტერს, ნელ-ნელა გვწეწენ, გვანიავებენ... მაგრამ თუ ერთად ვიქნებით, თუ შინაური შფოთი მოისპო, მეფე თუ გვეყოლა ძლიერი და დიდებულთაგან დამოუკიდებელი, არაფერი გვიჭირს. დრო თამარისა და დავით აღმაშენებლისა ისევ განანათლებს ღვთისმშობლისა ხვედრ ქვეყანას“.[21]

ქართველებში ნაციონალური თვითშეგნების გაღვივებას ეწეოდა გრ. რობაქიძე. მწერალი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქართველობამ საუკუნეების მანძილზე პოლიტიკურ ცხოვრებაში ვერ შექმნა მტკიცე და მძლავრი სახელმწიფო, რამაც ხელი შეუწყო ჩვენში ანარქიული ბუნების განვითარებას. გრ. რობაქიძე სასტიკი აბსოლუტიზმის მომხრეა, რაც უცხო იყო ქართულ სახელმწიფოებრივი წეს-წყობილებისათვის. ის ერთგან აცხადებს: „აბსოლუტიზმი ისტორიაში აუცილებიც არის და საჭირო. მრავალ სასტიკ მხარესთან ერთად მას აქვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი მხარეც. იგი ჰქმნის ერთს მთლიან ფსიხიკას, სასტიკი ყალიბით ასხეულებს ერის ნება-ყოფას“.[22]

მწერალს ღრმად სწამდა რომ ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის აღმოცენების კვირაძალში დაქსაქსული საქართველო გამთლიანდება და სრულიად განთავისუფლდება. ამისათვის კი აუცილებელია, რომ თითოეულმა ქართველმა საქართველო შეიგრძნოს რაინდული შემართებით. ქართველობას მუდამჟამს უნდა ახსოვდეს, რომ ის შემტევი ძალისა და მგლის ჯიშისაა. მწერალი არ მალავს თავის აღტაცებას იმის გამო, რომ ყოველ ქართველში იღვიძებს საქართველო — იღვიძებს არა წილობით, არამედ მთლად იღვიძებს. მთელი საქართველო მთელი მისი ბედით.


ეროვნული მთლიანობის განცდა განსაკუთრებული სიმაღლითა და სიმძაფრით კ. გამსახურდიას შემოქმედებაში წარმოჩნდა. ქვეყანაში არსებული ეთნიკურ-ტერიტორიული გათიშულობის ფაქტორი მოითხოვდა მწერლისაგან მეტი სიმწვავითა და მიზანდასახულობით აესახა თავის შემოქმედებაში ერთიანობის პრობლემა. მწერალი დოსტაქრის გულმოდგინებით კურნავდა ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს და ცდილობდა დიაგნოზიც შესაფერისი დაესვა ზოგიერთი ძნელადგანსაკურნებელი ეროვნელი სენისათვის. ამისათვის მას წარსულის გაკვეთილების მოხმობა არ დასჭირვებია. საქართველომ ხომ მის თვალწინ განიცადა სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული ერთიანობის ხელყოფა.

ქვეყნის სინამდვილეში და ერის ცნობიერებაში არსებული განკერძობის სენი მხატვრულ განზოგადოებას საჭიროებდა, რათა თანამედროვე ქართველს ერთიანობის გრძნობა არ დაეკარგა. კ. გამსახურდიამაც თავისი მწერლური ნიჭი საგანგებოდ საქართველოს ისტორიის იმ ეპოქის აღწერას მოახმარა, როცა ქვეყნის აღმავალი ძალა გაერთიანებისაკენ იყო მიმართული. კ. გამსახურდიას თითოეულ ნაწარმოები ეროვნული მთლიონობის იდეითა გაუღენთილი, რასაც სამართლიანად აღნიშნავს ჯ. ღვინჯილია: „კ. გამსახურდია „მთვარის მოტაცებაში“, დიდოსტატის მარჯვენაში“ და „დავით აღმაშენებელშიც“ ხედავდა მთლიან, ფსიქოლოგიურად დაუნაწევრებელ ქვეყანას. მისი გმირები სამივე რომანში საქართველოს მოქალაქეები არიან. კუთხური ინტერესები, საქართველოს კუთხეების ინტერესებს რომ ემუქრებოდნენ მუდამ მის ნაწარმოებში ისე დნება, თითქოს ცვილი იყოს. როგორი ბუნებრივობით სრულდება ეს, როგორ არ იკარგება თითოეული კუთხის ძვირფასი თვისებები და უერთდება ქართული სული ქართულ სულს. მისი სული ისწრაფვოდა ამ მთლიანობის ნიშუშისაკენ და „დავით აღმაშენებელი“ ამ გრძნობამ შეაქმნევინა უპირველეს ყოვლისა“.[23]

კ. გამსახურდია სიღრმისეულად იყო ჩახედული ერის ისტორიის ანალებში და ქართულ სახელმწიფოებრიობის იავარქმნის წინაპირობად აულაგმავ, თავაწყვეტილ პარტიკულარიზმს მიიჩნევდა. საქართველოს ცენტრალიზაციას განაპირების მასურნე ფეოდალები აფერხებდნენ მუდმივად. ამიტომაც მწერალი მათ კონდოტიერებს უწოდებს, უსამშობლო და უპრინციპო მხადართმთავრებად მოიხსენიებს, რომელთაც მამულის სიყვარული როდი ამოძრავებდათ, არამედ – ოქრო და თავმოყვარეობა. მათმა სულწასულობამ და სიხარბემ საქართველოს სახელმწიფო იდეალები შეიწირა. მწერალს არ სწამს ასეთი ეგოცენტრისტული ზრახვებით შემკული ინდივიდების ქმედება. „ჩვენ უნდა აღვგაოთ ჩვენს ბუნებაში წრესგადასული ეგოცენტრიზმი, რომელიც საქვეყნო ინტერესებს გადაალახვინებდა ხოლმე ჩვენს თავკერძა ერისთავებსა და მთავრებს. ამ ჩვენმა ისტორიულმა სენმა მიგვიყვანა ჩვენ ეროვნულ კატასტროფამდის მე-19 საუკუნის დასაწყისში. მონობის უღელი დაგვედგა ისეთ საუკუნეში, როცა ჩვენებრ მცირე ერებმა ბერძნებმა, ბულგარელებმა, რუმინელებმა და ბელგიელებმა თავისუფლება მოიპოვეს“.[24]

კ. გამსახურდიას მინიშნებით ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმის გახლეჩის მცდელობა ქართველი კაცის გაორებული ცნობიერებითა და ენერგიის ამოწურვით იყო განპირობებული. ქართველთა ისტორიული ცხოვრებაც მუდამ ცენტრიდან მსრბოლელი უპროპორციო ძალებისაგან იყო გათიშული. თუ ერთი ნაწილი ქართველობისა მშენებლის, ერის საძირკვლის როლს კისრულობდა, მეორე-მისივე „ხორცი ხორცთაგანი და ძვალი ძვალთაგანი“, საქართველოს მეორე სნეული ნახევარი, მუდამ რღვევის პროცესს უპირისპირებდა ერის მშენებელთა ლტოლვასა და საქმიანობას. ადრეულ პერიოდში მეფის ღმრთისმიერობაც იმ აზრს ემსახურებოდა, რომ ფეოდალებიც უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდნენ ღვთისწორად შერაცხულ მეფეს. თუმცა ყველა ფეოდალი

როდი იზიარებდა ამ შეხედულებას. მეფეთა და ფეოდალთა შორის ატეხილ პერმანენტულ ომში კ. გამსახურდია მეფეთა გამარჯვების მომხრეა. ამიტომაც არ სწყალობს ის გიორგი სააკაძეს, პირადი განდიდების მანიით შეპყრობილ ფეოდალს, რომლის პოლიტიკურმა ამბიციებმა და უკეთურმა ზრახვებმა ბაზალეთის ომი გამოიწვია. ამ ძმათა შორის ატეხილ ბრძოლაში მწერალი თეიმურაზ მეფის გამარჯვების მომხრეა, ვინაიდან მისივე ღრმა რწმენით საქართველოს თვით უნიათო მეფეებიც ყოველ საუკუნეში უფრო მართებელ საქმეს აკეთებდნენ, ვიდრე უჭკვიანესი და გაიძვერა მსტოვარი ფეოდალები.



კ. გამსახურდია შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „სახელმწიფოებრივი ნებისყოფა საქართველოსი, რომელიც ტფილისიდან გამოდიოდა და უნდა გამოდიოდეს, თავისი პერიფერიებისაკენ მსვლელობის გზაზე პროგრესულად როდი უნდა სუსტდებოდეს, არამედ პროგრესულად უნდა ძლიერდებოდეს".[25] სწორედ ამ არასახელმწიფოებრივი ტენდენციების უქონლობით ისარგებლეს ოსმალებმა და ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად აჭარა მიიტაცეს, რამაც ქართული საზოგა-

დოების საერთო აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია. მწერალი ამ დროისათვის გერმანიაშია. მას ერთი სული აქვს საქართველოში ჩამოვიდეს და თურქებს ანგარიში გაუსწოროს. მწერალი ასე გამოხატავს თავის შეურიგებელ პოზიციას: „აქამდის არ მაწუხებდა ომი. ახლა ბათუმისაკენ მოდიან თათრებიო და ახლა კი ამეშალა საღერღელი. რო ვიყო იქ უსათუოდ ჯარში შევალ ომი რო ვნახო“.[26]

კ. გამსახურდია მალევე გამოეშურა საქართველოსაკენ და ჩამოსვლისთანავე აქტიურ ქმედებას ეწევა. მწერალი უნივერსიტეტის ეზოში გამართულ მიტინგზე გამოდის, სადაც საქართველოს ახალგაზრდების სახელით ომს უცხადებს ოსმალეთს: „რევანში, რევანში, თურქების სისხლი დავლიოთ“, იძახოდნენ ომსმოწყურებული ქართველი ახალგაზრდები. მწერლის მეომრული მოწოდების საპასუხოდ ათას ხუთასი კაცი ჩაეწერა მოხალისედ. მწერალი მათთან ერთად გაემგზავრა ფრონტის ხაზზე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

კ. გამსახურდია თავისი სიცოცხლის უბედნიერეს წუთებს უწოდებს იმ დროს, როცა მან თურქი ასკერების მიერ ბათუმის დაკავების გამო კალამის მაგიერ მახვილი აიღო ხელში. მწერალი თავის თანამოძმეებთან ერთად საომარი საჭურველითა და საბრძოლი ყოჟიანით გაემართა ნატანებისაკენ. სამტრედიაში მენშევიკებმა მიტინგი გამართეს, სადაც ჟორდანიამ თავის სიტყვაში საბრძოლო ხელისკვეთება შთაუნერგა მებრძოლებს. თურქები მდ. ნატანებს გადაღმა დაბანაკებულიყვნენ, ხოლო ქართველებმა ბანაკი მახლობელ ტყეში დადგეს. მეორე დღეს ოსმალოებმა საშინელი კანონადა აუტეხეს ქართველებს. მწერალი ასე იხსენებს ომის ბატალიებს: „მაგონდება 1918 წლის გაზაფხულის ღამე. ასე ელავდნენ ფორტებიდან გამოსროლილი ყუმბარები. იმ საბედისწერო ღამეს გაუდრკა მუხლი ქართველ ჯარს. საშინელების მოლოდინში სახლების ფანჯრები ზანზარებდნენ. ეს არასოდეს არ დამა-

ვიწყება. არც ქართველ ხალხს დაავიწყდება ეს საბედისწერო ღამე".[27]

მიუხედავად იმ საბედისწერო ღამისა მწერალმა მაინც მოიოხა გული და იგემა თურქი ასკერების ხოცვისაგან მოგვრილი აღტაცება: „მე იმ ხიდზე ვიგემე ბედნიერება და ახლაც ვხედავ, რა ძლიერია თურმე მამულისადმი სიყვარული. ნაყარი ფუტკარსავით ბზუოდნენ ჩემს ყურებთან ოსმალოს ტყვიები. მხარდამხარ მივსდევდი ჩვენს გენერალს. საოცრად ვყიჟინებდი და ვესროდი მტრებს. ახლაც მიკვირს არც ერთი ტყვია რომ არ მომხვედრია იმ დღეს.[28] თურქი ასკერების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას ეწეოდა 25 ახალგაზრდა არტილერისტისაგან შემდგარი სოციალისტ-ფეოდალისტთა ტრაპიზონის რაზმი.

მიუხედავად იმისა, რომ კ. გამსახურდიას საბრძოლო ნათლობა წარმატებული აღმოჩნდა, ეს აღტკინება და საბრძოლო განწყობა არ შეიქმნა საკმარისი იმისათვის, რომ ბათუმი განთავისუფლებულიყო. საქართველო იძულებული იყო დროებით შერიგებოდა აჭარის დაკარგვას.

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შედეგად მიტაცებულ აჭარში შეიქმნა ნიადაგი ავტონომიის იდეის წარმოშობისა. საჭირო იყო აქტიური ქმედება, რათა აჭარლები თუნდაც ავტონომიის მოთხოვნის სახელით ერთიანი საქართველოს ოჯახს დაბრუნებოდნენ. ამ საქმეში აქტიურ როლს თამაშობდა მემედ აბაშიძე, რომლის შექმნილმა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა" აქტიური როლი ითამაშა აჭარის საქართველოსთან შეერთებაში, ვინაიდან მხარდაჭერის და თანადგომის შემთხვევაში კომიტეტი მოსახლეობას ავტონომიური უფლებების მინიჭებას ჰნირდებოდა. ამ ფაქტმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ბათუმის ოლქის საქართველოსთან დაკავშირების საქმეში. ამის დამადასტურებელ ფაქტად კი გამოდგება მუსლიმან ქართველთა მიერ შედგენილ 1919 წლის 31 აგვისტოს ყრილობის რეზოლუცია, სადაც ვკითხუ-

ლობთ: „ბათუმის ოლქის მუსლიმანთა წარმომადგენელნი, რიცხვით ასი კაცი, ვაცხადებთ ღვთისა და ქვეყნის წინაშე, რომ ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმები, ისტორიით, სისხლით და ხორცით, ენით, კულტურითა და ადათებით ვართ მუსლიმანი ქართველები.

გამოვთქვამთ შეურყეველ ნებისყოფას და მტკიცე გადაწყვეტილებას: ამიერიდან და სამარადისოდ ბათუმი და მისი ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკას ფართე ავტონომიის ნიადაგზე“.[29] ამ დოკუმენტზე დაყრდნობით საქართველომ შემოიერთა მესხეთი, ხოლო პარლამენტმა როგორც აღვნიშნეთ 1919 წლის 25 დეკემბერს სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია მიანიჭა. ამ სამუსლიმანო მხარეში გაერთიანებული იყო აჭარა, ძველი მესხეთი არდაგანის სამხრეთის ნაწილის გამოკლებით. როგორც მიუთითებს ნოზაძე „ავტონომიის გამოცხადებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამით ერთგვარად საფუძველი ეცლებოდა იმ დემაგოგიურ ქადაგებას, რომელიც მიმართული იყო ქრისტიანული საქართველოს წინააღმდეგ“.[30]

მართალია, კ. გამსახურდია დიდი სიხარულით არ შეხვედრია ამ მოვლენას, ვინაიდან მას აშინებს ქვეყნის დეცენტრალიზაცია, მითუმეტეს ისეთ ქვეყანაში, რომელსაც თვით ცუდად მოწყობილი მატარებელი 8 საათში გაივლის. ე. ი. მწერალს აშინებს ქვეყნის ტერიტორიული სიმცირე, რამაც შეიძლება პარტიკულარიზმს უარყოფითი მიმართულება მისცეს. თუმცა სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის შექმნის წინააღმდეგ ის ოფიციალურად არ გამოსულა. ამასთან ერთად ის მეგობრობდა და თანამშრომლობდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში მემედ აბაშიძესთან. სავარაუდოდ მათ მეგობრობას სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი. მათივე აქტიური თანამშრომლობისა და ძალისხმევის შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ საფუძველი ჩაეყარა ქართული ლეგიონის შექმნას, რაზედაც სამართლიანად

მიუთითებს ვაშაძე: „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან ერთობლივი თანამშრომლობით უნდა ავხსნათ კ. გამსახურდიასა და მემედ აბაშიძის მეგობრობა, რაც დასტურდება ქ. ფოთში 1918 წლის 9 აგვისტოს ერთად გადაღებული მათი ფოტოსურათით.[31]“ მეტიც, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კ. გამსახურდია აქტიურად მონაწილეობდა მემედ აბაშიძის ციხიდან დახსნაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის იმხნად, საქართველოსათვის მეტად მძიმე ისტორიულ მომენტში მიზანშეწონილად მიიჩნევდა ბათუმის ოლქისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭებას.

ამიტომაც ტრაპიზონის ციხიდან განთავისუფლებულ მ. აბაშიძეს მოუთმენლად ელოდნენ ფოთში მისი მეგობრები, რათა აჭარის საქართველოსთან შეერთების სასურველი პერსპექტივა დაესახათ. მოგვიანებით თავად ასე იგონებს გარდასულ დღეებს მ. აბაშიძე: „ბედმა არ გვიმტყუნა. დიდ საფრთხეს გადავურჩით და 1918 წლის 9 აგვისტოს ფოთში ჩავედით. მეგობრებმა ყადარი შერვაშიძემ, სულეიმან დიასამიძემ, მწერალმა კ. გამსახურდიამ, ზია აბაშიძემ დიდის ამბით მიმიღეს“.[32] უმთავრესი იმხანად ქართული მიწა-წყლის დაბრუნება იყო. მწერალი რა თქმა უნდა ანგარიშს უწევდა მთავრობის გადაწყვეტილებასაც და ნ. ჟორდანიას მიმართვასაც: „თანახმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს დემოკრატიული მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს, რომ სამუსლიმანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიას“.[33] მაგრამ თუ ბათუმის ოლქის ავტონომიის შექმნით აჭარა როგორც ეთნიკური ერთეული არ ფიგურირებდა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებმა აჭარლების არაქართველებად მიჩნევის საფუძველზე მოამზადეს ნიადაგი „ბათუმის სამუსლიმანო ავტონომიის“ „აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკად“ გადაქცევისა, რაშიც დიდი როლი ითამაშა ბოლშევიკური აგენტურის

მიერ შექმნილმა „აჭარისტანის მეჯლისმა“. ეს მეჯლისი თავისი საქმიანობითა და მოღვაწეობით ანტიქართულ პოზიციებზე იდგა და უპირისპირდებოდა მემედ აბაშიძის გამათავისუფლებელ კომიტეტს. 1921 წლის 9 ივლისს „აჭარისტანის მეჯლისის“ წევრებმა ჰასან ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით საქართველოს რევკომს მემორანდუმი წარუდგინეს, სადაც წერია:

„თავისუფალი აჭარისტანის მეჯლისის დელეგაცია თანახმაა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნაზე, როგორც საქართველოს II რესპუბლიკის ნაწილისა“.[3134]

მემორანდუმში მითითებულია ცენტრსა და ავტონომიას შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის თაობაზე. საუბარია იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, მიწათმოქმედების, ფინანსების და სხვა თვითმართველობით სახელმწიფო ორგანოების შექმნაზე. მემორანდუმი დიდსულოვნად უთმობდა პრიორიტეტს ცენტრალურ ხელისუფლებას საგარეო საქმეთა და საგარეო ვაჭრობის საქმეში. სამხედრო საქმეებს უნდა გაძღოლოდა ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც საქართველოს სამხედრო კომისარიატის დაქვემდებარებაში იქნებოდა.

ამ მემორანდუმმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ქართულ საზოგადოებრიობაში. ქართულმა პროგრესულმა ინტელიგენციამ მასში სეპარატისტული ტენდენციები დალანდა. ვ. კოტეტიშვილი ამ მემორანდუმთან დაკავშირებით წერდა: „აჭარის მოწყობა მხოლოდ მეჯლისის საქმე როდია, ეს ჩვენი საქმეც არის და, თუ გნებავთ, ეს საქართველოს საქმეა, რადგან აჭარელი ქართველია. არავის არ მივცემთ გაუმართლებელი პრეტენზიებით იაროს ჩვენს ქვეყანაში და გამოუანგარიშებელი სურვილებით ჰგლიჯოს ქართველი ერის ისედაც დაგლეჯილი ტანი“.[35]

კ. გამსახურდიამ იცის, რომ ასეთი მემორანდუმები პოლიტიკური ატმოსფეროს ზეგავლენით იწერება, მაგრამ კუთხის (ამ შემთხვევაში აჭარის) სახელწოდების განსაზღვრულ ეგიდათ ავტონომიური ერთეულის შექმნა ყოვლად მიუღებელია საქართველოსათვის, ვინაიდან ეს ფაქტი ცუდ ტენდენციას შექმნის სხვა კუთხეებისათვისო. მწერალი კარგად ხედავს, რომ ამ მემორანდუმის მიღება სხვა კუთხეებსაც გაუჩენს ანალოგიურ სწრაფვას შეუზღუდველი უფლებების გაფართოებისა. მას აღელვებს ის გარემოება, რომ განკერძოებისაკენ სწრაფვის მავნე ტენდენცია გადამდები არ გახდეს სხვა კუთხეებისთვისაც. ის არ მალავს უკმაყოფილებას ამ ფაქტთან დაკავშირებით. „როდესაც გამოცხადდა აჭარისტანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ერთ-ერთ გაზეთში მე სასტიკად გავილაშქრე ამის წინააღმდეგ, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, არ მომწონს სახელი, ეს რაღაც „სტანი“, და მეორეც, მგონია, რომ თუ აჭარისტანი დამოუკიდებლად გამოცხადდა, მაშინ ოსმალები ჩხიკინს დაიწყებენ. გარდა ამისა, ერთმა კუთხემაც წამოყო თავი და თქვა, მეც მომეცით დამოუკიდებლობა?!“[36]

მწერლის მითითებით თუ მენშევიკური ხელისუფლების პერიოდში სამუსლიმანო ავტონომიის გამოცხადებას ჰქონდა დადებითი მომენტები, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბათუმის ოლქის ნაცვლად „აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკის“ შექმნას არავითარი იურიდიული უფლება არ გააჩნდა, ვინაიდან ამგვარი პარტიკულარიზმი უწინარეს ყოვლისა ქართველი ხალხის მტრების წისქვილზე ასხამდა წყალს.

უპირველეს ყოვლისა, მწერალი გაღიზიანებულია მემორანდუმის ტონით და ამ ტონში უცხო სახელმწიფო უფრო შეიგრძნობა, ვიდრე რომელიმე ერთი კუთხის მოკრძალებული პრეტენზიები. ამ ტონში იგულისხმება ის ფაქტი, რომ აჭარა მეჯლისით თანახმაა შევიდეს ს. ს. რესპუბლიკის შემადგენლობაში. ასეთი მიმართვა ყოვლად მიუღებელია მწერლისათ-

ვის, ვინაიდან ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიხედვით აჭარა საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და რომელ „შესვლაზეა“ საუბარი. მწერალი აღშფოთებას არ მალავს იმის გამოც, რომ მემორანდუმში არაფერი არ წერია ქართული ენის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე.

კ. გამსახურდიამ კარგად უწყის, რომ აჭარის ავტონომისტების პარტიკულარისტული ტენდენცია რელიგიოზურ მომენტს ეყრდნობა, მაგრამ რელიგიური ნიშანი ამ შემთხვევაში უარყოფილი უნდა იყოს, ვინაიდან რელიგიურ პრინციპზე აგებული სახელმწიფოები დაინგრნენ და დაიშალნენ /თუნდაც ოსმალეთი, რომელსაც მაჰმადიანური არაბეთი და ეგვიპტე ჩამოშორდნენ/. თუ რელიგიას გავუწიეთ ანგარიში, მაშინ საქართველოსაგან ავტონომიურად გამოყოფის უფლება კათოლიკე ქართველებსაც უნდა მიეცეთ! მწერლის განმარტებით რელიგიურ მომენტს მხოლოდ ძველი სისტემის სახელმწიფოში უწევდნენ ანგარიშს. დღეს კი რელიგიოზური მომენტის მნიშვნელობა უარყოფილია, როგორც დასავლეთის თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ასევე მუსლიმანურ აღმოსავლეთშიც. მაშინ როცა საქართველო ევროპის ქვეყნების მსგავსად დემოკრატიულ სახელმწიფოს ფორმებს იმუშავებს და რელიგია სახელმწიფოს გარეშე იგულისხმება და აქედან არც პოლიტიკური ფაქტორი აქვს, ის არ უნდა იქნეს გამოყენებული ქვეყნის დანაწევრება-დაქუცმაცებისათვის.

მწერალი კარგად ხედავს, რომ რელიგიას ამ შემთხვევაში სარჩულის, ნიღბის როლი მიეწერება. „ჩამოაცილეთ მას რელიგიური მომენტი, აჭარის მეჯლისის და საერთოდ აჭარის ავტონომისტების მოთხოვნილებას და თქვენ ხელში შეგრჩებათ კუთხობრივი პარტიკულარიზმი საქართველოს რომელიმე პროვინციისა“.[37] — დასძენს ის. ამ არგუმენტს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მემორანდუმში მოთხოვნილია ახალციხის მაზრის შეერთება ბათუმის ოლქისათვის, რაც კიდევ ააშკარავებს მათ ციდამტკაველურ ზრახვებს.

კ. გამსახურდია არ უარყოფს, რომ საქართველოს მართვა-გამგეობაში ყოველი ტომი თანასწორად იქნეს უფლებრივად წარმოდგენილი, მაგრამ თანამშრომლობის და მოვალეობის პრინციპი თითოეული ტომისათვის ერთნაირი უნდა იყოს. ფავორიტიზმი არც ერთ კუთხეს არ უნდა გააჩნდეს, ვინაიდან ზედმეტი პრივილეგიები შვიდკეცად მავნეა ნებისმიერი კუთხისათვის. „ახალმა საქართველომ უსათუოდ უნდა უარყოს ყოველივე პარტიკულარიზმი, მიუხედავად იმისა ბეგების თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა წარმოშობს იმას თუ რომელიმე კუთხის „განსაკუთრებული“ მდგომარეობა. ჩვენი იდეალია მთლიანი და ძლიერი საქართველო და არა ფეოდალურ საქართველოს კვალობაზე დაქუცმაცებული ქვეყანა“.[38] მწერალი გამოთქვამს იმედს, რომ ვერავითარი ხელოვნური საზღვრები ვერ დააშორებს აჭარასა და საქართველოს ერთმანეთისაგან. ეს სცადეს ინგლისელმა იმპერიალისტებმაც, ეს სცადეს ოსმალებმაც, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ვინაიდან მწერლის ღრმა რწმენით „ჩვენ მუდამ გადავალაჯებთ ისეთ ხელოვნურ საზღვრებს, რომლის გადაღმა ჩვენი სისხლისა და ხორცის თანაზიარნი გვეგულებიან“.[39]

საქართველოს რევკომმა არ გაითვალისწინა და უგულვებელყო ქართული საზოგადოებრივი აზრი საქართველოში ეროვნული განმასხვავებლობის ნიშნით ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ და 1921 წლის 16 ივლისს „აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის“ დეკრეტი გამოსცა, რაც კ. გამსახურდიას მიერ აღქმულ იქნა, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერის კონსოლიდაციის რღვევის ფაქტორად. მწერალი იმდენად აღშფოთებულა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გამოცხადებით, რომ თავის მეგობრებთან ერთად მისულა ხელისუფლების წარმომადგენლებთან და დამოუკიდებლობის აღიარება მოითხოვა სრულიად საქართველოსათვის. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიო-

ბის აღდგენის საკითხში მას დახმარება აღუთქვეს თანამდებობის პირებმა: „ჩვენ რამოდენიმე კაცი წავედით მთავრობასთან და უთხარით, რომ დამოუკიდებლობა გვინდაო. ჩვენ დაგვიჭირა მხარი ამ შემთხვევაში ძალიან პასუხისმგებელმა ამხანაგებმა“.[40] მწერალმა კარგად უწყოდა, რომ ქვეყნის ავტონომიებად დაყოფა მრავალ არასასურველ ფაქტორს შეიცავდა. უწინარესად, ცენტრთან გამიჯვნა იწვევდა არა დაახლოებას ავტონომიაში მცხოვრები ხალხებისა, არამედ დაშორიშორებას და გაუცხოებას, რადგანაც ავტონომიაში მცხოვრები უმცირესი ეთნიური ერთეული გაათკეცებული ენერგიით დაიწყებდა აქტიურ ქმედებას თვითდამკვიდრებისათვის, მიკრო-სახელმწიფოებრივი გარემოს შექმნისათვის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თვითდამკვიდრების პირველმა წლებმაც დაადასტურა ის გარემოება, რომ ავტონომიების არსებობა უპირველეს ყოვლისა კრემლის მიერ თავსმოხვეული ზემოქმედების ბერკეტს წარმოადგენდა. პოლიტიკურ ზეწოლას უეჭველად უნდა მოჰყოლოდა კულტურული თანააღრევის აუცილებლობა, რაც კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს სეპარატისტული ტენდენციების გამტკიცებას ავტონომიურ რესპუბლიკაში. ასეთმა მავნე ტენდენციებმაც მალე იჩინა თავი.

კ. გამსახურდია აღშფოთებულია მწერალ ვავილოვის მიერ გამოგზავნილი ლექსიკონით, სადაც ის აღნიშნავდა: „ადჟარსკაია ლიტერატურა“, „ადჟარსკი იაზიკ“. ხოლო ცნობილი რუსი მწერლის ტიხონოვის იმპერიული აზროვნება არანაირ მორალურ ჩარჩოებში არ თავსდება, რაც მწერლის გულისწყრომას იწვევს: „დამახასიათებელია ის კურიოზიც, ტიხონოვის ხელმოწერილი შეკითხვები რომ მოდის აჭარული ენის შესახებ და მოსკოვურ გამომცემლობებშიაც რუბრიკებიც რომ არსებულა „აჭარული ენის“ შესახებ“.[41]

კ. გამსახურდიას უწყებით რუსი შოვინისტები ამგვარ ქმედებებს შეგნებულად სჩადიოდნენ. სწორედ ამის საფუძველზე მოითხოვდა მწერალი საქართველოს მწერალთა კავში-

რის ბათუმის ფილიალის გაუქმებას, მითუმეტეს, რომ ამ ფილიალის წარმომადგენლები თავიანთი ტენდენციური გამოსვლებით ამის საფუძველს და წინაპირობას ქმნიდნენ. 1932 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის III ყრილობაზე აჭარის მწერალთა დელეგაციის წარმომადგენელმა პ. ლორიამ აღნიშნა, რომ აჭარისტანის განყოფილება 22 მწერალს ითვლის. აქედან სამი აჭარელია მხოლოდ, დანარჩენები კი სომხები და ქართველები არიანო. ცნობილი რომანის „ჩაის“ ავტორი იმასაც დასძენს, რომ ასე გაგრძელდება მანამდე, ვიდრე არ იარსებებს რელიგიური ფაქტორი და აჭარელი მწერლების რიცხობრივი რაოდენობის პრობლემაო. აჭარლების ქართველებისაგან გამიჯვნის საშიშმა ტენდენციამ საერთო გულისწყრომა გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში.

კ. გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედების ქვაკუთხედს ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმისათვის დამახასიათებელი ატრიბუტების ქართულ ცნობიერებაში დამკვირება წარმოადგენდა. მწერლისთვის სახელმწიფოებრიობა ის მძლავრი ბერკეტია, რომელმაც ქვეყნის ტერიტორიული და სულიერი ერთიანობა უნდა უზრუნველყოს, ვინაიდან სახელმწიფოებრივ ცხოვრებასა და მზრუნველობას მოკლებული ერი შესაფერის წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა ერთმორწმუნეობის სახელით შემოხიზნულ დამპყრობელს, რომელიც თავისი რუსიფიკატორული პოლიტიკით ცდილობდა ქართული ენის, ღვთისმსახურებისა და ცნობიერების განდევნას კავკასიაში ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურულ-პოლიტიკური სივრციდან.

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა, მოდერნიზებული ფორმით, ანუ მცირერიცხოვანი ხალხების უფლებების დაცვის ნიღაბს ამოფარებით, წარმატებით გააგრძელეს ბოლშევიკებმა, რომლებიც მთელი არსებით იყვნენ დაინტერესებულნი აფხაზეთი ქართული სახელმწიფოებრივი ორბიტიდან გაემიჯნათ. ბოლშევიკების უზურპაციული პოლიტიკისაგან და-

უთრგუნველი ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი მხატვრული სიტყვის საშუალებით ცდილობდა შენიღბულ ფორმებში საკუთარი პოზიცია წარმოედგინა და აფხაზეთი საქართველოს განუყოფელ ერთეულად წარმოესახათ.

კ. გამსახურდია აფხაზეთს ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა მუდამ. თავად აფხაზებს კი ქართველი ხალხის სისხლის და ხორცის თანაზიარად იგულვებდა. ნიშნეული და მრავლისმეტყველია ის გარემოებაც, რომ მწერალმა „მთვარის მოტაცებაში“ აფხაზი ხალხის დახატვით ქართული სამყარო წარმოაჩინა, რომლებიც ვიწრო ეთნიკური იდეებით როდი სულდგმულობდნენ, არამედ – საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებითა და პრინციპებით. სწორედ საერთო, სახელმწიფოებრივი იდეალები ამოძრავებს თარაშ ემხვარს. ის სისხლხორცეულადაა შეპყრობილი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეით და მთელ თავის ეროვნულ ენერგიას ახმარს ამ იდეის პრაქტიკულ ხორცშესხმას. მისი ცხოვრების გზა და სინამდვილე დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოებრიობის მაგისტრალზე გადის. თარაშის ძარღვებში ერამხუტ ემხვარის სისხლი ჩქეფს. ისიც იმავე ვნებითაა შეპყრობილი, რა ვნებითაც შეპყრობილი იყო მამამისი. ქართულ სახელმწიფოებრიობის აღდგენის დაუოკებელმა სურვილმა კი პერლაშეზის სასაფლაომდე ატარა ემხვარების ჯიუტი ნაშიერი. თარაშიც ამ გზას დაადგა უნებლიედ, ვინაიდან წინაპართა ზნეთაგან სამუდამოდ შეპყრობილია ისიც.

კ. გამსახურდიას მითითებით საქართველო წარსულში მხოლოდ სწორედ იმ გარემოებამ დაღუპა, რომ ცენტრიდან აღმომავალმა ძალამ, საქართველოს გაერთიანებისაკენ მოქცეულმა ნებისყოფამ სავსებით ვერ მოსპო პარტიკულარისტული ტენდენციები. მწერალი წუხს იმის გამოც, წარსულის გაკვეთილებმა გამოცდილება რომ ვერ შეგვძინა და დემოკრატიულ საქართველოს სამი წლის განმავლობაში ხელისუფლებამ ვერ

გაატარა ცენტრალიზაციის პოლიტიკა ყველა კუთხეში, როცა თბილისი იძულებული იყო ავტონომური უფლებები მიენიჭებინა ზოგიერთი რეგიონისათვის. 1919 წლის 25 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა გამოაცხადა სამუსულმანო საქართველოს ავტონომია. მოგვიანებით კი 1921 წლის 11 თებერვალს მიღებული იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, სადაც აფხაზეთს ავტონომიური უფლებები მიანიჭეს.

კ. გამსახურდია გმობს მენშევიკების მიერ გატარებულ არასწორ და უმართებულო პოლიტიკას აფხაზთა მიმართ, რამაც ერთი პერიოდი გარკვეული გაუცხოება გამოიწვია მოძმე ხალხებს შორის. მწერლის აზრით მენშევიკებს უნდა ემოქმედათ მცირერიცხოვან ხალხებთან იმ ისტორიული აუცილებლობისა და პატრიოტული შემართების საფუძველზე, რაზედაც საუკუნეების მანძილზე მყარად იდგა ქართული სახელმწიფოებრიობა. „ახალ დროში ეს ვერ შეიგნეს მენშევიკებმა, მათ ოსები, სომხები და აფხაზებიც კი გადაგვკიდეს. აფხაზებიც, რომელთანაც მრავალი საუკუნის მანძილზე საერთო სახელმწიფო გვქონია“[42] თუმცა ეს გარემოება არ იძლევა იმის წინაპირობას, რომ ქართულ მიწაზე კიდევ ერთი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი შეიქმნას აფხაზეთის ავტონომიის სახით.

საქართველოს გასაბჭოებისთანავე კ. გამსახურდია გამოთქვამს რწმენას, რომ კომუნისტი რუსები ავტონომიების არსებობის საკითხს საქართველოში სადავოს არ გახდიან და ისინი ცარისტული რუსეთის შოვინისტური პოლიტიკის გატარებაზე გადაჭრით უარს იტყვიან: „ჩვენ ამჟამად კომუნისტურ რუსეთთან გვაქვს საქმე და ნუთუ თვით რუსის კომუნისტები უხერხულად არ იგრძნობენ თავს, რომ ჩვენ მათთან ისეთივე ვაჭრობა გავმართოთ კულტურულ, ტერიტორიულ და სხვა ჯურის „ავტონომიებზე“, რომლებზედაც ასე ცინიკურად გვევაჭრებოდნენ მალიუკოვები და კერენსკები“.[43]

მაგრამ არ გამართლდა მწერლის პროგნოზი. ბოლშევიკური რუსეთის საქართველოში შემოსვლის პირველი დღეებიდანვე ნათელი გახდა, რომ რუსი კომუნისტები თავიანთი წინამორბედების მსგავსად ცდილობდნენ ავტონომიების შექმნით მტკიცე დასაყრდენი მოეპოვებინათ ანექსირებულ რესპუბლიკაში. მათ კარგად უწყოდათ, რომ ხელოვნურად შექმნილ მონოეთნიკური დასახლების ადგილას აღმოცენებულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს შენელებული მოქმედების ნაღმის ფუნქცია ეკისრებოდა. თუმცა ბოლშევიკები თავიდან უფრო შორს წავიდნენ და 1931 წლის 4 მარტს აფხაზეთს მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი მისცეს, რამაც ქართულ საზოგადოებრიობის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. მართალია, იურიდიულად აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში ითვლებოდა, მაგრამ ფაქტობრივად სახელმწიფოებრივი სტატუსი სეპარატისტულ გრძნობებს აღვივებდა აფხაზურ მოსახლეობაში, რასაც არ შეეძლო სავალალო შედეგი არ გამოეღო მომავალში.

კ. გამსახურდია აქტიური მოწინააღმდეგე იყო საქართველოში აფხაზეთისა და ოსეთის ავტონომიური წარმონაქმნების შექმნისა. მწერალი თავის გულისწყრომას საჯაროდაც ამხელდა. ამას ადასტურებს „ცაკი“-ს თავმჯდომარის ფ. მახარაძის გამოსვლა საქართველოს მწერალთა კავშირში 1926 წლის 25 თებერვალს, სადაც პარტიულმა ხელმძღვანელმა მწერლებს მოუწოდა გულწრფელად ეთქვათ თუ რა არ მოსწონდათ მთავრობის პოლიტიკაში. კონსტანტინესთან მოხუცებული ნიკო ნიკოლაძე მისულა და უთხოვია:

„ამ ორასი უპარტიო მწერლის სახელით გთხოვთ გამოხვიდე და პირუთვნელად ამცნო მახარაძეს ჩვენი გულისტკივილი. შენ ჩვენს შორის ყველაზე ახალგაზრდა ხარ და სათქმელი არ გამოგელევა“.

მწერალი გამოვიდა ტრიბუნაზე და საკმაოდ მოკლე სიტყვით პირში მიახალა ქართველი ერის ღირსების შემლახველს.

„რაკი გულწრფელად გნებავთ ჩვენი გულის ტკივილის გაგება, უნდა მოგახსენოთ, მე მაინც და მაინც დიდ პატივს არ ვცემ იმ მთავრობას, რომელმაც ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლები თითქმის მცხეთის სანახებამდის ჩამოიტანა. მთლიანად ქართული რეგიონი გალისა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას გადაულოცა და მეგრელ ბავშვებს მარტოოდენ აფხაზურსა და რუსულს ასწავლიან“.[44]

მწერალი ხედავდა ქართველი კაცის გააფხაზების ტენდენციას და შეურიგებლობას ამჟღავნებს ამ დამღუპველი მოვლენის მიმართ: „უნდა გითხრათ სიმართლე, ჩვენ იმას ვერ შევხვდებით გულდამშვიდებით, რომ სამურზაყანოში მეგრელ ბავშვებს ქართულად არ ასწავლიდნენ და ამაზე ვერც ვერავის მოვერიდებით“.[45]

კ. გამსახურდია თავის უკმაყოფილებას და აღშფოთებას არ მალავდა ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის გამო და დიდი ხნის მანძილზე ხელოვნურად შეკოწიწებულ სახელმწიფოებრივ ერთეულს სამაჩაბლოდ მოიხსენიებდა საჯაროდ გამოსვლის დროს. საერთოდ ქართული ინტელიგენცია წინააღმდეგი იყო ავტონომიებისა. თუ მაინცდამაინც აუცილებელი იყო ავტონომიების შექმნა, უნდა შექმნილიყო არა ეროვნული ავტონომია, არამედ ტერიტორიული ავტონომია სოხუმის ოლქისა, ბათუმის ოლქისა, ცხინვალის ოლქისა. ასეთ დროს ავტონომიას ეროვნული ნიშნით არ მიენიჭებოდა სტატუსი, რაც საქართველოს ტერიტორიულ და სულიერ რღვევას ნაკლებ შესაფრთხეს უქმნიდა:

„დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ჩვენი სახელმწიფოს მესვეურთაგან ავტონომიური აფხაზეთის კომისარიატის შექმნა. იმ ოლქს, სადაც 70% წმინდა წყლის ქართველებია აფხაზეთის ავტონომია დავარქვით და ამით კვერი დავუკარით

იმ გარემოებას, რაზედაც მთელი ქართველობა დღეს ასე გამწარებულია... აფხაზეთის ავტონომიის გამოცხადებით ჩვენ ფორმალურად ვაღიარეთ აფხაზთა სუვერენობა აღნიშნულ ტერიტორიაზე, ე.ი. მცხოვრებთა მცირერიცხოვან ერისა მრავალრიცხოვან ქართველობაზე. ამ განაპირა მხარეში მოსახლეთა 27%-ს მივეცით ფორმალური სანქცია 70% ქართველობისათვის დაეწერა „აფხაზური" სახელმწიფოს მართვა-გამგეობის კანონები.

სულ ერთი წელია, რაც საბჭოთა ხელისუფლება დაფუძნდა საქართველოში და უკვე მის ისტორიულ მიწა-წყალზე აფხაზეთში ქართველობა უკიდურესად მძიმე დღეშია".[46] წერდა გაზეთი „ტრიბუნა".

მწერალიც იზიარებს გაზეთში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აფხაზეთში დიდი უმრავლესობა ქართველობაა და მათი ბედის გადაწყვეტა ასე ხელაღებით არ შეიძლება. ამას შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს. თუმცა მწერალი გამოთქვამს იმედს, რომ ხელოვნურად გავლებული საზღვრები აუცილებლად მოიშლება, რამეთუ ეს ისტორიულ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. „რაც შეეხება საქართველოს საზღვრებს დამოუკიდებელ აფხაზეთთან... ამ საზღვრების გავლებას ბევრს ეცადნენ ნიკოლოზ პირველის რუსიფიკატორები, ხან ანბანები მოუგონეს აფხაზებს, ხან ჩერნომორის გუბერნიებს მიაწერეს სოხუმის ოლქი, მაგრამ აფხაზები 2000 წელზე მეტს ეწეოდნენ ჩვენთან საერთო ისტორიულ ჭაპანს და არ ჩამოგვცილდებიან და ვერც ჩამოგვცილდებიან.[47] თუმცა მოსალოდნელ საფრთხეს მწერალი კარგად ხედავს. ამას მოწმობს 1926 წლის ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა, სადაც მწერალი ამათრახებს გააფხაზებულ მეგრელებს, რომლებიც აფხაზეთის სახელით ლაპარაკობენ, თანაც რუსულ ენაზე. მწერალი არ მალავს აღშფოთებას ამ ფაქტთან დაკავშირებით: „აქ გამობრძანდნენ ამხანაგები აფხაზეთიდან. პირველი — გრიგოლია, მეგრელი, მეორე ჭკა-

დუა ჩემი მეზობელი, ესეც მეგრელი და რუსულად გველაპარაკება აფხაზეთის სახელით. რაშია საქმე, აფხაზები არიან ესენი, თუ ვინ არიან?“.[48]

მწერალს არ მოსწონს ის მენტორული, დამრიგებლური ტონი, რომლითაც ქართულ საზოგადოებას მიმართავდნენ ეს გადაგვარებული ქართველები. მწერალი კიცხავს მათ ამის გამო: „აფხაზეთში უგუნური პოლიტიკა აწარმოეს მენშევიკებმა, და ამ მიმართულებით ჩვენ არ ვამტყუნებთ აფხაზებს. მაგრამ აქ ისინი ერთგვარი დამრიგებლური ტონით გამოვიდნენ და ეს არ მომწონს“.[49]

აფხაზთა მხრიდან დამრიგებლური ტონით საუბარი გასაცნობიერებელია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აფხაზეთი სულ ერთი წელია რაც ოფიციალურად გამოცხადდა ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში. მანამდე ის, როგორც აღვნიშნეთ, სამოკავშირეო რესპუბლიკად ითვლებოდა. ამიტომაც ახალშემოერთებული ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლები ისე იქცევიან, თითქოსდა უცხო გარემოში გრძნობენ თავს. აფხაზეთის მწერალთა კავშირის წევრი ჭკადუა თავის გამოსვლაში აფხაზი და ქართველი მწერლების ურთიერთდამოკიდებულებას და თანამშრომლობას ორი სხვადასხვა რესპუბლიკის ურთიერთობის დონეზე განიხილავს. ის არ მალავს უკმაყოფილებას იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ქართველები ხშირად არ ჩადიან აფხაზეთში და არ სწავლობენ აფხაზი კოლმეურნეების ცხოვრებას, ინტენსიურად და სიღრმისეულად არ ეცნობიან აფხაზი კაცის ხასიათსა და ბუნებას.

საქართველოს მწერალთა კავშირის პლენუმზე მეორე გააფხაზებული მწერლის გრიგოლიას გამოსვლას მეტი აგრესიულობა და კუთხურობა ახლდა თან, რითაც პლენუმის თავმჯდომარის შენიშვნაც დაიმსახურა. აფხაზმა მწერალმა ქართველები დაადანაშაულა იმ გულგრილობაში, რომელსაც ისინი ჩენდნენ აფხაზური, ოსური და „აჭარული“ ლიტერატუ-

რის მიმართ. გამომსვლელი არ მალავს უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისი სათანადო ყურადღებას არ აქცევს აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციას, რომ ყველაფერი სრულდება თბილისის ინტერესების გათვალისწინებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინტერესები კი მიჩქმალულია.

გრიგოლია განსაკუთრებით წუხს იმის გამო, რომ თბილისის მიერ იგნორირებულია მცირერიცხოვანი ერების ნაციონალური საკითხი. ამ გულგრილობამ და უყურადღებობამ კი გამოიწვია ის ფაქტი, რომ დღეს სხდომას არ ესწრებიან სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები. ფაქტიურად გრიგოლიამ მიანიშნა დამსწრეებს იმის თაობაზე, რომ თუ ასეთი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება გაგრძელდება მცირერიცხოვანი ერების ნაციონალური კულტურის მიმართ, ჩვენც აფხაზები ვიტოვებთ უფლებას საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობას ბოიკოტი გამოვუცხადოთო.

თუ კ. გამსახურდია უკომპრომისო და დაუნდობელია ამგვარი გააფხაზებული მეგრელებისადმი, სხვა კოსმოპოლიტი ქართველები ინტერნაციონალიზმის სახელით ესარჩლებოდნენ და ქომაგობდნენ მათ. ცეკას განყოფილების გამგე კარლო ორაგველიძე კი რიხით მიუთითებდა: „რატომ უნდა აუკრძალოთ მათ იმ ენაზე ლაპარაკი, რომლითაც მათ უფრო ეხერხებათ თავისი აზრის გამოთქმა“.[50] საკუთარ ენაზე ნაციონალური კულტურის შექმნის წინააღმდეგი არც კ. გამსახურდია იყო. მისი განცხადებით „ზოგიერთებს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ენისადმი პატივისცემა თუ სიძულვილი, იმ ენის პატრონის ერისადმი დამოკიდებულების კოეფიციენტია“.[51] მწერალი აღშფოთებას არ მალავს იმის გამო, რომ სოხუმში ზოგიერთი გავლენიანი ქართველი აფხაზებს არ აძლევს საშუალებას თავისუფალი არჩევანი გააკეთოს ქართულ და რუსულ ალფაბეტს შორის. „თუ ვინმეს ჩვენი ალფაბეტი არ მოსწონს რად უნდა შევაჩეჩოთ იგი?“[4952] აცხადებს მწერალი, რომელიც

ეროვნულ საკითხებში სიფრთხილესა და წინდახედულებას იჩენს, ზომიერების გრძნობას ქადაგებს და ძალდატანების წინააღმდეგ გამოდის. მაგრამ ეროვნული კულტურა უნდა განვითაროს ეროვნულ ტრადიციებზე და ჩვევებზე აღზრდილმა ადამიანებმა. ჭკადუებისა და გრიგოლიების მსგავსი გადაჯიშებული „აფხაზები" კი ეროვნული მწერლობის განვითარების მეციხოვნედ ვერ გამოდგებიან. მწერალი მოგვიანებით გაიხსენებს ერთ შემთხვევას, სადაც კარგად წარმოჩნდა ამგვარი გადაგვარებული ხალხის სეპარატისტული მისწრაფებანი:

„მე ამასწინათ გახლდით გუდაუთაში. საღამოს ჟამს რაიკომს ვეძებდი. ქუჩის კუთხეში ორი ახალგაზრდა კარგად ჩაცმულნი იდგნენ და მეგრულად საუბრობდნენ. მე მათ ვკითხე:

სად არის აქ რაიკომი? მათ მიპასუხეს

მი ვას ნე პანიმაემ.

მაშინ მეგრულად ვუთხარი.

არ გეკადრებათ ქართველ კაცს სალამი არ მისცეთ ჩვენს რესპუბლიკაში, ჩვენს მიწა-წყალზე".[53]

მწერლის აზრით, ამგვარი გადაგვარებული ქართველების მოქმედება ხშირად კურიოზამდე მიდის. კ. გამსახურდია სასტიკად ამათრახებს რუსეთის შოვინისტური კალთიდან დაფრთიანებული ბარტყების სეპარატისტულ ზრახვებს: „არ მომწონს ის, როცა ჩემი მეზობელი მეგრელი და ოსი აფხაზეთისა და ოსეთის სახელით რუსულად მელაპარაკებიან. ყოფილი ძმადნაფიცები, რომელთაც ენა, ზნე-ჩვეულება შევუნახეთ, შევუნარჩუნეთ, „ჩვენგან შევიწროებულნი", რუსეთის კალთის ქვეშ ეძებენ თავშესაფარს".[54]

კ. გამსახურდიამ კარგად უწყის, რომ რუსეთის კალთას შეფარებული აფხაზი ერთიანი საქართველოს იდეალებისადმი სასიკეთოდ ვერ განეწყობა, რამაც შეიძლება საბოლოო ჯამში ქართველებისა და აფხაზების პოლიტიკური დაპირისპირება გამოიწვიოს. მწერალმა იმთავითვე შეიცნო და გაითავისა მო-

სალოდნელი კონფლიქტის სიმწვავე და თავის ნოველაში „ტაბუ“ ქართველი და აფხაზი ხალხების ურთიერთობის საკითხი შენიღბულ ფორმებში წარმოაჩინა. ზვიად გამსახურდიამ სწორად ამოიცნო მოთხრობაში შენიღბულად გატარებული აზრი რუსეთის წამქეზებლურ პოლიტიკაზე, რამაც ორი მონათესავე და ძმადნაფიცი ხალხები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდა: „ნოველაში, „ტაბუ“ აღწერილია წმინდა გიორგის ტრიუმფი ბოლშევიზმის სატანაზე, რომელიც სიმბოლიზირებულია წითელი ეშმაკისა და ქალბიჭა აკუმის ხვარამზეს მიერ შობილი მორიელით. წითურმა ეშმაკმა ჯერ ურთიერთს მიუსია მარგალები და აფსუები, ხოლ შემდეგ თავის შობილ მორიელს დააგესლინა და ამოაწყვეტინა. განა ეს არ არის კონკრეტული წინასწარმეტყველება მომავლისა“.[55]

კ. გამსახურდიას გულწრფელად უყვარდა აფხაზი კაცი, თავისი პატიოსნებით, სიდარბაისლითა და გულმართალობით. მწერალი არა ერთგზის მიუთითებს, რომ აფხაზი ხალხის სიყვარულსა და პატივისცემაში არავის ჩამორჩებოდა, და რომ ჭეშმარიტ აფხაზთა ჩვევანი და მამაცობა მან მზატვრული დამაჯერებლობით „მთვარის მოტაცებაში“ წარმოაჩინა.

მწერლის სიმპათია აფხაზებისადმი იმითაც აიხსნება, რომ მის ძარღვებში აფხაზური სისხლი ჩქეფდა. მისი ბებია, დედის მხრიდან, ჯარამხან მარშანი, დარბაისელი აფხაზური გვარის ღირსეული შთამომავალი იყო, რითაც სამართლიანად ამაყობდა კ. გამსახურდია: „დიდედიდან აფხაზის სისხლი მაქვს. მიყვარს აფხაზები და გმირებიც მყავს აფხაზები. მაგრამ ამის გარდა ყოველმა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ აფხაზი, ჩერქეზი, ოსი ჩვენი მკვიდრი ძმები არიან და ჩვენ ერთმანეთის ინტერესები უნდა დავიცვათ“.[56]

კ. გამსახურდია ცდილობდა სიღრმისეულად ჩაწვდომოდა აფხაზი ხალხის სულიერ სამყაროს. ამ მიზნით ხშირად მოგზაურობდა აფხაზეთში. უბრალო მოსახლეობაში ეძებდა

აფხაზურ თქმებსა და ლეგენდებს. სოხუმში და ოჩამჩირეში სტუმრობისას მწერალი ცხენის ჯიშის, ჯირითის, დოღის ამბებს სწავლობდა აფხაზებისაგან. ერთხელ სოფელ აჩანდარაში სტუმრობისას მისივე თხოვნით მთელი სოფლის მცხოვრებლები შეჰყარეს. მწერალი გამოეცნაურა მათ, ჩაიწერა ყველა მნიშვნელოვანი დეტალი, რაც მისი ინტერესების სფეროში შედიოდა. საგანგებოდ გაშლილ სუფრაზე მწერალს მოოქროვილი, ვერცხლით შეჭედილი ხმალი აჩუქეს, რამაც მისი უზომო გახარება გამოიწვია. მან დიდი სასმისით დალია აფხაზეთის სადღეგრძელო და თავის სიტყვაში აფხაზეთის სადიდებელი ჰიმნი თქვა:

— „მე თავს დამყურებს აფხაზეთის მოწმენდილი ცა, მე ვდგევარ აფხაზეთის მიწაზე, გაუმარჯოს აფხაზეთს“.[57]

კ. გამსახურდია შეგნებულად მოიხსენიებდა თავის ისტორიულ პროზაში ქართველ მეფეებს აფხაზთა მეფის ტიტულატურით — „მეფე აფხაზთა“, რათა ამით საზგასმულიყო ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ერთიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმში.

კ. გამსახურდია მთელი სიმძაფრით განიცდიდა ლაზეთის საკითხს. ისტორიულად ლაზისტანი ქართული ტომებით დასახლებულ ქვეყანას წარმოადგენდა. უძველესი დროიდან ეს ტერიტორია, რომელიც მოიცავდა სამხრეთ-აღმოსავლეთით შავი ზღვისპირეთის დიდ ნაწილს, დასახლებული იყო ხალიბებით, ტიბარებით, მოსინიკებით, რომლებიც ლაზურ-ჭანურად ლაპარაკობდნენ. ლაზები კოლხების მემკვიდრეებად ითვლებოდნენ, რასაც ადასტურებს VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი: „შეუძლებელია, რომ კოლხები იგივე ლაზები არ იყვნენ... კოლხთა სახელი ამჟამად ლაზებად შეიცვალა. როგორც ეს ბევრ სხვა ხალხშიც მომხდარა“.[58]

კ. გამსახურდიაც იზიარებს ამ თვალსაზრისს და თავის მხრივ იმასაც დასძენს, რომ ბერძნები ლაზებს და ჭანებს

ზანს უწოდებდნენ, რაც მის სულიერ სამშვინველს ეროვნული სიამაყის გრძნობით აღავსებს, ვინაიდან მდ. ზანას ნაპირებთან გაირბინა მწერლის ბავშვობამ. ამიტომაცაა რომ ეს სახელი მასში იწვევდა მუდამ ძველი კოლხეთის, ძველი ლაზიკის რომანტიულ რემინისცენციებს.

კ. გამსახურდია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლაზების სახელმწიფო თავისი საომარი წესებით და პატრიოტიზმით ცნობილი და მიღებული იყო რომაელებისა და ბერძნების ანალებში. მეტიც, მეოთხე საუკუნეში რომის სენატში წარმოთქმულ სიტყვაში ნახსენებია რომის ხელისუფლების გარეშე მყოფი კოლხეთის იმპერია. კოლხეთის სახელმწიფოს უდიდეს ავტორიტეტზე მოწმობს ერთი ბერძენი ისტორიკოსის ცნობა: „ძლიერი და მამაცი ტომია ლაზები. ისინი ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზედ მეტად ქედმაღლობენ. იქნება არც ისე უსაფუძვლოდ“.[59]

ლაზები საუკუნეების მანძილზე იბრძოდნენ ბიზანტიელების, სპარსელების, ოსმალების ობსკურანტიზმის წინააღმდეგ საკუთარი სახელმწიფოებრიობის, ენისა და რელიგიის შენარჩუნებისათვის. ლაზეთის ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ლაზთა მეფის წათეს ბიზანტიას გამგზავრება და იქ 523 წელს მისსავე თხოვნით კეისარ იუსტინეს მიერ მისი ქრისტიანად მონათვლა. ლაზეთში ქრისტიანობა მანამდეც იყო გავრცელებული, მაგრამ წათეს გაქრისტიანებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ლაზიკაშიც ამიერიდან ქრისტიანობა, ვითარცა სახელმწიფო სარწმუნოება, საბოლოოდ განმტკიცებული იქნებოდა.

ლაზთა სამკვიდრებელი უძველესი დროიდან ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. მათ გამგებლობაში ისეთი დიდი ქალაქებიც იყო მოქცეული, როგორებიც იყო ტრაპეზუნტი და კერასუნტი, რასაც მოწმობს ცნობილი ბერძენი მწერალი მხედართმთავარი ქსენოფონტე. მოგვიანებით ტრაპეზუნტში, სამსუნში ბერძენთა მიმძლავრების მიუხედავად „ტრაპეზუნტის

იმპერიის /1204-1461/ ხელმწიფეებს კონსტანტინეპოლში უწოდებდნენ „ლაზთა მბრძანებლებს, „ ხოლო მათს სამფლობელოს ხან ლაზიკას, ხან კოლხეთს“.[60]

კ. გამსახურდია ტრაპეზუნდს XII საუკუნის საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს ლაზები შეადგენდნენ: „დავითისა და თამარის საქართველო სწვდებოდა შავი ზღვის მოზრდილ უბეს ნიკოფსიიდან ტრაპეზუნამდის. ამ ორ პუნქტს შორის მდებარეობს თავისი სილამაზით უბრწყინვალესი და უნაყოფიერესი ტერიტორია ძველი კოლხეთისა, რომელიც აღემატებოდა საქართველოს რესპუბლიკის აწინდელ ტერიტორიას“.[61]

ბიზანტიაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ და თავად ლაზთა პროქართულმა ორიენტაციამ ნიადაგი მოამზადა იმისათვის, რომ საქართველოს სამეფო კარს თავისი ძირძველი ტერიტორიები დაებრუნებინა. 1204 წელს ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ თამარ მეფემ ისარგებლა ბიზანტიაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით და დალაშქრა შავი ზღვის სამხრეთ ტერიტორიები. დაპყრობილ ტერიტორიაზე შეიქმნა ტრაპიზონის სამეფო, რომლის ხელმწიფედ დასვეს თამარ მეფის ნათესავი დედის მხრიდან ალექსი კომნენოსი.

ტრაპიზონის სამეფოს შექმნა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა. „ტრაპიზონის იმპერია, ერთის მხრივ უპირისპირდებოდა კონსტანტინეპოლის ლათინთა იმპერიას, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს უშუალოდ გამეზობლებულ მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს“.[62] მოგვიანებით ერთმორწმუნეობამ, ქართული სამყაროსაგან დაშორებამ, რაც გამოწვეული იყო მონგოლების შემოსევებით, განაპირობა ლაზების გაბერძნების ტენდენცია, თუმცა ისინი დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებდნენ ეროვნულ ტრადიციებს და თვითმყოფად კულტურას.

ცხადია, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე უპრიანი იქნებოდა საქართველოს სამეფო კარს ტრაპიზონის სახელმწიფო სადავეები ლაზებისათვის გადაეცა. მითუმეტეს, რომ ლაზებს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიცია და გამოცდილება საკმარისი გააჩნდათ. მაგრამ, აქ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა თამარ მეფის დროს მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დავით აღმაშენებლის პოლიტიკური ხაზისაგან, რასაც აღნიშნავს კიდეც თამარის ისტორიკოსი ბასილ ეზოსმოძღვარი. მისი სიტყვით წინააღმდეგ დავითისა, თამარი „არ იღვწიდა უმეზობლობასა, არცა შერთვითა სახლსა სახლსა ზედა აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა, არამედ თვისი მამული ძუელი კმა იყო, რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მიმხუეჭელად... შორს განიოტა წურბლისა მსგავსი ვერ მაძღრისობა... ბჭედ ჯდა შორის თავისა თვისისა და მეზობელთა მეფეთა“.[63]

ბასილ ეზოსმოძღვარის აზრით, დავით აღმაშენებელი იერთებდა სხვათა სახელმწიფოთა სამფლობელოებს, რასაც არ სჩადის თამარი, რომელიც პირიქით, დაგლახაკებულ მეფეებს კარნუქალაქისა და ტრაპიზონის სახელმწიფოების მეფეებად ამწესებს, ე.ი. თამარი დავითის მსგავსად, გამონაკლისის გარდა, უშუალოდ არ იერთებს დაპყრობილ ტერიტორიებს, არამედ ამ ქვეყნებს ყმადნაფიცობის პირობით იმორჩილებს.

თამარ მეფის ამგვარი პოლიტიკა გამოწვეული იყო უწინარეს ყოვლისა დიდგვაროვანთა მოსალოდნელი აღზევების საშიშროებით. ამიტომაც სამეფო ხელისუფლებას ერჩივნა დაპყრობილი ტერიტორია მოხარკეობის ან ყმადნაფიცობის საფუძველზე შეენარჩუნებინა, ვიდრე განდიდებული დიდგვაროვანისათვის გადაეცა შემოერთებული ტერიტორია და კიდევ უფრო გაეფართოვებინა და ეღეზევებინა მისი უფლებები.

1461 წელს თურქებმა სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ აიღეს ლაზთა ქალაქი ტრაპეზუნდი და ლაზთა სამ-


კვიდრებელზე ტრაპეზუნდის ვილაიეთი შექმნეს. ტრაპეზუნდის იმპერიის განადგურების შემდეგაც ლაზები სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებდნენ თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. მოგვიანებით თურქების მიერ გატარებულმა რეპრესიებმა და ძალმომრეობამ შეასუსტა ლაზთა აგრესია, თუმცა ლაზი მთავრები შეძლებისდაგვარად ინარჩუნებდნენ ერთგვარ დამოუკიდებლობას. ამას ისინი ახერხებდნენ მე-19 საის შუა წლებამდე, თუმცა ევალებოდათ ომის შემთხვევაში გამოეყვანათ ლაშქარი ოსმალეთის დასახმარებლად, მაგრამ ლაზთა რაზმები თურქული ჯარისაგან ყოველთვის განცალკევებით იდგნენ და მასთან არასოდეს ჰქონდათ ურთიერთობა.

თურქეთის ხელისუფლებამ ლაზეთის ხელში ჩაგდების დღიდან დაიწყო მოსახლეობის გათურქება და ისლამის რელიგიის ძალდატანებით დანერგვა. მიუხედავად თურქთა მიერ ლაზების ეროვნული თვითმყოფადობისადმი მიმართული იერიშისა, ლაზებმა შეინარჩუნეს ეროვნული თვითშეგნება და მშობლიური ლაზური ენა, რასაც კ. გამსახურდია აღნიშნავს: „ხუთი საუკუნის მანძილზე სტანჯეს თურქმა მოძალადეებმა ლაზები, მაგრამ მშობლიური ერისადმი სიყვარული მაინც ვერ ამორთვეს გულიდან“.[64]

1894 წელს ოსმალეთის მთავრობამ ლაზეთში ჩაატარა ექსპედიცია რის შედეგადაც ლაზები გადაასახლეს ბალკანეთსა და დასავლეთ ანტოლიაში, სადაც ისინი აუტანელ მდგომარეობაში მყოფნიც მაინც ინარჩუნებდნენ ეროვნულ ღირსებას და არაიშვიათად მტრობდნენ თურქებს.

ტრაპეზუნდის იმპერიაში საუკუნეების მანძილზე ერთმანეთს ებრძოდა ორი პოლიტიკური ორიენტაცია — ქართული და ბიზანტიური. საქართველოს ძლიერების პერიოდში კომნენოსთა დინასტია ერთგულია ბაგრატიონთა სამეფო კარისა, თუმცა მისი დასუსტების შემდეგ ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს ძველ პროტექტორს. მიუხედავად ამისა ტრაპეზუნდის სახელმწიფო სადავეები მნიშვნელოვნად ეპყრათ ხელთ იქ არ-

სებულ ქართულ პარტიას, რომლის ძალისხმევისა და აქტიურის ქმედების შედეგად ქართველი მეფეები ორი საუკუნის მანძილზე ინარჩუნებდნენ თავიანთ პოლიტიკურ ზეგავლენას. უკანასკნელად გიორგი ბრწყინვალემ აღადგინა პოლიტიკური ჰეგემონობა ტრაპეზუნდში, თუმცა თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ ეს პოლიტიკური უპირატესობა საბოლოოდ დაკარგვა.



ტრაპიზონი

თურქ-ოსმალების მიერ კონსტანტინეპოლის აღებამ ტრაპეზუნდის არსებობას რეალური საფრთხე შეუქმნა. განსხვეულებულ და დანაწევრებულ საქართველოს არ ძალუძდა თვისტომთა დაცვა და მათდამი სამხედრო სამსახურის გაწევა. აქ თავი იჩინა ტრაპეზუნდელ ბერძნებისა და ქართველების დაპირისპირებამ. უმთავრესს საკვანძო საკითხებში ბერძნები ქართული პარტიის შეხედულებებს არ იზიარებდნენ. ქართული პარტია ლაზებთან ერთად განსაცვიფრებელ წინააღმდეგობას უწევდა მოჰამედ მეორის აურაცხელ ჯარებსა და დრომადურებს. კ. გამსახურდია საგანგებოდ მიუთითებს სახელოვანი რუსი მეცნიერის უსპენსკის წიგნზე „ტრაპეზუნდის

იმპერია“, სადაც რუსი ავტორი დაწვრილებით აღნიშნავს იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც მიუძღოდათ ქართველებს ტრაპეზუნდში მუჰამედ მეორის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში. მეცნიერის აღიარებით „ბერძნებს რომ ქართველთა ამ ჯგუფისათვის თავისი ინტრიგებითა და სულმოკლეობით ხელი არ შეეშალათ, სულტანი ტრაპეზუნდს დიდხანს ვერ აიღებდაო“.[65]

პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას რეალურად დაისვა საკითხი ლაზისტანის შემოერთებისა. მართალია, მე-20 საუკუნის პირველ ათეულ წლებში ქართულ საზოგადოებრიობას თავისებური დამოკიდებულება გააჩნია ამ სისხლიანი ვაკხანალიის წინააღმდეგ, რომელიც ევროპის სახელმწიფოებმა გააჩაღეს, თუმცა ერთი გარემოება მაინც თვალშისაცემია. რუსეთის იმპერიის მარწუხებში მოქცეულ ქართველობას ჯერაც ეთანაღრება გული და ებჯინება ბოღმა თურქეთში მცხოვრებ ქართველთა სვე-ბედზე, მათ მომავალზე. გაზ. „კლდე“ იწერება: „ამ ომს ქართველებისათვის სხვა დიდი აზრიც აქვს. მთელი საქართველო არ შედის რუსეთის იმპერიაში. ისინი ქართველები არიან და დიდი ხნიდანვე ჩამოშორებულნი არიან საქართველოს ოსმალებისაგან. ისინი უკვე გამაჰმადიანებულნი არიან, მაგრამ ქართველებად დარჩნენ, რადგან შეინახეს ენა, ჩვეულებანი და სხვა. მათ არაერთხელ მოუგონებიათ თავიანთი თავი ქართულ პრესაში. ეხლა მათთვისაც დადგა საათი, როდესაც მთელი ქართველობა შეერთდება ერთ ოჯახად“.[66]

ფრონტზე გამართული საომარი ბატალიები იძლეოდა იმის რწმენას და იმედს, რომ ქართველთა საუკუნოვან ოცნებას აღსრულება ეწერა და ლაზეთი საქართველოს ერთიან არტახებში მოექცეოდა. 1916 წლის რუსეთის ჯარებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე არზრუმი, ერზინჯანი, ხოლო იმავე წლის 2 აპრილს საზღვაო და სახმელეთო კომბინირებული ოპერაციების შედეგად აიღეს ტრაპიზონი.

ტრაპიზონის იმპერიის აღდგენით იმუქრებოდნენ ბერძნები, რომლებიც თურქეთის დასუსტებითა და დაქუცმაცებით გალაღებულნი ზედიზედ იტაცებდნენ მოსისხლე მტრის ტერიტორიას. ამასთან ერთად ბერძნული სახელმწიფოს მესვეურები ცდილობდნენ ლაზისტანის საკითხში ქართველებთან მიეღწიათ შეთანხმებას. თუმცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა თავად აცხადებდა სუზერენობას მთლიან ლაზისტანზე და მის შემოერთებას ქადაგებდა დანარჩენ საქართველოსთან. ქართველ პოლიტიკოსთა გამძაფრებულ ამბიციებს, ადასტურებს ვ. ნოზაძე: „მსოფლიო ომის დროს ნაციონალისტ ქართველების ზოგი წრე ლაზისტანის შემოერთებაზეც ზრუნავდა და ამ მიზნისთვის ქადაგობდა, რუსეთს გამარჯვებას უსურვებდა...“[67] ამასთან ერთად ქართველი პოლიტიკასები მიუთითებდნენ იმ სახელმწიფო მმართვის ფორმებზე, რომლითაც ლაზისტანი საქართველოს დაუკავშირდებოდა. ეს ფორმა უნდა ყოფილიყო სამაჰმადიანო საქართველოს კულტურული ევტონომია.

რუსეთის იმპერიამ ახლად დაპყრობილი ტერიტორიებიდან ჭანეთის ერთი ადმინისტრაციული ერთეული, სახელდობრ არქაბუს ოლქი შექმნა, რომელიც იწყებოდა სარფიდან და მთავრდებოდა შავი ზღვის პირად კონცხ ქიმერამდე. ამ დროისათვის ლაზები მეტწილად ხოფასა და რიზეს შორის ცხოვრობდნენ, ამიტომ ქართველი საზოგადო მოღვაწეები მოითხოვდნენ ლაზისტინის ადმინისტაციული ერთეულის დადგენას სწორედ ამ ტერიტორიულ სივრცეზე. „ლაზისტინი ნამდვილად რიზემდის არის. ამიტომ ურიგო არ იქნება თუ ქართული საქველმოქმედო საზოგადოება თავის განყოფილებას რიზეში გახსნის და მოქმედებასაც იმდენად გააცხოველებს, რომ ცოტაოდნავ მაინც შეიტანოს ქართული შეგნება“.[68]

ლაზებში ქართულ შეგნების შეტანა უწინარესად ქართული ენის შესწავლითა და გავრცელებით უნდა მომხდარიყო. ქართულ ენისადმი მიდრეკილება ლაზებს ძველადაც ჰქო-

ნიათ. 1903 წელს ხოფის მოსახლეობას ხელისუფლებისაგან ნება გამოუთხოვიათ საკუთარი ხარჯით სკოლის გახსნის თაობაზე, სადაც ქართული ენის სწავლებაც უნდა ყოფილიყო. ქართული ენის საჭიროება იმით იყო დასაბუთებელი, რომ ლაზთა დიდი ნაწილი ეკონომიურად საქართველოსთან იყო დაკავშირებული. მაშინ ლაზებს სკოლის გახსნის ნებართვა მიულიათ, თუმცა სკოლის გახსნამდის ბოროტ ენებს უჯაშუშნიათ: ქართული სკოლის გამხსნელთ არავითარი ეკონომიური ინტერესები არ ამოძრავებთო. ისინი ნაციონალური მოსაზრებით აარსებენ სკოლას, ნიადაგს ამზადებენ საქართველოსთან შესაერთებლადო. ამის შემდეგ ამ მამულიშვილური საქმის მესვეურნი გაუფანტავთ და ქართული სკოლაც არ გახსნილა. ქართული სკოლების გახსნა ლაზებს მოგვიანებით 1910-11 წლებშიც მოუნდომებიათ, ფულიც შეაგროვეს 12.000 მანეთი, თუმცა პირველმა მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა ამ თაოსნობას.

ამრიგად, ქართველი ენის შესწავლის სურვილი ლაზებს ყოველთვის გააჩნდათ, მაგრამ ეს სურვილი და ინტერესი კიდევ უფრო გაღმავდა ლაზეთის საქართველოსთან შემოერთების შემდეგ. ლაზეთში ქართული სკოლების გახსნის აუცილებლობაზე მთელი ქართული საზოგადოებრიობა ალაპარაკდა. ეს პრობლემა საერთო განსჯის საგნად იქცა. გაზ. „სახალხო ფურცელი“ იმ დროისათვის წერდა: „სკოლების გახსნა საჭიროა აბუსლარში, ხოფაში, არქავეში, ფულარგეთში, ვიწეში, ართაშენში და ანითეში. ეს ისეთი პუნქტებია, სადაც სკოლების გახსნა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თუ კი გვინდა ლაზების კულტურული დაახლოება. ერთი წლის შემდეგ გვიანი იქნება სკოლების გახსნა, ვინაიდან იქ მთავრობა რუსულ-თურქული სკოლების გახსნას აპირებს და შემდეგ ჩვენს ცდას მეტი წინააღმდეგობა გადაეღობება“.[69] ამასთან ერთად ლაზები ითხოვდნენ მეგრელი მასწავლებლების გამოგზავნას. ამას იმით ხსნიდნენ, რომ ლაზეთის ბავშვებმა

მცირეოდენი გამონაკლისის გარდა თურქული არ იციან და მეგრელი მასწავლებლები სრულყოფილად შეათვისებდნენ თვისტომთ მშობლური ენას.

თავის მხრივ ლაზები არ მალავდნენ იმ საფრთხეს, რომელიც მათ მოელოდათ კვლავ თურქეთში ცხოვრების ჟამს. ამიტომაც ცდილობდნენ იმ აზრის განმტკიცებას, რომ ლაზები ცნობიერებითა და თვითშეგნებით ჭეშმარიტი ქართველები არიან და სამარადისოდ აპირებდნენ დანარჩენ საქართველოსთან შეერთებას.

რაც შეეხება ტრაპიზონს აქ ქართველები ჭარბობდნენ ლაზებს და ბერძნებსაც. ქალაქის დაპყრობიდან ერთი წლის თავზე იქ ქართველები იმდენად მომრავლდნენ, რომ საზოგადოების დაარსების საკითხიც გადაუწყვეტიათ. ადრე მეფის აგენტურა არ აძლევდა სათვისტომოს დაარსების უფლებას ქართველობას, მაგრამ თებერთვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ტრაპიზონდში მცხოვრებ ქართველებს მიეცათ საშუალება ხმამაღლა გამოეთქვათ თავიანთი უფლებები. თუმცა არც ახალი დრო წყალობდა ქართველობას. ამას მოწმობს ტრაპიზონის სტამბაში აწყობილი რუსულ გაზეთი, რომლის ერთ-ერთ წერილში ის აზრია გატარებული, რომ ქართველებს არასდროს საერთო არ ჰქონიათ ტრაპიზონთან. სავარაუდოდ ასეთი შინაარსის წერილები იმით იყო გამოწვეული, რომ ტრაპიზონი თანდათან მეტს და მეტს ქართველს იზიდავდა.

1918 წლის 12 მარტს ტრაპიზონის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ შენობაში შედგა კრება. სხდომას 500 მეტი ქართველი დაესწრო. მათ შორის უმრავლესობა ჯარისკაცები და სოფლებიდან ჩამოსული მუშები იყვნენ. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ტრაპეზუნდის ქართველებში პოპულარული პიროვნება გოგოლაშვილი. თავმჯდომარემ ილაპარაკა საზოგადოების დაარსების აუცილებლობაზე. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამდენ ქართველს საშუალება არ ეძლევა თავის

დედა ენაზე გაზეთისა და წიგნის წაკითხვისა, რის გამოც ისინი სრულიად მოკლებულნი არიან თავიანთი სულიერი მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ. დასასრულს, კრებამ სასურველად სცნო რაიმე სახით დაარსდეს ტრაპეზუნდში ქართული საზოგადოება. რითაც იქმნებოდა მძლავრი წინაპირობა და ბაზისი ტრაპიზონში საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ჰეგემონიის დასამყარებლად.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამ ძირეულად შეცვალა რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობა. იმავე წლის 8 ნოემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მიიღო დეკრეტი ზავის შესახებ. ოსმალეთისათვის რუსეთში მომხდარი ამბები იყო მეტად ხელსაყრელი შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლისათვის.

რუსეთის თვითმპყრობელობის დაშლის შედეგად ამიერკავკასიის პოლიტიკური პარტიები გაემიჯნენ ბოლშევიკებს და შექმნეს ამიერკავკასიის დროებითი კომისარიატი. ოსმალეთის სარდლობამ წინადადებით მიმართა კომისარიატს დაწყებულიყო მოლაპარაკე სამშვიდობო საზავო ხელშეკრულების დადების მიზნით. 18 დეკემბერს თურქეთის ქ. ერზინჯანში დაიდო დროებითი ზავი ამიერკავკასიის დელეგაციასა და ოსმალეთის მთავრობას შორის. ამავე დროს ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციამ წამოაყენა წინადადება ლაზეთის საკითხზე ჩატარებელიყო კონფერენცია ტრაპიზონში, რომელიც საქართველოს ჯერ კიდევ თავისად მიაჩნია, თუმცა ამ კონფერენციამდე დაიდო ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, სადაც რუსეთმა თვითგამორკვევის მიზნით ჩამოიშორა არტაანის, ყარსის და ბათუმის ოლქები. ეს იყო საიდუმლო გარიგება საბჭოთა რუსეთის მთავრობასა და ოსმალეთს შორის, რასაც არ ცნობდა ამიერკავკასიის მთავრობა.

საქართველოს მოსახლეობა აღშფოთებული იყო ბოლშევიკური რუსეთის ქმედებით, რის შედეგადაც ლაზეთის დაკარგვის საშიშროება იქმნებოდა. საქართველოში ჯერ კიდევ

საზოგადოებრივი აზრი მომართული იყო ისე, რომ ლაზისტანი საქართველოს შემადგენლობაში შემოსულიყო. გაზ. „საქართველო“ იმ დროისათვის იტყობინება: „ქართველი ხალხი თავისად თვლის მთელს ლაზისტანს. თვით ლაზებზეა დამოკიდებული რა ფორმით მოისურვებენ ისინი საქართველოს რესპუბლიკასთან კავშირის აღდგენას. მაჰმადიან ქართველებში ტრიალებს ერთი იდეა, რომელიც იმთავად შეიძლება ყველაზე მისაღები იყოს გაერთიანების პროცესის უმტკივნეულად დასამთავრებლად. ეს არის იდეა სამაჰმადიანო საქართველოს კულტურული ავტონომიისა“.[70]

კ. გამსახურდია ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქართველოს ეროვნულ საბჭოსაგან მოითხოვდა კავკასიის ტერიტორიის ეროვნულად გამიჯვნას და ზავის საკითხს. ორივე საკითხს ერთ ფოკუსში უნდა მოეყარა თავი: საქართველომ არ უნდა დაკარგოს ის, რაც მის საკუთრებას შეადგენდა საუკუნეების მანძილზე. ოსმალეთთან შეკრულ მომავალ საზავო კონტექსტში არ უნდა დაიჩრდილოს ქართველი ერის ღირსება და მისი რეალური ინტერესები. მწერლის აზრით წავიდა ის დრო, როცა ეროვნებათა ბედ-იღბალს ერთი მუჭა დიპლომატები წყვეტდნენ. თუ ძველად თავისუფლება რჩეულთა ხვედრი იყო, დღეს ერთა თვითგამორკვევის პრინციპი აძლევს საშუალებას ყველა ერს თავად იყოს თავის გამგებელი. საუკუნის დევიზი: ყველა თავისუფალი უნდა იქნას — რეალურად განხორციელდეს. მწერლის აზრით „სწორედ ეს პრინციპი უნდა იქნეს ლაიტმოტივად მომავალ ქართულ სახელმწიფოსი და ჩვენი დამოკიდებულებაც მეზობელ ერებისადმი ამ პრინციპის ლარსა და ხაზს არ უნდა გადასცდეს“.[71]

1918 წლის დამდეგიდან საბჭოთა რუსეთმა დაიწყო თავისი ჯარების გაყვანა ომის დროს დაკავებული ოსმალეთის ტერიტორიიდან. ოსმალეთმა დაარღვია ერზინჯანის ხელშეკ-

რულება და შეუდგა ქართული ტერიტორიების დაპყრობას. 9 მარტს ოსმალების ჯარებმა აიღეს ტრაპიზონი.

1918 წლის 14 მარტს გაიხსნა ტრაპიზონის კონფერენცია, სადაც ოსმალეთის დელიგაციის მეთაურმა რაუფ ბეიმ ულტიმატუმი წარუდგინა ამიერკავკასიის დელეგაციას გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა, ეცნოთ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება და ოსმალეთისათვის გადაეცათ არტაანის, ყარსის და ბათუმის ოლქები. სანამ ტრაპიზონში მიდიოდა მოლაპარაკებები თურქებმა ბათუმი დაიკავს, იმავე წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის კომისარიატი დაიშალა და შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა. 1918 წლის 11 მაისს ბათუმში გაიხსნა სამშვიდობო საზავო ხელშეკრულება. ოსმალეთის დელეგაცია მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა და დამატებით მოითხოვდა ახალქალაქს, ახალციხისა და ეჩმიაძინის მხარეების შეერთებას. კონფერენციაზე შექმნილმა რთულმა მდგომარეობამ დააჩქარა ამიერკავკასიის სეიმის დაშლა. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. იმავე წლის 4 ივნისს ოსმალეთსა და საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება ბათუმში. ოსმალეთს გადაეცა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები. ასე რომ საქართველოს არა მარტო ლაზეთი, არამედ მესხეთ-ჯავახეთის დიდი ნაწილიც ჩამოშორდა. თუმცა პირველ მსოფლიო ომში მუდროსის ზავის თანახმად ოსმალეთმა გამოიყვანა ჯარი დაპყრობილი ტერიტორიებიდან. ოსმალეთისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ჯარი საქართველომ შეიყვანა. ხელმეორედ გაჩნდა შანსი ტრაპიზონისა და სრულიად ლაზეთის დაბრუნებისა.

1919 წლის იანვარში პარიზში გაიხსნა სამშვიდობო კონფერენცია, სადაც ბერძნებმა წამოაყენეს იდეა შავი ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთ რაიონში, ლაზებით დასახლებული ტერიტორიაზე პონტოს სახელმწიფოს შექმნისა საბერძნეთის პროტექტორატის ქვეშ. ბერძნების ამ პოლიტიკურ სვლას არ

ეთანხმება საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ნ. ჩხეიძე, რომელმაც პარიზის საზავო კონფერენციას გადასცა მემორანდუმი. ამ მემორანდუმის მიხედვით საქართველო ოლთისის, არდაგანისა და ყარსის და სხვა ტერიტორიებთან ერთად ტრაპიზონის ვილაიეთის, ლაზისტინის შემოერთებას მოითხოვს. საბუთად ის ფაქტი მოჰყავდათ, რომ ეს ტერიტორია უეჭველად ქართულია ისტორიულად და მოსახლეობითაც.

ქემალისტური რევოლუციისა და თურქეთის ნაციონალური ბურჟუაზიის სათავეში მოქცევის შემდეგ თურქეთში დადგა ნაციონალური უმცირესობის საკითხიც. თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ 1920 წელს მიიღო დადგენილება, რომ თურქეთის სომხეთს, ქურთისტანს, ლაზისტანს, ბათუმის ოლქს, აღმოსავლეთ თრაკიას მიეცეთ შესაძლებლობა გამოთქვან აზრი საკუთარ ბედზე. ათა თურქის ამ გამოსვლას წინ უსწრებდა ქართველ პოლიტიკოსთა აქტიური ბრძოლა დიპლომატიის ასპარეზზე ლაზეთის საკითხთან დაკავშირებით. თუმცა ათა თურქის ეს დიპლომატიური სვლა მცირე ერების თვითგამორკვევასთან დაკავშირებით მოჩვენებით ხასიათს ატარებდა, რასაც ადასტურებს სტამბოლის მეჯლისში წარმოთქმული მისივე სიტყვები: „აქ მყოფი დარბაისლები, თურქეთის დიდი ეროვნული საკრებულოს წარმომადგენლები, არიან არა მხოლოდ თურქები, ქურთები და ლაზები, არამედ ისინი არსებითად ყველა მუსლიმია“.[72]

ამრიგად, თურქეთის ხელისუფლება რელიგიური ნიშნით ცდილობად თურქეთის ერთიანობის შენარჩუნებას. 1919 წ. ქემალ-ფაშამ სივაში მიიწვია ეროვნული ყრილობა, რომლის საფუძველზე იმავე წელს ერზერუმის კონგრესმა მიიღო დეკლარაცია ლაზისტანის თურქეთის განუყოფელ ნაწილად გამოცხადების შესახებ, რასაც არ თაეთანხმა ანტანტის სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭო, რომელთა დევიზის მიხედვით ყველას უნდა მიეცეს ზღვაზე გასასვლელი, მათ შორის სომხებსაც, რომელთაც აქტიურად ეჭირათ თვალი ლაზისტანზე.

ანტანტის სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს დადგენილებით ლაზისტანი, როგორც ავტონომიური ერთეული, სომხეთის სუვერენობის ქვეშ აღმოჩნდა. საზღვარი თურქეთსა და სომხეთს შორის დადგენილ იქნა 1920 წლის ნოემბერში აშშ-ის პრეზიდენტის ვილსონის მიერ. ამ დადგენილებას მოჰყვა ბერძნების აქტიური საბრძოლო შემოტევები, რის შედეგადაც სულთანის მთავრობა იძულებული იყო სივრის ხელშეკრულების მიხედვით ტრაპიზონტის ვილაიეთი სომხეთისათვის გადაეცა, რასაც არ დაეთანხმა ქემალ ფაშა და მოსკოვის დახმარებით ებრძვის ანტანტის სახელმწიფოებს.

ქართული საზოგადოებრიობა ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს. კ. გამსახურდია მთელი ძალისხმევით იღწვის იმისათვის, რომ არ შეილახოს ლაზისტანის ინტერესები. მწერლის მინიშნებით, ისევე როგორც ელზას-ლორენი გადასწყვეტს თავის მომავალს, ასევე უნდა მიეცეს არჩევანის საშუალება ლაზებსაც, რათა მათი ეროვნული ინტერესები არ შეილახოს. რაც მთავარია არ უნდა შეფერხდეს საქართველოს დაქსაქსული ტერიტორიების შეკრების პროცესები. ამგვარად, მწერალი ამ დროს აქტიურად ქადაგებს ჭანეთის შემოერთებას, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ, მოგვიანებით კი 1923 წელს თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადებამ ძირფესვიანად შეცვალა პოლიტიკური ვითარება. რუსეთის მეთერთმეტე არმიასთან განცდილმა მარცხმა აიძულა საქართველოს მთავრობა 1921 წლის 23 თებერვალს თავისი ჯარი გამოეყვანა ლაზეთისა და ტაო-კლარჯეთის ტერიტორიებიდან. მენშევიკების ნებართვით სამხ. საქართველოს დაცვას თავის თავზე ოსმალეთი იღებდა – რუსეთის აგრესიის შემთხვევაში. თუმცა ეს პირობა დარღვეულ იქნა და ართვინის, რიზესა და მაკრიალის ოლქები ოსმალეთის განუყოფელ ნაწილად იქცა. „ამას მოჰყვა 1921 წელს 12 აპრილს მაკრიალის ოლქში, მამანათში ლაზების საყოველთაო აჯანყება, რომელსაც სათავეში ჩა-

უდგა სოფლელი დურგალი ხასან იმამიში. აჯანყებას ჰქონდა სხვა მიზეზებიც. ოსმალეთის ხელისუფლებამ მათ ქართულ ენაზე სწავლის უფლება არ მისცა და ქართული სკოლა დახურა. ამ დროს ოსმალებმა წამოიწყეს პროპაგანდა, ვითომც ლაზები ქართველები არ იყვნენ და აქედან გამომდინარე მათ არ ესაჭიროებოდათ ქართულ ენაზე სწავლა-განათლება. ხუთ ასეულად დაყოფილი „ლაზური ასკერიის" მეთაურები იყვნენ: ომარ ნარაკიში, ხუსენ ხვიტიში, ასლან ოდუბაში, ილიას მაჭახელიში. ლაზებმა თბილისში გააგზავნეს კაცი, სადაც, მათ მხარდაჭერა აღუთქვეს. 1921 წლის 7 მაისს ოსმალებმა შტურმით აიღეს სოფ. მამანათი და ლაზი მეთაურები სიკვდილით დასაჯეს. ხასან იმამიშმა სიკვდილის წინ ლაზებს შემოუძახა: „სკიდას ლაზობა დო მთელი ოქორთურა!".[73]

ლაზების თავგანწირვამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ლაზეთი თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ სივრცეში მოექცა. მოგვიანებით კ. გამსახურდია სევდითა და ტკივილით იხსენებს ლაზეთს: „პოლიტიკურად მე მაშინ საქართველოს ისტორიული საზღვრებისაკენ მეჭირა თვალი, ჭანეთის შემოერთება ვიქადაგე 1917 წელს, დიდი საქართველოს ოცნებას აყოლილმა".[74]

კ. გამსახურდიამ დაკარგული ტერიტორიების სევდა თავის პერსონაჟებს დაანათლა. სავარსამიძე ლაზია. მის ძარღვებში ლაზური სისხლი ჩქეფს. ლაზური ფული გასაოცარ იდეებს აღუძრავს. სიზმარში თანამებრძოლი ყარამან მინდელი ეცხადება, რომელიც წარმოუდგენელ ამბებს უყვება მას: თურმე ლაზისტანი თავისი ნებით შემოერთებია საქართველოს, რომელიც გეოგრაფიულ რუკაზე ცალტოტმოხეულ ჩაბალახს როდი ჰგავს, არამედ ხახადაღებულ ვეშაპს, რომელმაც შავი ზღვა უნდა შესვას. ლაზია არსაკიძეც, რომელიც საქართველოს ერთიანობის ციტადელს — სვეტიცხოველს აგებს, რაზედაც სამართლიანად მიუთითებს ს. სიგუა: „საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკური და კულტურული ერთობის

სიმბოლო — სვეტიცხოველი მწერალმა სწორედ ლაზ ჭაბუკს, თავისუფლებააღკვეთილ ხელოვანს ააგებინა, რათა თანამედროვე მოქალაქეს არ დავიწყნოდა თურქეთის მიერ მიტაცებული ლაზეთი და ტაო-კლარჯეთი".[75]

ნიშანდობლივია და მრავლისმეტყველია კ. არსაკიძის მიმართვა ლაზებისადმი, სადაც სრულად წარმოჩნდა ლაზების მზადყოფნა და თავგანწირვა ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოებრივი ციტადელის შესაქმნელად: „იცოდეთ, ყველაზე მეტად ძმების უნდა გერიდებოდეთ, ლაზებო, რადგან არავინ ისე საყვარელი არაა ამ ქვეყანაზე, როგორც დედა, არავინ ისე მოსარიდებელი, როგორც დედის ხსენის თანაზიარნი. საქართველო ჩვენი დედაა ლაზებო, ხოლო იბერიელები ძმებია ჩვენი".[76] თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ლაზეთის შემოერთების საკითხი ხელმეორედ დადგა დღის წესრიგში მეორე მსოფლიო ომის დროს, მაშინ წარმავლობის ფერფლიდან გაცოცხლებული არსაკიძის ეს სიტყვები კ. გამსახურდიას აქტიურ მოწოდებად უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე ლაზებისადმი.

კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში" გიორგი პირველიც ლაზად ჰყავს წარმოჩენილი. გიორგი მეფე თავის აღსარებაში ამბობს: „სიყრმე და სიჭაბუკე საქართველოს შევალიე, მაგრამ ქართველები „აფხაზს" მეძახდნენ ხოლო აფხაზები — „ქართლელების მსტოვარს" მიწოდებდნენ ბაგრატოვანს, ლაზს".[77] მწერალი ბაგრატოვანთა ლაზურ წარმომავლობას აღიარებს, თუმცა ის ხელაღებით და მიკერძოებით როდი მივიდა ამ დასკვნამდე. ქართულ მეცნიერებაში უკვე მუსირებდა აზრი ბაგრატოვანთა და ლაზთა ნათესაური კავშირის შესახებ. საგულისხმოა ისიც, რომ ცნობილი ისტორიკოსები ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი თავიანთ გახმაურებულ წერილში საგანგებოდ მიუთითებდნენ ქართული სამეფო დინასტიის ლაზურ წარმოშობაზე. „საყურადღებოა, აღნიშნავდნენ ისინი — რომ სამხრეთ საქართველოს პროვინციის სპე-

რის მფლობელებმა, ბაგრატიონებმა, რომელთა საკუთარი მამული მდინარე ჭოროხის ზემო წელში, ქალაქ ბაიბურთის რაიონში იყო, საფუძველი დაუდეს საერთო ეროვნულ დინასტიას".[78]

ლაზეთის თემა მწერალმა „დავით აღმაშენებელშიც" განავრცო. დავითის აღმშენებლობის იდეას ლაზებიც უმაგრებენ ზურგს. გელათის ტაძრის მშენებლობაში სამცხეთელები და ლაზები აქტიურად მონაწილეობენ, თუმცა დავითი მარტოოდენ კულტურული მოტივაციით როდი ცდილობს ლაზთა ცნობიერების ქართულ სინამდვილესთან დაახლოებას. გვირგვინოსან მეფეს თვალი უჭირავს ბასილ კეისრის მიერ წართმულ ბისიანის მიწა-წყალზე. ამასთან ერთად ლაზთა სამკვიდროს, ტრაპიზონისა და ხალდეას ქვეყნების მიტაცებაზეც ოცნებობს. დავითი სახელმწიფოებრივი მასშტაბით აღიქვამს ბიზანტიის დაუძლურებას და ხსენებული ქვეყნების დაუფლებას იმ შემთხვევაში აპირებს, თუ ბიზანტია შინააშლილობისა და ტახტისმტეთა ცილობის მსხვერპლი შეიქმნებოდა.

კ. გამსახურდია თითქოსდა შეურიგდა მწარე რეალობას. საქართველომ თვალსა და ხელს შუა დაჰკარგა ლაზეთი და ტაო-კლარჯეთი, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში განვითარებულმა პერიპეტიებმა კ. გამსახურდიას კვლავ განუახლა რწმენა და იმედი დაკარგული ტერიტორიების შემოერთებისა. თურქეთის მთავრობამ ცალსახად დაიკავა ანტისაბჭოთა პოზიცია ომის პერიოდში. 1941 წელს თურქეთსა და გერმანიას შორის დაიდო ხელშეკრულება მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ. ამავე ხელშეკრულების მიხედვით თურქეთი გერმანიას ფარულად აწვდიდა სტრატეგიულ ნედლეულსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. გარდა ამისა თურქეთს ერთი მილიონიანი არმია ჰყავდა მობილიზებული და განლაგებული კავკასიის საზღვრებთან. ამით თურქეთი არაპირდაპირ დახმარებას უწევდა გერმანიას, ვინაიდან საბჭოთა კავშირი იძულებული იყო სამხრეთული საზღვრების დასაცავად დიდ-

ძალი სამხედრო შენაერთები ჰყოლოდა, ვინაიდან ნებისმიერ დროს ელოდა თურქი ასკერების ინტერვენციას.

პანთურქისტების შემოჭრა საქართველოში რომ რეალურ საფრთხეს შეიცავდა ამას მოწმობს კ. გამსახურდიას სიტყვა, სადაც ის არ მალავს თავის შეშფოთებას ამ საკითხთან დაკავშირებით: „ჩვენ გვახსოვს პირსისხლიანი ჰიტლერის ელჩის ფონ პაპენის თარეში ანკარაში. გვახსოვს მის მიერ წაქეზებული ანკარელი ჟურნალისტების წრეებიდან გამოსული ტურების საზეიმო ჩხავილი, როცა გერმანული ბატალიონები სტალინგრადს და ძაუჯიყაუს მიადგნენ. თურქ დიპლომატებს, დამთხვეულ პანტურქისტებს ალბათ იმ დღეებში ელანდებოდათ ბათუმის, თბილისის და ბაქოს აღება“.[79] ანალოგიური შინაარსის სიტყვას წარმოთქვამს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმზე პოეტი ირაკლი აბაშიძე. თუმცა ის სუბიექტურად აფასებს მოვლენებს და თურქთა აგრესიის ალამგველად ლ. ბერიას მიიჩნევს: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ მეფესა და გმირს იმდენი საქმე არ გაუკეთებია, რამდენიც გააკეთა ლ. ბერიამ 1942 წელს. ვინ დაიცვა საქართველო თურქების შემოსევისაგან. ბოლოს და ბოლოს ვერავინ. ლ. ბერიამ არ შემოუშვა მტერი საქართველოში“.[80]

თურქეთის მთავრობა იმუდოვნებდა, რომ გერმანელების მიერ სტალინგრადის აღების შემდეგ განახორციელებდნენ თავიანთ აგრესიულ გეგმებს და შეიჭრებოდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მაგრამ გერმანიის ჯარების სტალინგრადთან განადგურებამ მათ აგრესიულ ზრახვებს ფრთები შეაკვეცა. 1945 წლის მიწურულიდან სტალინგრადის ეპოპეის შემდეგ საბჭოთა კავშირმა დომინირებული ფუნქცია მოიპოვა ევროპაში. სტალინის მიერ არჩეული საგარეო პოლიტიკური კურსის მიხედვით ქვეყანა თავად ქმნიდა და ეძებდა მიზეზს თურქეთთან ურთიერთობის გართულებისათვის, რათა შემდეგ გარკვეული, მიზანმიმართული პოლიტიკური საბაბით ქვეყნის

ტერიტორიულ სიღრმეში შეჭრილიყო და წართმეული ტერიტორიები ძალისმიერი გზით დაებრუნებინა. ამ დღიდან მოყოლებული მთელი საქართველო იმის მოლოდინში იყო, რომ საბჭოთა არმია თურქეთის საზღვარს გადალახავდა და კუთვნილი მიწა-წყლის დაბრუნებით ისტორიულ კანონზომიერებას აღადგენდა. ამ ჩანაფიქრის განხორციელებისათვის საბჭოთა მხარე სერიოზულ სამზადისს ეწეოდა. წინასწარ უკვე შერჩეული იყო ლაზისტანის მთავრობა. გუდაუთაში მიმდინარეობდა ქართული დივიზიის წვრთვნა. გადასახლებულ იქნა თურქი მესხები, როგორც არასაიმედო ძალა. იქმნებოდა პრეცედენტი იმისა, რომ სტალინი თავისი შორეული წინაპრების მსგავსად თურქეთის აგრესიას ალაგმავდა და მივიწყებულ სამშობლოს გაამთლიანებდა. გასაზიარებულია ს. სიგუას ვარაუდი ამ თემაზე: „როგორც XII საუკუნეში დავით აღმაშენებელს, ისე XX საუკუნეში იოსებ სტალინს უნდა ებრძოლა თურქეთის ბნელეთის დასამხობად და სამშობლოს მთლიანობა აღედგინა“.[81]

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სტალინი აქტიური მონაწილე იყო ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებისა, სადაც რუსეთის ზოგიერთი ბოლშევიკის უსუსური ქმედების შედეგად პირწმინდად დაიკარგა ქართული ტერიტორიები. მოგვიანებით სტალინი ასე განმარტავს ამ ფაქტს: „ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დადების პერიოდში საბჭოთა რუსეთის საზავო კომისიის, რომლის ხელმძღვანელები იყვნენ ჯერ იოფე, შემდეგ კი ტროცკი, კონსულტანტად ლენინმა მე მიმავლინა, როგორც ეროვნულ საქმეთა კომისარი. ამიერკავკასიის მთავრობებმა, ჩვენს მიმართვაზე — თავისი წარმომადგენლები გამოეგზავნათ და მონაწილეობა მიეღოთ საზავო მოლაპარაკებაში, დუმილით გვიპასუხეს. კაცი არ გამოჩნდა საქართველოდან, თავისი ქვეყნის სასაზღვრო ინტერესები რომ დაეცვა. ამავე დროს ბრესტის ხელშეკრულება ვერ შედგებოდა, თუ საომარი მდგომარეობა არ განიმუხტებოდა საზღვრე-

ბის საკითხის შეთანხმებული და სამართლიანი გადაწყვეტით. ქიაზიმ-ბეიმ ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ისეთი პრეტენზიები წამოაყენა, რომ მათი უარყოფა და დარღვევა არ გამჭირვებია... ყარსი, არადაგანი რა საკითხავია, ბათუმიც თავის საზღვრებში მოაყოლეს. მათი პროექტით საზღვარი ახალქალაქიდან უნდა გასულიყო. ქიაზიმ-ბეიმ საზღვრების გადასინჯვაც კი არ ისურვა. მოლაპარაკების და დიპლომატიური მსჯელობის შეწყვეტიტაც დამემუქრა. მაშინათვე განვუცხადე: როგორც გენებოთ, მაგრამ საზღვრებზე საუბრის გაგრძელება იქნებ ერზრუმში მოგვიხდეს მეთქი და წამოვდექი. ახლა კი იკადრა უკანდახევა".[82]

ამის შემდეგ სტალინი მოსკოვს გაემგზავრა, რადგან მისია დასრულებლად მიიჩნია. გზაში ტიფით დაავადდა და რამდენიმე კვირით ლოგინად ჩაწვა. ამასობაში კი ყველაფერი უკულმა შეტრიალებულა... „ლენინმა თავისთან გამომიძახა ახალი საზღვრების ხელშეკრულებათა გასაცნობად. მივედი და რას ვხედავ: ქიაზიმ-ბეის კომისიის თავმჯდომარისათვის საზღვრების დანაწილების პირველი ვარიანტისათვის მოუწერინებია ხელი".[83] თურმე სტალინის არყოფნით უსარგებლია გაქნილ დიპლომატს და კარგა ლაზათიანად გაუცუცურაკებია ტროცკი. სტალინის აზრით „ერის ტერიტორია ხელუხლებელია და მისი დათმობის ან გაჩუქების უფლება არავის არა აქვს".[84]

სტალინს მოგვიანებით მიეცა საშუალება თავისი კოლეგების საბედისწერო შეცდომა გამოესწორებინა და დაკარგული მიწა-წყლის დაბრუნების პერსპექტივა რეალური გაეხადა. ქემალისტურმა თურქეთმა იგრძნო რა მოსალოდნელი საფრთხე შეცვალა თავისი პოლიტიკური ორიენტაცია და გაწყვიტა დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობა გერმანიასთან. 1945 წელს კი თურქეთი ანტიფაშისტურ კოალიციას შეუერთდა. მეტიც, იმავე წლის 23 თებერვალს თურქეთმა ფორმალურად ომი გამოუცხადა გერმანიას და იაპონიას.

მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთის მიერ გატარებული ბალანსირებული პოლიტიკის მიუხედავად სტალინი მიზანმიმართულად ცდილობდა პოლიტიკური ბერკეტების ზეწოლითა და იდეოლოგიური კამპანიის ძალისხმევით აეძულებინა საქართველოს აგრესორი მეზობელი გარკვეულ პოლიტიკურ დათმობებზე წასულიყო და არტაანის, ართვინის და ყარსის ოლქები დაებრუნებინა ნამდვილი პატრონისათვის. ამის თაობაზე 1945 წელს მოსკოვში გაიმართა ორმხრივი მოლაპარაკება, თუმცა ამ შეხვედრამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

1945 წლის 22 ივლისს პოდცდამის კონფერენციაზე დიდი სამეულის თანდასწრებით საგანგებოდ განიხილეს ეს საკითხი. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის გართულებული ურთიერთობის შესახებ შეშფოთება გამოთქვა: „თავს უფლებას მივცემ – აღნიშნა მან, გენერალი-სიმუსის ყურადღება მივაქციო თუ რამდენად მნიშვნელოვანია არ შევაშინოთ თურქეთი. თურქეთი უდავოდ შეშფოთებულია საბჭოთა და ბულგარეთის არმიების კონცენტრაციით ბულგარეთში. აგრეთვე საბჭოთა პრესის და რადიოს გამუდმებული თავდასხმებით. აგრეთვე ელჩის, ბ-ონ მოლოტოვთან მოლაპარაკებით, რომლის დროსაც ნახსენები იყო თურქეთის აღმოსავლეთ საზღვრის ცვლილება“.[85]

მოლოტოვის მიერ თურქეთისადმი კონფერენციაზე ოფიციალურად წარდგენილმა პრეტენზიამ სსრკ-თურქეთის საზღვრის დემარკაციისა და ცვლილებების თაობაზე მწვავე რეაქცია და დამატებითი არგუმენტაციის მოხმობის აუცილებლობა გამოიწვია საბჭოთა დელეგაციის მხრიდან, რასაც თავად სტალინმა გაართვა თავი, მისცა რა მოკავშირეებს სრულყოფილი განმარტება აღნიშნულ საკითხზე: „შეიძლება თურქეთი შეაშინა ომამდე არსებული საზღვრის შესწორების წინადადებამ? აქ საუბარი იყო პირველ მსოფლიო ომამდე არსებული საზღვრის აღდგენაზე. მხედველობაში მაქვს ყარსის

რაიონი, რომელიც ომამდე იყო სომხეთის შემადგენლობაში და არდაგანის რაიონი, რომელიც ომამდე საქართველოს ეკუთვნოდა. ძველი საზღვრის აღდგენის საკითხი არ წამოიჭრებოდა, თურქეთს რომ სსრკ-თურქეთის შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების საკითხი არ დაეყენებინათ, ეს კავშირი კი ნიშნავს, რომ ჩვენ ვკისრულობთ თურქეთის, ისევე როგორც თურქები ჩვენი საზღვრის დაცვას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყარსის და არდაგანის რაიონში საზღვრები უმართებულოა და თურქებს განვუცხადეთ, რომ ჩვენთან კავშირის შემთხვევაში საზღვარი უნდა გასწორდეს".[86]

მალე ქართული მხარეც აქტიურად ჩაერთო იმ მძლავრ იდეოლოგიურ კამპანიაში, რომელიც თურქეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. 1945 წლის 14 დეკემბერს გაზ. „კომუნისტში" დაიბეჭდა ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის სტატია — „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ". წერილში მეცნიერები ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ხაზგასმით მიუთითებდნენ ქართული ტერიტორიების საქართველოსთან შემოერთების აუცილებლობაზე: „ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასოდეს უთქვამს უარი და ვერც იტყვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არტაანის, არდაგანის, ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმუშხანეს რაიონები და აღმოსავლეთ ლაზისტანი, ტრაბზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით. ე.ი. საქართველოსათვის წართმეული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი".[87]

ამ წერილმა ისეთი რეზონანსი გამოიწვია საზოგადოებაში, რომ იგი მალევე ითარგმნა რუსულ ენაზე და იმავე წლის 20 დეკემბერს საკავშირო პრესაში დაიბეჭდა (გაზ. „პრავდასა" და „იზვესტიაში"), რაც ბუნებრივია სტალინის ნებართვის გარეშე ვერ მოხდებოდა. ამ წერილში გამოთქმულია ქართველი მუსლიმანების ნება-სურვილი, რაც ითვალისწინებს მთელი სამუსლიმანო საქართველოს დანარჩენ საქარ-

თველოსთან შემოერთებას. სწორედ ამ კონცეფციითაა გამსჭვალული 1945 წლის 28 დეკემბერს გაზ. „კომუნისტში“ ამიერკავკასიის მუსლიმანთა სამმართველოს წევრის, აჭარის ყადის რასიხ ბერიძეს წერილი, სადაც ის კატეგორიულად მოითხოვს არტაანის და ართვინის მიწა-წყალთან ერთად აღმოსავლეთ ლაზისტანის შემოერთებას ტრაპიზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით: „ქართველ ხალხს, პირველ რიგში ქართველ მუსლიმანებს არასოდეს არ დაავიწყდებათ თურქეთის ვერაგული თავდასხმა საქართველოზე 1920-21 წლებში, როცა მათ მოახდინეს არტაანის, ართვინის ოლქების და ბათუმის ოლქის ნაწილის ოკუპაცია. ქართველო მუსლიმანებო! ვთხოვოთ დიდ ღმერთს, რომ ჩვენი საუკუნეობრივი სურვილი შესრულდეს და სამუსლიმანო საქართველო მთლიანად შეუერთდეს თავის დედა-სამშობლოს – საქართველოს და გახდეს მონაწილე თავისი ძმების ერთიანი ოჯახისა, ამინ!“[88]

ამავე სულისკვეთებითაა გამსჭვალული არნოლდ ჩიქობავასა და ექვთიმე თაყაიშვილის სტატიები. კ. გამსახურდია 1946 წელს აქვეყნებს ნარკვევს „კოლხეთში“, სადაც გამოთქვამს თავის გულისტკივილს დაკარგული ტერიტორიების გამო. მწერალი წერს: „უკანასკნელი ხუთი საუკუნის მანძილზე მეცხრამეტე საუკუნემდე საქართველომ დაჰკარგა თითქმის ნახევარი თავისი ისტორიული ტერიტორიისა. დავკარგეთ სამცხე-საათაბაგოს მთელი სამხრეთი, ზარზმიდან ვიდრე ტრაპიზონამდე, ტაო-კლარჯეთი, ეს უძველესი აკვანი ქართული კულტურისა, რომელიც უნდა ყოფილიყო ჩვენი ხალხის შენამატის დასახლებული ტერიტორია“.[89]

ქართული ტერიტორიების დაუოკებელი სურვილით არიან შეპყრობილი ცნობილი ქართველი პოეტები ირ. აბაშიძე, გ. ლეონიძე. გრ. აბაშიძე, ილო მოსაშვილი, რომლებმაც არა ერთი პოეტური შედევრი უძღვნეს ამ მტკივნეულ პრობლემას. გოგლა ლეონიძე ასე ეფერება ისტორიული ბედისწერით დაკარგულ მიწა-წყალს:

„ისე დავბერდი
ველარ ვნახე ტბეთი, შატბერდი
ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული.
როდის მოუვა მათ გაზაფხული?

ველარ ვემთხვიე მესხეთის მიწას
სადაც გმინავენ ძველი ლოდები
სადაც აჩრდილნი მამა-პაპათა
შემოგვძახიან: „თქვენ გელოდებით!“

ალიო ადამია კი ლექსში „ლაზური ბალადა“ გამოთქვამს პროტესტს აგრესორი მეზობელისადმი, რომელმაც დედა-შვილობის გამყოფი საზღვარი გაავლო ლაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის:

„უეცრად ლაზთა ქვეყანას
თურქებმა დასცეს ლახვარი
სარფიც გადასწვეს, აიკლეს
მიწას გაჰქონდა, ზანზარი.
მერმე საზღვარი გაავლეს
დედაშვილობის გამყოფი“.

კ. გამსახურდიაც თავის თანამოაზრეებთან ერთად საბრძოლო პათოსით მოუწოდებს ქართველობას თავიდან აიცილონ ამერიკელებისაგან შეგულიანებული და საომარ მზადყოფნაში მოყვანილი ისლამის ბნელეთის მოციქულების – თურქეთისა და ირანის სამხედრო აგრესია. მწერალი გამოთქვამს იმედს, რომ მისი თაობა მაინც მოესწროს თურქეთის მზის დაბნელებას და ისტორიის სამართლიანობის აღდგენას... კ. გამსახურდია წერს: „მე ბედმა მარგუნა ჩემს სიჭაბუკეში იარაღით მებრძოლა ოსმალური ბნელეთის აგრესიის წინააღმდეგ და ხვალ თუ ზეგ რომ მოახერხონ ყიზილბაშების ჩვენ-

ზე მოსევა, ეგებ ჩვენს თაობას ელისოს ოსმალეთთან ძველი ანგარიშების გასწორება“.[90]

კ. გამსახურდია თანამედროვე თურქებსაც არ სწყალობს. ის მათ მტაცებელ იმპერიალისტებს და შარა-გზის ყაჩაღებს უწოდებს. მწერლის შენიშვნით მართალია, ოსმალთა სულტანი ტახტიდან იქნა გადმოყირავებული, ხალხმა წითელი ფესვები გადაჰყარა, კავკასიური ფაფახები და ფრანგული ქუდები დაიხურეს, თავიანთ სახეგატეხილ ქვეყანას სახელიც კი გამოუცვალეს, თუმცა არც სახელისა და არც ქუდის გამოცვლით თურქებს ჭკუა არ მომატებიათ. ისინი ისეთივე პირწავარდნილი პანთურქისტები დარჩნენ, როგორებიც იყვნენ საუკუნეების მანძილზე.

თურქეთის იმპერიალისტური სულის ასაღორძინებლად მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწიეს ამერიკისა და ევროპის რიგმა სახელმწიფოებმა, რომლებიც მორიგეობით დიპლომატიურ ქაფურს უშხაპუნებდნენ მეზობელ ერების ძარცვაზე და გლეჯაზე მოშენებულ სელჯუკებს, რათა ეს, სტამბოლელი ავადმყოფი არც მომკვდარიყო და არც მორჩენილიყო. ეს სახელმწიფოები მუდამ „ნათლიმამობას“ უწევდნენ თურქეთს.მწერალი თავად იყო მომსწრე იმისა 1919 წელს ოსმალეთში მოგზაურობის დროს თუ როგორ დააგელვებდნენ ცხენებს კონსტანტინეპოლის ქუჩებში ინგლისელი და ფრანგი ოფიცრები, რომლებიც თურქებს კვერცხის ფხვნილსა და საღეჭ რეზინს აყრიდნენ თავზე, დრო და დრო კი მათრახებსაც სთავაზობდნენ წითელ ფესვიან ასკერებს, რათა სტამბოლელი ავადმყოფისათვის სიცოცხლის ელექსირი შეემატებინათ და მისი გამოჯანსაღებით ხელახლა შეყრილი იმპერიალისტური ციებცხელება მტრულად განწყობილ სახელმწიფოსადმი მიემართათ.

კ. გამსახურდია საჯაროდ ამუნათებს ქემალ ფაშასა და მისი დამქაშების იმპერიალისტურ პოლიტიკას. „არასოდეს არც ერთი ერის განახლება არ შეიძლება რეაქციული გზე-

ბით. რენესანსი და აღორძინება ყოველ ეპოქაში პროგრესული აზროვნების ნაყოფი ყოფილა და არც/ცხოვრების გარეგნულ ნიშანთა შეცვლისა".[91] მწერლის სამართლიანი აღშფოთება იმითაცაა გამოწვეული, რომ გამძვინვარებული თურქული რეაქცია განახლებული აგრესიით ემუქრება ლაზებს, მათ კულტურასა და ტრადიციებს: „ქემალისტები პირწავარდნილი ფაშისტ-რასისტები იყვნენ. ოსმალეთის უკანასნელ სულტანზე უფრო გულმოდგინედ შეუდგნენ ისინი ჩვენი მოძმე ლაზების დეპორტაციას ოსმალეთის სამხრეთ ვილაითებში. ამ ბარბაროსებს არც იმის გამო დაწყვეტიათ გული, რომ საქართველოდან მიტაცებული პროვინციების, ტაო-კლარჯეთის, შავშეთის უბრწყინვალესი ძეგლები ქართული არქიტექტურისა გაანადგურეს".[92] მწერალი გულისტკივილით შეახსენებს საზოგადოებას, რომ ლაზთა ტომით დასახლებული ტრაპეზუნტის იმპერია ქართულ სამფლობელოს წარმოადგენდა საუკუნეების მანძილზე და რომ არა თურქი მოძალადეების გამანადგურებული ინვაზიები ეს ტერიტორიები დღესაც ქართული სამყაროს შემადგენელი ნაწილი იქნებოდა.

საქართველოს ამ ტრაგიკულ ისტორიის ფონზე კ. გამსახურდიას ცინიზმად მიაჩნია ამერიკელი და ინგლისელ დიპლომატების მოჩვენებითი წუხილი იმ მუქარის გამო, რომელსაც იჩენდა საბჭოთა ხელისუფლება 40-იანი წლების ბოლოს ქემალისტური თურქეთისადმი. მწერალი სამართლიანად აღნიშნავს: „ყოველივე ამის შემდეგ ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები სენტიმენტალური გულაჩუყებით მოსთქვამენ თურმე ვიღაცა დაბრიყვებას უპირებს ოსმალეთს, მიწების მოტაცებას უპირებს იმას, ვინც მთელი თავისი არსებობის მანძილზე თავად იყო მიმტაცებელი საქართველოს, სომხეთის, საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, სერბეთის და ალბანეთის მიწა-წყლისა".[93]

კ. გამსახურდიას აზრით საქართველოს მისატაცებელი არაფერი არ სჭირს. ის ითხოვს იმას, რაც მას კანონიერად

ეკუთვნის. თუმცა მწერალი იმასაც მიუთითებს, რომ თურქეთის მიერ ამერიკული დიპლომატიის წყალობით ქართული მიწების ინტეგრაციამ საყოველთაო და მიუღებელი ხასიათი მიიღო: „ჩვენი ხალხის ისტორიულმა მტერმა – წერს მწერალი, - თურქულმა იმპერიალიზმმა ახალი ზედსაყრდენი იპოვა ამ ბნელ ძალაში და თურქულ-ამერიკული იმპერიალიზმის ფორპოსტები საქართველოსაგან და სომხეთისაგან მიტაცებულ ტერიტორიაზე სდგანან.[94]

თუ თურქი რეაქციონერები პოლიტიკაში ხან ინგლისის მაჩანჩალები იყვნენ, ხან გერმანიის, მეოცე საუკუნის შუა ხანებში ახალი ბატონები იპოვნეს ამერიკელი მაგნატების სახით. თურქეთი გახდა ამერიკული იმპერიალიზმის სამხედრო ბაზა, აგრესორების ტრამპლინი, მაჩანჩალა სატელიტი. კ. გამსახურდია საჯაროდ გმობს ამერიკისა და თურქეთის პოლიტიკურ შეკავშირებას. განიხილავს მათ ურთიერთობას, როგორც აგრესორთა და მიმტაცებელთა ბლოკს, რომლის უმთავრესი დევიზია მიტაცებული ქართულ ტერიტორიების შენარჩუნება და ადგილობრივი მოსახლეობის თურქულენოვან ხალხთან ინტეგრაცია. მწერლის პოლიტიკური ხედვით ამერიკასა და თურქეთს შორის დადებულმა სამხედრო-პოლიტიკურმა კავშირმა მთლიანად განაპირობა ქართული ტერიტორიების ძალისმიერი მეთოდით შემოერთების უპერსპექტივობა. მსოფლიო დიპლომატიის აქტიურმა ჩარევამ და თურქეთის „ნატოში“ გაწევრიანებამ ი. სტალინი იძულებული გახადა ანგარიში გაეწია საზოგადოებრივი აზრისათვის და ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარი ეთქვა.

მოვლენათა არასასურველმა განვითარებამ ანტითურქულ ისტერიას ნიადაგი გამოაცალა. კ. გამსახურდიას პოლიტიკური იდეალები გამტყუნდა. მის ცხოვრებისეულ და შემოქმედებით სწრაფვას აღსრულება არ ეწერა. ქვეყანამ ვერ დაიბრუნა კუთვნილი ტერიტორიები. საქართველო შეურიგდა თავის

მძიმე ხვედრს, ქართული საზოგადოებრიობა კი — მწარე რეალობას.

თუმცა სტალინს არც ამის შემდეგ განელებია სურვილი ლაზისტანის საქართველოსთან შემოერთებისა, რასაც კარგად მოწმობს აფხაზეთის საოლქო კომიტეტსი პირველი მდივნის აკ. მგელაძის დიალოგი ბელადთან: „სტალინმა მიიყვანა იგი რუკასთან, მოხაზა გრძელი ტერიტორია ბათუმიდან ტრაპიზონის ჩათვლით და ჰკითხა: „ხომ კარგი რუკააო.“ როგორც ჩანს მას გამიზნული ჰქონდა შემოერთება საქართველოს ისტორიული ტერიტორიებისა, ორჯერ დარაზმა ჯარები საზღვრებზე რომ დაეკავებინა ეს ტერიტორიები, მაგრამ ჩერჩილის მუქარის გამო ვერ განახორციელა.[95]

§1. „მაფალუ“ - ნოთე“ ანუ სამეგრელოს საკითხი

საქართველოს განსხეულების შედეგად დაკარგული ლაზეთის მაგალითზე გამსახურდია უკომპრომისო ბრძოლას ეწეოდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ნებსით თუ უნებლიედ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის დანაწევრებასა და ბაქუცმაცებას მიელტვოდა. ასეთ სეპარატისტთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ისაკ ჟვანია, რომელიც 20-30-იან წლებში ზუგდიდის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი იყო. ისაკ ჟვანიასა და მისი დამქაშების სეპარატისტული ქმედების შედეგად აგორდა „სამეგრელოს საკითხი“, რასაც, ლამის სამეგრელოს ავტონომიური ოლქის შექმნა მოჰყვა.

ისაკ ჟვანიას აზრით სამეგრელო ისეთივე ეროვნული ერთეულია, როგორც ოსეთი, აფხაზეთი. მეგრელი კაცი თავისი თვისებებით, კულტურითა და ტრადიციებით განსხვავდება ქართველისაგან. მეგრელებს აქვთ მშობლიური ენა, რაც იძლევა იმის საშუალებასა და საფუძველს, რომ შეიქნას სამეგრელოს ავტონომიური ერთეული. ი. ჟვანია თავის წიგნში ერთგან წერს: „რატომ არ არსებობს მეგრელი ნაცია, სამეგრელოს ხომ ყველა ის თვისება გააჩნია, რისგანაც იქმნება ნაცია: კულტურისა და ყოფის ერთობა, ტერიტორია, ეკონომიური ერთიანობა, ენა და ა. შ...“[1]

ისაკ ჟვანია გამოთქვამს შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ სამეგრელოს თავადაზნაურობა თავის თავს ქართველად სთვლიდა და თუ გლეხებმაც მიბაძეს ზედა ფენებს, მეგრელებს ასიმილაცია არ ასცდებათ ქართველებთანო. ის ანვითარებს ეთნოგრაფიულ თეორიას, რომლის მიხედვით მეგრელ გლეხებსაც ისე თბილად უნდა მოვექცეთ, როგორც სხვა ხალხებს. მას შეგნებულად ჰქონდა აქცენტი გლეხებზე გადატანილი, ვინაიდან მათი იდეური და ინტელექტუალური ჩამორჩენილობით ცდილობდა გლეხობაში მტკიცე დასაყრდენი

ეპოვა. ამასთან ერთად მთელი არსებით ლამობს ეს გაუთვითცნობიერებლობა აღმოფხვრას გლეხთა მასებში მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის გავრცელების პროპაგანდით. მისი აზრით უსწავლელი კაცის დამონება იოლია. ამიტომაც ცდილობდა თურმე მენშევიკური მთავრობა წერა-კითხვის საშუალება არ მიეცა მოსახლეობისათვის. ახლა კი, როცა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა თავის პიკს აღწევს, მშრომელთა მასები აქტიურად უნდა ჩაებან მის ფერხულში. მაგრამ გლეხთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობა აფერხებს სოციალისტური საზოგადოების შენების ტემპს, ვინაიდან მეგრელი გლეხები თურმე ქართული ენის უცოდინარობის გამო სიღრმისეულად ვერ წვდებიან მარქსისტულ მსოფლმხედველობას, ლენინისა და სტალინის „ბრძნულ" აზრებს, მაშინ როცა მშობლიურ, მეგრულ ენაზე წაკითხული მარქსისტული მოძღვრება დღესავით ნათელი გახდებოდა გლეხთათვის.

ისაკ ჟვანია დარწმუნებულია, რომ ასეთი იაფფასიანი სოციალისტური ხასიათის ლოზუნგებით ის გარკვეულ იდეურ დასაყრდენს იპოვიდა გლეხობაში. ამიტომაც ის მხოლოდ გლეხების „მეგრელობაზე" ლაპარაკობს და ქვეყნის სხვა მეგრელებს ფაშისტებსა და ნაციონალისტებს უწოდებს, ან საერთოდ არა მეგრელად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე არაგლეხი მეგრელი ღირსი არცაა სამეგრელოს ავტონომიაში ცხოვრებისა. ამაზე ირონიულად აღნიშნავს თავის წერილში ზ. გამსახურდია: „ჟვანიას ლოგიკით თურმე ზუგდიდში მიწის დამმუშავებელი გლეხი მეგრელია, ხოლო მედუქნე, რომელიც დახლთან დგას, ან ოფიციანტი, რომელიც რესტორანში მსახურობს, აღარ არის მეგრელი".[2]

მიუხედავად ამგვარი წინააღმდეგობრივი პოზიციისა ისაკ ჟვანიას საკმაოდ ჰყავდა მხარდამჭერი და გულშემატკივარი. სწორედ ამგვარ წამქეზებელთა ძალისხმევით 1925 წლის 24 სექტებერს ზუგდიდის პარტიულმა კომიტეტმა განიხილა სამეგრელოს საკითხი, თუმცა სხდომაზე ხუთმა ფუნ-

ქციონერმა ღირსეულად და ერთიანი სულისკვეთებით გაილაშქრეს ავტონომიურობის წინააღმდეგ. ამ ფაქტს კ. გამსახურდია აღფრთოვანებული მიესალმა, თუმცა ეს ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა. იმავე წელს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ კახიანი, ოკუჯავა, ელიავა, გეგეჭკორი, ორჯონიკიძე და სხვები, გამოიტანეს დადგენილება სკოლებში და სასამართლოებში მეგრული ენის შემოღების-შესახებ. ავტონომიის იდეა კი არ მოიწონეს და არ მიიღეს. ერთ-ერთი პირველი პარტიული ფუნქციონერი, რომელმაც მთელი არსებითა და ძალისხმევით გაილაშქრა მაფალუისტების წინააღმდეგ. ლ. ბერია იყო. ის უმალვე გამოეხმაურა ზუგდიდის პარტიული კომიტეტის მიერ ჩატარებულ სხდომას და სასტიკად დაგმო მეგრელი ავტონომისტების ვლ. ბუკიას, კოსტა კილასონიას, შ. დადიანის მოთხოვნა მეგრული ავტონომიის შექმნის თაობაზე.

ლ. ბერია ცინიკურად მიუთითებს იმის შესახებ, რომ თითქოსდა სამეგრელოს მშრომელი ხალხი საუკუნეების მანძილზე ქართველების უღელქვეშ გმინავდა და რუსეთთან შეერთებით როგორც იქნა თავი დააღწია იმპერიის მარწუხებს. ამ ხნის მანძილზე თურმე მშრომელი მასები დღენიადაგ კანონიერ საბუთებს ეძებდნენ რუსეთის შემადგენლობაში საკუთარი ავტონომიური უფლებების მოსაპოვებლად. პარტიული ხელმძღვანელი სეპარატისტთა იდეების ციტირებას ეწევა. „1887 წელს, როგორც აღნიშნავს მესამე დოკუმენტი, სამეგრელოს გლეხობამ თავისი ბედ-იღბალის ხელმძღვანელობა სამუდამოდ ჩააბარა რუსეთს და ჩამოაგდო თავისი მჩაგვრელი მეფის ავტოკრატი“.[3]

ლ. ბერია ირონიულად იმასაც დასძენს, რომ თურმე მეფის რუსეთი ამ დროს წარმოადგენდა დემოკრატიულ სახელმწიფოს, რადგანაც გაითვალისწინა „სრულიად მეგრელი ხალხის“ მისწრაფებები. სახელმწიფო ჩინოვნიკმა მაფალუის-

ტების უხეირო განზრახვა შეაფასა, როგორც ქართველ ხალხში ტომობრივი დაქსაქსულობის ჩამოგდების მცდელობა. ის ნიშნისმოგებით კითხულობს: „მაინც რა უნდა დარქმეოდა ახალ რესპუბლიკას: ლაზ-კოლხეთი თუ მარგალისტანი. თურმე ამ საკითხზე ვერ შეთანხმებულან სეპარატისტები. თითქოსდა დანარჩენი პრობლემები მოგვარებული ჰქონიათ.“[4] მისივე მითითებით ამ ბნელი ადამიანების ძმა-ბიჭების კამპანიამ ყველა ღონეს მიმართა, რათა სამეგრელოს ავტონომიის იდეის პრაქტიკული ხორცშესხმა მოეხდინათ.

მაგრამ მათი მცდელობა ფარსი იქნებოდა ამ „იდეისათვის“ მხარი რომ არ დაეჭირა ზუგდიდის პარტიული ორგანიზაციის ზოგიერთ პასუხისმგებელ პირს, მათ შორის ისაკ ჟვანიას. ლ. ბერიას აზრით, „ი.ჟვანია სერიოზულად არ გარკვეულა როგორც მარქსისტი ამ საკითხით და განიცდის დადიანის გავლენას. მისთვის ალბათ აშკარად არ არის, თუ როგორ ულირს როლს ასრულებს ის, პარტიის ძველი წევრი, რომელიც თამაშობს ყოფილი ძველი თავადის დადიანის დუდუკზე.“[5]

ლ. ბერია თავის წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვინც საუბრობს საქართველოს იმპერიალიზმის შესახებ სამეგრელოს მიმართ, მათ საბოლოოდ დაუკარგავთ აზროვნების უნარი. მისივე მტკიცებით საბჭოთა ხელისუფლება სამეგრელოს მისცემდა ავტონომიას ეს რომ აუცილებელი ყოფილიყოს. მაგრამ ამისი არანაირი სოციალ-პლიტიკური საფუძველი არ არსებობდა. ის აღნიშნავს: „სამეგრელოს არც ეკონომიკური, არც კულტურულ-ყოფაცხოვრების და ბოლოს, არც ისტორიული პირობები არ წარმოადგენს საფუძველს ლაზ-კოლხეთის ავტონომიის შესაქმნელად და საბჭოთა საქართველოსგან მის ჩამოსაგლეჯად. სამეგრელოს ავტონომია – ეს ნაბიჯის უკან გადადგმაა. ეს არის ნახტომი 300 წლით უკან.“[6]

ლ. ბერიას აზრით ამ მავნე იდეას ასულდგმულებს ერთი მუჭა კონტრრევოლუციონერების ჯგუფი, რომლებიც თა-

ვის სახელისათვის უფრო იღწვიან, ვიდრე მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის. ამიტომაც ეს ჯგუფი ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს.

სამეგრელოს საკითხისადმი პარტიული ფუნქციონერის ასეთი აგრესიული დამოკიდებულების გამო ი. ჟვანიამ უკან დახევა და მოჩვენებითი დათმობის გზა აირჩია. თუმცა მალე ამასაც არ დასჯერდა და საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით გუშინდელი თანამზრახველები მოღალატეებად და ავანტიურისტებად შერაცხა.

„ჩემში არავითარ ეჭვს არ იწვევს და სრული ჭეშმარიტებაა ის, რომ ხსენებული პირების მთელი ეს ჩმახვა სამეგრელოს ავტონომიის შესახებ არის მართლა უმსგავსო საბჭოთა ფარსი. ავტონომია, რომელსაც მოითხოვენ ერთი მუჭა ფანტაზიორები და რომელიც არაა დამყარებული მშრომელი ხალხის სურვილებზე, მისი როგორც პოლიტიკურ-კულტურულ, ისე ეკონომიკურ ინტერესებზე და მას ხელს არ უწყობს ქვეყნის ობიექტური პირობები, ასეთი ავტონომია არის ავანტიურა, ხოლო მისი ინიციატორები – წმინდა წყლის ავანტიურისტები“.[7]

მალე სამეგრელოს საკითხმა თბილისში აქტუალური ხასიათი მიიღო. 1929 წელს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და სახალხო კომისარიატის საბჭომ მიიღო დადგენილება საქმების წარმოებისა და სასამართლოში მეგრული ენის შემოღების შესახებ ზუგდიდის მაზრის იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტმა და საქართველოს სს-რ სახალხო კომისარიატის საბჭომ დაადგინა:

1. შემოღებულ იქნას საქმის წარმოება მეგრულ ენაზე სოფლის საბჭოებში, სადაც უმრავლესობამ ქართუ-

ლი ენა არ იცის და მეგრულ ენას, როგორც მშობლიურ ენას ისე იყენებს.

2. შემოღებულ იქნას მეგრული ენა იმ რაიონების სასამართლოებში, სადაც მოსახლეობის უმეტესობამ ქართული ენა არ იცის და მეგრულ ენას ხმარობს, როგორც დედა ენას.
3. იმ სოფლების, საბჭოების და სახალხო სასამართლოების მართვა, სადაც ამ დადგენილების პირველი და მეორე პუნქტების თანახმად საქმის წარმოება მეგრულ ენაზე უნდა მიდიოდეს, განხორციელდება ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის დადგენილებითა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მტკიცებულების მიხედვით.

მინიშნება: ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ის სახალხო სასამართლო, სადაც საქმის წარმოება უნდა მიდიოდეს მეგრულ ენაზე, უნდა იყოს შეთანხმებული სახალხო კომისარიატის წინაშე.

4. ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის და ამ მაზრის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის ყველა სავალდებულო დადგენილება, რომლის შესრულება მოსახლეობისათვის სავალდებულოა, გამოყენებულ უნდა იქნას როგორც სახელმწიფო, ისე მეგრულ ენაზეც.
5. ზუგდიდის მაზრის იმ მოქალაქეებს, რომელთაც ქართული ენა არ იციან, შეუძლიათ მაზრის და რაიონის დაწესებულებაში /სიტყვიერად და თუნდაც წერილობით/ მეგრული ენა გამოიყენონ.
6. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს და ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს მიიღონ საჭირო ზომები ამ დადგენილების განხორციელებაში იმგვარად, რომ 1930 წლის იან-

ვარში ზემოთმოყვანილი წესები /თუ პუნქტები/ სრულად იქნას განხორციელებული.[8]

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე ვ. ბოლქვაძე

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისარიატის
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ს. თორდია

1929 წ. თბილისი

ამ დადგენილების პრაქტიკული განხორციელებისათვის პარტიულ ორგანიზაციებს საგანგებოდ დაევალათ პოლიტიკური მუშაობა გაეჩაღებინათ უპარტიოებში და გლეხებში, რათა უფრო აქტიურად ჩაებათ ისინი ადგილობრივი ნაციონალიზმისა და ბურჟუაზიული შოვინიზმის წინააღმდეგ. საკავშირო ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ამონაწერის თანახმად გლეხთა და მუშათა უკეთ ცხოვრების მიზნით ნაც. კომპარტიებს და კავკასიის მხარის კომიტეტს დაევალათ, რომ გაეხსნათ სპეციალური კურსები ნაციონალური უმცირესობისათვის და მიეღოთ ზომები იმისათვის, რომ სასამართლოში, დაწყებით სკოლებში და სხვა ორგანიზაციებში საქმის წარმოება და სწავლება მეგრულ ენაზე წარმართულიყო.

ისაკ ჟვანიას და მისთა თანამზრახველთა პროვოკაციულმა გამოსვლებმა თავისი შედეგი გამოიღო. ამ სეპარატიზმის პირველი ნაყოფი გახლდათ „ყაზახიში გაზეთი“, რომე-

ლიც 1930-35 წლებში გამოდიოდა და მთელს სამეგრელოში ვრცელდებოდა. .თავდაპირველად გაზეთი ხუთ დღეში ერთხელ გამოდიოდა 16 ათასი ტირაჟით. მოგვიანებით კი ყოველდღიურ ორგანოდ გადაკეთდა.



გაზეთის ფურცლებზე ყოვლად უსუსური და უგემოვნო წერილები იბეჭდებოდა, მეტწილად იდეოლოგიური ხასიათის, სადაც ასახული იყო საკოლმეურნეო ცხოვრება, სოფლებს შორის გამართული სოციალისტური შეჯიბრებები. თვალშისაცემია გაზეთში ფართოდ გავრცელებული ანტირელიგიური პროპაგანდა. გაზეთის მთავარი რედაქტორი თავად ისაკ ჟვანია იყო, რომელიც გაზეთის ფურცლებიდან ასე მოძღვრავდა ხალხს: „მეგრულ ენას სამი დიალექტი აქვს: სენაკური, ზუგდიდური და სამურზაყანოს. „ყაზახიში გაზეთის“ მეგრულ ენას ზუგდიდურ-სამურზაყანოს დიალექტი დაედო საფუძვლად, რადგანაც სწორედ ამ ორ მაზრაშია მეგრული ენა უკეთეს მდგომარეობაში. ამიტომაც ამ მაზრების გლეხებს უფრო ესაჭიროებათ მეგრულ ენაზე დაწერილი“ჩხორიათი“ და „ყაზახიში გაზეთი“.[9]

ი. ჟვანიას მითითებით მეგრელი მოსახლეობა დიდი ენთუზიაზმით შეხვდა მეგრული ენისადმი სახელმწიფო სტატუსის მინიჭების დადგენილებას. გლეხები თურმე ნიშნისმოგებით მიმართავენ ერთმანეთს „მართლაც ყოფილა საბჭოთა მთავრობა მშრომელების მთავრობაო“. ხმამაღლა გაიძახოდნენ ისინი, ვინაიდან სწორედ საბჭოთა მთავრობამ მისცა მათ თურმე საშუალება გასაგებ ენაზე წაეკითხათ გაზეთი და საქმეებიც „მშობლიურ“ ენაზე წაეყვანათ. ისაკ ჟვანია სიხარულით მიუთითებს მეგრელი გლეხების ნანატრი ოცნების აღსრულებას. ისინი თურმე ასე ულოცავდნენ ერთმანეთს მეგრული გაზეთის გამოსვლას.

„- ბიჭო გაზეთი ნახე მეგრულ ენაზე, თანაც გლეხი რომ ქვია ისეთი, ჩვენც კაცებად ჩაგვთვალეს, არ ხედავ“.[10]

ზემოთ მოყვანილი დიალოგის მიხედვით მეგრელს თავისი თავი კაცად არ მიაჩნდა, სანამ მეგრულ ენაზე დაწერილ გაზეთს არ წაიკითხავდა. პარტიული ფუნქციონერის მინიშნებით ასეთი დიალოგები უფრო იქ გვესმოდაო, სადაც „ყაზახიში გაზეთი“ ფართოდ იყო გავრცელებული. მაგრამ სამეგრელოში ჯერაც ბევრია ისეთი სოფელი, სადაც არც მეგრული გაზეთია შესული და არც მეგრულ ენაზე წარმოებს საქმეების წაყვანა. ამ კანონის გამოქვეყნებამ კი ეს ხარვეზი უნდა ამოავსოსო. ჟვანიას აზრით ამ კანონის ფართო მასებში ფეხმოკიდებას პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა შეუწყონ ხელი, პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად.

„ყაზახიში გაზეთის“ რედაქტორი არ კარგავს რწმენას იმის თაობაზე, რომ ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას ხელს შეუშლიან მემარჯვენე და მემარცხენე ოპორტუნისტები, ტროცკისტები, მღვდლები, ვაჭრები, ძალად ინტელიგენტები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები. თუმცა, ჟვანია გამოთქვამს იმის იმედსაც, რომ გლეხობა არ შეუშინდება ბურჟუაზიული აგენტების უკბილო კბენასა და უფრჩხილო ფხაჭ-

ნას. ბოლშევიკურ-ლენინური მთავრობის კანონი ცხოვრებაში თავისუფლად, ძალდატანების გარეშე უნდა გატარდესო.

ისაკ ჟვანის სეპარატისტული ვნების დასაოკებლად ქართული მწერლობა ფეხს ითრევდა. ბევრი მათგანი დუმილისა და ჩაურევლობის სამოსელში გაეხვია. მავანნი კი ინტერნაციონალიზმის სახელით საგანგაშოს ვერაფერს ხედავდნენ იმაში, რომ მეგრელი კაცი სწავლა-განათლებას მეგრულ ან რუსულ ენაზე დაეუფლებოდა. გ. ჯიბლაძის აზრით „ყაზახიში გაზეთი“ სულაც არ წარმოადგენს შოვინისტურ გაზეთს და არც ქართული ენა განიცდის დევნას და თუ ზოგიერთი მეგრული სიტყვის მაგივრად რუსული სიტყვაა ნახმარი, ეს იმისათვის ყოფილა, რომ თურმე მეგრელ გლეხს ხშირად რუსული სიტყვა უფრო ესმის, ვიდრე ქართული. ამ ამონაწერიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მასშტაბით როდი აფასებდა ისაკ ჟვანიას ქმედებას, არამედ გლეხთა სოციალური პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით

ასევე შეუვალია თავისი პოზიციით ტ. ტაბიძე, რომელიც მეგრული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსით აღჭურვას მიიღებლად და შეუწყნარებლად თვლის. „სამეგრელოს მე არ ვთვლი ქვეყნად რომელიც ეგზოტიკა იყო ჩვენთვის, იმიტომ რომ მას არ ჰქონია არასოდეს ენა. ყოველთვის ქართული ენა იყო მათი სახელმწიფო ენა. ეგზოტიკით კაცი შორს ვერ წავა“.[11]

მეგრული სეპარატიზმის გასაღვივებლად ისაკ ჟვანიამ 1931 წელს ზუგდიდში მეგრულ ენაზე გამოსცა წიგნი სახელწოდებით: „როგორ ელოდა სამეგრელოს გლეხობა საბჭოეთის ხელისუფლებას“. წიგნი გამოიცა საქართველოს გასაბჭოების 10 წლისთავის საიუბილეოდ „ყაზახიში გაზეთის“ სტამბაში 8000 ტირაჟით.

წიგნი უფრო პოლიტიკური აგიტაციის ხასიათს ატარებს. მასში ავტორი ოთხ თავს გამოჰყოფს. პირველ თავში

ჟვანია გვესაუბრება 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის წინა დღეებზე, მეორეში-ასახულია პერიოდი, რომელიც მოიცავს თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციიდან რუსეთის პროლეტარულ რევოლუციამდე. მესამე თავში შესაშური რევოლუციური აღგზნებით აფიქსირებს თუ როგორი ვითარება იყო სამეგრელოში 1917 წლიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე ანუ საქართველოს გასაბჭოებამდე. დასკვნით თავში კი ავტორი მენშევიკების მიერ მოწყობილ 1924 წლის „ავანტიურაზე“ გვესაუბრება.

მიუხედავად წიგნის პოლიტიკური ხასიათისა ისაკ ჟვანია შეძლებისდაგვარად ეწევა პროპაგანდას სამეგრელოში ქართული ენის განდევნისა და სწავლა-განათლების მეგრულ ენაზე შემოღების აუცილებლობაზე. ერთგან ის მიუთითებს: „1921 წლიდან 1932 წლამდე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე სამეგრელოს მოსახლეობა კიდევ უფრო წიგნიერი გახდა, ვიდრე ეს იყო მენშევიკების ხანაში. ასეთი შედეგი კი მიღებულ იქნა იმის გამო, რომ სამეგრელოში სწავლა-განათლება მეგრულ ენაზე იქნა შემოღებული. ამასთან ერთად ყოველდღიურად გამოდის მეგრულ ენაზე 20000 ტირაჟით „ყაზახიში გაზეთი“, მაშინ როცა მენშევიკების დროს მეგრელები ასეთ სიამოვნებას მოკლებულნი იყვნენ“.[12]

ისაკ ჟვანია აქვე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სამეგრელოს გლეხობა უძველესი დროიდან გულგრილობას ამჟღავნებდა თურმე სარწმუნოების მიმართ და ამაში გადამწყვეტი როლი ქართული ენის უცოდინრობამ ითამაშაო. მისი აზრით სამეგრელოს გლეხობა ეკლესიებში არ დადიოდა, ვინაიდან სალოცავებში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე სრულდებოდა, რაც სრულიად უცხო და გაუგებარი ყოფილა მეგრელთათვის. ისაკ ჟვანიას თქმით ზოგი ჭირი მარგებელიაო, ვინაიდან მას როგორც ბოლშევიკსა და ღვთისმოძულეს უხარია, ქართული ენის უცოდინრობამ მეგრელი გლეხი საბოლოოდ

რომ დააშორა ქრისტიანულ სარწმუნოებას. თავის ანტირელიგიურ ისტერიას ჟვანია მოგვიანებით მეგრულ ენაზე გამოცემულ წიგნში „წითელ ჩხორიაშიც“ აგრძელებს. მისი აზრით მეგრულ ენაზე განსწავლა საშუალებას მისცემს მეგრელებს თავი დააღწიონ რელიგიურ სიბნელეს და ჩამორჩენილობას, თითქოსდა ქართულად მოსაუბრე გლეხი რელიგიის არტახებისაგან ვერ განთავისუფლდებოდა. ვოსტორგოვის მემკვიდრე კულტურულ რევოლუციას ქადაგებს, რაც თავის მხრივ ითავლისწინებს მღვდლების მოსპობას, ცრუმორწმუნეობის აღმოფხვრას, ეკლესია-მონასტრების განადგურებას და მათი მსგავსი კლუბების, თეატრებისა და სკოლების გამართვას. ისაკ ჟვანიას მიერ ქრისტიანული რწმენის იდეოლოგიურ დამუშავებას საფუძვლად უდევს სკოლებში და სახელმწიფო ორგანიზაციებში მეგრული ენის თვითდამკვიდრების აუცილებლობა.

თუ ისაკ ჟვანიას პირველი წიგნი მეტწილად პოლიტიკური ხასიათისაა, მისი მეგრულ ენაზე დაწერილი „წითელი ჩხორია“ კულტურულ-პოლიტიკურ ასპექტებს შეიცავს. კ. გამსახურდიამ „ჭითა ჩხორია“ შერაცხა როგორც ანტიქართული, ქართული ენისათვის დამღუპველი მოვლენა: „ყოველივე ჰიპერბოლიის გარეშე წინამდებარე წიგნის „ჭითა ჩხორიას“ გამოსვლა ვოსტორგოვის ლეშმა რომ გაიგოს სამარეში სიხარულით უთუოდ დატრიალდება სამგზის. ზოგიერთი ქართველი ბოჩოლო ინტელიგენტი, რომელიც ყველაფერზე „ნიჩეოს“ იძახის გულწრფელად ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ უსაქმური კალმის ვარჯიშობაა და სხვა არაფერი“[13].

კ. გამსახურდიას აღშფოთება ბუნებრივია. „ჭითა ჩხორიას“ გამოცემით ხომ მეგრულ ანბანსა და დამწერლობას ეყრებოდა საფუძველი, რასაც თავად ჟვანია მიუთითებს. „პირადად ჩემი რედაქტორობით — ამა წლის ბოლოს უნდა გამოვიდეს წიგნი „ჭითა ჩხორიას“ სახელით, რითაც დასაბამი უნდა მიეცეს მეგრულ ანბანს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პირი

ღებულობდა მონაწილეობას სახელმძღვანელოს შედგენაში, გვრძნობდით, რომ აქა-იქ ტექნიკური, სტილისტიური და სხვა სახის შეცდომებს ექნებოდა ადგილი. მეგრული ენა თავისი შინაგანი თვისებებით განსხვავდება ქართულისაგან. ამიტომაც ცნო სკ. კომპარტიამ საჭიროდ „ჭითა ჩხორიას“ და „ყაზახიში გაზეთის“ გამოცემა მეგრულ ენაზე.[14]

1929-33 წლებში „წითელი ჩხორიას“ ოთხი გადამუშავებული გამოცემა დაიბეჭდა. პირველი გამოცემა 1930 წელს გამოვიდა თბილისში 1500 ტირაჟით. წიგნის შესავალ ნაწილში რედაქტორი სწავლა-განათლების პროპაგანდას ეწევა. რაც შეეხება ზუგდიდის მაზრას აქ უსწავლელობა, რატომღაც ორ წელიწადში უნდა აღმოიფხვრას, მაგრამ თურმე საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ ზუგდიდის მაზრის მოსახლეობას ქართული ენა არ ესმის. ამიტომაც უწიგნურობა უნდა მოისპოს აუცილებლად მეგრული ენის მეშვეობით.

ისაკ ჟვანია იმასაც დასძენს, რომ წინამდებარე წიგნი ერთ-ერთი პირველი მეგრული ანბანიაო /-მეგრული ანბანის თავფურცლად რედაქტორი ეტყობა იანოვსკის მიერ შედგენილ ანბანს მიიჩნევს-/ სადაც სოფლის მცხოვრებლების მიერ ყოველდღიურ ხმარებაში გამოყენებული სიტყვები მოვიძიეთო.

თუ 1931 წლის გამოცემაში აქა-იქ მაინც ფიგურირებს ქართულ ენაზე დაწერილი სიტყვები, 1933 წლის ჟურნალის მეოთხე გამოცემა მთლიანად მეგრულ ენაზეა შედგენილი. ჟურნალის გარეკანს თბილისის მაგივრად „ქართი“ ამშვენებს. აქვე მითითებულია, რომ ჟურნალი წარმოადგენს ზუგდიდის რაიონის აღმასკომის განათლების დანამატს და რომ ის წარმოადგენს მეგრულ ანბანს მოწიფულთათვის. „წითელი ჩხორია“ თავისი შინაარსითა და ხასიათით ანბანური წიგნის შთაბეჭდილებას ტოვებს. მართალია წიგნი „აი იას“ მაგიური გააზრებით არ იწყება, თუმცა მისი ავტორი იაკობ გოგებაშვილის მსგავსად ცდილობს ისე შეადგინოს სახელმძღვანელო,

რომ უთუოდ მეგრული ანბანის ფუძემდებლად მოგვეევლინოს, რასაც ის არ მალავს და საჯაროდაც აცხადებს.

ჟურნალის შესავალ ნაწილში ისაკ ჟვანია მიმართავს სოფლის მოსახლეობას იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ბევრი ყოფილა ისეთი სოფელი, სადაც გლეხებმა ჯერაც არ იციან ის, რომ აქვთ თუ არა მათ იურიდიული უფლება მეგრულ ენაზე წაიყვანონ საქმე ისეთ დაწესებულებებში, როგორიცაა სასამართლო, პროკურატურა, კოოპერაცია და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები. ჟვანიას განცხადებით კანონი მეგრულ ენას სახელმწიფო სტატუსს ანიჭებს. ამიტომაც იმ სოფლებში, სადაც სახლობენ მეგრელი გლეხები, რომელთა უმეტეს ნაწილს არ ესმის ქართული ენა, სოფლისა და რაიონის ყველა დაწესებულებაში საქმის წაყვანა მეგრულ ენაზე უნდა მოხდეს. საილუსტრაციოდ ძველ ბოლშევიკს ჯვარის მეგრული მოსახლეობა მოჰყავს, რომლებსაც თურმე არ ცოდნიათ ქართული ენა და ამის გამო იდეოლოგიურ ჩამორჩენილობას განიცდიან. ჟვანია დასძენს „აკი ჩვენ ყველას გვინდა ხუთწლიანი გეგმის შესრულებამდის საქართველოში არც ერთი წერაკითხვის უცოდინარი არ დარჩეს“.[15]

კ. გამსახურდიას აზრით, უმეცართა არგუმენტები მეგრული დამწერლობის შემოღების აუცილებლობის შესახებ ლოგიკას არ ექვემდებარება „ვინაიდან ვთქვათ, რომ ჯვარელმა ან გალელმა მეგრელმა გაზ. „კომუნისტი“ ვერ წაიკითხა, მაგრამ „ჭითა ჩხორიაც“ ხომ იმავე ანბანითაა დაბეჭდილი, როგორითაც გაზ. „კომუნისტი“ სად არის ამ უებრო პეეტრების ლოგიკა“.[16]

კ. გამსახურდია „ჭითა ჩხორიას“ ავტორებს ბრალს დებს იმაშიც, რომ მათ აშკარა სიძულვილი ამოძრავეთ ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართ. არსად მთელ წიგნში არაა ნახსენები არც საქართველო და არც ქართველი ხალხი. მაფალუისტები ამახინჯებენ მეგრულ სიტყვებს. ცდილობენ შემოიღონ ბარბარიზმები და ამით გაემიჯნონ ქართულ

ეტიმოლოგიას. მაგრამ ყველაზე დიდი დანაშაული მათ იმაში მიუძღვით, რომ ისინი შეგნებულად აყალბებენ ერის ისტორიას, რითაც კუთხური ანტიპატიების გაღვივებას იწვევენ. კ. გამსახურდია ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციიდან ვიცით, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს სსს-რ ავტონომიური ოლქებია, „ჭითა ჩხორიას“ გმირებს ჩვენი კონსტიტუციის რევიზია მოუხდენიათ და ასე უტიფრად წერენ „დასავლეთ საქართველოს აკრავს აჭარისა და სააფხაზოს ავტონომიური რესპუბლიკები. აღმოსავლეთ საქართველოს აკრავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.[17] სეპარატისტები, აცხადებენ რა საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებს ქვეყნის მოსაზღვრე მხარეებად, ეწევიან ერთიანი საქართველოს ორგანიზმის დაშლას, რათა მოხდეს კიდევ ერთი ავტონომიური წარმონაქმნის შექმნა სამეგრელოს ავტონომიური ოლქის სახით.

კ. გამსახურდიამ მშვენივრად უწყის, რომ ჟვანიას მსგავსი სეპარატისტები ყამირ ნიადაგზე არ აღმოცენებულან. მწერალი წერს: „ხშირად შეხვდებით რუსის გეოგრაფიული საზოგადოების ბიულეტინშიაც იმ უსაფუძვლო და ტენდენციურ დიფერენციაციას ქართველობისას, სადაც — „ქართველი“, „იმერელი“, „მეგრელი“ და „სვანი“ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებად არიან მონათლული“.[18] მწერალი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ მ. ჟვანიას მსგავს სეპარატისტებს თავიანთი სულიერი თანამზრახველები არც თუ ისე შორეულ წარსულში ჰყავდათ ვოსტორგოვებისა და იანოვსკების სახით. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ამ რეაქციონერებმა ხელისუფლების მხარდაჭერით მეგრელებს, სვანებს, აფხაზებს რუსული ანბანის საფუძველზე ანბანები შეუდგინეს, ხოლო ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ფ. ლევიცკის 1885 წლის 11 იანვრის ცირკულარის მიხედვით სამეგრელოს სკოლებში იკრძალებოდა ქართული ენა, როგორც მეგრელთათვის უცხო და სრულიად გაუგებარი ენა.

აღნიშნული ანბანები 1888 წელს ეგზარქოს პალადის ინიციატივით შედგენილი განსახილველად და დასამტკიცებლად გაეგზავნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს იანოვსკის, რომელიც მეგრელებს და სვანებს არაქართველად მიიჩნევდა. ის ბევრს მოგზაურობდა ამ კუთხეებში და მოსახლეობას ქართულ ენას აძულებდა. ასევე უარყოფდა მეგრელების ქართველობას მეორე შავრაზმელი ვოსტორგოვი, რომელიც მეგრელებს შთააგონებდა მათ არა ქართულ წარმომავლობას.

რუსი რეაქციონერები ცდილობდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში მოეპოვათ დასაყრდენი. იპოვეს კიდეც, გადაგვარებული ქართველის, ცაიშის სკოლის მასწავლებლის თადა აშორდიას სახით, თუმცა ამ უკანასკნელის გადაგვარებულმა სულმა თანამოზიარე ვერ ჰპოვა თვისტომთა შორის. პირიქით, მოკვლითაც ემუქრებოდნენ თანამემამულენი, მისი უკულმართი პოზიციის გამო, რასაც თავად აშორდია აღნიშნავს იანოვსკისადმი გაგზავნილ წერილში. აშორდია სისტემატიურად უპატაკებდა რუსს ჩინოვნიკებს სამეგრელოში მიმდინარე მოვლენების შესახებ და აბეზღებდა ყველა იმ ქართველს, ვინც ილაშქრებდა სამეგრელოს სკოლებში მეგრულ დამწერლობის შემოღების თაობაზე.

რუსეთის იმპერიის პოლიტიკა შესაშური აგრესიულობით ცდილობდა თავისი ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანას. დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად შეადგენინეს აშორდია — განშორდიების მეგრული ანბანი რუსულ ალფაბიტზე აგებული და გამოსცეს კიდეც ზავადსკის წინასიტყვაობით.

ამ მოვლენამ უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია ქართულ ინტელიგენციაში. ილია ჭავჭავაძემ უმალვე შეიტყო კარს მომდგარი საფრთხე, რომელიც ერის დაქსასულობას კიდევ უფრო გააღრმავებდა, ვინაიდან მამულის დაკარგვამ ქართულ ენას მოუსპო საშუალება თავისი ფესვები გაება საერთო აზრიანობისათვის ,,ენა არის დედაბოძი საქართველოს ერთიანობისა, მთლიანობისა და თუ ეს დედაბოძი საქართვე-

ლოს გამოაცალეთ ჩვენი საქართველო განადგურდება.“[19] მწერლის მითითებით საქართველოს მტრები საღალატოდ თავიანთ ბინძურ ხელებს კვლავაც აფათურებენ, თუმცა უკეთური აზრის პრაქტიკულ ხორცშესხმას ვერ მოახერხებენ, ვინაიდან საყოველთაო ერთსულოვნების ნიადაგზე შემდგარმა ქართველობამ ამ შორსგამიზნულ, უკეთურ ჩანაფიქრს ალღო აუღო და გამოაშკარავა.

ილიასთან ერთად ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის დაცვით ი. გოგებაშვილი გამოდის, რომლის ღრმა აზრით როცა ენას სახელმწიფოებრივი დანიშნულება არ გააჩნია, სწორედ მაშინაა მოსალოდნელი მისი დანაწევრება და დაჩიავება. მწერლის აზრით ადგილობრივ კილოკავებში ანბანური დამწერლობის შექმნა არა მარტო ერის სულიერ, არამედ ტერიტორიულ გახლეჩვას იწვევს. ენობრივი გაუცხოება სამეგრელოსა და სვანეთის საერთო ნიადაგიდან მოწყვეტას გამოიწვევს. დედა საქართველოს კუთხიდან მოგლეჯილი კუთხეები კი ხიდან მოჭრილი ტოტებივით გახმებიან, ვინაიდან განცალკევება ასუსტებს ეროვნულ ხეს და მისგან მოშორებულ ტოტებს. ამიტომაც იაკობ გოგებაშვილის რწმენით ამ ბოროტ წადილს არა მარტო მეგრელი და სვანი, არამედ სრულიად ქართველობა უნდა აღუდგეს წინ.

იაკობ გოგებაშვილის მინიშნებით რუსი ჩინოვნიკების მცდელობა გზას გადააცდინონ მეგრელი ხალხი – უსაფუძვლოა, ვინაიდან ქართული ენა მეგრელთათვის უხსოვარი დროიდან წარმოადგენდა ღვთისმსახურების, სალიტერატურო და სასამართლო-ადმინისტრაციულ ენას. ქრისტიანობა და მეგრული საგანმანათლებო სკოლა ისე ორგანულად შეეზარდა ქართულ ენას, რომ მისი დაშორების შესაძლებლობა არც ყოფილა არასოდეს.

მწერალი მართებულად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ თუ მეგრელს დამწერლობას მივცემთ მაშინ მათ უარი უნდა ვათქმევინოთ სახელოვან წარსულზე, კულტურაზე, ხე-

ლოვნებაზე, და ისტორიის თვლა თავიდან დავაწყებინოთ. მწერალი, იმასაც დასძენს, რომ მეგრელი თავისი კულტურით, ცნობიერებით, მრწამსით, იმდენადაა შესისხლხორცებული ქართულ მრწამსთან და სინამდვილესთან, რომ პოლიტიკური სუვერენობის დროსაც არ გასჩენია სურვილი მეგრული დამწერლობის შემოღებისა.

ი. გოგებაშვილი ერთგან აღნიშნავს: „ქართული ენა, ქართული დამწერლობა და ლიტერატურა საუკუნეთა მანძილზე მჭიდროდ შეეზარდა მეგრელთა შეგნებას, ისეთი ღრმა ფესვები გაიდგა მასში და ისეთ მტკიცე საფუძველს ეყრდნობოდა, რომ მათი განდევნის ცდა კიდევ უფრო გააძლიერებს მეგრელთა სიყვარულს ამ ძვირფასი ქართული საუნჯისადმი“.[20] ამის საფუძველზე მწერალი კატეგორიულად მოითხოვდა მეგრული დამწერლობის გაუქმებას და სამეგრელოს სკოლებში ქართული წიგნების სწავლების ტრადიციის აღდგენას. სამეგრელოს სკოლებში მეგრული ალფაბეტის დამკვიდრების მცდელობამ თავად მეგრელებში გამოიწვია დიდი უკმაყოფილება. დაიწერა მრავალი საპროტესტო წერილი სამეგრელოს ინტელიგენციის მიერ. განსაკუთრებით აქტიურობდა ლუარსაბ ლოლუა, რომელმაც გარს შემოიკრიბა ეროვნული ცნობიერებითა და სულისკვეთებით გამსჭვალული მეგრელები და რუს რეაქციონერებს თავისი მძაფრი ხასიათის წერილებით შოვინისტური გეგმის განხორციელების სურვილი გაუნელა.

ნაციონალურ-კულტურულ თვითშეგნების საფუძველზე ცდილობდა განემტკიცებინა სამეგრელოსა და დანარჩენი საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ერთიანობა თ. ჟორდანიას, რომელიც საგანგებოდ ეახლა ეგზარხოსს თბილისში და მეგრული ანბანის მოსახლეობაში დამკვიდრების უსაფუძვლობა და უპერსპექტივობა დაუმტკიცა მას.

საერთო განსაცდელის ჟამს თავად სამეგრელოსა და სამეგრელოს გვერდზე მდგომ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ძალისხმევით და აქტივობით საქართველოს განსხეუ-

ლების წადილმა მარცხი განიცადა. მოსახლეობა ხვდებოდა, რომ რუსიფიკატორები ნაციონალურ-კულტურულ ერთობის მოსპობას ლამობდნენ, მეგრული ანბანის შეთხზვით ქართველებში შინაგანხეთქილების წინაპირობას ამკვიდრებდნენ, რაც კარგად დაინახა ვაჟა-ფშაველამ:

„კაცი ის არის, ვინაცა
არა კითხულობს გაზეთსა,
გადაამტერებს ერთმანეთს
ქართლსა, იმერეთს, კახეთსა,
საკუთარს ანბანს შეუდგენს
სამეგრელოსა და სვანეთსა?!“

სამეგრელოს მოსახლეობა კარგად ხვდებოდა, რომ მეგრული ანბანის მეოხებით მზადდებოდა ნიადაგი მეგრელთა ნაციონალური დეგრადირებისა, ვინაიდან საერთო ქართული კულტურისაგან მოწყვეტა მეგრელობას სხვა ერში ათქვეფის საფრთხეს უქმნიდა. ამასთან ერთად ქართული ენის საზღვარი ხობისწყალთან გაივლებოდა და სამეგრელო და აფხაზეთი, როგორც არაქართული ენობრივი მხარეები ჩამოსცილდებოდა სრულიად საქართველოს.

საერთო საზოგადოებრივმა ძალისხმევამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. რუსი ჩინოვნიკები მიხვდნენ, რომ სამეგრელოს საერო სასწავლებლებიდან ქართული ენის გამოძევება მეტ სირთულეს შეუქმნიდა ისედაც შინაურ ინტრიგებში გახვეულ იმპერიას. ამიტომაც მათ მიერვე შეთითხნული ანბანი გააუქმეს, სამეგრელოს სკოლები „მეორე ტიპიდან“ /უქართველო ენობიდან/ ამოშალეს და ქართლ-კახეთის-იმერეთის სკოლების სიაში ჩაწერეს.

რუსი რეაქციონერები არანაკლებ იყვნენ მოწადინებულნი ქართული საეკლესიო ენის სამეგრელოში აღმოფხვრისა და სამეგრელოს ეკლესიებში ქართული წირვა-ლოცვის ნაცვლად მეგრული წირვა-ლოცვის დამკვიდრებისა. მეგრელთა

სულიერი გაუცხოების მიზნით საქართველოს ეგზარხოსის ისიდორეს წინადადებით სამურზაყანოს ეკლესიათა ბლაღოჩინს დეკანოზ მაჭავარიანს ქართულიდან მეგრულ ენაზე გადაუთარგმნია ლიტურგია წმ. იოანე ოქროპირისა. ხელნაწერი სამეგრელოში გაგზავნეს, სადაც მან სრული ფიასკო განიცადა. მეგრელები უარყოფითად განეწყვნენ საღვთო სამსახურის წიგნების მეგრულ ენაზე თარგმნით. სამეგრელოს ყველა წოდება აღსდგა მაშინ ამ წამოწყების წინააღმდეგ და შეგნებულად უარყვეს თავსმოხვეული ლიტურგია, თუმცა რუსი ჩინოვნიკები არ ისვენებდნენ და იანოვსკიმ მაინც მოახერხა მეგრულ ენაზე ეთარგმნა ქართული ლოცვები და ეგზარხოს ალექსისაგან ბეჭდვის ნებართვაც მიიღო. ამის გამო მან ქართული ინტელიგენციისაგან საყოველთაო რისხვა დაიმსახურა. თუმცა იანოვსკი მაინც არ ისვენებდა და ჩიოდა: „ქართული სამღვდელოება ცდილობს, ქართული ენა გაავრცელოს მეგრელებსა და სვანებში, რომლებიც არ შეიძლება ქართველებად ჩაითვალონ. მათთვის საჭიროა საგანგებო, არაქართული ანბანი, საჭიროა მათთვის საღვთო წიგნების გადათარგმნაო“.[21] ცხადია, შავრაზმელი იანოვსკი ყოველივე ამას მეგრელთა სიყვარულით როდი სჩადიოდა, არამედ საქართველოს გათიშვისა და გახლეჩის სურვილით.

აკ. წერეთელმა იმთავითვე ამოიცნო ღვთისმოსაობის ნიღაბს ამოფარებული რუსი რეაქციონერების ცბიერი და უკეთური ზრახვები. აკაკი მთელი არსებით ლამობს თანამოძმეებს „სკვითური საშინელება შეახსენოს, რათა ერი არ მინებდეს „კეთილი მამის“ დაპირებებს.

„ცბიერს – სომეხიც, ქართველიც სკვითურ ფეხებზე
ჰკიდია,
იმისი მუცლის ტკივილი სხვაგვარი „გზა და ხიდია“
ტკბილად იმღერის, როდესაც გვიჭედავს ბორკილ-
რკინებსა

და ქვეშ ქვეშურად მხარს აძლევს იანოვსკ-
ბუტირკინებსა.

მაგრამ გულწრფელი ქართველი განა მიხვდება ამასა?
როცა არ ჰტორავს, დათვსაც კი ეძახის
„კეთილ მამას!“

„ყიზილბაშური“.

მიუხედავად ქართული ეკლესიის თვითმართველობის დაკარგვისა და რუსული სინოდის თვითდამკვიდრებისა საღვთისმსახურო უწყებაში ქართული ენის გაერთიანების პროცესი მაინც ღვიოდა. ამის დასტური იყო მეგრელი მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება, რასაც თავისი საფუძველი უეჭველად გააჩნდა. ქართული დამწერლობის მადლს ნაზირები მეგრელები ერთიანად აღსდგნენ პროვინციული დამწერლობის შემოღების წინააღმდეგ და ერის სულიერი დაქსაქსულობის პროცესს ლაგამი ამოსდეს.

კ. გამსახურდიამ სათანადოდ შეაფასა რუსეთის დამქაშთა ბნელი ზრახვანი, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა ქართველი ერის თავისსავე სამშობლოში უმცირესად აღიარების აუცილებლობაში. მწერალი აღნიშნავს: „რომანოვების რუსეთის ბნელი ხელიც იქითკენ გაემართა, რომ ქართული ენისა და ეროვნების ფარგალი შეემცირებინათ და ამგვარად სამარადჟამო სიდამპლე მოეგვარათ ქართული კულტურისათვის. ამისათვის უჩიჩინებდნენ აფხაზებს, ხოლო სვანები რუსეთის გათახსირებულმა ეპისკოპოსებმა ენგურში ჩაყარეს და მე-7 საუკუნეში მონათლული ხალხი თავიანთი ჭკუით ხელმეორედ მონათლეს, და ყოველივე ამის რეზიდენტი ის იყო, რომ ქართველი ხალხი საქართველოში უმცირესობად გამოეცხადებინათ“.[22]

კ. გამსახურდია იმასაც მშვენივრად ხედავს, რომ ვოსტორგოვები და იანოვსკები მემკვიდრეების გარეშე არ გადაგებულან. მათი ანტიქართული იდეების მედროშეებად ისაკ ჟვანია და მავანნი მოგვევლინენ, რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ თავიანთ სულიერ წინაპრებს და ზოგიერთ შემთხვევაში გადააჭარბეს კიდეც მათ.

ისაკ ჟვანია ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, თ. ჟორდანიას ქართველ ნაციონალისტებს და რეაქციონერებს უწოდებს, რომლებიც არ ცნობდნენ თურმე „სამეგრელოს საკითხს და ახდენდნენ სამეგრელოს თავადაზნაურობის და სამღვდელოების მობილიზაციას სამეგრელოს ეპისკოპოსის მეგრელ ბესარიონ დადიანის სახით“.[23]

კ. გამსახურდია ამხელს და ჯვარს აცმევს სეპარატისტებს. მისი მითითებით ამგვარი სეპარატისტული მოძრაობით მრავალმა ქვეყანამ განიცადა დაქუცმაცება. მწერალმა კარგად იცის მსოფლიო ისტორია, მაგალითების მოხმობაც არ უჭირს იმ არგუმენტების დასამტკიცებლად, რომ ამგვარი ბნელი აზრების გამოვლენა სულაც არ ნიშნავს კალმით უსაქმურ ვარჯიშს. მწერალი ჰოლანდიის ისტორიის ერთ მონაკვეთს ეხება, როდესაც მე-13-14 საუკუნეებამდის ეს ქვეყანა ქვემო გერმანიის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა და სწორედ ფეოდალების წაკინკლავების წყალობით გამოეთიშა მას.

მწერალი გამოთქვამს შიშს, რომ ჭკუანაღრძობი „მაფალუისტები“ რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის მსხვერპლნი შეიქმნენ. დამპყრობელთა დევიზი „დევიდე ეტ იმპერა“ /-გათიშე და იბატონე/- ქვეცნობიერებაში მთვლემარე კუთხურობის ტენდენციებს აღვივებდა და ეროვნული ორგანიზმის მთლიანობას საფრთხეს უქმნიდა. მითუმეტეს, რომ ვოსტორგოვისა და პურიშკევიჩის „სახელოვანი“ მემკვიდრეები სეპარატისტული ზრახვების გასახორციელებლად იგივე არგუმენტებს იშველიებდნენ, რა არგუმენტებსაც ეყრდნობოდნენ მათი რუსი თანამოძმენი.

ჟვანია მთელ არსებით ილაშქრებს შავრაზმელი მეგრელი ინტელიგენციის წინააღმდეგ, რომლებიც ათეული წლეების განმავლობაში თბილისში ცხოვრობდნენ და თურმე არც იცნობდნენ მეგრელ გლეხს, ვერ ხედავდნენ მის ლტოლვას და სწრაფვას ავტონომიისადმი. ჟვანიას აზრით თუ სამეგრელოს ავტონომიას მწვანე შუქი არ მიეცა, ეს იმ ბურჟუაზიულ შოვინისტური პროფესორების /-ჟვანიას ტერმინია/- „ბრალია“, რომლებმაც ბოროტი გავლენა მოახდინეს განათლების სახალხო კომიტეტზე და ისევ ააკრძალვინეს მეგრულად სწავლება სკოლებში: „ეს ქართველი ფაშისტები: კოწია გამსახურდია, თედო ჟორდანია, თ. სახოკია და სხვანი, შეიკრიბნენ ქ. თბილისში რუსთაველის თეატრში, ცკ-ს მიერ რაიმე დადგენილების გამოტანამდე. ეს შავი თავადაზნაურული ხროვა გმობს სამეგრელოს საკითხს, როგორც საქართველოში განხეთქილების, გათიშვის შემომტანს. თბილისის მოქალაქეების წინაშე ცხადდება პოლიტიკური და მორალური ტერორი იმათ წინააღმდეგ, ვინც ბედავს ხმის ამოღებას სამეგრელოს ავტონომიის შესახებ“.[24]

ისაკ ჟვანია სიმართლეს ღალადებდა. კ. გამსახურდიას ინიციატივით 1925 წლის 24 სექტემბერს რუსთაველის თეატრში მართლა შედგა თბილისში მცხოვრებ მეგრელთა კრება. 6 საათიდან თეატრის კარებს აუარება ხალხი მოაწყდა. მთელი აუდიტორია სამეგრელოს ავტონომიის წინააღმდეგ იყო მიმართული. სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ კ. გამსახურდია, თოფურიძე, აკ. ფაღავა, თ. სახოკია, რომლებმაც თავიანთ სიტყვაში სასტიკად გაამასხარავეს და დაგმეს ისაკ ჟვანიას უტოპიური შეხედულებანი სამეგრელოს ავტონომიის თაობაზე. შემაჯამებელი სიტყვა აკ. ფაღავამ წარმოთქვა: „მოქალაქენო, ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ შევარცხვინოთ ის ხალხი, რომლებსაც უნდა სამეგრელოს ჩამოჭრა საქართველოს მთლიანი სხეულიდან. ჩვენ მხოლოდ ზიზღით უნდა გაუმასპინძლდეთ მათ, რადგანაც ზარ-

ბაზნების სროლა ჭიანჭველების წინააღმდეგ აღარ ღირს. ჩვენ გვეუბნებიან სამეგრელოს „ავტონომისტები“ - დაივიწყეთ რუსთაველის, ჩახრუხაძის დ. გურამიშვილის ენა და იკითხეთ ბუკონიას წიგნებიო.

ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვთქვათ ჩვენი გადამწყვეტი სიტყვა ამ მახინჯი მოვლენის წინააღმდეგ და მოვთხოვოთ მთავრობას მისი ძირიანი აღმოფხვრა.[25] იმავე დღეს რუსთაველის თეატრში მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის შედგენაში განსაკუთრებული როლი კ. გამსახურდიამ შეიტანა. ამადაცაა რეზოლუცია აგრესიული და კატეგორიულ ჟღერადობას რომ შეიცავს: „როგორც მრავალი საუკუნის მანძილზე, ისე მერმისშიც სამეგრელოს მშრომელი მასა მთელ საქართველოსთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული ივლის და ვერავითარი ბნელი ინტრიგები ვერ ჩაშლიან ქართველ ერის მიერ წლებით განმტკიცებულ კულტურულ-ეკონომიკურ პოლიტიკურ მთლიანობას.

სამეგრელოს მკვიდრთა საერთო კრება კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს მთავრობისაგან მიღებულ იქნას სასტიკი ზომები ასეთი უმთავრესი შავრაზმული მოვლენის ძირიან-ფესვიანად აღმოსაფხვრელად.“[26]

კ. გამსახურდია „სამეგრელოს საკითხის“ მოსაგვარებლად არც ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრას გაურბოდა. ის იმჟამინდელ კომისართა საბჭოს თავ-რეს შალვა ელიავას ესტუმრა და ქართველი ერის სახელით ურჩია ისაკ ჟვანია აელაგმა და მისი გაზეთი დაეხურა. ელიავას, როგორც თავად კ. გამსახურდია მიუთითებს, გაორებული მდგომარეობა ეკავა ამ საკითხში. ისიც უთხრა მწერალს, რომ ამ ინიციატივას ბევრი მომხრეები ჰყავსო არა მარტო სამეგრელოში, არამედ თბილისშიცო. კ. გამსახურდიამ იცოდა, რომ ელიავა ესწრებოდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის სხდომას, სადაც შესაძლებლად სცნეს მეგრულ ენაზე დამწერლობის შემოღება. ამიტომაც მას ბოლომდე არ

ენდობოდა და შეფარულად უთხრა, თუ ეს არ მოხდა ყველაფერს სტალინს მივწერო. ჩვენთვის უცნობია მისწერა თუ არა წერილი კ. გამსახურდიამ სტალინს, მაგრამ შ. ელიავამ მოგვიანებით პოზიცია რომ შეიცვალა და მაფალუსტებს თანადგომას რომ არა უცხადებს, ეს მის მიერ გამოთქმულ სიტყვებიდანაც ჩანს: „დავუშვათ სამეგრელოს საკითხი გადაწყდა ისე, როგორც ამას მოითხოვენ ჟვანია და მისი მიმდევრები, მაშინ ეს იქნება აგრესიული ზომა ქემალისტული თურქეთის წინააღმდეგ, ვინაიდან იქ 300 ათასზე მეტი ლაზი ცხოვრობს, მეგრულად მოლაპარაკე“.[27]

კ. გამსახურდია თავის მეგობრებთან ერთად აქტიურ მოქმედებას იწყებს ისაკ ჟვანიას კამპანიის წინააღმდეგ, ამხელს რა მის ანტიეროვნულ პოლიტიკას. მწერალმა კარგად იცოდა, რომ სეპარატისტები ლამობდნენ ხობში ზღვარი დაედოთ ქართული ენისათვის და ამ გზით მეგრული ქართულისათვის დაეპირისპირებინათ. ამიტომაც ის ყოველმხრივ ცდილობს ხელი შეუშალოს უმეცართ თავიანთი ბნელი ზრახვის განხორციელებაში.

უპირველეს ყოვლისა „ყაზახიში გაზეთის“ ლიკვიდაცია უნდა მოეხდინათ, ვინაიდან ეს გაზეთი მრავალათასიანი ტირაჟით გამოდიოდა და ვრცელდებოდა სამეგრელოში, და მიუხედავად არც თუ ისეთი დიდი ავტორიტეტისა, თავის მომხრეებსა და მკითხველებს მაინც იძენდა. კ. გამსახურდიამაც მთელი თავისი ენერგია გაზეთის ლიკვიდაციისაკენ წარმართა. თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც ხელს უმართავდა სეპარატისტებს. ზოგიერთი კოსმოპოლიტი ინტელიგენტი კი გაიძახოდა: „ამაოდ მტრობენო ზუგდიდელ ავტონომისტებს, მათ გაზეთს „ყაზახიში ცაიტუნგს“ ეძახიანო“.[28]

კ. გამსახურდია საგანგებოდ გამოემგზავრა ზუგდიდს, რათა თავად დარწმუნებულიყო, თუ რა „ფრუქტი“ გახლდათ ისაკ ჟვანია და მისი მარქაფები. ზუგდიდში ახლობლებმა მწერალს უამბეს, რომ „ეს კაცი არც მთლად ბოროტია და

არც მთლად შლეგი, მაგრამ ერთი უცნაური ჭრიჭინა ჩაუჯდა თავშიო: სამეგრელოს ავტონომიას მიეტრფისო და ამ საქმისათვის დაარსა კიდეც „ყაზახიში გაზეთიო“.[29] მწერალი ერთ კვირას შეჩერდა ზუგდიდში, რათა საფუძვლიანად გაცნობოდა ისაკ ჟვანიას ბნელ ზრახვებს. თურმე ეს უკანასკნელი აკვირდებოდა მწერლის თითოეულ ნაბიჯს და უკითხავს კიდეც შეშფოთებულს, „ეს გამსახურდია, ცნობილი ქართველი ნაციონალისტი რად ჩამოსულაო ზუგდიდში“.[30]

მეგობრები კ. გამსახურდიას ურჩევდნენ განრიდებოდა ჟვანიასთან სიტუაციის გამწვავებას, თუმცა მწერალი მაინც შეხვდა ქალაქის თავს და მასთან საუბარში საკუთარი შეხედულებები ჩამოაყალიბა. მოგვიანებით უკვე თბილისში ჩამოსული მწერალი აღნიშნავს: „მე წელს ზაფხულში შემოვიარე საქართველო, ვნახე ჟვანია, ვესაუბრე მას და უნდა მოგახსენოთ, რომ აღმშენებლობის თვალსაზრისით ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ რაც შეეხება მეგრულ ენას, აქ შეცდომებია დაშვებული, ამბ. ჟვანიას მოქმედება „ყაზახიში გაზეთის“ ირგვლივ პირდაპირ კურიოზამდე მიდის. ის შეგნებულად გვერდს უვლის ქართულ ენას, მას უნდა ქართული ენის საზღვარი ხობი გახადოს. მე ჯვარში გახლდით; იქიდან ჩამოვიარე და არ შემხვედრია არც ერთი მეგრელი, რომელსაც ჩემი ქართული არ გაეგოს“.[31] მართალია, ერთი მეგრელი მაინც შეხვედრია მწერალს, 80 წელს მიტანებული მოხუცი, რომელსაც ქართული არ სცოდნია, თუმცა მთვრალი იყოო, დასძენს გამსახურდია და ამით მიანიშნებს ჟვანიას, რომ თუ მოხუცებულთათვის შემოგაქვთ მეგრული დამწერლობა, ტყუილად ირჯებითო.

მწერალმა ამხილა სეპარატისტთა უმწეო ქმედება და მათი საქმიანობა შერაცხა, როგორც ეროვნული ღირსების ფეხქვეშ გათელვა. ამით აღშფოთებული ი. ჟვანია გულმოსული ჩივის: „ზემოთ ჩამოთვლილი ფაშისტები იქამდე მივიდნენ, რომ მშრომელი მეგრელები, რომელთაც მოისურვეს

მშობლიურ ენაზე, სკოლა, გაზეთი, სასამართლო და საქმის წარმოება სოფლის საბჭოებში, გამოაცხადეს რეაქციონერებად და პარტიის წევრი გლეხები, რომელნიც ემხრობოდნენ ამ საკითხს გაარიცხვინეს პარტიიდან".[32] ძნელია დაიჯერო, რომ კ. გამსახურდიას გამოსვლებით ვინმე გლეხი პარტიიდან გაერიცხათ თუნდაც ანტიქართული ქმედების გამო. მითუმეტეს, რომ მწერალი პარტიული არ იყო და მას არც არავინ შეეკითხებოდა პარტიიდან ვინმეს გარიცხვას. თავად მწერალი მორალური თვალსაზრისით არ იკადრებდა ამგვარ საქციელს. მაგრამ ისიც უტყუარია, რომ ამისთანა „ცხენიპარია" გლეხებს მწერალი ეროვნულ ცნობიერებას უღვივებდა და მწარედაც წკეპლავდა. კ. გამსახურდია ერთგან წერს: „წინასწარ უნდა განვაცხადო, თუმცა კომუნისტი არა ვარ, მაგრამ არც საბჭოთა საქართველო და არც სამეგრელო ჟვანიებსა და კუციებზე ნაკლებად არ მიყვარს".[33]

ჟვანიას და მისთანებს მრავლად ჰყავდათ თანამზრახველები კრემლში. 1928 წელს მოსკოვიდან ჩამოვიდა ცკ ინსტრუქტორი პშენიცინი, რომელმაც სამეგრელოს სოფლების მოვლის შედეგად დაასკვნა რომ მეგრელ გლეხებს უნდა მივცეთ სკოლა, სასამართლო და პოპულარული ბროშურა მშობლიურ ენაზე. ამით წახალისებულმა ცკ-ს მდივანმა კახიანმა 1929 წლის 25 მარტს მიიღო ახალი დადგენილება მეგრული ენის პრივილიგიების აღსადგენად სკოლაში, სასამართლო საქმის წარმოების და გამოძიების საქმეში.

კ. გამსახურდიამ ამხილა პშენიცინის ბოროტი განზრახვა, რომელსაც თავისი წინამორბედის მსგავსად ერთიანი საქართველოს გათიშვა სურდა. მწერალმა მას მოსკოვის იმპერიალიზმის აგენტი უწოდა, რასაც ი. ჟვანია აღნიშნავს და თან სინანულით დასძენს, რომ ამ ნაციონალისტურმა შანტრაბამ მაინც გაიმარჯვა და მეგრული გაზეთის გამოცემა აიკრძალაო.

ი. ჟვანია სტალინსაც ეწვია სამეგრელოსათვის ავტონომიური ოლქის მიცემის თხოვნით და როგორც თავად აღნიშნავს, სტალინისაგან სიტყვიერი დასტურიც მიუღია, სტალინს უთქვამს: „თქვენი მოთხოვნა გაზეთის გამოცემის შესახებ, აგრეთვე გლეხისათვის განკუთვნილი ლიტერატურის მეგრულ ენაზე თარგმნის შესახებ სწორია. გაზეთი დაუყონებლივ უნდა გამოიცეს, ნუთუ არსებობენ ადამიანები, რომელნიც ამას ეწინააღმდეგებიან? -/ამ წინააღმდეგობაში ცხადია სტალინმა კ. გამსახურდია და მისი მეგობრები იგულისხმა. — ჩანს ი. ჟვანიას ისინი დაუბეზღებია პროლეტარიატის დიდ ბელადთან/ მახსოვს ჯერ კიდევ 1905 წელს პროკლამაციები გამოდიოდა მეგრულად. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი განა შეიძლებოდა რამის თქმა? იგივე ითქმის სკოლებზეც. პირველდაწყებით სკოლებში პირველ ოთხ კლასში მეგრულად უნდა ასწავლონ საგნები. რაც შეეხება სამეგრელოს ოლქს, მეგრელ გლეხებს სრული უფლება აქვთ იქონიონ თავიანთი ოლქი და ამ საკითხს მე მხარს დავუჭერ ცკ-ში“.[34] თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ავტონომიების, როგორც მიკრო-სახელმწიფო ორგანიზმის დამკვიდრებელი და აქტიური მომხრე სტალინი გახლდათ, გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო მისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. მიუხედავად ამისა ზ. გამსახურდიას აზრით, სტალინის ზემოთსსენებული სიტყვები ი. ჟვანიას ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს.

ჟვანიას გადმოცემით დასტურდება, რომ სტალინი მისი პიროვნებითა და საქმიანობით აღშფოთებული ყოფილა. ყოველივე ეს თვითონ ზუგდიდის რაიკომის თავკაცმა დაადასტურა კ. გამსახურდიასთან სტუმრობის ჟამს. მას შემდეგ, რაც ი. ჟვანია ზუგდიდის რაიკომის მდივნობიდან გაათავისუფლეს და გაზეთიც დახურეს, ის მიხვდა, რომ მისმა ავანტიურამ მარცხი იწვნია. დამარცხებულმა პარტიულმა ფუნქციონერმა მოისურვა წვეოდა და ახლოს გაცნობოდა იმ კაცს, რომელსაც განსაკუთრებული ძალისხმევა ჰქონდა გაწეული მისი იდეურ-

პოლიტიკური კონცეპციის გაცამტვერებაში. თავიდან ი. ჟვანიამ მოციქულები მიუგზავნა კ. გამსახურდიას, ბოლოს სახლშიც ეწვია მწერალს. კონსტანტინე გულს გარეთ შეეკითხა მას:

„რა მოხდა ისაკ, რად დახურეს გაზეთი?“

მან მწარედ გაიღიმა და მწერალს უთხრა:

– ვითომ თქვენ არ იცით, როგორ მოხდა ეს“, - ჟვანიამ დაწვრილებით უამბო მწერალს ამ ამბის ისტორია. თურმე სტალინს ასე უთქვამს კაგანოვიჩისათვის:

– „ვინაა ეს ჟვანია, მან თავისი „ყაზახიში გაზეთის“ გამოცემით ქართველი მწერლები დამამდურა. დახურონ ეს გაზეთი და მაგ ჟვანიას ჭკუა ასწავლონ“.[35]

კ. გამსახურდია თანაგრძნობით მოეკიდა ძეშეცთომილ თვისტომს, ვინაიდან მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის განცხადება კარგს არაფერს უქადდა მის ადრესატს. სტალინის უკმაყოფილო ტონი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ისაკ ჟვანია ზუგდიდის რაიკომის მდივნობიდან გაენთავისუფლებინათ, მოგვიანებით კი ლ. ბერიამ ყოფილი თანამებრძოლი და პარტიული მუშაკი 1937 წლის წმენდაში მოაყოლა.



კ. გამსახურდია შესანიშნავად ხედავდა ი. ჟვანიას მიერ აგორებული კამპანიის მოსალოდნელ სავალალო შედეგს, რაც საბოლოო ჯამში სამეგრელოს ავტონომიის შექმნით, მეგრული დამწერლობის დაფუძნებითა და სამეგრელოს

დედა საქართველოს კალთიდან ტერიტორიული და სულიერი მოწყვეტით უნდა დაგვირგვინებულიყო, ისე როგორც ეს დაემართა აფხაზეთს, რომელსაც კ. გამსახურდიას მინიშნებით ჩვენმა საერთო მტრებმა 1911-13 წლებში ანბანი შეუქმნეს, რამაც დააჩქარა აფხაზეთის საქართველოსაგან სულიერი გამიჯვნა.

მაგრამ ველიკოდერჟავული შოვინიზმის მცდელობას საქართველოს ეროვნული მთლიანობის რღვევისა და სამეგრელოს ავტონომიის შექმნის თაობაზე განხორციელება არ ეწერა, ვინაიდან უწინარეს ყოვლისა, თავად სამეგრელოს მოსახლეობა იყო წინააღმდეგი სამეგრელოს ოლქის წარმოშობისა, ხელოვნური საზღვრის გავლებისა და მეგრული ანბანის შემოღებისა. მეგრული გაზეთის დაბეჭდვასაც მეგრული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ირონიითა და აღშფოთებით შეხვდა, რასაც თავად სეპარატისტებიც აღიარებდნენ.

სამეგრელოს მოსახლეობისა და ინტელიგენციის ერთსულოვანმა პოზიციამ საბოლოოდ დაასამარა სეპარატისტთა ბნელი ზრახვანი და მისწრაფებანი. გადამწყვეტი სიტყვა კი ყბადაღებული სამეგრელოს ავტონომიის დასამარების თაობაზე სამეგრელოდან გამოსულმა ინტელიგენციამ წარმოსთქვა კ. გამსახურდიას თაოსნობით. თუმცა პარადოქსია, მაგრამ მწერალს იმაში სდებდნენ ბრალს მოგვიანებით ავისმჩხრეკელნი, რასაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ებრძოდა. 1922-52 წლებში ქვეყანაში მომხდარი ყოველი კამპანიის ტალღა მიუცდენლად მიწვდა მწერალს. ამის გამო რა არ უწოდეს მას, „ნაციონალისტი“, „შინაური ემიგრანტი“, „ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის დამცველი“, მაგრამ თუ „მეგრელ ნაციონალისტთა“ რიგებში მიაკუთვნებდნენ საპატიო ადგილს ამას ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა. მავანნი კ. გამსახურდიას ოდიშის მწერალსაც უწოდებდნენ, რაც მწერლის სამართლიან აღშფოთებას იწვევდა. ის საგანგებოდ მიუთითებდა იმ დამღუპველ ტენდენციაზე, რაც ქართველი მწერლის

კუთხურობის ნიშნის მიხედვით წარმომავლობას ითვალისწინებდა. მწერალმა კარგად უწყოდა, რომ მის წინააღმდეგ აგორებულ ამ ტალღას კაცთმოძულეობის სუნი ასდიოდა. ერთგან ის აღნიშნავს: ,,ეს არ მაკმარეს, არ არსებულ მეგრელ-ნაციონალისტთა პირველ რიგში დამითმეს საპატიო ადგილი. ოღონდ ის დაავიწყდათ მაგ საცოდავებს, რომ ჩემმა ლიტერატურისმიერმა მეგობრებმა, საშა აბაშელმა, პავლე ინგოროყვამ და მე ჩავაწყვეტინეთ ხმა ჩიტირეკია ავტონომისტებს და დავაკეტინეთ მათი გაჯახირებული ,,ყაზახიში გაზეთი".[36]

საერთო ძალისხმევისა და ეროვნული ენერგიის აზვირთების შედეგად საქართველოს ერთიანობის კვართს დანაწევრება და გახლეჩა არ ეწერა. ძველი კოლხების ამაყმა მემკვიდრეებმა ქვეყნის განსხეულების მაგიერ საქართველოს ერთიანობის ფიალა გამოსცალეს და მით ძალუმად აღბეჭდეს ქართველი კაცის ცნობიერებაში ერთიანი საქართველოს უკვდავებისა და მარადიულობის იდეის აუცილებლობა.

III თავი.

ქართული სულის არისტოკრატები

პოეტი უფაქიზესი სულის მატარებელი ინდივიდია — საკუთარ ფიქრებში ჩაძირული და გრძნობებში განმარტოებული. დაზაფრული და უჟამო ეპოქა კიდევ უფრო აუტანელსა და გაუსაძლის ხდიდა შემოქმედებითი გენით დაჯილდოებულ ადამიანთა ყოფას. უუფლებობის წყვდიად ღამედან სამზეოზე გამოსვლა კი მხოლოდ ერთიანი სულიერი მღელვარებითა და უდიდესი მოსიყვარულე გულით გამთბარ ადამიანებს ძალუძდათ. სწორედ ასეთი ღვთიური მადლითა და ზნემაღალი სულიერებით იყო ხელდასხმული კ. გამსახურდიასა და მისი ლიტერატურული მეგობრების ურთიერთობა.

ის გულისყურით ადევნებდა თვალყურს ყველა მნიშვნელოვანი ქართველი მწერლის ლიტერატურულ მოღვაწეობას. მათ შორის გამორჩეულად აფასებდა მიხ. ჯავახიშვილის შემოქმედებას. მწერალი სიცოცხლის უკანასკნელ სულისდგმამდე ეთაყვანებოდა მის მწერლურ ნიჭსა და შემოქმედებით ტალანტს. მასთან შედარება ერთგვარი სიამაყისა და პატივისცემის გრძნობას ულვივებდა, რასაც ის საჯაროდ აცხადებდა: „ლიტერატურაში ჩახედული კაცისათვის თვალში საცემი უნდა იყოს აბსოლუტური სხვადასხვაობა ჩემი და მიხ. ჯავახიშვილის შემოქმედებისა. მე დიდ პატივს ვცემ მიხ. ჯავახიშვილს, როგორც მშვენიერ მოქართულეს, საუცხოო მოთხრობების ავტორს, ნოველისტს, ტიპებისა და ხასიათის იშვიათ მხატვარს. მასთან შედარება ყველასათვის სასიამოვნო უნდა იყოს.“[1]

მიხ. ჯავახიშვილი და კ. გამსახურდია თავიანთი შეურიგებელი პოზიციის გამო შემომწყრალი ხელისუფლებისაგან თანაბრად განიცდიდნენ დევნას და შევიწროებას. ეროვნული ტკივილებით დამუხტული მწერლები უშფოთველად ვერ შეხ-

ვდებოდნენ წითელარმიელების საქართველოში შემობიჯებას. კ. გამსახურდია წერილს უგზავნის ლენინს და ქვეყნის ოკუპაციაში საჯაროდ სდებს ბრალს. „რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულება არასოდეს ისე გამწვავებული არ ყოფილა, როგორც დღეს, თუმცა, თქვენი წითელი არმია განმანთავისუფლებელის ლოზუნგით მოვიდა ამ წელს საქართველოში... ასი წლის განმავლობაში რუსეთის მიერ საქართველოში დათესილმა ბოროტებამ, ქართული სახელმწიფო აპარატის განადგურებამ ქართული ენის სისტემატურმა დევნამ, აიძულა საქართველო რუსული ორბიტიდან გამოერიცხა თავი.[2]

ქვეყნის მწარე ხვედრით შეძრწუნებული მიხ. ჯავახიშვილი კი თავის გულნადებს ასე აღავლენს: „ყოველ ქართველს ყოველ ჟამს უნდა ახსოვდეს, რომ ნახევარმა საქართველომ მარაბდის ბრძოლის დროს 10 000 მოკლული გასწირა, ხოლო ერთობლივმა საქართველომ 1921 წელს თავის დამოუკიდებლობას ასი მოკლული ვერ შესწირა.[3]

პოლიტიკური მოვლენების არასასურველი გზით წარმართვამ და ქართველი ხალხის ეროვნული ღირსებების ფეხქვეშ გათელვამ კიდევ უფრო გაახელა ქართველი მწერლების ეროვნული შემართება. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მარცხმა კი განსაკუთრებულად დამთრგუნველი ზემოქმედება მოახდინა მათ ცნობიერებაზე. კ. გამსახურდია და მიხ. ჯავახიშვილი, როგორც აჯანყებაში ეჭვმიტანილები, ხელისუფლების მიერ დაპატიმრებულ იქნენ. კ. გამსახურდია სამი თვის მანძილზე მეტეხის ციხეში იხდიდა სასჯელს, ყოველ დღე დახვრეტას ელოდა. საბოლოოდ არასაკმარისი სამხილის გამო სატუსაღოდან გაანთავისუფლეს. ამ აჯანყებამ მწერალს მისცა სტიმული დაეწერა დაკარგული თაობის წიგნი „დიონისოს ღიმილი“.

რაც შეეხება მიხ. ჯავახიშვილის დამოკიდებულებას აგვისტოს ამბოხებასთან ის ბეწვზე გადაურჩა დახვრეტას. მწერლის ციხიდან განთავისუფლებაში მნიშვნელოვანი როლი

ითამაშა ს. ორჯონიკიძემ, რომელმაც არ დაიჯერა მწერლის კავშირი აჯანყებასთან. მოგვიანებით 1936 წელს საქართველოდან მწერალთა პირველი დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვს, რომლის შემადგენლობაში მ. ჯავახიშვილიც ერია. კრემლში ოფიციალური მიღებისას მწერალმა ორჯონიკიძეს შეახსენა გაწეული დახმარების შესახებ: „მე თუ ცოცხალი ვარ, მე თუ მწერალი გავხდი და ეს ჯილდო დავიმსახურე, თქვენ უნდა გიმადლოდეთ. ს. ორჯონიკიძესაც არ დაუმალავს თავისი კმაყოფილება გაწეული ამაგის გამო: „რა დიდ შეცდომას ჩავიდენდით მაშინ, რომ არ დავხმარებოდით მას და რა კარგია, რომ ასე გვასახელა.“[4]

მიხ. ჯავახიშვილი მთელი სიმწვავითა და სიცხადით წარმოაჩენს თავის მოქალაქეობრივ პროტესტს: „ჯაყოს“ 1924 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვწერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემს გულს ცეცხლი ედებოდა, ხოლო სული იმ დროს სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყო“ გმინვაა ჩემი სულისა“.[5] სავსებით მმართებულად შენიშნავს ს. სიგუა, რომ აგვისტოს ტრაგედიით შეძრწუნებულმა მწერალმა ულმობელი განაჩენი გამოუტანა თეიმურაზის სახით წარმოდგენილ საკუთარ თავსაც და უსუსურ ინტელიგენციასაც: „ჯაყოს ხიზნები“ არის საშინელი რეკვიემი საკუთარ თავსა და უვარგის ინტელიგენციაზე, სამშობლოს დაცემაზე, როცა კვდება ქართული სულიერება.“[6]

კ. გამსახურდიასათვის მიუღებელი აღმოჩნდა „ჯაყოს ხიზნების“ იდეური კონცეფცია. მწერალს არ გასჭირვებია რომანში შენიღბული აზრობრივი შინაარსის ამოცნობა, რაც თავის მხრივ გულისხმობდა ჯაყოების გაბატონებას ქართულ მიწაზე და მათ მიერ ეროვნული ფასეულობების ფეხ-ქვეშ გათელვას, მაგრამ მისთვის მაინც მიუღებელია ოსი ჯაყოს მიერ ქართველი ქალის აბუჩად აგდება და გამასხარავება. მწერალი წერს: „ეს არის პასქვილი ქართველ ქალზე. ვის უნახავს, რომ ქართველი ქალი ვიღაც ჯაყოს ბინძურ დედა-

კაცებთან ერთად, ეს არის სრული გაუგებრობა. მართალია, მეც აღვწერ ეროტიულ სცენებს, მაგრამ ეს ეხება გამოგონილ ადამიანებს და არავის არაფერი არ სტკივა ამ სცენების გამო.“[7]

ხელისუფლება უფრო და უფრო მკაცრ ზომებს ღებულობდა შეურიგებელი მწერლების მოთვინიერებისათვის. ცეკას მდივნის კახიანის მითითებით მიხ. ჯავახიშვილს, კ. გამსახურდიას და გრ. რობაქიძეს, როგორც ფეოდალური კლასის ნაშიერებს, არნახული „დამუშავება“ მოუწყვეს. კ. გამსახურდია ასე იხსენებს მათ თავზე დაწეულ ობსტრუქციას: „დარბაზები ხალხით აივსო, კარები ჩაკეტეს სასწრაფოდ, მაგრამ მისცვივდნენ კომკავშირლები და კარები შემოლეწეს. ტრიბუნაზე თავად დასხდნენ. დაიწყეს ჩემი „ჯამუს“, ჯავახიშვილის „დამპატიჟეს“ გინება. არც იმ უბედური გრ. რობაქიძისათვის უთქვამთ კომპლიმენტები.“[8] თუმცა ამ „დამუშავებით“ მოძალადეებმა პირუკუ შედეგი მიიღეს, რადგანაც ახალგაზრდობამ ქართველი მწერლებისადმი ასეთი უსულგულო და აგდებული მოპყრობა იუკადრისა და შავი ჩოხის აპოლოგეტებს ობსტრუქციის ნაცვლად სამაგალითოდ ოვაციები გაუმართა.

მოგვიანებით ხელისუფლებამ პოლიტიკური წნეხის განმტკიცების შესაბამისად ახალი ლოზუნგი შეიმუშავა: „მტერი ან მოკავშირე“, — ამ ლოზუნგით მრავალი თვალსაჩინო მწერალი იქნა კონტრევოლუციის ბანაკში გადარიცხული. კ. გამსახურდიამ იმთავითვე ამხილა ახალი ლოზუნგის უკეთური შტრიხები, რასაც სულ მალე შერისხული მწერლების წიგნების კონფისკაცია და ბიბლიოთეკიდან ამოღება მოჰყვა. მწერალი ასე იგონებს გარდასულ დღეთა სამძიმალს: „აპრილის შემდეგ იმავე დარბაზში გამოაქვეყნეს ცნობა, თუ რატომ ამოიღეს ბიბლიოთეკიდან ილია ჭავჭავაძის, ჩემი და მიხეილ ჯავახიშვილის წიგნები.“[9]

მიხ. ჯავახიშვილი აქტიურად იყო ჩართული შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საქმიანობაში. მრავალი წერილიც გამოაქვეყნა, სადაც თავის მოსაზრებებსა და შეხედულებებს მკაფიოდ აფიქსირებდა: მისი აზრით სხვადასხვა უცნობ ავტორებს თავიანთი დანამატებით და ჩანართებით პოემის ფაბულა საგრძნობლად ჰქონდათ შერყვნილი. ამიტომაც „ვეფხისტყაოსანი“ ამ დანამატებისაგან გაწმენდას საჭიროებდა. კ. გამსახურდიამ თანადგომა გაუწია მწერალს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საკითხში, რამაც ზოგიერთი მწერლის გაღიზიანება გამოიწვია. მავანთა შეხედულებით კ. გამსახურდიას ამ საკითხში მეგობრის გრძნობა ალაპარაკებდა და არა ლიტერატურული ჭეშმარიტება, რაზედაც მწერალი ოლიმპიური სიმშვიდით პასუხობდა:

„— მე კი მგონია, ყველა ჩვენგანისათვის რუსთაველი უფრო დიდი ვინმეა, ვიდრე მეგობარი.“[10]

მიუხედავად ამგვარი თანადგომისა და ურთიერთგატანისა, ლიტერატურის საკვანძო საკითხების განხილვისას ისინი უკომპრომისოდ იცავდნენ თავიანთ პოზიციებს. მათ არ ჩვეოდათ აბრეშუმის ხელთათმანებით ბრძოლა ლიტერატურულ ფრონტზე. არც ინსინუაციების მოჭორვითა და კულუარებში ჩურჩულით უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. ერთადერთი მწერლური იარაღი, რომლის სიბასრესაც ისინი უხვად იყენებდნენ, ის შინაგანი სიმართლე და შემოქმედებითი თავისუფლება იყო, რომლის საფუძველზეც იქმნებოდა მათი ლიტერატურული შედევრები.

სწორედ ეს შინაგანი სიმართლე ალაპარაკებდა კ. გამსახურდიას მიხ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ ირგვლივ გამართულ ლიტერატურულ დისპუტზე. მან მრავალ ღირსებათა გამო მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენად შერაცხა რომანის ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლა, თუმცა არც შენიშვნების მიცემისაგან შეუკავებია თავი. კ. გამსახურდიას მოსაზრებით რომანში ზოგიერთი ისტორიული

ფაქტი ტენდენციურად იყო გაშუქებული. მწერალს განსაკუთრებით არ ხიბლავდა არსენას გამოყვანა ეროვნული დროშის ქვეშ, ვინაიდან მისივე მითითებით ყაჩაღს არასოდეს არ ეჭირა ხელში ქართული დროშა. გარდა ამისა ბაგრატიონთა სამეფო დინასტია ამ დროისათვის სულ რაღაც 10-12 წლის დამხობილი იყო და შეუძლებელია დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ერეკლე მეორის მხარდამხარ მებრძოლი თავადაზნაურობა ლუარსაბ თათქარიძის დონეზე დასულიყო და არსენას ყაჩაღურ გამოხტომებს უსიტყვოდ დამორჩილებოდა.

კ. გამსახურდიას აზრით მიხ. ჯავახიშვილმა არსენას ხასიათის გამოძერწვისას პერსონაჟს ზომაზე მეტი პოლიტიკური დატვირთვა მიანიჭა, ვიდრე ეს ხალხურ ლექსში იყო მოცემული. მართალია, პროტაგონისტის ხასიათის მოცემა მწერლის პრეროგატივაა, თუმცა ის თავისი მრწამსითა და მოქმედებით ხალხურ ლექსში მოცემულ გმირს დიამეტრულად არ უნდა დაშორდეს. არა და ხალხურ ლექსში წარმოჩენილი არსენა არც დიდ პოლიტიკაში ერევა, არც მარქსისტობს, არც მსოფლიო რევოლუციონერობას ეწევა. კ. გამსახურდიას შენიშვნით ეს არის ტყეში გასული გლეხი, რომელიც ებრძვის ბატონებს და არავითარი პოლიტიკური ამბიციები არ აწუხებს.

კ. გამსახურდიამ „არსენა მარაბდელის“ სიდიდეც დაიწუნა, ვინაიდან მისი განცხადებით ასეთი მასშტაბის წიგნები დღეს არ იწერება. მწერალმა გამოთქვა სურვილი, რომ მიხ. ჯავახიშვილს შემდეგი გამოცემის შემთხვევაში რომანიდან ამოეღო ზედმეტი და არაფრის მთქმელი ეპიზოდები, რითაც თხზულება უფრო დინამიური და წასაკითხად მიმზიდველი გახდებოდა. მოგვიანებით მწერალი ასე იგონებს მიხ. ჯავახიშვილთან გამართულ ლიტერატურულ პაექრობას.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ თავად რომანის თემა არ საჭიროებდა-მეთქი ასეთი დიდი წიგნის დაწერას. ცხადია, მე ვგულისხმობდი აეტორის ენერგიას, განა მარტო ქა-

ღალდს. მან ჩემი ამხანაგური შენიშვნები უკლებლივ გაიზიარა. ბოლოს ასეთი კალამბურით მიპასუხა:

– ზოგი დიდს აიკიდებსო და ზოგიც პატარას.“[11]

კ. გამსახურდიას ამ კალამბუროს გამო უბრალო საყვედურიც არ დასცდენია კოლეგისადმი. საწერ მაგიდას ჩვეული ენერგიით მიუჯდა და ოთხიოდე წელიწად'ში 42-ფორმიანი რომანი „მთვარის მოტაცება“ გამოაქვეყნა.

მიხ. ჯავახიშვილი ყოველთვის მართალ და გულწრფელ კრიტიკას უწევდა ანგარიშს. კ. გამსახურდიას შენიშვნებიც გულდასმით მოისმინა, თუმცა ყველა როდი გაიზიარა. ზოგიერთი მათგანი კი მისდამი წაყენებულ ბრალდებად მიიჩნია. ის არ დაეთანხმა უმცროს თანამოკალმეს თავადაზნაურთა ღირსებისა და თავმოყვარეობის შეფასებაში. მისი განცხადებით ომში ნავალი მრავალი ქართველი თავადი იყო იმ დროისთვის, თუმცა, მათ შორისაც სომ იყვნენ ბედოვლათებიც. ყველანი გმირებად რომ წარმოეჩინა, მაშინ „მარაბდელის“ მაგიერ „ვისრიამიანის“ მსგავსი სახოტბო თხზულება გამოუვიდოდა. რაც შეეხება „არსენას“ ზომას მიხ. ჯავახიშვილის მითითებით დიდტანიანი წიგნების წერას ჯერაც ეტანებიან რუსეთშიც და ევროპაშიც. მთავარია ვინ როგორ მოაქცევს თავის სათქმელს რომანში: „დიდი და მცირე რომანი მხოლოდ ძალ-ღონის საქმეა. ზოგი დიდს ვერ დაიკიდებს და მხოლოდ იმიტომ ურჩევნიან მცირე და მსუბუქი.“[12]

კ. გამსახურდია არ უარყოფდა, მიხ. ჯავახიშვილთან ბევრი სადაო რომ ჰქონდა, თუმცა ეს ლიტერატურული კამათი და დაპირისპირება ახირებული კინკლაობის ბაზაზე როდი უნდა აგებულიყო, არამედ – ამხანაგური გაკამათების საფუძველზე: კ. გამსახურდიას განსაკუთრებით ეუცხოვება მწერლის პროზისათვის დამახასიათებელი სიტყვამრავლობა. მისი რწმენით მიხ. ჯავახიშვილს აქვს ერთგვარი გალავანიზირებული ძალა ფრაზის მოქმედებისა, მაგრამ არა აქვს ხატოვანება სიტყვისა. სიტყვამრავლობა არასოდეს არ არის ოსტა-

ტობის ნიშანი. მწერალი გამოთქვამს სურვილს, რომ ავტორმა რომანის ხელმეორედ გამოცემისას მოახდინოს ნაწარმოების რევიზია და სიტყვა მოკლედ მოსჭრას, რაც თხზულებას უთუოდ დადებითად წაადგებოდა. „მე მიყვარს ქართული სიტყვა. ჩვენ ყველა ერთ ძუძუს ვწოვთ. მისმა სიყვარულმა შეიძლება გაგვახელოს და ერთმანეთს ვაწყენინოთ, მაგრამ მოკლე ხანში ეს ყველაფერი უნდა დაგვავიწყდეს.“[13]

მიხ. ჯავახიშვილმა გადაჭრით უარყო და არ მიიღო კ. გამსახურდიას რეცეპტი ქართული სიტყვის მოკლედ და ნაჭარბევად ძუნწად წარმოთქმის შესახებ: „კ. გამსახურდია მიიჩნევს, სიტყვა მოკლედ მოჰკვეცე. ძუნწად გამოიყენეო. ვერ დავუჯერებ. მე გაშლილი, სავსე. ფერადოვანი სიტყვა მიყვარს, რა თქმა უნდა წყალნარევი ღვინო სახარბიელო არ არის, მაგრამ ზოგნიც ტყუილად ცდილობენ ძმარის ესენცია თავლვინოდ მოგვაჩვენონ.“[14]



მიხ. ჯავახიშვილმა ქართველი მკითხველის სამსჯავროზე კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ გამოსვლა ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად შერაცხა. მწერალთა კავშირში რომანის ირგვლივ გამართულ დისპუტზე მწერალმა თავისი მოსაზრებები და შენიშვნებიც არ დაიშურა ავტორის მისამართით. განსაკუთრებით რომანის გადატვირთული ფაბულა არ მოეწონა. დამოუკიდებელი თავები ბორკავს და აფერხებს სიუჟეტის განვითარებასო, რის გამოც კომპოზიციაც და

სიუჟეტური ქარგა მეტად გარღვეულიაო. მწერალმა ეჭვს ქვეშ დააყენა რომანში ასახული მამის მკვლელობის სცენის მხატვრული დამაჯერებლობა. მისი შეხედულებით მკვლელობის კონფლიქტი უნდა ყოფილიყო უფრო საფუძვლიანი, სოციალურად გაღრმავებული და დასაბუთებული.

მ. ჯავახიშვილის მითითებით „მთვარის მოტაცების“ მთავარი პერსონაჟები მკაფიოდ და ცოცხლად არ არიან დახატულნი. ეს განსაკუთრებით თარაშ ემხვარზე ითქმის, რომელიც ზედმეტი მასალისა და თვისებათა გამო სქემატურ ხასიათს ატარებს. მწერალი ერთგან აცხადებს: „ზოგიერთებმა სთქვეს თარაში ავტორის საყვარელი ტიპიაო, თარაშ ემხვარი სრულიად საპირისპირო შთაბეჭდილებებს ახდენს. ის ორეულია ამავე ავტორის ნაწარმოების გმირის სავარსამიძისა, რომელსაც თან დააქვს უბედურება.“[15]

მიხ. ჯავახიშვილი არც საჯაროდ მოერიდა თარაშ ემხვარის თვისებების მხილებას და ლიტერატურულ დისპუტზე მწერლის საყვარელ პერსონაჟს მხდალი უწოდა:

„— თქვენ რომ ტყვია ესროლეთ თარაშს, რატომ წაიქცა თარაში, როდესაც არ მიხვედრია.

— თქვენ გაგიგონიათ, რომ შიშით ცხრა მთას იქით გადავარდაო.

— მაშასადამე თარაშ ემხვარი მხდალი ყოფილა, რომ შიშით წაიქცა.“[16]

კ. გამსახურდია ძველ ქართულ ლექსიკაზე და დასავლურ დიალექტზე დაყრდნობით ქართული ენის დამდგენელად გამოდის ქართულ მწერლობაში. მწერალი ჯერ კიდევ 1924 წელს აღნიშნავდა, რომ მან და მიხ. ჯავახიშვილმა დაიწყეს ბრძოლა ქართული ენის განახლებისათვის. თუმცა განსხვავებული პოზიციები ენობრივი ნორმების დადგენის საკითხში იმთავითვე გააჩნდათ. კ. გამსახურდიამ არ გაიზიარა კოლეგის თვალსაზრისი ენობრივი ლაფსუსების შესახებ. მისივე მითითებით მიხ. ჯავახიშვილს არ აქვს იმდენი ესთეტიკური

კულტურა, რამდენიც საჭიროა ქართული მწერლური ტრადიციების სწორი გეზის წარმართვისათვის, რადგანაც ის ცდილობს XIX საუკუნიდან შემორჩენილი ხალხოსნობის ტრადიციები გაალვივოს ქართულ მწერლობაში.

მიხ. ჯავახიშვილმა არ გაიზიარა კ. გამსახურდიას კონცეფცია ქართული ენის წარმოშობის შესახებ. ის აღნიშნავდა: „კ. გამსახურდიას წერილს სულ სხვანაირი სუნი ასდის. ის სწერს: ქართული ენა ორი ელემენტის შეუღლებამ წარმოშვა: ქართველური და ლაზურ-მეგრულის შედედებამ. მეგრულმა ნაკადმა ქართულ ენას დიდი სიკეთე დასდო, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ქვემო იმერულის კილო ამ შეუღლების კანონიერი შვილია, რომელიც თვითონ კ. გამსახურდიასაც ეხამუშება. ავტორი აცხადებს ქართული ომახიანი ვაჟური ენა არისო. ეს ანბანური სიმართლეა და მეც დამიწერია. მაგრამ ამ ვაჟურ ენაში ზოგნი ეგრეთ წოდებულ ქალურს ლაზურ-მეგრულს, ქვემო-იმერულს ურევენ და ქართული ენის ბუნებას ამღვრევენ.“[17]

კ. გამსახურდია არ ეთანხმებოდა მიხ. ჯავახიშვილის პოზიციას ქართული ენის კავთისხევში სწავლების გამო. მწერალმა ამ სიტყვებში ქართული ენის პროვინციული კუთხით განვითარების საფრთხე შენიშნა: „ენობრივ პოზიციაში თუმცა ჩვენ ერთმანეთს ბევრ შემთხვევაში ვეთანხმებოდით, მაგრამ თქვენ წამოაყენეთ დებულება, რომ ქართული მარტო კავთისხევში ისწავლებაო. მე ვამბობ, რომ ქართული ენა ისწავლეთ კავთისხევშიც, ჭრებალოშიც ზუგდიდშიც და ოზურგეთშიც.“[18]

მიხ. ჯავახიშვილმა შეახსენა თანამოკალმეს, რომ მისი ეს შენიშვნა მას ნაკლებად ეხებოდა, ვინაიდან კ. გამსახურდიას სალიტერატურო ენა, როგორც კუთხურ, ისე საერთო ქართულ ენობრივ ლექსიკას უხვად შეიცავდა:

— „მე განვაცხადე, რომ თქვენებური კუთხური იცით და სხვა კუთხურიც ისწავლეთ მეთქი. გამსახურდიას გაუგ-

ლია და უსწავლია. მაშასადამე, ეს მას არ შეხებია და რის გამო არის ასე აღელვებული.“[19]

კ. გამსახურდია ერთიანი ქართული ენის დამკვიდრების ინიციატივით გამოდიოდა ყველგან და თავგამეტებით იღწვოდა იმისათვის, რომ ქართული სიტყვა გაეწმინდა პროვინციული ბალასტისაგან. მწერლის აზრით, „ქართულ ლიტერატურას აქვს ერთი მაგისტრალური ხაზი. ეს ხაზი არის რუსთაველის, მერჩულის, გურამიშვილის, ორბელიანების საერთოდ და ამ ხაზით მივდივართ ჩვენ იმიტომ, რომ კუთხური ქართულის და პროვინციული ქართული ლიტერატურის ამბავი უკვე გათავდა.“[20]

თუმცა პროვინციალური ენის და ლიტერატურის მეხოტბე არც მიხ. ჯავახიშვილია. მისი აზრით თანამედროვე მწერალთა უმრავლესობა პროვინციალური, ჟარგონული ენით წერს და ამ საერთო ღრიანცელში ქარტული სალიტერატურო ენა სახელმწიფოებრივი სტატუსის ენიდან სამუზეუმო ექსპონატად იქცა. მწერლისათვის მიუღებელია ქართული ენის ამგვარი გავერანება და დაკნინება: „ჩვენ წინააღმდეგნი კი არა ვართ ამა თუ იმ პროვინციიდან მოტანილი სიტყვისა. პირიქით, ბევრი კარგი რამ მოიძებნება ჩვენს განაპირა ადგილებში. მაგრამ ეს შენაკადები უნდა ხვდებოდეს მთავარ მდინარესთან, რომელსაც სამწერლო ენა ჰქვიან და რომელიც მეტროპოლში არის განმტკიცებული.“[21]

მიხ. ჯავახიშვილმა ერთმა პირველთაგანმა გაუწია თანადგომა და მხარდაჭერა კ. გამსახურდიას მეგრელი ავტონომისტების წინააღმდეგ გამართულ კომპანიაში. 1932 წელს გამართულ საქართველოს მწერალთა კავშირის III ყრილობაზე სახელოვანმა მწერალმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა ერთი მუჭა მაფაულუისტები მათ მიერ სამეგრელოში ქართული ენის დევნისა და შევიწროების გამო: „უცნაური რამ ემართება ქართულ ენას — განსაკუთრებით სამეგრელოში. ზუგდიდის რაიონში მე მითხრეს, რომ იქ შენდება თეატრის შენო-

ბა, რომელზედაც მხოლოდ ორ ენაზე არის წარწერა. ახლა მე ხელთ მაქვს „ყაზახიში გაზეთი“, სადაც უწმაწური დევნაა ქართული ენისა. იქ თუ რამე ტერმინი არ მოეპოვებათ, რამე სიტყვა არ მოეპოვებათ მეგრულ ენაზე რუსულ სიტყვებს ამატებენ, თითქოს ქართული სიტყვები არ არსებობდეს. ჩვენ ვხედავთ ამას, მაგრამ ამაზე დღემდე არ ვლაპარაკობთ, იმიტომაც რომ „დიდსულოვნები“ ვართ“.[22]

ასეთივე დიდ თანადგომას გრძნობდა კ. გამსახურდია შ. დადიანისაგან, რომელსაც ქართული მწერლობის პატრიარქად მიიჩნევდა. მწერლის აზრით საქართველოს, ილიას დაღუპვის შემდეგ, ასეთი მრავალფეროვანი ბუნების მოღვაწე არ ჰყოლია. ის განსაკუთრებული სიმძაფრითა და ვნებით ეწეოდა ქართული მწერლობისა და თეატრის აღორძინების საქმეს. ერთი და იმავე ღვთაების ამ ორ სახატეს მწერალმა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ტარიგად შესწირა. სახელმწიფოებრიობა დაკარგულ ერს ნაციონალური თვითშეგნებისა და ეროვნული ღირსების გრძნობა ჩამოქცეული ჰქონდა, ამიტომაც ამ ორი დიდი სულიერი ფაქტორის განახლებას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

კ. გამსახურდია სენაკის საანზაურო სკოლის მოსწავლე იყო, როცა ახალგაზრდა შალვას თეატრალური ტალანტის თაყვანისმცემელი გამხდარა. შ. დადიანის დასმა სენაკის თეატრალურ სცენაზე დადგა პიესა „და-ძმა“, სადაც ახალგაზრდა დრამატურგი მთავარი როლის შემსრულებლად მოგვევლინა. კონსტანტინე და მისი მეგობრები აღტაცებაში მოსულან შ. დადიანის თეატრალური ნიჭიერებით და როგორც თავად აღნიშნავს, მხურვალე აპლოდისმენტებით დაუჯილდოებიათ დრამატურგი.

კ. გამსახურდიას აზრით შ. დადიანისათვის უცხო იყო საკუთარი სახელის განდიდების მანია, თანამოკალმეთა ზურგს უკან გაქირდვა და ლიტერატურული ოინბაზობა. თავისი შემწყნარებლური ხასიათის და დარბაისლური ბუნების

წყალობით მას ხელისუფლებაშიც ნაკლებად ჰყავდა მტრები, რასაც თავად კ. გამსახურდია სშირად აღნიშნავდა: „შალვა დადიანი ძალიან შორსმჭვრეტელი ადამიანი იყო, განსაკუთრებული სითბოსი და ელასტიურობის. ჩემისთანა ოხერი კი არ იყო, ყველა მთავრობას რომ ვებრძოდი. დედაჩემმა მითხრა: „შე გაოხრებულო, ნიკოლოზს არ უყვარდი მენშევიკებს არ უყვარდი, ბოლშევიკებს არ უყვარხარ, ვინ უნდა შეგიყვაროს შენაო.“[23]

შ. დადიანის დარბაისლობა და ელასტიურობა სშირად წადგომია მისსავე მეგობრებსა და თანამოაზრეებს გაჭირვების ჟამს. სწორედ მისი დიპლომატიური მოქნილობისა და კ. გამსახურდიას ენერგიული ქმედების წყალობით ი. გრიშაშვილი განთავისუფლებულ იქნა სატუსაღოდან, სადაც ის მოათავსეს ბოლშევიკური ხელისუფლებისადმი გამოქვეყნებული მამხილებელი ლექსების გამო. მწერალთა კავშირის სამდივნომ კ. გამსახურდია სულაც საგანგებო მანდატით აღჭურვა, რათა მას მოლაპარაკება გაება „ჩეკას“-თან ი. გრიშაშვილის განთავისუფლების თაობაზე.“[24]

მალე კ. გამსახურდია თავად შეიქმნა ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლი, როცა თავისი შემოქმედებითი პრინციპებისა და ეროვნული ინტერესების დაცვის გამო შორეულ სოლოვკაში იქნა გადასახლებული. მისი ცხოვრების ამ გაუსაძლის პერიოდში შ. დადიანმა ყველა სამთავრობო ინსტანციის კარი შეაღო, რათა თავისი დიდი ავტორიტეტის წყალობით კ. გამსახურდიას სიცოცხლე დაეხსნა მტარვალთა ხელითგან. მოგვიანებით მწერალი ასე იხსენებს თავისი გადამრჩენლის მზრუნველობასა და ამაგს: „მე ჩემს სიცოცხლეში შალვას ზრუნვა და სიყვარული არ დამავიწყდება, როცა მე გადასახლებაში ვიყავი დადიოდა მთავრობასთან, ტალახი აუყენა ღოღობერიძეებს, ორჯონიკიძეს ეხვეწებოდა. „მოგვეცით კონსტანტინეო.“[25]

ერთი პერიოდი კ. გამსახურდიას ძალიან დაეძაბა ურთიერთობა „ჩეკას“ ხელმძღვანელთან ლ. ბერიასთან, რაც სამომავლოდ მწერალს კარგს არაფერს არ უქადდა. შ. დადიანმა საკუთარ თავზე იტვირთა პარტიულ ფუნქციონერსა და მწერალს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების განეიტრალება, რაც მისი დიდბუნებოვნებისა და ღვთისნიერების მაჩვენებელი იყო. ლ. ბერიას სახლიდან გამოსულმა შ. დადიანმა ასე დაამშვიდა აფორიაქებული და დაზაფრული კ. გამსახურდია: „მე გახარებული ვარ, იმ გაოხრებულმა ძალიან გაქოო, – მითხრა – მინდოდა მომეკლა, მაგრამ არაა ურიგო კაცი, მე მგონი – უსინდისო არ უნდა იყოსო, ამიტომ არ მოვკალავ მაგასო.“[26]



შ. დადიანის გახმაურებულმა რომანმა „უბედური რუსი“ არნახული პოპულარობა და ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში. ერთნი რომანის ლიტერატურულ ღირსებებს ხმამაღლა ახმოვანებდნენ, მავანნი კი ერთხმად კიცხავდნენ მწერალს – თავის ისტორიულ რომანში გიორგი რუსი გამოფშუტურებულ ლოთად და ავადმყოფად რად გამოიყვანაო.

კ. გამსასურდია უმალვე გამოესარჩლა შ. დადიანს და რომანის ირგვლივ გამართულ ლიტერატურულ დისპუტზე პირნათლად დაიცვა თხზულების იდეური კონცეფცია. მისთვის მიუღებელი იყო უნიათ კრიტიკოსების არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ რუსი კნიაზის გინება რუსი

ხალხის გინების ტოლფასად აღიქმებოდა. უმთავრესი დამსახურება კი რომანისა იმაში მდგომარეობდა, რომ ავტორმა უფაქიზესი ტაქტით შესძლო ქართველი ხალხის სათაყვანებელი გმირის თამარის პირადი ცხოვრების მხატვრული განსახიერება. მოგვიანებით მწერალმა ასე გაიხსენა თავისი დამოკიდებულება რომანის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე: — „შალვა დადიანმა დაწერა შესანიშნავი რომანი. მარტო იმისათვის ეკუთვნის ძეგლი, თამარი რომ არ შეაუღლა იმ გათახსირებულ გიორგი რუსს. მერე მიადგნენ ეს ჩვენი „პადხალიმები“ და როგორ თუ რუსი შეიძლება ცუდი იყოსო. ბიჭო... რუსი ოინბაზია, დიდი გათახსირებული მამაძაღლია, კრეტინია. ოთხფეხზე გამოვედი მე შალვას დასაცავად, მე თვითონ დასაცავი ვიყავი, მაგრამ მაინც ვთქვი:

— კაცო, რა მოხდა, ბაგრატიონები ცოტა იყვნენ კრეტინები, ლოთები, გათახსირებულები, მშიშრები? რა გინდათ ამ კაცისაგან-მეთქი.“[27] შ. დადიანმა გვერდზე გაიხმო მწერალი და ორაზროვნად უთხრა:

— „არ მაქო შენი ჭირიმე, შენი ქება ჩემი გინებაა.“[28]

ისინი ხუმრობითაც კარგად ეწყობოდნენ ერთმანეთს და მცირეოდენ სარკაზმს სერიოზულ ფაქტად არ აღიქვამდნენ. ასე იყო მაშინაც, როცა შ. დადიანმა და ნ. ლორთქიფანიძემ კალამბური თქვეს არა თავადების შესახებ. კ. გამსახურდია არ ჩამორჩა მეგობრებს და სარკაზმშერეული ხუმრობით შეესიტყვა „დიდგვაროვნებს.“

— „ორი უჭკუო თავადი გვყავს საქართველოში შალვა და ნიკო.

მეორე დღეს შ. დადიანმა მწერალთა კავშირის კიბეებზე ნახა მწერალი. გადაკოცნა და უთხრა:

— კონსტანტინე, მე შენ ამას გაპატიებ, შენ ისე მიყვარხარ, რომ არ შემიძლია გაწყენინოო.“[29]

კ. გამსახურდია ყოველთვის ამაყობდა შ. დადიანთან მეგობრული ურთიერთობით. განადიდებდა მის შემოქმედებით

ტალანტს და სულიერ სამშვინველს. მწერლის გარდაცვალების წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე კ. გამსახურდიამ გულწრფელი ცრემლით გამოიგლოვა ქართული პროზის შესანიშნავი ოსტატი, რომელთანაც სიახლოვე მისთვის იყო დიდი ბედნიერება: „იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იყო ჭეშმარიტი მიჯნური საქართველოს ტრაგიკული ისტორიისა, მესაიდუმლე ქართული ხელოვნების, ქართველი ხალხის უანგარო მსახური და მისთვის თავდადებული მოამაგე.“[30]

XX საუკუნის ქართული პოეტური სიტყვის პარნასს ორი ტიტანის სახელი ამშვენებდა. კონსტანტინე გამსახურდიასი და გალაკტიონ ტაბიძის. პოეზიაში რომანტიკოსები პოლიტიკაში უაღრესად რეალისტები იყვნენ. ორთავეს პოეტური მუზა კოლხეთის ოქროვან ჭალებში იშვა. თუმცა, შთაგონებამ მალე ქუთაისში გადაინაცვლა, სადაც ყვავილების მორევში შთანთქმულმა ქალაქმა სულიერების ამაღლებულ მწვერვალებს აზიარა ქართული სევდით შეპყრობილი პოეტები. უჩვეულო და ეფემერული იყო გალაკტიონისა და კონსტანტინეს მეგობრობა, რომელსაც საკმაოდ დიდი ხნის ისტორია ჰქონდა. ჯერ კიდევ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში მოწიფეობისას გალაკტიონმა კონსტანტინეს ქართულ გიმნაზიაში მოწყობა სთხოვა. მისთვის ცნობილი გახდა, რომ კონსტანტინეს გიმნაზიის ხელმძღვანელები — სამსონ ფირცხალავა და სილოვან ხუნდაძე დიდ პატივს სცემდნენ. მწერალი დაუყოვნებლივ ეახლა თავის პედაგოგებს და მეგობრის სათხოვარი ამცნო თან გალაკტიონის ტალანტიც სათანადოდ შეაფასა. გიმნაზიის მესვეურებმა ამ საქმეში ხელშეწყობა აღუთქვეს კონსტანტინეს. თუმცა ამასობაში თავად პოეტმა არ ინდომა გიმნაზიაში შესვლა. გალაკტიონ ტაბიძეს, თავისი მერყევი ხასიათით უძნელდებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობა, რასაც კარგად ამჩნევდა კონსტანტინე და აქტიური ქმედებისაკენ მოუწოდებდა პოეტს:

„თვითვე იყავ შემოქმედი
ნურას ეძებ ზღვის სიღრმეში,
თვით გასჭედე შენი ბედი
გრდემლი არის შენივ მეში.“

გალაკტიონიც გრძნობს თავისი სულიერი ძმის თანადგომას, რომელიც მთელი არსებით ილტვის სევდა და ტანჯვა-წვალება შეუმსუბუქოს მეგობარს:

„შენ, მეგობარო, შენ ხარ ჩემი იმედი ტკბილი,
ვერ შემაშინებს ვერცა ტანჯვა, ვერცა წამება
ნავს გავაცურებ, მეგობრული შენი ღიმილი
იქნება ჩემი აღთქმის მხარე და ნეტარება.“

გალაკტიონის და კონსტანტინეს შემოქმედებით მუზას პოლიტიკური კატალიზმების დროს ომის სული აერთიანებს. თავისუფლების აღდგომის ცისკართან მყოფ ქართველობას კ. გამსახურდია მეომრელი ყიჟინით ამხნევებს:

„საბედისწერო დღე გვაუწყა სიონის ზარმა
ო, ჰამლეტ, ჰამლეტ გადააგდე ხმალი სასწორში
მუზების ჰარნასს მე ვარჩიე ბნელი ყაზარმა
გუშაგად მივალთ, ერო ჩემო, შენ ველ-მინდვრებში.
თოფის წამალი მომენატრა მუშკის მოყვარულს...
მივდივართ ბრძოლად განწირული ყორნისფერ რაშით

ომის ნათელი მიზანი სიცოცხლეს უხალისებს გალაკტიონსაც:

„ყველა ქართველში ომის ტრფობა ძველისძველია
მეც ასეთი ვარ და ვერვისთვის გამიმხელია,
სიცოცხლე მინდა უშენოდ ეს, ოხ, რა ძნელია

გამახსენდები და კვლავ ომი მომენატრება“.

კ. გამსახურდია ყველგან და ყოველთვის ცდილობდა ნაციონალური სულისკვეთება და ხასიათი შეენარჩუნებინა ღვთისგან დავიწყებულ საქართველოში. სწორედ საქართველოს სულიერი აღორძინების სახელით გაილაშქრა მან იმ მწერლების წინააღმდეგ, რომელთაც სრულიად საქართველოს პირველ მწერალთა კონფერენციაზე რუსი მწერლის – ბალმონტის საპატიო თავმჯდომარედ არჩევა განეზრახათ. კ. გამსახურდიას აზრით უხერხულია რუსი მწერლისთვის ოვაციების გაძართვა მაშინ, როცა ქვეყანა ჯერაც საომარ განწყობილებაში იმყოფებოდა რუსეთთან. მწერალმა თავისი პროტესტი გალაკტიონს გაუმხილა, რომელიც თავის მხრივ იზიარებდა კოლეგის პოზიციას:

– „რობაქიძემ მოითხოვა ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ კ. ბალმონტი მოგვეწვია. მე დიდ პატივს ვცემ ბალმონტს, მაგრამ მაინც უხერხულად მივიჩნიე ეს. მხარი დამიჭირა გრიშაშვილმა, თავს დამესხნენ პაოლო და ტიციანი მათთვის ჩვეული ყიჩილბაშობით. ასე, უცნაური ხალხი ვართ ქართველები, ჩემო გალაკტიონ! ზედმეტი თავმოხრა გვჩვევია, ადვილად ვენთებით.“[31]



კონსტანტინე და გალაკტიონი იყვნენ დამაარსებლები ჟურნალების „ლომისის“ და „ქართული სიტყვის“, სადაც ისინი დაუფარავად აკრიტიკებდნენ ბოლშევიკური ხელისუფლებას. არც ერთი მათგანი არ შერიგებია

ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფას და თავიანთ მოქალაქეობრივ პროტესტს დაუფარავად გამოთქვამდნენ. ვერ დამალეს მათ თავიანთი გულისტკივილი 1924 წლის ამბოხების მარცხის გამოც, რის შედეგადაც კ. გამსახურდია მეტეხის ციხეში გაამწესეს, ხოლო გალაკტიონს პოემისათვის — „მოგონებათა გამო“ ღვთის რისხვა დააწიეს. მწერალს არ აპატიეს თავისუფალი სულის ჩაკვლით გამოთქმული პროტესტი.

„ეს თბილისია თმაგაწეწილი
და მწუხარება ჩვენი ქართული.“

მოსთქვამდა საქართველოს უბედურებით შეძრული და შელონებული გალაკტიონი, რომლისთვისაც პოეზია სულის მოთხოვნილება იყო, კონსტანტინესათვის კი — სევდისა და ტკივილის გამქარვებელი. გალაკტიონს წამითაც არ უცხოვრია ლექსის შთაგონების გარეშე, კონსტანტინე კი პოეზიას მაშინ მიმართავდა, როცა ზომაზე მეტად დაიღლებოდა და მცირეოდენი სევდა შემოაწვებოდა. საერთო ნიშნით კი მათთვის პოეზია კეთილის საწყისია, საკუთარი ცხელძრის საკუთარივე ცრემლით განბანვა და ადამიანის სულის განწმენდის ყველაზე დიდი საშუალებაა. თავად გალაკტიონი ასე აფასებს კ. გამსახურდიას პოეტურ მუზას:

— „ეგ, კაცი მარტო მწერალი კი არა, ნამდვილი პოეტია. მისი ნაწერების კითხვა ხშირად ასალ ლექსს შთამაგონებს, განწყობილებას მიქმნის. „დიდოსტატის მარჯვენაში არის სწორედ ის, რაც ესოდენ საჭიროა ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის. მეც მინდა ვთქვა, რომ ნამდვილი ხელოვნება არაფრისაგან რამის შექმნაა და როდესაც მხოლოდ სვეტიცხოველის წარწერამ მწერლის ფანტაზიაში საქართველოს მეათე საუკუნის ისტორია გააცოცხლა, ეს არის შემოქმედის გამარჯვება.“[32]

კონსტანტინესათვის კი გალაკტიონი ქართული ლექსის ჯადოქარია, რომელიც უწინარესად ქართული ენის წიაღში ეძიებდა დაუშრეტელ მადანს საკუთარი პოეტური სამკაულების შექმნისათვის. მწერალს ხიბლავდა გალაკტიონის ჭეშმარიტად მინანქრული ოსტატობით და ლექსის იშვიათი ორკესტრირებით შესრულებული ლირიკული შედევრები. მის წარმოსახვაში გალაკტიონი დამკვიდრდა, როგორც დიდი ინტელექტისა და ინტუიციის შემოქმედი, რომლის პოეზიამ მას მსოფლიო პოეტთა შორის მიუჩინა ადგილი:

— „მე პირადად ასე თუ ისე ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება. იგი ვირტუოზია არა მარტო ლექსისა, ქართული ენის დიდი შემოქმედია. ქართული ენა მის ხელში მორჩილია, როგორც ცვილი. არსად იგი ძალას არ ატანს ენას. მისი ლექსი ეს არის რაღაც უჩვეულო და გაუგონარი ფეერია. მისი პოეტური სახეები აროდეს ნახული შეუდარებელი და ბრწყინვალე ფეერიაა.“[33]

მიუხედავად ამგვარი კეთილგანწყობისა მათი ურთიერთდამოკიდებულება შეუცნობი დინებით ვითარდებოდა. ყოველი წიგნის გამოსვლისას გალაკტიონი ასე ულოცავდა კონსტანტინეს: „სხვანიც რომ არ იყვნენ, ამ საუკუნეს მე და შენც ვეყოფოდითო.“ თუმცა სახლში არ სტუმრობდა მწერალს. განმარტოებით ერჩივნა ყოფნა. როგორც შემოქმედი, თავისებურად იტანჯებოდა და ათასი დემონი გულს უღადრავდა. მიუხედავად ამისა კ. გამსახურდია მუდამჟამს ქირდავდა თავის თავს, რომ ის ენერგიულად არ ჩაერია გალაკტიონის ცხოვრებაში. ამ შემთხვევაში იქნებ ასცდენოდა ქვეყანასა და საზოგადოებას გალაკტიონის ტრაგიკული აღსასრული. უნატიფესი გრძნობებით შემკული ტკბილხმოვანი ორფეოსის გულისცემის შეწყვეტამ მწერალს ლორდ ბაირონისადმი მიძღვნილი გოეთეს ლექსი მოაგონა:

„ის ღმერთების სწორია
და ქუსილის ნაქადი,
მას შერჩება გლორია
ჩვენ კი ცრემლის ნაკადი.“

კ. გამსახურდია მოხიბლული იყო ლადო ასათიანის ეროვნული ინტონაციით აღსავსე პოეტური შემოქმედებით. მწერლისათვის ახლობელი იყო ის სულიერი დვრიტა და განცდა, რითაც შეპყრობილი იყო ლადოს უნაზესი სულიერი სამშვინველი. მათი გაცნობა კი უბრალოდ მოხდა.

ლადო მოკრძალებული ჭაბუკი გასლდათ და უკვე სახელმოხვეჭილი მწერლის გაცნობას ყმაწვილური სათრიანობით ერიდებოდა. პოეტი ნაწერებით კი იცნობდა კ. გამსახურდიას შემოქმედებით პოტენციალს. თუმცა ეს იყო და ეს. უხერხულობის ბარიერი დიდხანს ვერ გადაელახა. ბოლოს დიდ მწერალთან დაახლოების სურვილმა თავისი გაიტანა და მათი გაცნობაც შედგა: პოეტი იგონებს: „ერთხელ კ. გამსახურდია დავინახე პროსპექტზე. მარტოდმარტო იყო. გვინდოდა მისვლა. გვერდი ავუარ-ჩავუარეთ ვერ შეგვამჩნია. წინ გავუსწარით, უკანვე დავბრუნდით და მოწიწებით მივესალმეთ. შემდეგ ბევრი ვისაუბრეთ“.[34] საუბარში ახალგაზრდები მალე გაუთამამდნენ მწერალს და ამის საბაბი თავად კ. გამსახურდიამ შექმნა, რომელმაც უხერხულობის განმუხტვის მიზნით ასე მიმართა ლადოსა და მის თანამოაზრეებს.

— „ჩემო მეგობრებო, მეგობრობით შეგნებულად მოგმართავთ, რადგან ჩემი სიტყვის მეგობარს ჩემად ვთვლი. უკანასკნელ ხანს ისე კარჩაკეტილია ჩემი ცხოვრება, რომ გარესამყაროდან კანტიკუნტად თუ შემოაღწევს ისეთი თბილი სიტყვა, როგორიც თქვენგან მესმის საერთოდ. აღარავისა და აღარაფრისათვის დამრჩენია მოცლა ამ ქვეყანაზე. ნამდვილ ანაქორეტის ცხოვრებას ვეწევი, რადგან უამისოდ ვერაფერს

გააკეთებს ადამიანი. ამჟამად ვერიდები მძაფრ შთაბეჭდილებებს და ადამიანებთან შეხვედრას მრავალგზის, რათა ერთხელ დამყარებული განწყობილების დონე შემრჩეს.“[35]

მიუხედავად იმისა, რომ იმხნად კ. გამსახურდია საშინელ სულიერ დეპრესიას განიცდის და უბრადაა გარესამყაროსთან, ლადო ასათიანთან ღამეული გასაუბრება სულის სიმშვიდეს ანიჭებს და პიროვნულად აწონასწორებს. აკი დაუფარავადაც ეტყვის მას, რომ უხარია როცა ჩაფიქრებული დახეტიალობს თბილისის ქუჩებში, ვიღაც უცნობი რომ წამოეწევა და სიყვარულზე ჩამოუგდებს სიტყვას, რომელიც თურმე სახელოვან მწერალს დაუთესია მის გულში. ამ სიტყვების ადრესატი ლადო ასათიანიც გახლდათ, ვინაიდან ისიც სხვებსავით გაუბედავად, ნაზი მგრძნობელობით შეეხო ქუჩაში მოსეირნე მწერლის სულის ხვეულებს, რათა მისი სევდის გამზიარებელი კიდევ უფრო ცხადლივ გამხდარიყო.

1937 წლის რეპრესიებმა კიდევ უფრო გაალრმავა მათი სულიერი კაეშანი. კ. გამსახურდიას დაუხვრიტეს ორი ძმა: – ალექსანდრე და ვიქტორი. ლადო ასათიანს კი დედა, ლიდა ცქიტიშვილი დაუპატიმრეს და შორეულ ციმბირში გადაუსახლეს. პოეტი ლექსში „დედა“ სრულყოფილად წარმოაჩენს ბოლშევიკების მიერ დანგრეული ოჯახების სავალალო სურათს.

„ჩვენი სახლ-კარი ააწიოკეს
დაუბანელმა გლეხის კაცებმა
ნეტავ შენსავით ბნელში ვსტიროდე
არ ვუყურებდე ქვეყნის დაქცევას

ჩვენი მარანი და საწნახელი
უფრო ძლიერმა დააგირავა
მამა ბუხართან ზის თავდახრილი
ცეცხლში აფურთხებს და იგინება

მე კარგად ვიცი მალე მოვკვდები
მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს.“

კ. გამსახურდია ნაკლებად გამოირჩეოდა გულჩვილობით, თუმცა უსამართლოდ რომ გაქირდავდნენ მის შემოქმედებას, მოზღვავებულ გულისტკივილს ველარ იტევდა და სულით ახლობელს გადასცემდა თავის გულნადებს. მწერალმა ლადო ასათიანსაც შესჩივლა ზოგიერთი უნიათო კრიტიკოსის უადგილო გამოხტომა: „თუ რომელიმე კრიტიკოსი სტილის გამო წერილის წერას დაიწყებს, მე უნდა დამქტაკოს და ჩემი „არქაული სიტყვაქმედება“ ასე დაასაბუთოს: „რად ხმარობს ჰაე-სა და ა. შ. ნუთუ მწერალს არა აქვს უფლება, როცა კონტექსტი მოითხოვს, მე-19 საუკუნის ლექსიკას გადასცდეს? უნდა გაიგოს კრიტიკოსმა, რომ ეს არქაული არაა.“[36]



ლადო ასათიანი მთელი არსებით თანაუგრძნობდა მწერალს და თავისი გროტესკული ლექსებით სამარცხვინო ბოძზე აკრავდა უკბილო ჟურნალისტებსა და კრიტიკოსებს. ასე არ აპატია პოეტმა იოსებ მჭედლიშვილს კ. გამსახურდიას თარგმანის გაკრიტიკება. არადა ჭარმაგი მწერლის მიმართ ყოველთვის სიმპათიით იყო გამსჭვალული, რასაც თავის ნაწერებშიც არ მალავდა. პოეტმა ასეთი ფუნაგორია უძღვნა კ. გამსახურდიას ქართულის დამწუნებელს:

„იმ ჩვენ იოსებ მჭედლიშვილს, იცნობ,
რომ კრიტიკოსია?
ქართულს უწუნებს მარტვილი გამსახურდია კოწიას,
გაჩუმდეს, თორემ კოწიამ ხალხი თუ მისწი-მოსწია
გადაავიწყებს იოსებს ნადირსაკლავად წოწიალს.“

ლადო ასათიანის ფუნაგორიები და პაროდიები მთელს საქართველოში იყო ცნობილი. ერთი ასეთი პაროდია პოეტმა კ. გამსახურდიასა და კ. ჭიჭინაძის მიერ დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ თარგმანის გამო დაწერა. პაროდიის შეთხზვის მიზეზი კი შემდეგი გარემოება გამხდარა. კ. გამსახურდია და კ. ჭიჭინაძე ერთობლივად თარგმნიდნენ დანტე ალიგიერის გენიალურ ქმნილებას. თარგმანის დროს მწერლებს კონფლიქტი მოუვიდათ, ერთმანეთს დაეუბრნენ და კონსტანტინეს მარტოს მოუწია თარგმანზე მუშაობის გაგრძელება. სწორედ მწერლებს შორის ჩამოვარდნილმა დროებითმა შემოქმედებითმა უთანხმოებამ მისცა საბაბი ლ. ასათიანს პაროდიის დასაწერად:

„ჟიმიდან ჟამზე გულმოდგინედ ვთარგმნიდით დანტეს,
ქართულ კულტურის მოამაგე ბერი კოწონი,
ვიმაჯაგანეთ, ვიმოლვაწეთ, ერთად დავანთეთ,
დიდებულისა ქართულისა სიტყვის კოცონი.
მარჩბივთა ესე განვლეთ ბჭენი ჯოჯოხეთისა
გვსურდა ერთობლივ აღმოგვეთქვა ანა და ჰოე
გარნა ზნე ჩვენი ურთიერთ ყოფნას ვერ შეეთვისა,
და ნეტარება მარტოულად თარგმანში ვპოვე.“

მწერალი მასში ხედავდა არა კომკავშირული იდეოლოგიით გულგამოჭმულ პოეტს, არამედ – გმირული სულით აღსავსე გაუტეხელ რაინდსა და ერის სვე-ბედის მოჭირნახულეს. საერთო განცდებმა და მიზნებმა კიდევ უფრო გაამყარა

მათი მეგობრობა. ლადო მოგვიანებით კ. გამსახურდიას ოჯახშიც ეწვია სტუმრად. სახელოვან მწერალს საღამოხანისათვის თავისთან გ. შატბერაშვილი მოუწვევია, რომელსაც ძლიერ აფასებდა, როგორც ნიჭიერ მწერალს. გ. შატბერაშვილი თავის მეგობრებთან გრ. აბაშიძესთან და ლადო ასათიანთან ერთად ღვინის სმას შეჰყვა და მწერალს დაგვიანებულზე დაუკავშირდა ტელეფონით. კონსტანტინემ ახალგაზრდა მწერლები არაპუნქტუალობისათვის მსუბუქად დატუქსა: „ახლავე დატოვეთ ეს ბინძური რესტორანი და ჩემთან გაჩნდით. მთვრალმა ჭაბუკებმა სმა კონსტანტინეს სახლში განაგრძეს.“[37]

კ. გამსახურდია მძიმედ განიცდიდა ჭაბუკი პოეტის ავადმყოფობას. მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდა. ცდილობდა სიცოცხლის წყურვილი და ხალისი შთაენერგა მისთვის. თავად ლადოს ბავშვური მიამიტობით უხაროდა მწერლის თანადგომა და არც მალავს იმ სიხარულს, რასაც მას კ. გამსახურდიას წერილებით ანიჭებდა. პოეტი საყვედურებით აღსავსე სიტყვებს სწერს მოუცლელობით შეპყრობილ ძმას: „ბიჭო! გოგია! ამ ერთ ნაკუწ ქაღალდზე რომ იწერები სხვას თუ არ სცემ პატივს, შენ თავს მაინც უნდა სცე. თუ გესირცხვილება ჩემთან წერა? რა ვიცი, აბასთუმანში რომ ვიყავი კონსტანტინე გამსახურდია მწერდა წერილებს და ნუთუ შენ ერთი სიტყვის მოწერა გრცხვენია“.[38] თავის მხრივ ლადოც არ აკლებდა ყურადღებას მწერალს, რაზეც მეტყველებს აკ. გაწერელიასადმი გაგზავნილი ბარათები. თითქმის ყველა წერილში პოეტი თხოვს აკ. გაწერელიას გულთბილი სალამი გადასცეს კ. გამსახურდიას და მის მეუღლეს მირანდა ფალავანდიშვილს.

კ. გამსახურდია მთელი სიმძაფრით ლამობდა ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა მძიმე ხვედრი პოეტისათვის, რომელსაც უკურნებელი სენი ნელ-ნელა ღრღნიდა და ანადგურებდა:

„როგორ არ მინდა ძლიერო სენო,
ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო!“

ასე მოსთქვამდა სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული სულთმობრძავი პოეტი და ვაჟკაცურად ებრძოდა სულისშემხუთველ სიკვდილს.

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე კ. გამსახურდიამ მოინახულა და შეაგულიანა უმრწმესი მეგობარი. მისმა სტუმრობამ გაამოაცოცხლა პოეტი. მწერალმა საუკეთესო აქიმობა გაუწია მძიმე სენით გატანჯულ მგოსანს. ნ. აგიაშვილი ასე იხსენებს ამ შეხვედრის ერთ ეპიზოდს: „კონსტანტინე გამსახურდიამ დახედა მძიმე ავადმყოფს და გამამხნევებლად შესძახა: აღსდექ, ვაჟკაცო, ებრძოლე სიკვდილს, სალმობამ არ დაგაძაბუნოსო!“[39]

გაბადრულ მთვარესავით გაუნათდა ლადოს ნატანჯი სახე. ლოგინიდან წამოდგა, კონსტანტინეს სკამი შესთავაზა და სრულიად მშვიდად, დაწყნარებულმა სტუმარს საუბარი გაუბა. ტკბილმა და გულთბილმა საუბარმა ხალისიან გუნებაზე დააყენა, ხველება დაუცხრა და შვება იგრძნო. შემდეგ ანიკოსთვის უთქვამს: „ექიმის მოსაყვანად მიდიოდი და ხომ ხედავ, კონსტანტინეს ნახვამ როგორ მომარჩინაო. ამაზე უკეთეს ექიმს ვერსად ვიშოვნიდიო. ნეტავი ყოველდღე მოვიდეს, თუ ასე მოვჯობინდებიო.“[40]

მართალია, კ. გამსახურდიას არ მოუწია ლადოსთან ხელმეორედ მისვლა, მაგრამ დიდოსტატის ვაჟკაცური, ფრთიანი სიტყვა გაბმულ ზარივით რეკდა პოეტის გონებაში და არ აძლევდა ნებას სიკვდილთან შერიგებისა. რეკვიემივით ჟღერს მისი სიტყვები: „უკვე აყვავდა გლიცინიები მწერალთა სახლის ვერანდაზე. ვზივართ ბაღში და ვუსმენთ ცოცხალ კლასიკოსთა დინჯ ბაასსა და მოგონებებს. ხანდახან აივნიდან კ. გამსახურდია გადმოგვხედავს და გადმოგვძახებს: „ვეფხვე-

ბო", „ჭაბუკებო"! და კაი გამარჯობას გვეტყვის, როგორც შეშვენის კაცურ კაცს."[41]

უანგარობითა და დიდი მორალური სიფაქიზით გამოირჩეოდა კ. გამსახურდიასა და პ. ინგოროყვას ძმადნაფიცობა. მათ თანაბარი დოზით ჰქონდათ გამძაფრებული ნაციონალური თვითშეგნება და თავიანთ ეროვნულ იდეალებს მკაფიოდ აფიქსირებდნენ იმდროინდელი ქართული პრესის ფურცლებზე. მწერლები აქტიურად თანამშრომლობდნენ ანთოლოგიური ტიპის ჟურნალებში „კავკასიონი" და „ახალი კავკასიონი", რომლებსაც პ. ინგოროყვა რედაქტორობდა. თავად ინგოროყვა სისტემურად აქვეყნებდა წერილებს კ. გამსახურდიას მიერ გამოცემულ ჟურნალებში „პრომეთე" და „ილიონი"

პოლიტიკური მოვლენების ცვალებადობამ აიძულა ახალგაზრდა მწერლები ლიტერატურული ვნებანი განზე გადაედოთ და საქართველოში შემოჭრილ მტერს ფიზიკურად დაპირისპირებოდნენ. მწერალი ასე იხსენებს ამ ბრძოლების ბატალიებს: „ამასობაში ოსმალეთმა გადმოლახა საქართველოს საზღვრები, ბათუმი დაიპყრო და მე იძულებული გავხდი კალმის ნაცვლად ხმალი ამელო ხელში და ეს იყო ჩემი სიცოცხლის უბედნიერესი წუთები. ტფილისის უნივერსიტეტში მიტინგი გავმართეთ. ამ მიტინგზე ჩოხით გამოველი, ხმალი გავაშიშვლე და ვთქვი: „საქართველოს ახალგაზრდობის სახელით ომს ვუცხადებ ოსმალეთს."[42] თუმცა მარტო საბრძოლო სულისკვეთება არ აღმოჩნდა საკმარისი მიზნის მისაღწევად. საქართველო მოუმზადებელი შეხვდა ოსმალეთთან დაპირისპირებას, რასაც პ. ინგოროყვაც აღნიშნავდა: „ტრაპიზონის ლა-ლაი საქართველოს ვაი-ვაი იყო, რადგან ოსმალებს ხალხი ჰყავდათ, რომელიც ითვისებდა ტერიტორიას, ჩვენ კი დიდხანს ვერ მივხვდით რომ სახელმწიფოს, გარდა ლაპარაკისა, სჭირდება ბევრი რამ სხვაც და განსაკუთრებით ჯარი."[43]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედოვლათობა კარგად წარმოჩნდა ტრაპიზონის კონფერენციაზე, რომელიც 1918 წელს გაიმართა. კონფერენციაზე უნდა გამართულიყო დიალოგი თურქეთ-საქართველოს საზღვრების შესახებ. საქართველოდან დელეგაციას ხელმძღვანელობდა აკ. ჩხენკელი. დელეგაციის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა პ. ინგოროყვაც, რომელიც საქართველოს საზღვრების ჩინებული მცოდნე იყო. ემიგრანტი რ. გაბაშვილი ასე იხსენებს ტრაპიზონის კონფერენციის ბატალიებს:

„დელეგაციას პ. ინგოროყვა, ჯოხით ხელში უჩვენებდა და უხსნიდა საქართველოს ნაწილების საზღვრებს. მე სწორედ მაშინ შევესწარი, როცა შემოხაზა ჯოხის წვეროთი ერთი ფართობი და მიუბრუნდა მსმენელთ:

— ეს გახლავთ კახეთი.

— ქე დიდი ქვეყანა ყოფილა! — შესძახა გაკვირვებით ჩხენკელმა.“[44] მეცნიერის აზრით ასეთი უმეცრები მართავდნენ მაშინ ქვეყანას.

კ. გამსახურდიამ და ა. ინგოროყვამ მძიმედ განიცადეს 1924 წლის ამბოხების მარცხი და შავი ჩოხებით გამოიტირეს თავისუფალი საქართველოს მზის ჩასვენება. ამის გამო მრავალი უსიამოვნება შეემთხვათ ხელისუფლების მხრიდან, თუმცა მათ შავი ჩოხის გახდა არ ისურვეს და პროტესტის ამ ფორმით თავიანთ ეროვნულ პოზიციას ხალხთან მასებში მკაფიოდ აფიშირებდნენ.

1925 წელს კ. გამსახურდიამ და პ. ინგოროყვამ „აკადემიური ასოციაცია“ დააფუძნეს. ამ დაჯგუფებაში შემავალი მწერლები და პოეტები ყველაზე რადიკალურად იყვნენ განწყობილნი არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. მაღალჩინოსანი კომუნისტებისათვის მიუღებელი იყო ის ეროვნული სიამაყის გრძნობა, რომელსაც ამ ჯგუფის წევრები ამკვიდრებდნენ ქართველი კაცის ცხოვრებაში. ამიტომაც ზემდგომი ორგანოების ზეწოლის შედეგად 1931 წელს „აკადემიური

ასოციაცია", როგორც ანტისაბჭოთა და რეაქციონური მწერალთა გაერთიანება, დაშლილად იქნა გამოცხადებული.



კომუნისტური ხელისუფლება ფხიზლად ადევნებდა თვალყურს კ. გამსახურდიას და პ. ინგოროყვას შემოქმედებით და ცხოვრებისეულ პერიპეტიებს და შესაფერის მომენტს უცდიდა მათ დასასჯელად. მწერლებს იმ დროისათვის ისედაც საკმაოდ უხეში გამოსვლები ჰქონდათ არსებული პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ მწერალთა კავშირში სტუმრად

მოწვეულ ფ. მახარაძესთან კ. გამსახურდიას დაპირისპირებამ ხელისუფლებას მოთმინების ფიალა აუვსო და მწერალი დააპატიმრეს. მოგვიანებით ის როგორც საშიში დამნაშავე მოსკოვში გადააგზავნეს.

პ. ინგოროყვამ რეალურად იგრძნო საფრთხე მეგობრის დაკარგვისა. მან არ იცოდა კ. გამსახურდია მოსკოვში ჰყავდათ თუ მისთვის საკონცენტრაციო ბანაკში მიეჩინათ ადგილი. იქნებ სულაც დასახვრეტთა სიაში ეწერა. მეგობარს თბილისში გულმა აღარ მოუთმინა და ალ. აბაშელთან ერთად მოსკოვს მიაშურა. თუმცა მოსკოვში გამგზავრებამდე არც თბილისში დაუკლია მზრუნველი ხელი მეგობრის დასახსნელად. მათ თითქმის ყველა სახელისუფლებო ინსტანცია მოიარეს, სადაც გადაჭრით მოითხოვდნენ კ. გამსახურდიას განთავისუფლებას. მწერალი იგონებს გარდასულ დღეებს: „როგორც გავიგე ტფილისელ ჩემს ამხანაგებს ნამეტნავად შეუწუხებიათ იქაური ხელისუფლება. ერთ დიდკაცს ასე უთქვამს თურმე: „ან აბაშელი, ან ინგოროყვა გავასახლოთ საქართველოდან, ან ის ოხერი გამსახურდია აქ ჩამოვათრიოთ.“[45]

პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა იმდენი მოახერხეს, რომ მოსკოვში ამიერკავკასიის წარმომადგენელთან შეაღწიეს და მისი შუამდგომლობის მეოხებით გ.ე.პ.უ-ს პროკურორმა ბუტირკის ციხეში მწერლის ნახვის ნებართვა გასცა. თუმცა იქ მისულ მწერლებს ადმინისტრაციის უფროსმა განუცხადა კ. გამსახურდია „ჩეკას“ მსჯავრდებული რომ იყო და მის სანახავად გ.ე.პ.უ.-ს მმართველობის ხელმოწერაც იყო საჭირო. პ. ინგოროყვა ძლიერ შეწუხდა იმის გამო, რომ მეგობრის ნახვა ვერ შესძლო, თუმცა იხტიბარს არ იტეხდა და ყველა გზას ეძებდა მის დასახსნელად. პავლე ცოლსაც ატყობინებს თავის გეგმებსა და ზრახვებს: „რაც შეეხება საერთოდ კოწიას საქმეს, ამის შესახებ ვზრუნავ დღიდან ჩამოსვლისა და მივიღებ ყველა ზომებს, რაც კი ჩემგან იქნება დამოკიდებული და ხელმისაწვდომი. თუმცა როგორც ვწერდი

იმედი ცოტა მაქვს. ყველა, ვისაც დღემდე ველაპარაკე, მარწმუნებს, რომ კოწიას საქმე ტფილისის გარეშე არსად არ იქნება გადასინჯული. ასეთი ყოფილა საერთო წესი პოლიტიკურ პატიმართათვის".[46]

პ. ინგოროყვამ ვერ მოახერხა მეგობრის ნახვა, თუმცა სულის სიმხნევისათვის ბარათი შეუგზავნა საკანში. კ. გამსახურდია ასე იხსენებს: „პავლე მწერდა: — „არ შეგეშინდეს. მე დღეს ვინახულე ორჯონიკიძე, ენუქიძე და კალინინი. დახვრეტამდის არ მივაო საქმე. ვასტერმა მთხოვა და მე ეს ბარათი გადავყლაპე. ბოლოს ლატიშმა დერეფნიდან მაჩვენა ქუჩაში მოსიარულე შავწოხიანი კაცის ლანდი, მე მივხვდი თუ ვინ იყო იგი."[47]

რამდენიმე დღის შემდეგ პ. ინგოროყვამ მეგობარს პირსახოცი შეუგზავნა საკანში, სადაც მისი მეუღლის მიერ ამოქარგული სიტყვები „დილა მშვიდობისა" ეწერა. ამ მცირე თანადგომამ სულიერი სიმხნევე შთაუნერგა მწერალს, რასაც დიდი ხნის შემდეგაც არ ივიწყებდა:

— „ყოველ დილით, როცა გავიღვიძებდი, თითქოს მთელი ჩემი ერი მესალმებოდაო!"[48]

გადასახლებამ ვერ გატეხა კ. გამსახურდიას ნებისყოფა, ვერ დააცხრო მისი პოლიტიკური ვნებანი. მან, პ. ინგოროყვამ, თ. სახოკიამ და სამეგრელოდან გამოსულმა სხვა პატრიოტებმა იმთავითვე აუღეს ალღო ისაკ ჟვანიასა და მისი ამფსონების დამღუპველ საქმიანობას და სასტიკად გაილაშქრეს მაფალუსტების წინააღმდეგ. მათ ერთ-ერთ მიტინგზე დაგმეს და გაამასხარავეს „ყაზახი"ში გაზეთის" რედაქტორი და სულისჩამდგმელი ი. ჟვანია, რასაც შედეგად ამ პარტიული ფუნქციონერის ზუგდიდის რაიკომის მდივნობიდან გადაყენება და მისი თაოსნობით გამოცემული „ყაზახიში გაზეთის" დახურვა მოჰყვა. თუმცა რადიკალურად განწყობილი მწერლები მარტო კულტურული რეფორმებით არ იფარგლებოდნენ და პოლიტიკურ ასპარეზზეც ნაციონალურ ხაზს

ინარჩუნებდნენ, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა ხელისუფლებისათვის.

სახელმწიფო მოხელეების ზეწოლითა და მოთხოვნით გადაწყდა მწერალთა ორგანიზაციაში დიდი წმენდის ჩატარება. შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ურჩი მწერლების რეაქციული და იდეოლოგიურად გაუმართავი შემოქმედება. 1931 წლის მაისში მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმმა ამ კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხა პ. ინგოროყვა და კ. გამსახურდია. პ. ინგოროყვას შემდეგი ბრალდება წაუყენეს:

— „პავლე ინგოროყვა გამორიცხულ იქნა, როგორც აშკარა რეაქციონური მწერალი, რომელმაც ჯერ კიდევ ანტისაბჭოთა ჟურნალის „კავკასიონის“ რედაქტორობის დროს ნათლად გამოამჟღავნა თავისი თავის რეაქციონური საქმიანობა ჟურნალის მოლიანი ტენდენციის ჩამოყალიბებისას. ამავე რეაქციონური ხაზით ის საქმიანობდა აკადემიურ მწერალთა კავშირში და იგივე გამოაშკარავა მწერალთა ყრილობებსა და კრებებზე გამოსვლითაც. მისი მტკიცებაა: „ქართული ენა იჩაგრება“. „ქართული კულტურა კვდება“ და „საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართულ ეროვნულ შემოქმედებას გასაქანი არა აქვს.“

ინგოროყვა თავის თეორიებით და პრაქტიკული მუშაობით ქართული მწერლობის რეაქციონურ ნაწილს ორგანიზატორობდა. ასევე ხელმძღვანელობდა რეაქციონური „ქართული წიგნის“ გამომცემლობას, რომელიც წარმოადგენდა მისი ხელმძღვანელობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განზრახულ მწერალთა თავშესაფარს.“[49]

ანალოგიურ ბრალდებებს შეიცავდა მწერალთა ორგანიზაციიდან კ. გამსახურდიას გარიცხვის დადგენილება. პ. ინგოროყვას მსგავსად ისიც მწერალთა რიგებიდან გაირიცხა, როგორც პოლიტიკურად მიუღებელი მწერალი:

„კონსტანტინე გამსახურდია ცნობილია, როგორც რეაქციონერი და ანტისაბჭოთა მწერალი, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იბრძვის მხატვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალიზმის, თავადაზნაურული იდეოლოგიის, შოვინიზმის და „შავი ჩოხის“ ტრადიციის დასაცავად. თავის გამოსვლებით მან არაერთხელ საბჭოთა საზოგადოებისათვის ზიზღი და სიძულვილი დაიმსახურა. ხსენებული გამოუსწორებელი რეაქციონერი მწერალი თანადროულობისათვის პოლიტიკურად მავნე მხატვრულ ნაშრომებს აქვეყნებს და თავის პოლიტიკური მავნებლობით ამაყობს მწერლობაში და საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე.“[50]

მიუხედავად ხელისუფლების უზნეო ქმედებისა ისინი როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანები სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდნენ და ბოლშევიკურ უსამართლობას ეროვნული იდეალების დაცვით უპირისპირდებოდნენ. პ. ინგოროყვამ უმაღლესი შეფასება მისცა კ. გამსახურდიას დიდი ლიტერატურული გემოვნებით დაწერილ რომანს „დიდოსტატის მარჯვენას.“ თუმცა მეცნიერს თავისი მოსაზრება ჰქონდა სვეტიცხოველის ბარელიეფზე გამოსახულ მარჯვენაზე და თავად ხალხური ლექსის ინტერპრეტაციაზე. მისი მტკიცებით სვეტიცხოველზე გამოსახული ხელი არამც და არამც არ ნიშნავდა ხელოვანის მოწამეობრივ აღსასრულს მის მიერ „ცუდად“ აგებული ტაძრის გამო. არამედ ეს იყო სუროთმოძღვარის ტვიფარი „მე ავაშენე.“ და არ მოკვეთილი მარჯვენა არსაკიძესი, როგორც ეს ასახულია რომანში. პ. ინგოროყვამ მოურიდებლად უთხრა ამის შესახებ მეგობარს:

— „ეპიგრაფად რომ ხალხური ლექსი მოგაქვს „ხეკორძულას წყალი მისვამს“ სხვა პიროვნებას უნდა გულისხმობდეს და არა არსაკიძეს, „მცხეთა ისე ამიგია“ ქალაქის ზღუდე-გალავანი ან ციხესიმაგრე იქნება და არა სვეტიცხოველი. მითუმეტეს რომ ამ სტრიქონსა „დამიჭირეს მკლავი

მომჭრეს“ და მკლავისა და გონიოს გამოსახულებას შორის ყოვლად შეუძლებელია რაიმე კავშირი არსებობდესო.“[51]

კ. გამსახურდიამაც კარგად უწყოდა, რომ იდეა რაც საფუძვლად უდევს რომანს მაგ ლეგენდის მიხედვით არ გამოიხატებოდა. მისი სურვილი იყო მართალი სიტყვა ეთქვა განწირული ხელოვანის ბედზე ტირანულ სახელმწიფოში. ლეგენდას რომ მიჰყოლოდა მხოლოდ გიორგი მეფის ხოტბა შერჩებოდა ხელში. მწერლის აზრით შემოქმედებითი პროცესი რთული და მრავალწახნაგოვანია და ჭირს იმის განსაზღვრა, თუ როგორ ვლინდება მასში ცხოვრებისეული გამოცდილება. ის აღნიშნავს ერთგან: „მოკვეთილი მარჯვენა არსაკიძისი იყო მხოლოდ ბიძგი. ყველა დანარჩენი მშობლიური ქვეყნისადმი სიყვარულის გამოვლინებაა, მისი აწმყოს და წარსულის ცოდნის დაუშრეტელი წყურვილი.“[52]

პ. ინგოროყვა უხალისოდ შეეგება კ. გამსახურდიას „ბელადის“ პირველი ნაწილის გამოსვლას. იცოდა, რომ კ. გამსახურდიას გარკვეული ლიტერატურული ხარკის გადახდა უწევდა საკუთარი შემოქმედებისა და სიცოცხლის გადარჩენის მიზნით უკანდახევა/ მცირეოდენი დათმობა სულაც არ ნიშნავდა დამარცხებას. არსებული რეჟიმი წალეკვით ემუქრებოდა ყოველივე ამაღლებულსა და სულიერად ფასეულს, ამიტომაც მწერლების მხრიდანაც საჭირო იყო ლავირება და მოჩვენებითი ერთგულების გამოვლინება. კონსტანტინეს ხშირად დაუჩივლია პავლესთან, რომ ეს სოფელი ვერ გაძლა მისი სისხლით, ხშირად თავისა გაწამებული ხვედრიც დაუწყევლია, თუმც თავისი სამშობლოს უკეთესი მერმისის რწმენა არასოდეს დაუკარგავს, რაც მის შემოქმედებით სტიმულზე აისახებოდა გარკვეულწილად.

პ. ინგოროყვამ თავის მოვალეობად მიიჩნია „ბელადის“ ირგვლივ გამართული დესპუტში მონაწილეობა მიეღო ამით თანადგომა აღმოეჩინა მეგობრისათვის. ლიტერატურულ კამათში ჩართულმა მეცნიერმა მართებულად ჩათვალა ის ფაქ-

ტი, რომ სტალინის სიჭაბუკის წლები, მისი ფორმირება რომანში მოცემული იყო ქართული კულტურის განდიდების ფონზე. პ. ინგოროყვას მითითებით მთელი მსოფლიოს გასაგონად უნდა გაცხადებულიყო, რომ სტალინი ღვიძლი შვილი იყო ისეთი უმდიდრესი კულტურის მქონე ერისა, როგორიც საქართველოა.

1957 წელს დაიბეჭდა და გამოიცა პ. ინგოროყვას დიდი შრომა „გიორგი მერჩულე", რომელშიც გაშუქებულია მრავალი საკვანძო საკითხი ქართული მწერლობისა და პოლიტიკური ისტორიისა. ნაშრომმა გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა კ. გამსახურდიაზე. მისი აზრით ამ წიგნმა მრავალ ისეთ დაბურდულ საკითხს მოჰფინა ნათელი, რომელსაც განზრახ აბნელებდნენ ზოგ-ზოგი კოსმოპოლიტი ისტორიკოსები. მწერალი აღტაცებული იყო წიგნის სიდიდით.

— „ამჟამად შენს „მერჩულეს" ვკითხულობ. მოგეცეს ლხენა, მსიამოვნებს, ფრიად და ფრიად. ასე ვიყვეთ მე და შენ „შოვინისტები", ილიას საქმის გამრთულებელნიც, ამ „შეურაცხყოფასაც" გავუძლებთ როგორმე. აბა შენ იცი ვეფხვო, უჩემობა არ შეიმჩნიო, შენი მტრისა ვარ ლახვარი."[53]

მწერალს უზომოდ ახარებდა პ. ინგოროყვას შემოქმედებითი წარმატებები, განსაკუთრებით მოსწონდა მეცნიერის შთაგონებული ჰიპოთეზებით გამთბარი — „რუსთველიანა": ამასთან ერთად არ მალავდა თავის აღშფოთებას იმის გამოც, რომ შ. რუსთაველის სახ. ინსტიტუტი მეცნიერის მიმართ შესაფერის ყურადღებას არ ამჟღავნებდა: „ამ სამიოდე წლის წინათ მე განვაცხადე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ტრიბუნიდან და ახლაც ვიმეორებ: რუსთაველისა და მისი ეპოქის ასეთი გულმოდგინე მკვლევარი რუსთაველის სახ. ინსტიტუტში იგნორირებული იყოს, ეს სასირცხვილოა-მეთქი და აქაც ვიმეორებ."[54]

ანალოგიურ სირცხვილად მიაჩნდა მწერალს ის ფაქტიც, რომ პ. ინგოროყვა არ იყო საქართველოს მეცნიერება-

თა აკადემიის წევრი. მან მიზნად დაისახა პ. ინგოროყვას ხანგრძლივი მუშაობის, მისი მრავალი ტომის ჯეროვანი შეფასება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ნამდვილ წევრად არჩევით გამოხატულიყო. მწერალი ჩვეული ძალისხმევით და ენერგიით ჩაუდგა სათავეში ამ საქმეს. 1955 წლის 9 ივნისს ოთხმა აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ, კ. გამსახურდიამ, გ. ტაბიძემ, და ი. გრიშაშვილმა მწერალთა კავშირს წარუდგინეს წერილი პ. ინგოროყვას სამეცნიერო მოღვაწეობის მისი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად წარდგენასთან დაკავშირებით. მწერალი თავად გამოვიდა სიტყვით მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე, სადაც ხაზი გაუსვა პ. ინგოროყვას განსაცვიფრებელ ნიჭს და ერუდიციას, მასთან გატარებული 40 წლის შეუბღალავ მეგობრობას:

„მწერალთა ახალი თაობების საგულისხმოდ მე მინდა ხაზი გაუსვა პ. ინგოროყვას არა მარტო განსაკუთრებული შრომის უნარს და მის დიდ ნიჭს, მის ადამიანურ ღირსებებსაც... დიდი მორალური სიფაქიზით ცნობილია იგი ჩვენს მწერლურ ოჯახში, მეგობრობაში უებრო რაინდი, გაჭირვების ჟამს ერთგული... არც თუ ისე სახარბიელო პირობებში პ. ინგოროყვამ თავისი გმირული შრომით გადალახა ყოველივე დაბრკოლება და შექმნა მზღვარის დამდები გამოკვლევანი ქართული მწერლობის ისტორიის მრავალ საკვანძო საკითხებისათვის მიძღვნილი.“[55]

კ. გამსახურდიამ სიღრმისეული ანალიზი გაუკეთა პ. ინგოროყვას ფასდაუდებელ გამკვლევებს როგორც ძველ ქართულ მწერლობაში, ისე XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. ქართულ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა მეცნიერის მიერ გულის სისხლად შექმნილი შედევრები, რომლებითაც ყოველთვის იამაყებდა ქართველი ხალხი.

კ. გამსახურდია აკადემიაშიც ხშირად დადიოდა, რათა იქაურ მუშაკებს შორისაც გაეჩინა თანამდგომნი ამ საქმეში,

ზოგჯერ შეახსენებდა ღვაწლმოსილ თანამშრომლებს – „მწერლებს ასე და ასე გვაქვს გადაწყვეტილი და ეჭვიც არ მეპარება, წინააღმდეგნი არც თქვენ იქნებითო?" –

– რას ბრძანებთ, თქვენს მომხრედ გვიგულეთო.[56]



აიმედებდნენ მწერალს, რომელსაც გულის სიღრმეში მაინც ჰქონდა გარკვეული ეჭვები, რაც მოგვიანებით გამართლდა კიდეც. „გიორგი მერჩულეზე" ნამდვილი ჯვაროსნული ლაშქრობა მოაწყვეს აფხაზებმა, რომლებიც საჯაროდ უარყოფდნენ მეცნიერის კონცეფციას იმის შესახებ, რომ აფხაზეთის მხარე უძველესი დროიდან ქართული სამყაროს შემადგენელი ნაწილი ყოფილიყო. აფხაზი მეცნიერები შთააგონებდნენ თავიანთ მოსახლეობას, რომ მერვე საუკუნის მეორე ნახევარში ლეონიდების დინასტიის მიერ შექმნილი სახელმწიფო თავისი ეთნიური და სახელმწიფოებრივი ტრადიციებით აფხაზური იყო და რომ მას არავითარი ურთიერთობა არ გააჩნდა ქართულ სამყაროსთან. ამიტომაც აფხაზური საზოგადოებისათვის შოკისმომგვრელი გამოდგა პ. ინგოროყვას მოსაზრება, რომლის მიხედვით აფხაზები ქართული მოდგმის ხალხი არიან და ეს სახელი მოგვიანებით დაერქვა ჩრდილო კავკასიიდან თანდათანობით ჩამოსახლებულ ჩერქეზული წარმოშობის ხალხს, ვინც ახლა მკვიდრ მოსახლეობად ითვლებაო.

საქართველოს ცენტრალური კომიტეტი სიტუაციის გამწვავებას მოერიდა და პ. ინგოროყვას კანდიდატურა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში არჩევასთან დაკავშირებით დაბლოკა. კ. გამსახურდიას ეჭვები და შიში გამართლდა,

თუმცა მეგობრები ამ მცირეოდენი მარცხის გამო საგონებელს როდი მიეცნენ. ისინი კვლავაც ჩვეული ენერგიითა და რუდუნებით განაგრძობდნენ ბრძოლას კომუნისტური რეჟიმის მიერ დამკვიდრებულ მონური ფსიქოლოგიის წინააღმდეგ. კ. გამსახურდია სულიერი მხნეობისკენ მოუწოდებს პავლეს:

— „შენ მუდამ შეუპოვარი ვაჟკაცი იყავი, სიკვდილისა სიცოცხლით დამთრგუნველი. სანამდის მე ცოცხალი ვარ, გეყოლები, როგორც შეუმუსვრელი კლდე.“[57]

ხელისუფლებისაგან იგნორირებული მეცნიერი ქართულ საზოგადოებაში იმდენად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ ი. გრიშაშვილმა ქართული სულიერი კულტურის დაცემა სწორედ მას და ივ. ჯავახიშვილს შესჩივლა:

„აი, სად ყრია ჩვენი დადება!
ლამის სირცხვილით ამეწვას ლოყა!
აი, ქართლის ხმა სად იყიდება,
ჯავახიშვილო და ინგოროყვა!“

„გენიოსების ბედი ტფილისის ბაზარზე.“

ვ. გაფრინდაშვილმა კი მისი მოწამეობრივი ცხოვრება ასეთი პოეტური სტრიქონებით ამოქარგა:

„შენ ჯოჯოხეთი მთლად გაიარე
ხარ დაფერფლილი ცეცხლის ნაცარი
შენ გაფითრებულ სახეს ატარებ
როგორც ახალი ელიაზარი.“

კ. გამსახურდიამ და პ. ინგოროყვამ ღირსეულად ზიდეს თავიანთი წილი ჯვარი გოლგოთისაკენ მიმავალ საუკუნის აღმართზე. ისინი როგორც მარადიული საქართველოს ჭირისუფალნი და ეროვნული მოძრაობის თავკაცნი რაინდუ-

ლი შემართებით იცავდნენ ქვეყნის სახელმწიფოებრივ პრესტიჟს, მის სულიერებას და ეროვნულ იდეალებს. ღვთის მადლით შემოსილებმა სპეტაკად შეინარჩუნეს თავიანთი შინაგანი სიმართლე და მოყვასისადმი თავის დადების დიადი გრძნობის მისტერია. კ. გამსახურდიას მადლიერებით აღსავსე სიტყვები სულიერი ძმისადმი თქმული ამ ღვთაებრივი შეგრძნების უტყუარი ღაღადისია:

— მეგობრებო მე რომ დღეს თქვენთან ვარ ეს მხოლოდ და მხოლოდ პავლეს ღვაწლია. თუ არა პავლე, მე დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი. მთელი ჩემი ცხოვრება ფუთი ქვებით დატვირთულმა რომ ვიარო, მე პავლეს ამაგს ვერ გადავიხდი.“[58]

§1 სამშობლოდან მოგვრილი ზედაშე

მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის პარნას ღირსეულად აშ'შვენებს გრ. რობაქიძისა და კ. გამსახურდიას სახელები. მათ თავიანთი პირველქმნილი სხივოსნებითა და რაინდული გაქანებით განუმეორებელი ხიბლი შემატეს ათასხუთასწლოვან ქართულ მწერლობის მატიანეს. ქართული სიტყვის ერთგული მსახურნი უჩვეულო ძალისხმევითა და ენერგიით ეწეოდნენ ქართული პოეზიიის განახლებისა და ევროპული რადიუსით გამართვის ჭაპანს. ამ ფრიად საშური მისიის ტრიუმფალურ გზაზე ისინი უკომპრომისოდ იცავდნენ თავიანთ პოზიციებსა და შეხედულებებს. მძაფრად აკრიტიკებდნენ ერთმანეთს და საკუთარ მოსაზრებებს პრესის საშუალებით აცნობდნენ ქართულ საზოგადოებას.

პირველი ლიტერატურული დუელი სახელოვან მწერლებს შორის მაშინ გაიმართა, როცა ახალგაზრდა კ. გამსახურდიას ამბიციურ იდეალებს გრ. რობაქიძის ესთეტიური და დახვეწილი ცნობიერება დაუპირისპირდა. საკუთარი მიდგომა ჰქონდა კ. გამსახურდიას პოეტის დანიშნულებისა და რაობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ,,მგოსანი მშვიდათ აუმღვრევლად ჭვრეტს ამ საერთო ქოთქოთს ვნებათა, ოჯახების, სარწმუნოებათა და სახელმწიფოთა რღვევას, შენების პროცესს და ნათლად სჭვრეტს შეუცნობელის ჯერაც შეუცნობ ამოცანას, რომელსაც ხშირად მხოლოდ ერთი სიტყვა აკლია ნათელყოფამდის.“[1] მწერალს ილიას დარად მიაჩნია, რომ პოეტი ტკბილხმოვანი მომღერალიცაა და დაღვრემილი წინასწარმეტყველიც. ერთსა და იმავე დროს მეგობარი ღმერთების და ადამიანების.

გრ. რობაქიძე ჟურნალის მომდევნო ნომერში მსუბუქად აქილიკებს ახალგაზრდა მწერლების ნოვატორულ შემოქმედებით ნაბიჯებს, თუმცა ისე რომ მათი ყვავილოვანი სიყმაწვილე არ დათრთვილოს: ,,წავიკითხე ორი პირველი რვეული

„„ოქროს ვერძისა“! მართალი გითხრათ საკვირველი ჯერჯერობით იქ არ არის რა და არც მგონია ასეთი ვერძისათვის იაზონმა მოაცუროს თავისი გემი კოლხეთის ნაპირს, მაგრამ მასში არის ისეთი, რაღაც ხელუხლებელი, გამოუთქმელი, რომელიც სიამოვნებას ჰგვრის ხელოვნების მოყვარულს. ეს არის ყვავილოვანი სიყმაწვილე, რომელიც ლაღად ნაკვეთ შუბლზე ჯერ კიდევ არ გაურბენია ჭკნობის ფიქრთა ფრთას.“[2]

მწერლის აზრით ჭეშმარიტი მგოსანი ღვთიური ცეცხლის ალით უნდა იწვოდეს, მის სულში ერთ ცოცხალ არსად უნდა ფეთქდეს. მართალია, „ჩვენს განცდებში საქართველო როგორც მთელი არ არსებობს, მაგრამ ჩვენს ოცნებაში ხომ არსებობს მისი სრული სახე? და ტანჯვაა საჭირო, ღრმა ტანჯვა, რომ ოცნების ჩონჩხმა ჩვენს წარმოდგენაში ხელშესახები სხეული შეისხას.“[3]

მოგვიანებით გრ. რობაქიძემ მძაფრი კრიტიკის დარჯაში გაატარა კ. გამსახურდიას ის ლექსები, რომელიც მან ჟურნალ „პრომეთეში“ გამოაქვეყნა. მისი განცხადებით საქართველოში სონეტების წერა ქართველ პოეტებს არ შეუძლიათ და ის უნიჭო და მახინჯი ფორმა სონეტებისა, რომელიც ჟურნალ „პრომეთეში“ დაიბეჭდა პოეზიის დაცემის ნიშანიაო.

კ. გამსახურდიას ლექსებს ქომაგად ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატორი კ. აბაშიძე მოევლინა, რომელმაც ობიექტური შეფასება მისცა ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილ ლექსების ავკარგიანობას. „ჩვენ დიდი თაყვანისმცემელი არ გახლავართ ჟურნალ „პრომეთეში“ მოთავსებული სონეტებისა, მაგრამ ეს კი გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კ. გამსახურდიას სონეტები გაცილებით მაღლა სდგას, როგორც შინაარსის, ისე გარეგნული ფორმის სონეტის ზომის დაცვის მხრივ იმ ლექსებსა და სონეტებთან შედარებით, რომელნიც „ცისფერ ყანწებში“ იბეჭდებოდა.“[4]

გრ. რობაქიძის შეფასებას კ. გამსახურდიას მხრიდან მძაფრი რეაქცია და გაღიზიანება მოჰყვა. ის არ ჩამორჩა თავის უფროს კოლეგას და მის ლექსებში ფრანგული მოდერნიზმისათვის დამახასიათებელი იდეების სიჭარბე ლიტერატურულ შაბლონად და ჩამორჩენად მიიჩნია. მისი აზრით საფრანგეთის ჭლექიანი ბოჰემის პოეტური ჰანგების წარსულ სიმებზე მირგებას იდეურ ჩიხამდის მიჰყავდა ქართული პოეზია.

მათი ლიტერატურული პოლემიკა ხშირად პოლიტიკურ ასპექტში გადადიოდა. 1918 წელს უნდა გამართულიყო საქართველოს მწერალთა კონფერენცია, რომლის საპატიო თავმჯდომარედ ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის ინიციატივით ბალმონტი უნდა აერჩიათ. გრ. რობაქიძე ამაში სათაკილოს ვერაფერს ხედავდა. პირიქით, ასეთი რეველანსები კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს ქართულ-რუსული შემოქმედებითი კავშირების ურთიერთგაღმავებას.

კ. გამსახურდიასათვის მიუღებელია ქართველ მწერალთა პირველ კონფერენციაზე ბალმონტის მოწვევა საპატიო თაყმჯდომარედ, ვინაიდან საქართველო ჯერაც საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა რუსეთთან. მწერალი დაუფარავად აჟღავნებდა თავის გულისტკივილს: „ახლა იწყება საქართველოს სულიერი და პოლიტიკური სეპარაცია და ასეთ დროს, უხერხულია რუსის მწერლისათვის ოვაციების გამართვა, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ საომარ განწყობილებაში ვიმყოფებით რუსეთთან-მეთქი, მეორე მხრივ მე შეუფერებლად მიმაჩნდა მწერლისათვის ერთგვარი სულიერი ლაქიობა.“[5]

კ. გამსახურდიამ „ცისფერყანწელებსა“ და მათ სულიერ წინამძღოლს გრ. რობაქიძეს პროვინციელი რუსი უწოდა, ვინაიდან ამ უნიათო ქმედებაში რუსული საზოგადოებისადმი მათი მონური ქედმოხრილობა შეამჩნია. მწერალი იმასაც დასძენდა, რომ ჯერ აქ რუსები არ არიან, თუმცა როგორც კი გამოჩნდებიან უმალ ოვაციებით შეეგებებითო. მწერლისავე

ბურის“ თეორია მარტო თბილისს ეხებოდა, რომელმაც მოქალაქის ტიპის ნამდვილი ეთნიური სიჭრელე მოგვცა, სადაც უმთავრესად გამოიყოფოდა ქართული, სომხური, აზერბაიჯანულ-სპარსული ხაზები. მართალია ამ ტიპმა შექმნა თავისებური თეატრი და თავისებური ლიტერატურა, თუმცა ეს ერთი ხაზია თბილისის. მწერლის მითითებით, როგორც ეს ტიპი არ არის წმინდა ქართული რასის, ისე მისი ლიტერატურულაც არ არის წმინდა ქართული სტილის, მაგრამ ამაში ანტიპატრიოტულს ვერაფერს ვერ ხედავს. მთავარია ამ ეთნიურ სტილზე მოლაპარაკე პოეტებმა საკუთარი წერის მანერა და სტილი დაწმინდონ და დაიხვეწონ.

კიდევ უფრო მეტი აურზაური და გაუგებრობა გამოიწვია გრ. რობაქიძის განცხადებამ შ. რუსთაველის შესახებ, რომელიც მან წარმოთქვა სომეხ მწერლებთან შეხვედრაზე: „რუსთაველი გენიოსია და გენიალური დარჩება მაშინაც კი თუ დამტკიცდება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თარგმანია, თუმცა ამის დამტკიცება შეუძლებელია“[8]. კ. გამსახურდიამ კოლეგის ეს სიტყვები ქართველი ხალხის შეურაცხყოფად და დიდ პოეტთან პატარა კაცის გატოლებად მიიჩნია. დღეს როცა ქართველობაზე ყოველი მხრიდან მიაქვთ იერიში სომხის დაშნაკებს და რუსის თებერვლის კონტრევოლუციონერებს ასეთ დროს ქართველი მწერალი სხვისი პოლიტიკის ბრმა იარაღი არ უნდა გახდეს: „რაც შეეხება გრ. რობაქიძე -რუსთაველის „დუელს“ ეს ქონდრის კაცის ბუნებრივი ლტოლვაა გენიოსთან ბრძოლისა. რაღაც ფატალური დამოკიდებულება და შუღლი არსებობს „პატარა კაცსა და გენიოსს შორის ეს ჩვენი ზღაპრების ნაცარქექიას რაინდობაა, რომელიც მდევებს შეებმოდა ხოლმე“[9]

ანალოგიური შეფასება მისცა გრ. რობაქიძის ამბიციურ გამოსვლას ვ. კოტეტიშვილმა. მისი აზრით უაზრობის უფსკრულში გადაჩეხილი მწერალი სომეხ მწერლებთან შეხვედრისას თავს არ უნდა იწონებდეს იმით, რომ თითქოსდა მისი

მეთაურობით „ცისფერყანწელებმა“ დაამარცხეს რუსთაველი და ქართული პოეზიის გამოცხადებაც მათგან დაწყებულა. მისთვის სრულიად მიუღებელია გრ. რობაქიძის მიერ ქართველი საზოგადოებისათვის ხელთათმანის გადაგდება და მისი დუელში გამოწვევა, თუნდაც ეს ლიტერატურული რეფრენი იყოს.

ტ. ტაბიძის აზრით გრ. რობაქიძემ დაამტკიცა, რომ რუსთაველის შემდეგ მონღოლებისა და სხვა დამპყრობლების პერმანენტული ინვაზიების შედეგად ქართული ენა გადაგვარდა და ეს დეკადანსი გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე ქართული ლექსი და სიტყვა „ცისფერყანწელებს“ არ ჩაუვარდათ ხელში. მათ კი სასწაული მოახდინეს და ქართული ლექსი ევროპული რადიუსით გამართეს, ფორმისა და იდეის პრიმატი ახლებურად აღადგინეს.


დაგროვილი ეჭვების გასაფანტავად გრ. რობაქიძეს განმარტების გაკეთება დასჭირდა, სადაც აღნიშნა რომ რუსთაველის შესახებ სხვა არაფერი არ უთქვამს გარდა იმისა, რომ მან ქართულ სიტყვას საოცარი სისრულე და გამოთქმის ენერგია მისცა. მისივე ღრმა რწმენით რუსთაველმა ღირსეულად გადალახა საუკუნეები და მეფურად მოადგა მეოცე საუკუნის კარიბჭეს: „მეოცე საუკუნეში ახალმა პოეზიამ იწყო სიტყვის გადახალისება. სიტყვის ენერგიამ იპოვა სხვაგვარი სიმართლე. გამოთქმის ძალამ მონახა თავისებური რიტმი. რუსთაველს ამ მხრით მოქიშპენიც ჰყავს.“[10] მწერლის მინიშნებით აქ არ არის საუბარი არც რუსთაველის დაცინვაზე და არც დამარცხებაზე. ის რაზედაც პოეტი საუბრობს ჩვეულებრივი მოვლენაა ლიტერატურაში და მას ვერც ერთი გენიოსი ვერ გადაურჩება.

კ. გამსახურდიასა და გრ. რობაქიძეს შორის დაწყებული ლიტერატურული კამათი ხშირად პოლიტიკურ დებატებში გადადიოდა. განსაკუთრებით ეს პოლიტიკური დაპირისპირება მას შემდეგ გამწვავდა, როცა რობაქიძემ მიიჩნია, რომ

აღნიშვნით მისი ვარაუდები გამართლდა. 3 წლის შემდეგ სუვერენული საქართველოს დამხობის კვირაძალს ეს აპოლიტიკოსი მწერლები და პოეტები წითელ რუსეთთან დაძმობილებას მღეროდნენ და თბილისის რუსეთის აღმოსავლეთის პოლიტიკის შტაბად გადაქცევას ესწრაფვოდნენ.

კ. გამსახურდიას აზრით ის ვინც ქართულ საქმეს არ აკეთებს იმას ვერ დააფასებეს ჯეროვნად ქართველი ხალხი. ღირსეული და ფასეული მხოლოდ ქართულ ენაზე შეიძლება შეიქმნას, ქართულ მიწაზე და ქართული ცის ქვეშ. სწორედ ეს ქართული თვალსაზრისი უნდა დაედოს საფუძვლად ჭეშმარიტ ქართულ ცნობიერებას. მწერალი ერთგან აცხადებს „ჩვენ გვაქვს ჩვენი გეზი, ჩვენი მწერლობა, ჩვენი კულტურულ-პოლიტიკა და ყველას იმდენად დავაფასებთ, რამდენადაც ისინი ჩვენ ანგარიშს გაგვიწევენ და სარგებლობას მოგვიტანენ.“[6]

სწორედ ეროვნული საკითხის გამო გაილაშქრა მწერალმა გრ. რობაქიძის ხელმძღვანელობით მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოსული მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორის მჭედლიშვილის ინიციატივის წინააღმდეგ, რომელიც ქართული სტუდიის დაარსებას მოსკოვში აპირებდა და ამ საქმის მოსაგვარებლად თანამოაზრეებს ქართულ საზოგადოებაშიც ეძებდა.



კ. გამსახურდიას მითითებით მოსკოვიდან საქართველოში მოვლინებული მწერლები საგანგებო, წინასწარგამიზნული ინსტრუქციით მოქმედებდნენ,

რათა აღმავალ ქართულ ცნობიერებას და ეროვნულ თვითშეგნებას შეფერხება განეცადა, ანდა სულაც პოლიტიკური დამბლა დასცემოდა. მწერალმა იმთავითვე აუღო ალღო უცხო კულტურათა აგენტებს და ისინი საქართველოს მტრებადაც შერაცხა. არ მალავს სიხარულს იმასთან დაკავშირებით, რომ რობაქიძის ხელთდასხმით ჩამოსული სტუმრის მოხსენება სკანდალით დასრულდა. აქვე გამოთქვამს რწმენას, რომ შემდგომშიც ყველა რენეგატის ფარისევლური საქმიანობა ქართულ მიწაზე ფიასკოთი დამთავრდება. გრ. რობაქიძემ უმცროს კოლეგას ამგვარი უკომპრომისო და მიუკერძოებელი პოზიციის გამო ,,ლიტერატურული ბარბაროსი" უწოდა.

1921 წელს გრ. რობაქიძემ სომეხ ხელოვანთა სასახლეში წაიკითხა მოხსენება ქართული ლიტერატურის მაგისტრალური ხაზების შესახებ. მწერალი თავადაც აღნიშნავს, რომ მისმა ლექციამ ქართული საზოგადოების ერთ ნაწილში არასასურველი გამოხმაურება ჰპოვა. განსაკუთრებით კ. გამსახურდია არ მალავდა თავის აღშფოთებას იმ ფაქტის გამო, რომ გრ. რობაქიძე სოლოლაკის სომხური ბურჟუაზიის ბანკეტზე დაუფარავად ქადაგებდა აღმოსავლეთ საქართველოსა და თბილისის ეთნიურ ,,სუმბურზე." მწერლის აზრით რობაქიძეს ამ ჟესტით იმ სომხების გულის მოგება ეწადა, ვინც თბილისში უტიფრად ღაღადებდა: ,,სცდებიან ქართველები, რომ ისინი რუსთაველის ძეგლის დადგმას თბილისში აპირებენ და არა შუაგულ საქართველოს სატახტო ქალაქ ქუთაისშიო."[7]

,,ცისფერყანწელთა" სულიერ ხელმძღვანელს ტ. ტაბიძე გამოექომაგა. ის გამსახურდიას ბრალდებას ცილისწამებად მიიჩნევს. თუმცა არც იმას უარყოფს, რომ რობაქიძემ აღიარა თბილისში არსებული სომხურ-აზერბაიჯანული სტილი, რომლითაც სწერენ ი. გრიშაშვილი, მამულოვი, ახნაზაროვი. მაგრამ ამ მწერლებით ხომ არ ამოიწურება საქართველოს დედაქალაქი? გრ. რობაქიძის განმარტებით კი რასიული ,,სუმ-

კ. გამსახურდია მას როგორც კომუნისტურ, ისე ანტიკომუნისტურ საქართველოს წინაშე ასმენდა.

კ. გამსახურდია ხელაღებით უარყოფს ამ ბრალდებას, იმასაც შენიშნავს, რომ დაბეზღება არასოდეს არ ეხერხებოდა და თუ კომუნისტური საქართველო გულცივად მოექცევა რობაქიძესა და მის თანამოაზრეებს, ეს იქნება მკაცრი პასუხი იმ რევერანსებზე, რომელსაც ისინი გულუხვად გასცემდნენ დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მინისტრების წინაშე.

რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომ თითქოსდა კ. გამსახურდია ახლა ჩაწერილიყო „პატრიოტების არმიაში“, მწერალი აღნიშნავს, რომ მას არ ემარჯვება საკუთარ ღვაწლზე და დამსახურებაზე საუბარი, ვინაიდან გასაკეთებელი უფრო მეტი მომავალში ეგულება; „უნდა გაგახსენოთ, რომ მე ქართველი პატრიოტების ლაშქარში ვიყავი მაშინაც, როცა ამისთვის რუსის ჟანდარმერია სდევნიდა ნამდვილ პატრიოტებს. არც ჩემ მონოპოლიად გამიხდია პატრიოტიზმი. მე მოხარული ვიქნებოდი, თუ თქვენ შეიგნებთ, რომ საქართველოს პატრიოტული ლიგის პასიური წევრი მაინც უნდა იყოს ის კაცი, რომელსაც საქართველოში ხელოვნება ხელოვნებისთვის უნდა ვითომდაც. სავალალო ის არის, რომ რობაქიძეები ხელოვნებისათვის კი არ ცხოვრობენ, არამედ ხელოვნებით.“[11]

კ. გამსახურდიას მითითებით გრ. რობაქიძე ქართულ სინამდვილეში სავსებით ვერ ერკვევა და ვერც მსოფლიოს დღევანდელ ვითარებაზე იძლევა სწორ კონტურებს. მწერალი განსაკუთრებით ირონიულად მიმოიხილავს მის კონცეფციას კოსმიური რევოლუციის შესახებ და დასძენს რომ თუ გრ. რობაქიძემ ალღო ვერ აუღო არსებულ სინამდვილეს ეს მას ბოროტი განზრახვით როდი მოსდის, არამედ – უპრინციპობით. ეს არგუმენტი კი საკმარისია იმისათვის, რომ თანამო-

კალმეს ინტელექტუალურ გაორმაგებაში და ქართველების რენეგატობაში დასდოს ბრალი.

კ. გამსახურდია თავის წერილებში აღნიშნავდა, რომ საქართველოს აღორძინება შეიძლება მხოლოდ საქართველოში ქართული ძალებითა და ქართული სულით. მისთვის მიუღებელია ქართული საქმის გაკეთება რუსული ენის მეშვეობით. ამადაც არ წყალობს კ. მარჯანიშვილისა და გრ. რობაქიძის მიერ გამართულ დებატებს ქართული თეატრის პრობლემების გარშემო, რომელსაც ისინი რუსულად უძღვებოდნენ. მწერალს ვერ მოუნელებია რობაქიძის „სემინარიული" რუსული, რომლითაც ის ქართული საზოგადოების წინაშე ლექციებს კითხულობდა, რაც მისი შეგნებით თბილისის დენაციონალიზაციას უწყობდა ხელს. შეიძლება მავანთათვის ეს წვრილმანი ყოფილიყოს, თუმცა სწორედ ასეთ წვრილმანებში იჩენდა თავს სიღრმისეულად ქართული ხასიათი და განწყობა.

გრ. რობაქიძემ კ. მაყაშვილისადმი გაგზავნილ წერილში საჭიროდ მიიჩნია განემარტა, რომ სახელოვანი კომიტეტის სახელით დებატები თეატრზე არ გაუმართავს. მხოლოდ მჭედლიშვილს დაეხმარა მოხსენების გამართვაში ქართველ ხელოვანთა სასახლეში, სადაც საღამო ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. რაც შეეხება მის „სემინარიულ რუსულს" ავტორის მიმოთებით ნებისმიერი რუსი მწერალი, რომელიც იცნობს პირადად პოეტს დაადასტურებდა, რომ მისი რუსული გამორჩეულია და უცხო. მართალია, როგორც არა-რუსს მას აქვს აქცენტი, მაგრამ მისი შთაგონებითი მეტყველების დროს ეს არ შეიმჩნევა. პოეტი დასძენს: „ჩემს გვერდით გამოვიდეს კარგი რუსი მეტყველი და მაშინ დაინახავთ ჩემს ძალას. მე მრავალ ქართველს ვუსურვებ ქართულად ისე ლაპარაკს, როგორც მე რუსულად ვმეტყველებ"[12]

კ. გამსახურდია ხელაღებით უარყოფდა სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელ კულტურულ-პოლიტიკურ შეხედუ-

ლებებს, როგორც ქართული სულისათვის მიუღებელ და შეუფერებელ მოძღვრებას. მისი შეხედულებით სწორედ აქ იკვეთება „ცდა კულტურის ხიდის გადებისა ჩვენსა და საქართველოში შემოხიზნულ რუსულად მოლაპარაკე ელემენტებს შორის.“[13] მწერალი აღიარებდა, რომ ქართული მოდერნიზმის ფუძემდებელი გრ. რობაქიძე იყო, თუმცა იმასაც მიუთითებდა, რომ მწერალმა რუსული ორიენტაცია არჩია და რუსული ფილტრით ცდილობდა ქართული სულის რენესანსის ჩვენებას. მან ვერ მოინელა ნიცშეს, სოლოვიოვის, ბალმონტის, მერეჟკოვსკის იდეები, რამაც ის იდეურ ჩიხამდის მიიყვანა. საჭირო იყო ევროპული ლიტერატურული პრინციპების ქართულ სინამდვილესთან ორგანული შეხამება. კ. გამსახურდიას მითითებით საქმე ის კი არ არის საიდან აიღებს ადამიანი თავის იდეებს, არამედ საქმე ინტელექტუალურ მონელებაშია. მწერალი წერს: „ყოველი ერის ინტელექტუალურად დამწიფებული და დინჯი თაობა ნასესხებ იდეებს თავის ეროვნული ტემპერამენტის მიხედვით გარდაქმნის, გადახარშავს და თავის ადგილობრივ სინამდვილეს მოარგებს.“[14]

გრ. რობაქიძე მტკივნეულად აღიქვამდა კ. გამსახურდიას კრიტიკას და თავის წერილებში აღნიშნავდა, რომ მისი შემოქმედების სათავე რუსული და ევროპული მწერლობა როდი იყო. მართალია, ის აქტიურად ეწეოდა ევროპული კულტურული ფასეულობების პროპაგანდას, თუმცა ამასთან ერთად ცდილობდა უაღრესად თვითმყოფადი და ჭეშმარიტად ნაციონალური ძირები შეენარჩუნებინა ქართული პოეზიის პარნასზე. რაც შეეხება რუსულად ლექციების წაკითხვას პოეტი ამას იმით ხსნის, რომ თბილისში მყოფ უცხო ელემენტებს პროვინციალად არ წარმოუჩნდეს: „შესაძლოა საქართველომ არ მიიღოს რობაქიძე, მაგრამ საქართველოს ისტორია უთუოდ აღნიშნავს, რომ იგი უღელტეხილი იყო (ლექსში, პროზაში, პრობლემების წამოყენებაში) მე შემიძლია ათჯერ „რუსულად“ გამოვიდე, მაგრამ თანვე ასჯერ „ქართუ-

ლად“ გამოვალ. ბოლოს და ბოლოს ეს შეძლების საქმეა, და მისი დახარჯვა ჩემს ნებაშია. ანტიპატრიოტიზმზე ლაპარაკი ჩემს შესახებ ისეთი გაუგებრობაა, რომ არ ვიცი რა სახელით მოვნათლო ჩემდამი ასეთი მოქცევა.“[15]

კ. გამსახურდია ყოველთვის ამაყობდა თავისი გვარის აზნაურული წარმომავლობით. ხშირად იტყოდა ხოლმე: „მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არა სჩვევია.“ და ეს სიტყვები ოდენ ფიგურალური გამოთქმა როდი იყო, არამედ მწერლის ცხოვრებისეული კრედო და წესი, რომლისთვისაც მას არასოდეს ულალატნია. ამიტომაც მწერალი გამძაფრებული ტკივილით აღიქვამდა საკუთარი გვარის გაქილიკებას გრ. რობაქიძესაგან, რომელსაც ერთ შეკრებაზე ირონიულად უთქვამს: „ის გვარი რა გვარია, სიტყვა მსახური სადაც ურევიაო.“ კ. გამსახურდიამ არ შეარჩინა სიტყვა უფროს თანამოკალმეს და გვარის ეტიმოლოგიაზე საკუთარი აზრი დააფიქსირა: „ადამიანის, პიროვნების ან ნაწერის კრიტიკას არც ერთი სერიოზული კაცი გვარის სიმბოლოკიდან არ დაიწყებს. გვარის სიმბოლიკა რომ რამეს ნიშნავდეს, მაშინ შილლერი ბრუციანი ყოფილა, რადგან შილლერ-გერმანულად ბრუციანს ნიშნავს, ან შოპენჰაუერი – ლუდის ჭიქების დამტვრეველს და ვაგნერი – მეურმეს.“[16]

1931 წელს გრ. რობაქიძე ს. ორჯონიკიძის ხელშეწყობით საზღვარგარეთ გაემგზავრა, რათა წინასწარი მოლაპარაკებები გაემართა გერმანიაში რუსთაველის თეატრის გასტროლების შესახებ. სადაც დასს მისი პიესა „ლამარა“ უნდა წარმოედგინა. ამის გამო ლ. ბერია სასტიკად განრისხებულა და შეუთვლია მისთვის: „ჩამობრძანდები ყმაწვილო საქართველოში და ვნახავ, როგორ დაგეხმარებიან მოსკოველი ქართველები.“[17]

მწერალი იძულებული იყო გერმანიში დარჩენილიყო და ამით მოსალოდნელი განსაცდელი თავიდან აეცილებინა. მოგვიანებით ის საბჭოეთის დატოვების მიზეზად იმ იდეოლოგი-

ურ წნეხს ასახელებს, რომლის სიტვირთე სულს უხუთავდა და გასაქანს არ აძლევდა. მას არ ძალუძდა „მარქსის გემით“ აზროვნება, რაც მის შემოქმედებით თავისუფლებას აბშობდა. გრ. რობაქიძეს ჩამოართვეს საბჭოეთის მოქალაქეობა და გადაუკეტეს ყველა გზა ნათესავებთან ურთიერთკავშირისა. მიუხედავად ამისა მწერლამა თავის დას ნინა რობაქიძეს წერილი გამოუგზავნა, სადაც თავის აპოლიტიკურ შეხედულებებზე ესაუბრება: „პოლიტიკაში არ ვერევი და არც ვრეულვარ არასოდეს. მე ვარ მხოლოდ მწერალი და ჩემს შემოქმედებას ვსაზღვრავ არც „მარცხნით“ და არც „მარჯვნით“ მდინარეს მესამე ნაპირიც აქვს, უხილავი და უფრო გულისხმიერი...

ამ ხნის გადმოხვეწილობის განმავლობაში ცხრა წიგნი გამოვაქვეყნე, რამოდენიმე მათგანს – წმინდა მგოსნურს – საუკუნეები კი არა ათასწლეულებიც ვერ დასძლევენ. ეს არაა „კვეხნა“ რადგან ჩემს შემოქმედებას მე ვთვლი ნაყოფად საქართველოს გენიისა, რომლის მადლი მე ვიგემე.“[18]

ამ წერილის შინაარსმა გვარიანად ააფორიაქა უშიშროების უწყების თანამშრომლები. როცა მათ წერილის ადრესატისაგან ნინა რობაქიძესგან ვერ მიიღეს სასურველი პასუხი „მესამე ნაპირის“ გამოთქმაში ფარულად შენიღბულ ქვეტექსტის მნიშვნელობის გამო, დახმარებისათვის გალაკტიონ ტაბიძეს უხმეს. მანაც ჩვეული პირდაპირობით უთხრა სულთამხუთავებს: „გრიგოლ რობაქიძე ჩვენი მასწავლებელი იყო და მისი ერთადერთი დანაშაული იმაშია, რომ ყველა ბოთლს ვერ ერგებოდაო.“[19] თუმცა გრ. რობაქიძის წერილის ფარულ აზრს სრულ ნათელი კ. გამსახურდიამ მოჰფინა, რომელსაც ემიგრირებული მწერლისადმი ბოლმა და წყენა გულის სიღრმეში მისხლადაც არ ჰქონდა დარჩენილი. მან უშიშროების წარმომადგენლებს ამომწურავად „განუმარტა თუ რას ნიშნავს ხელოვანისათვის „მესამე“ ნაპირი,“ რა უნდა იგულისხმებოდეს „საქართველოს გენიის“ ცნებაში“[20] სჩანს პასუ-

ხისმგებელი პირები კმაყოფილნი დარჩნენ მწერლის პასუხით და მისი წყალობით რობაქიძის ნათესავების დევნასაც საქართველოში წერტილი დაესვა. აშკარაა, რომ მწერალმა გერმანიაში შეიტყო ამ ინციდენტის შესახებ და საჭიროდ ჩათვალა გარკვეული განმარტება გაეკეთებინა თავისი გახმაურებული რომანის ,,ჩაკლული სულის'' ლიტერატურული ნიშატის გამო. თუმცა იმასაც დასძენს, რომ ,,მესამე ნაპირის'' ფილოსოფიური ახსნა შორს წაგვიყვანდაო: ,,უთვალავ წიგნებში საბჭოეთზე ჩემი რომანი ყველგან გამოირჩევა. იგი შექმნილია ,,მესამე ნაპირზე'' მდინარეს მესამე ნაპირიც აქვს, უხილავი. ,,მესამე ნაპირი''[21] რაც ფაქტიურად შემოქმედების პოეტურ ზმანებასა და შთაგონებას მოიცავს. ,,მესამე ნაპირი'' ის თავისუფალი შემოქმედებითი სამყაროა, რომლის მაღალი ათინათი ღღესაც რომ საოცარი ბრწყინვალებით აცისკროვნებს ქართული სიტყვიერების მადანს.

გრ. რობაქიძე ემიგრაციაში ყოფნის დროსაც ყურადღებით ადევნებდა თვალყურს საქართველოში მიმდინარე ლიტერატურულ ცხოვრებას და თავის შთაბეჭდილებებს ჟურნალ ,,ბედი ქართლისა'ში'' სისტემატიურად აქვეყნებდა. საქართველო'ში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას გერმანია'ში მყოფი ქართველი ტყვეებისაგანაც ღებულობდა მწერალი, რომელთაც ის ხშირად ნახულობდა და საქართველოზე ესაუბრებოდა. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს მას წაუკითხავს თავისი ლექსი ,,ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილი შვილისადმი.'' ლექსის კითხვისას ერთ ქართველ ტყვეს გრძნობამორეულს გულიც კი წასვლია. გრ. რობაქიძემ სწორედ ამ ქართველ ტყვეთა გადმოცემით შეიტყო, რომ კ. გამსახურდიას რომანს ,,დიდოსტატის მარჯვენა'' თვალსაჩინო გამარჯვება რგუნებია საქართველოში. თავად მასზე კი რომანს განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია, ვინაიდან ნაწარმოებში თურმე მრავალი სცენა ზღაპრულ სამოსშია გახვეული. მწერლის მითითებით ავტორი ვიზიონერულად

ვერ წვდება წარსულს, დარღვეულია მოლიანობის კომპოზიცია, რის გამოც რომანი ჰკარგავს ეპიურ ნელ განფენილობას. მაგრამ უმთავრესი ხარვეზი, რაც შეამჩნია გრ. რობაქიძემ რომანის ერთი წაკითხვით იყო მწერლის შინაგანი ნამდვილობის რღვევა. მისივე განმარტებით ეს არც იყო გასაკვირი, რამეთუ ბოლშევიზმის გავლენა იმდენად დამთრგუნველი იყო საბჭოთა მწერლისათვის, მისი თვისების მთლიანობა იმდენად ირღვეოდა, რომ იძულებული იყო დამთმობი გამხდარიყო და შემოქმედებითი იმპულსის შესანარჩუნებლად გარკვეული ლიტერატურული ხარკი გაეღო. რობაქიძეს ასეთ „დათმობად“ მიაჩია მეფე გიორგის მიერ ჭიაბერის მოკვდინება მოწამლული ხატით. ის ერთგან მიანიშნებს: „მეფე „გაბითურებულია“ რაა ის მეფე, რომელიც მოწინააღმდეგის მოსაცილებლად ასეთ საშინელებას მიმართავს? „გაბითურებულია“ ხატიც – რაა ის სათაყვანო ხატი, რომელსაც ასე ექცევიან და ასე იყენებენ? ბოლშევიკები რასაკვირველია გაიხარებენ, როცა რომანის ამ ადგილს წაიკითხავდნენ.“[22]

გრ. რობაქიძის ღრმა რწმენით ამ ეპიზოდში გარდა იმისა, რომ ხელმწიფების იდეაც არის შელახული, თავიდათავი აქ ხატის შელახვაა, ვინაიდან სვეტიცხოველი საკრალული შუაგულია საქართველოსი და ხატი კი სიმბოლური სახეა ამ შუაგულის. მწერლის მინიშნებით სწორედ მცხეთაში მიიღო ქართველობამ ქრისტეს სჯული. წმ. ნინომ აქ გამოსჭრა ვაზის ნასხლევისაგან ჯვარი და არც ისაა შემთხვევითი, რომ აქ აგებულ ტაძარს სვეტიცხოველი დაერქვა, ვინაიდან, „ქართველთა განცდაში და შეგნებაში ამ სვეტის გარდამქმნელი ძალა „გასაგნდა,“ როგორც სასწაულმოქმედი ხატი და აი გამსახურდიას რომანში ეს ხატია შეგინებული. აი სადამდე მისულა კ. გამსახურდიას „დათმობა,“ იმ გამსახურდიასი, რომელიც ერთ დროს მისტიკოსად და მორწმუნედ თვლიდა თავის თავს. ამ დათმობით „მოწამლა“ მან არა მხოლოდ თავისი წიგნი, არამედ თავისი თავიც. საბჭოეთის ატმოსფეროში

რომ არ ეცხოვრა ამ „დათმობას“ იგი არ დაუშვებდა და ვერც დაუშვებდა. თავიდათავი აქ ესაა“.[23]

კ. გამსახურდიასთვისაც მცხეთა ქრისტიანული მრწამსის და სულიერების ნავთსაყუდელია. საქართველოს წმინდა ემბაზი და ყველა ქართველის სანუკვარი ხატია სარწმუნო, ხოლო სვეტიცხოველი კი სრულიად საქართველოს მირონის შემკრები. ამიტომაც არაგვისა და მტკვრის შესართავთან ქრისტიანული ტაძრის აგება უწინარესად აღიქმება როგორც ქრისტეს სჯულის ზეობა საქართველოში წარმართობაზე.

მანამდე კი ძელიცხოველის სასწაულმოქმედმა ხატმა ქრისტეს სჯულისაკენ უნდა მოაქციოს წარმართები, რათა უსაზღვროდ არ დაიღვაროს სისხლი. წარმართ მეამბოხეთა ალაგმვა „ჯვრის ლაშქრობით“ ქვეყნის სახელმწიფოებრივი მთლიანობის იდეითაა გამოწვეული. ზ. გამსახურდიას მინიშნებით მეფე გიორგიც, რომელიც ერთობ თავადაც ირყეოდა წარმართობასა და ქრისტიანობას შორის განიცდის ხატის მოწამვლას, თუმცა ამას აკეთებს არა ხატის „გაბითურების“ გამო, არამედ ქვეყნის უკეთეს დღეთა სახელით: „გიორგი მეფეს ფანატიკურად სწამს, რომ გველისფერი წმ. გიორგი მოულებს ბოლოს. ხატთან არაგულწრფელი მისვლის გამო, რაც მართლა აუხდება. მაგრამ ერთიანი საქართველოს მთავარ დულაბად იგი მაინც ქრისტიანობას ხედავს და სწორედ ქრისტეს სახელით ლაშქრობს ფხოვში, ქრისტესა და ერთიანი საქართველოს სახელით.“[24]

კ. გამსახურდიას აზრით ჯვრის მოწამვლის ხერხი მიღებული მეთოდი იყო შუასაუკუნეებში და ასეთი ხერხი არც ქართული სამყაროსათვის იყო უცხო. მწერალს საკუთარი იდეის მხარდასაჭერად საქართველოს წარსულიდან არგუმენტირებული ფაქტებიც მოჰყავს, მისი აზრით, გაცილებით უარეს ხერხს მიმართავდნენ ხოლმე ქართველი მეფეები. ბაგრატ IV სანადიროდ ეწვია თავის ნათესავი სომეხთა მეფე და თავის ნათესავებს შეაპყრობინა. დემეტრე მეფემ იოანე აბუთი-

ლისძე ვერაგობით მოაკვლევინა. ვინ ჩამოთვლის თუ როგორი ვერაგული ხერხებით ებრძოდნენ თაყიანთ მოწინააღმდეგეებს ქრისტიანული ბიზანტიის, საფრანგეთის და გერმანიის მეფეები.

წარმართობისა და ქრისტიანობის დავაში კ. გამსახურდია თავის გმირებს საოცარი თავგამოდებით აშენებინებს მცხეთის ტაძარს, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მთლიანობის ციტადელს. ქრისტიანულ საწყისებზე გაზრდილი კაცისათვის სწორედ ესაა უმთავრესი და ყველა სხვა ხერხი ამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად დასაშვებად მიაჩნია. სახელმწიფოებრივი მთლიანობის აუცილებლობა კი უწინარესად ქრისტეს რწმენის აღზევებასა და განმტკიცებას გულისხმობდა, რასაც თავად კ. გამსახურდიაც აღნიშნავდა: „დიდოსტატის მარჯვენაში“ წარმართობის აპოლოგია როდია მოცემული, პირიქით, ამ რომანში ბრძოლა ქრისტიანობასა და წარმართობას შორის თავდება ქრისტიანული კულტურის გამარჯვებით, სვეტიცხოვლის აგებით.“ [25]

გრ. რობაქიძის მითითებით კ. გამსახურდიას შემოქმედებაში „შინაგანმა დათმობამ“ თავის აპოლოგიას ლიტერატურულად უმნიშვნელო ნაწარმოებში „ბელადში“ მიაღწია. მხატვრული ღირებულების მიხედვით ის იმდენად უსუსური თხზულებაა, რომ მმართველ წრეებშიც არ მოიწონეს. რაც უმთავრესია თავად სტალინმაც გამოთქვა უკმაყოფილება წიგნით. გრ. რობაქიძეს აინტერესებს ერთადერთი რამ, თუ „როგორ მოხდა, რომ ავტორმა შესძლო მეთერთმეტე საუკუნის დამლევს მოქმედ არსაკიძის ცხოვრების ასე თუ ისე მხატვრულად გადმოცემა და ვერ შეძლო იმ კაცის პიროვნების ხელოვნური განსახიერება, რომელიც აი, ეხლა, ჩვენს დროში ცხოვრობს.“[26]

გრ. რობაქიძის აზრით, კ. გამსახურდია არ თვალთმაქცობდა, როცა სტალინის ბავშვობაზე წიგნს წერდა. მას გულით ეწადა უთუოდ ღირებული და ფასეული რამ შეექმნა,

თუმცა შინაგანად არ იყო „ნამდვილი," ანუ მისი მრწამსი სრულიად არ ესადაგებოდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას. ამიტომაც აკლია რომანს ის ეროვნულობის განცდა და მუხტი, რითაც ასე გამორჩეულია კ. გამსახურდიას შემოქმედება.

მოგვიანებით გრ. რობაქიძე უფრო ტაქტიანი გახდა კ. გამსახურდიასადმი. სამეგრელოდან გამოსულ სახელოვან მწერალთა შორის ხშირად ახსენებს მწერალს, რაც მისი მხრიდან ლიტერატურულ რევერანსად როდი უნდა მივიჩნიოთ, არამედ სინამდვილის რეალურ აღქმად. გრ. რობაქიძე სიამაყით არნიშნავს, რომ კოლხეთის მითიური მარაგი სამეგრელოში ჯერაც არ მილეულა, ვინაიდან კ. გამსახურდია, ლ. ქიაჩელი, დ. შენგელაია ყველაზე მეტად ჰქმნიან ქართულ ლიტერატურაში მითიურ ატმოსფეროს. ვაჟას დაბადების 100 წლისთავზე კი პოეტის მითიურ რეალობას ყველაზე მეტად მეგრელები, კოლხების ღირსეული ნაშიერები მისწვდნენ. მათ შორის მწერალი გამოარჩევს კ. გამსახურდიას წერილს „ტკბილხმოვანი ორფეოსი," სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ ვაჟას სათავე მითოლოგიაა.

მიუხედავად კ. გამსახურდიას წერილისადმი გარკვეული დაინტერესებისა მწერალმა მცირე კრიტიკა მაინც არ დაიშურა კოლეგისადმი: „ვიცი რისი თქმა უნდა ავტორს, გაუგებრობის ასაცილებლად მის თქმას დაზუსტება ეჭირვება."[27]

პირუთვნელი და ობიექტური შეფასება მისცა გრ. რობაქიძემ კ. გამსახურდიას ისტორიულ რომანს „დავით აღმაშენებელი." ემიგრანტი მწერლისათვის დავითის პიროვნება ძირფესვიანად ამომგდებია ბოლშევიზმისა. „ის არის რაინდი და მცველი ვაზის ჯვრისა. დავით აღმაშენებელი არის მატარებელი საქართველოს „ხელმწიფობისა." დავით აღმაშენებელი რეალური სიმბოლო არის საქართველოს „თავისუფლებისა," მისი „თავისთავადობისა." საკმაოა დავით აღმაშენებლის ფენომენი შეიჭრას თავისი ქმედითი ძალით გასაბჭოებულ სა-

ქართველოში, რომ იქ ნიშანწყალიც არ დარჩეს საბჭოეთისა.“[28]

გრ. რობაქიძემ „დავით აღმაშენებლში“ საბჭოთა იმპერიის რღვევის სწორედ ეს ნიშნები შეამჩნია, დავით აღმაშენებლის მხატვრული გაცოცხლებით საქართველოს განთავისუფლების რეალური პერსპექტივა დაინახა. მწერალი სიამაყით აცხადებს: „დიდი ინტერესით წავიკითხე რომანი კონსტანტინე გამსახურდიასი „დავით აღმაშენებელი,“ წიგნი პირველი. ავტორს დიდი შრომა გაუწევია: სჩანს ზედმიწევნით შეუსწავლია ისტორიული წყაროები. სტილი აღებული ეპოქისა სიუხვითაა რომანში გადმოშლილი. თუ როგორაა განფენილი რომანი ხელოვნურად, ამის განხილვა საგანგებო წერილს მოითხოვს. აქ აღვნიშნავ მხოლოდ ერთ დეტალს. ფართოდ გაშლილ ისტორიულ გარემოში დავითი იზრდება ნელინელ, ივსება ძალით, მტკიცდება. ეს სინელე, ფრიად მნიშვნეოვანი ყოველი მხრით, რომანში ძალიან მარჯვედაა გაყვანილი. ავტორი გვპირდება კიდევ ორ წიგნს. ვუსურვოთ გამარჯვება!“[29]

ჩვენთვის დღეისათვის უცნობია წაიკითხა თუ არა რობაქიძემ ტეტრალოგიის დარჩენილი წიგნები, მაგრამ ის კი უტყუარია, რომ „დავით აღმაშენებლის“ ბოლომდე ჩაკითხვა მწერალს საერთო გამარჯვების სიხარულს განაცდევინებდა უთუოდ.

გრ. რობაქიძე 1935 წელს გარიცხეს საქართველოს მწერალთა კავშირის რიგებიდან. ოთხი წლით ადრე იგივე ბედი კ. გამსახურდიამაც გაიზიარა, თუმცა მან ერთ წელიწადში მოახერხა მწერალთა კავშირში თავის აღდგენა, რაც რა თქმა უნდა შეუძლებელი იყო გრ. რობაქიძისათვის. მას ამ დროისათვის გერმანიში გამოქვეყნებული ჰქონდა უკვე რომანი „ჩაკლული სული,“ სადაც სტალინი და მისი იდეოლოგია ძირფესვიანადაა მოთხრილი. მოგვიანებით მწერალმა ბერლინში გამოსცა წიგნები ადოლფ ჰიტლერზე და ბენიტო მუსო-

ლინზე. მისთვის უცხო და მიუღებელია ფაშისტური იდეოლოგია, მაგრამ ეთაყვანება ამ პოლიტიკური მოძღვრების ლიდერებს, ვინაიდან მისი აზრით მათ ნაციონალური ღირსებისა და თავმოყვარეობის გრძნობა დაუბრუნეს თავიანთ ხალხებს. გრ. რობაქიძე უშუალოდ ხედავდა მხსნელს ჰიტლერის პიროვნებაში, რომელსაც ძალუძდა რუსეთის იმპერიის დამარცხება და საქართველოს განთავისუფლება იმპერიის ტყვეობიდან. ამასთან ერთად პოეტი ასეთ ძლიერ პიროვნებას საკუთარი ქვეყნისათვის ნატრობს. სამართლიანად აღნიშნავს ს. სიგუა: „მას უნდოდა საქართველოს ლიდერებად ეხილა ისეთი ძალმოსილი ადამიანები, როგორებიც იყვნენ მუსოლინი და ჰიტლერი. სწორედ მათი გმირული ძალისხმევის შედეგად უნდა განთავისუფლებულიყო საქართველო სტალინის ტირანიისაგან."[30]

გრ. რობაქიძის წიგნი ადოლფ ჰიტლერზე საგანგებოდ თარგმნეს რუსულ ენაზე და დაურიგეს ჯარისკაცებს, რომლებიც ბერლინზე გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდნენ, გრ. რობაქიძის სიცოცხლეს რეალურად დაემუქრა საფრთხე, ბერლინი სისტემატურად იბომბებოდა საბჭოთა ჯარებისაგან. მას საბჭოთა ხელისუფლებისაგან უეჭველი დახვრეტა ელოდა. აუცილებელი იყო ალმოდებული ქალაქიდან მწერლის გაყვანა უსაფრთხო ალაგს. ამგვარი განსაცდელის ჟამს ქართველ მწერალთა ჯგუფმა კ. გამსახურდიას ხელმძღვანელობით კატეგორიულად მოითხოვა პასუხისმგებელი პირებისაგან გრ. რობაქიძის ქალაქიდან უვნებლად გაყვანა. 1945 წლის 23 აპრილს უცნობმა ქართველმა გრ. რობაქიძე თავისი ოჯახით არალეგარულად შვეიცარიაში გადაიყვანა და ამით უეჭველი დაღუპვისაგან იხსნა მწერალი.

გრ. რობაქიძეს ჯერ კიდევ ბერლინში შეუტყვია კ. გამსახურდიას დიდსულოვანი ქმედების შესახებ, რამაც მისი დაზაფრული გული უდიდესი მღელვარებით შეძრა: „სამი თვის წინ ერთი ამბავი მაცნობეს პარიზიდან. ილია თავაძეს ყოფილ

წევრს საქ. მთავრობისა, ეამბნა, როცა ბერლინი 1945 წელს საბჭოთა ჯართა მიერ ალყაშემორტყმულ, ცეცხლის ქვეშ ნადგურდებოდა, მოვარდა ჩვენთან მთავრობის სასახლეში, ერთი ჯგუფი მწერალთა კ. გამსახურდიას მეთაურობით თხოვნით: რაიმე ზომები მიგველო გრ. რობაქიძეს და მ. წერეთლის, რომელნიც მაშინ ბერლინში ეგულებოდათ, გადასარჩენად. მრავალი შერხევა განმიცდია ნეტარი წუთით, ხოლო ასეთი სიმძაფრით არა. ასეთი რამ მხოლოდ დიდი კარდჰუს სამფლობელოში თუა შესაძლო. მრავალი ცრემლი დავღვარე, ცრემლი ნეტარების. ეხლაც შერხეული ვარ, ვიგონებ რა ამ ამბავს. გამოუცხადო მადლობა ამ მწერლებს? ეს ემსგავსებოდა – მადლობა გამომეთქვა მღვდელმთავრისადმი ზიარებისათვის. დეე ეს „აქტი" დარჩეს წვეთად სამშობლოდან მოგვრილი ზედაშესა, რაიცა ვიგემე მე სამუდამოდ გადმოხვეწილმა. სწორედ ამ ამბავმა ამაღებინა ხელში კალამი, რათა გადმოგიშალოთ მოკლედ მაინც ჩემი გულნადები."[31]

ნიშანდობლივია, რომ გრ. რობაქიძემ აღსარების და მონანიების წერილი სწორედ კ. გამსახურდიას სახელზე გამოაგზავნა, ვინაიდან ემიგრანტი მწერალი სწორედ თავის ტოლ-სწორში ხედავდა გულს მოწოლილი დარდის ღირსეულ ადრესატს.

ზ. გამსახურდიას მითითებით „ამ წერილიდან ჩანს თუ რა უსაზღვრო სიყვარული ჰქონდა მას თავისი სამშობლოსი, ქართული სიტყვისა, ყოველი ქართველისა. წერილს მინდორზე ეწერა საგანგებოდ: „კონსტანტინე გამსახურდიას," რითაც ხაზგასმულია, რომ ყველაზე მეტად ამ პიროვნებას ეხება ეს წერილი – აღსარება, რომელთანაც ბევრი უკამათია, კონფლიქტებიც ჰქონია, მაგრამ მაინც უყვარდათ ერთმანეთი განუზომლად."[32]

გრ. რობაქიძე საგანგებოდ სთხოვს კ. გამსახურდიას რომ თავისი წიგნები გამოუგზავნოს შვეიცარიაში. იმის რწმენასაც გამოთქვამს, რომ მთავრობა ამის უფლებას მის-

ცემს სახელგანთქმულ მწერალს. საგულისხმოა ისიც, რომ გრ. რობაქიძე საკუთარი დისადმი ყურადღების გამოჩენას ისევ კ. გამსახურდიას სთხოვს, რომელსაც ერთხელ მცირე თანადგომა ადრეც ჰქონდა გაწეული ვარლამ ლომინაიშვილის ოჯახისათვის.

ემიგრანტი მწერლის უსაზღვრო სურვილია საქართველოს მღვდელმთავარმა იცოდეს, რომ უცხოეთის ცის ქვეშ მცხოვრები გრ. რობაქიძე ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოსადმი მუხლმოყრილი ლოცულობს და საკუთარი სიცოცხლეს ავედრებს ქართველთა სულისმდგმელს:

„გრძელი თითებით ქარვისრქებიან
ლერწმებს აესხმის მწიფე მტევანი.
და შენს თვალებში შთაინთქმებიან
ჩემი უძირო ღამის-თევანი.“

სტალინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა იმპერიაში მოვლენები რადიკალურად შეიცვალა. ციხეებიდან უამრავი უდანაშაულო პატიმარი გაანთავისუფლეს. 1956 წელს გამოცხადდა ქვეყნისა და ხალხის მტრებად შერაცხული მწერლების პოლიტიკური რეაბილიტაცია. მწერალთა ოჯახს დაუბრუნდნენ მიხ. ჯავახიშვილის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის უღვთოდ შერისხული სახელები. ამ ფაქტით გულმოცემულმა გრ. რობაქიძემ წერილი გამოუგზავნა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ მდივანს ირ. აბაშიძეს, სადაც გულისტკივილით ატყობინებს უმცროს კოლეგას თავის მწარე ხვედრს: „აქ საბჭოთა საქართველოში მე „არ“ მახსენებენ თუ „ვერ“ მახსენებენ. ღმერთი, რჯული! მე არავის ვეძალები. ვერ გამიგია მხოლოდ ერთი რამ. რუსეთში ივან ბუნინის ნაწერებს აოიათასობით აქვეყნებენ – საქართველოში გრიგოლ რობაქიძის სახელის ხსენებასაც გაურბიან. დავიჯერო ბუნინი ჩემზე ნაკლები „ანტი“ იყო.“[33]

ჩანს გრ. რობაქიძის ამ წერილს კ. გამსახურდიაც გაეცნო. მან საჯაროდ მოითხოვა საქართველოს მწერალთა კავშირისაგან ემიგრანტი მწერლის სრული რეაბილიტაცია და მისი შემოქმედების ქართული სამსჯავროს წინაშე გამოტანა. კ. გამსახურდიამ მწერალთა კონფერენციაზე ასეთი სიტყვებით მიმართა საზოგადოებას: „მე დიდ კონტრაში ვიყავი იმ კაცთან იმის გამო, რომ არც მანერა მომწონს და არც აზროვნება, მაგრამ ის იყო უნიჭიერესი კაცი. ეს არის რობაქიძე. მე არ მიყვარს ის, მაგრამ მე მიყვარს ჭეშმარიტება და რატომ არ შეიძლება დავდგათ მისი „ლამარა," რაც საინტერესოა, ტყუილია, რომ ვაჟას მოპარაო. ეს არ არის მართალი. მწერლობა არის გამოძახება. რატომ არ უნდა დავდგათ მისი პიესები. იმას მოეწერა, გინა მე ბუნინზე უარესი ვარო?"[34]

კ. გამსახურდიას აქტიურმა მცდელობამ, რომ გრ. რობაქიძის სახელი დაებრუნებინა ქართული მწერლობის ოჯახისთვის სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. მწერალი ამის გამო გულისტკივილით აღნიშნავდა „რა დიდი მწერალი დავკარგეთო."[35]

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ გრ. რობაქიძე კ. გამსახურდიასა და მის მეგობრებს სთხოვს აღუსრულონ ის ანდერძი, რომელიც ცოტა ხნით ადრე მან სრულიად საქართველოს დაუტოვა. კერძოდ მისი სახელის ლოცვად მოხსენიება სვეტიცხოვლის ტაძარში: „თუ ვინმე თქვენთაგანი შეიარს მცხეთის ტაძარში – გაიხსენოს მან ჩემი სახელი ამ პაწია სალოცავის წინაშე, რომელიც არ დაუნგრევიათ ქართველთ ტაძრის შენებისას. (აი, კიდევ ერთი მადლი – სწორუპოვარი კარდჰუს გენიისა) ის აკვანია იმ პირველ ლოცვისა, რომელიც გაისმა კარდჰუს მიწაზე ქრისტეს მიმართ. იყავით მზეგრძელი! ნუ მოგაკლოთ უფალმა მადლი კარდჰუს გენიისა."[36]

როგორც ზ. გამსახურდია მიუთითებს 1966 წელს კ. გამსახურდიამ სცენტიცხოვლის ტაძარში თავის განაწამებ თანამოკალმეს სულის მოსახსენებელი პანაშვიდი აღუსრულა. იმდენად დიდი ყოფილა იმ დროსაც სატანური ტირანიის მიერ დათესილი შიშში, რომ მხოლოდ რამდენიმე ქართველმა გაბედა იმ დღეს მცხეთაში მისვლა. მაგრამ მადლი კარდჰუს გენიისა მაინც ღვიოდა და მალამოდ ეფინებოდა განაწამები მწერლის სულის იარებს. კ. გამსახურდიას მიერ მეგობრის სახელზე დანთებული სანთელიც ერთი მცირე ნუგეში იყო იმ დიდი გენიისა, რომლის მადლს საუკუნეების მანძილზე უხვად გასცემდა კარდჰუს, საქართველოს მიწა, საქართველო, რომელიც „დაჭრილი მზე იყო, მაგრამ მაინც მზე.“

§2. ჯვარი წამებისა

კ. გამსახურდიას შემოქმედებაში სხივმოსილი მგრძნობელობით და ღვთაებრივი მადლითაა წარმოჩენილი ქართველი დედის სულიერი სამშვინველი. დედა მწერლისათვის სიცოცხლის ნეტარების მასულდგმულებელი წყაროა, რომლის სალბუნი და ათინათი შვილებს სიცოცხლის კარიბჭემდე მიჰყვებათ. მწერალიც ხარბად დაეწაფა დედის მიერ დავანებულ სულიერ წყაროს. ამასთან ერთად მტკივნეულად განიცდიდა იმ გარემოებას, რომ მშობლების ამაგი ჯეროვნად არ იყო დაფასებული მისი მხრიდან. არადა ეს ხარკი ყველა ჭეშმარიტმა კაცმა უნდა გაიღოს. კ. გამსახურდია ერთგან აღნიშნავს: „ყოველ დიდ ხელოვანს ხარკი მიუცია ამ დიდი გრძნობისათვის, რომელიც მმართებს ყოველ კაცს, ყოველ სულიერს საკუთარი მშობლისადმი.[1]

მწერლის სულიერ ფორმირებაზე მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის დედამისს ელისაბედ თოფურიძეს, რომელიც ფრიად მორწმუნე და ღვთისნიერი ქალბატონი ყოფილა. ის დაწოლის წინ მუდმივად ლოცულობდა. ფსალმუნის ლექსებს გალობდა და წირვა-ლოცვასაც ეკლესიაში სისტემატურად ესწრებოდა.

პატარა კონსტანტინეც ხშირად დაჰყავდა ეკლესიაში, ღვთისმოსაობას და რწმენისადმი თაყვანისცემას უნერგავდა ბავშვს, რომელიც ხასიათითა და ნიჭიერებით აშკარად გამოირჩეოდა თავისი ძმებისაგან. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მშობლებს და მათ იმთავითვე იზრუნეს ბავშვისათვის შესაფერისი განათლება მიეცათ. სვიმონ გამსახურდიამ შვილი ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიაბარა. მშობლები ყურადღებას არ აკლებდნენ კონსტანტინეს, მაგრამ მალე მამის გარდაცვალების შემდეგ ბავშვის აღზრდის მთელი სიმძიმე ელისაბედ თოფურიძეს მხრებს დააწვა. რომელმაც თავის მხრივ შვილს ობლობა და მიუსაფრობა არ დაატყო და დღე-

ნიადაგ მის ინტელექტუალური ცნობიერების გაფართოებაზე ზრუნავდა. ამასთან ერთად დედა გუმანით გრძნობდა, რომ შვილის მომავლისათვის პრიორიტეტული მნიშვნელობა მის ევროპაში გამგზავრებას ენიჭებოდა. მართალია, მისთვის აუტანელი იყო შვილთან განშორება, მაგრამ როცა ამის საჭიროება დადგა ელისაბედს ერთი წამითაც არ უყოყმანია და კონსტანტინეს ევროპაში გასამგზავრებლად სათანადო პირობები შეუქმნა. მზრუნველმა დედამ სოფელში სახლიც კი გაყიდა და ათასი ოქროს მანეთი ლაიპციგში გაუგზავნა კონსტანტინეს, რომელსაც ამ ნივთიერმა დახმარებამ სულზე მოუსწრო, თუმცა დედასთან განშორებით გამოწვეულ სულიერ სატანჯველს ვერანაირი ფულით ვერ განიქარვებდა.

კ. გამსახურდიას გერმანიაში გამგზავრება პირველ მსოფლიო ომს დაემთხვა. მწერალი, როგორც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი, დააპატიმრეს და ისმანინგის ციხეში გამოამწყვდიეს. მისთვის წამება იყო იმის შეცნობა და გააზრება, თუ როგორ დაიტანჯებოდა დედამისი შვილის ციხეში მოხვედრის ამბავს რომ გაიგებდა. ამიტომაც შორეული გერმანიიდან გამოგზავნილი, ცრემლით დანამული წერილით ცდილობს დაამშვიდოს დედის აფორიაქებული სული.

„ჩემო ძვირფასო დედიკო, როგორ ხარ, შენი ჭირიმე. ამდენი ხანია შენი წერილი არ მინახავს, სულ შენს სურათს ვუყურებ – ხანდახან ტყვეები მოდიან. მიხსნიან საათის მექანიონს და იხედებიან შიგ. ეს შენი ცოლია? ეს დედაა – ძლიერ გგავს.. მეუბნებიან. მართლა დედიკო? სულ მუდამ გხედავ სიზმარში – სულ ხლაფოთობ რაღაცას. მე მგონი ომი საშობაოდ გათავდება, ასე რომ მალე გნახავთ ყველას. ომი როგორც კი გათავდება მაშინვე ჩამოვალ. იმწამშივე ჩავჯდები მატარებელში და გამოვქანდები და ათასს გაკოცებ ჩემო დედიკო.“[2]

კ. გამსახურდიას ერჩივნა უცხოეთში მომკვდარიყო. ვიდრე დედას საქართველოში რამე გაჭირვებოდა. ამით აიხ-

სნება მისი განუწყვეტელი მუდარა პირველი მეულლისადმი, რებეკა ვაშაძესადმი, რათა მას მომეტებული ყურადღება გამოეჩინა დედამისის მიმართ. თუმცა მწერალი ამას არ სჯერდება და ცდილობს გერმანიიდან გაუმართოს ხელი დედას, ოდნავ მაინც შეუმსუბუქოს მოხუცებულ ქალს თავისი ჯვარი წამებისა. ამ მიზნით ის სთხოვს რებეკას რომ ეს უკანასკნელი დაკავშირებოდა გაზ. ,,სახალხო საქმის'' რედაქტორს სამსონ ფირცხალავას, რომელიც ელისაბედ თოფურიძეს ყოველი თვის ბოლოს 100 მანეთს მიაწვდიდა. მწერალს სურდა, რომ სანდო კაცისათვის დაევალებინა ამ საქმის მოგვარება. ასეთ პიროვნებად მას თავისი ძმა, ალექსანდრე წარმოედგინა, რომელსაც მიანდო კიდეც საქმის მოწესრიგება. მაგრამ ალექსანდრეს ვერ მოუბია თავი ამ დავალებისათვის, რის გამოც გულმოსული მწერალი თავის ძმას წერილებში დედისადმი გამოჩენილი გულგრილი დამოკიდებულებისათვის საჯაროდ კიცხავს და ამუნათებს.[3]



სვიმონ გამსახურდია

კ. გამსახურდია თითქმის ყველა გამოგზავნილ წერილში უმორჩილესად სთხოვს მეუღლეს ჯანმრთელად და უვნებლად დაახვედროს დედა. იმასაც შეახსენებს, რომ ამით შენდამი ჩემს სიყვარულს ერთიორად გააასკეცებო... მწერალი რებეკას პენელოპას ადარებს. ამით ის ცალსახად მიანიშნებდა თავის მეუღლეს, რომ მასაც პენელოპას მსგავსად უნდა ეტვირთა მძიმე ხვედრი ქმრის წინაშე. მწერალი ასე ნაღვლობს თავის გამწარებულ ხვედრს:

„რა უვარგისი შვილი გამოვადექი საწყალ დედას. თავისი სიცოცხლე შემომავლო და ახლა ასე ღვთის ანაბარა დავტოვე.“[4] ამ ვედრებაში ოდისევსის სევდა შეიგრძნობა.



ელისაბედ თოფურიძე

გამძაფრებული დამოკიდებულება ჰქონდა ელ. თოფურიძეს კონსტანტინეს ქორწინებასთან დაკავშირებით. როცა მწერალი რებეკას დაშორდა და ევროპას მარტო გაემგზავრა, დედა შიშობდა შვილი უცხო ქალზე არ დაქორწინებულიყო.

ამიტომაც იყო, რომ მწერალი გერმანიიდან დედას ატყობინებდა.

- დედა რა ჩამოგიტანოო?

- ნურაფერს ნუ ჩამომიტან, ოღონდ არავინ ჩამომიყვანოო,[5] უთვლიდა დედა შვილს. თავად კონსტანტინეც უარყოფითად იყო განწყობილი შერეული ოჯახისადმი. მას ვერც წარმოედგინა თანამეცხედრედ ჰყოლოდა ისეთი ქალი, რომელიც დედამისს ქართულად ვერ დაელაპარაკებოდა. მთელი პასუხისმგებლობით მიუთითებდა ამ ფაქტორზე:

„მთავარი ისაა, რომ მე არაქართველ ქალს ვერ შევირთავ. სხვა არ იყოს რა იმიტომაც, რომ დედაჩემმა ქართულის გარდა, არც ერთი ენა არ იცის.“[6]

უმთავრესად ამ მიზეზით აიხსნება ის, რომ მწერალს უცხოელი ქალების სიყვარულის დათმობა მოუხდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაღლს მიაწევს უფალს, ვინაიდან ეგ რომ არ ექნა სამშობლოც დაკარგული ექნებოდა და საყვარელი დედაც.

მართალია, კ. გამსახურდია უცხო ქალზე არ დაქორწინებულა, თუმცა თავისი გაუხედნავი, მეომრული ჟინის გამო სხვა სადარდებელი გაუჩინა მშობელ დედას. მწერალი დაუფიქრებლად გაეშურა თურქეთის ფრონტის ხაზზე, სადაც გ. მაზნიაშვილის მხარდამხარ იბრძოდა თურქი ასკერების წინააღმდეგ. როცა მწერალი ფრონტიდან უვნებელი დაბრუნდა დედამ ეს უთხრა თავის საამაყო შვილს:

„ეს ჩემმა ლოცვებმა გიწიეს შვილო.“[7]

მწერალმა ბოლშევიკების მიერ თბილისის აღების დღეებში დედა მოარიდა მოსალოდნელ განსაცდელს და სოფელში გახიზნა. თუმცა ე. თოფურიძეს იქ დიდხანს გული არ დაურჩა და შვილს ამოუდგა გვერდით, რომელსაც იმ დროს მართლაც არ ულხინდა. მწერალს დაუხურეს ჟურნალები „ილიონი“ და „საქართველოს სამრეკლო“, უნივერსიტეტიდან გააძევეს, შიმშილმა კარზე მიუკაკუნა. ამის გამო თავის მოკ-

ვლაც ბევრჯერ სცადა, თუმცა მოხუცებული დედა ებრალებოდა და უკეთურ განზრახვაზე ფიქრს თავიდან იცილებდა. თავად ელ. თოფურიძე გაუტეხელი სულის ადამიანი იყო. მისთვის უცხო გახლდათ ბედისწერასთან შეგუება და კონსტანტინეს სულიერად ასე ამხნევებდა: „რისი გეშინია შვილო, საკერავ მანქანას ვიყიდი ერთს და ქურთების საცვლებს შევკერავ და მით ვარჩენ ოჯახს".[8]

სულ მალე მწერალს ხელისუფლებასთან ურთიერთობა კიდევ უფრო გაურთულდა. 1924 წლის აგვისტოს ამბოხებისას კი მის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე დაემუქრა. კომუნისტები ყოველგვარი სამხილის გარეშე ლამობდნენ კონსტანტინეს სახელი აჯანყებულებთან დაეკავშირებინათ და ამის საფუძველზე დაეპატიმრებინათ კიდეც. მწერალს შეეძლო სულაც გადახვეწილიყო საქართველოდან. თუმცა შიში ჰქონდა მისი გაქცევის გამო დედისთვის არ დაეშავებინათ რამე. ამ მიზეზით შეუთვალა „ჩეკას" თავმჯდომარის მოადგილეს ლ. ბერიას; ჩეკისტები გამოაგზავნეთ და დამიჭირეთო. მწერალი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში გამოამწყვდიეს. მთელი ეს პერიოდი დედა მზრუნველობას არ აკლებდა კონსტანტინეს.

კ. გამსახურდია ციხიდან მალე გაათავისუფლეს. თუმცა ბოლშევიკები ცდილობდნენ მისთვის სასიცოცხლოდ ჯოჯოხეთური პირობები შეექმნათ. მისდამი ამგვარ დამოკიდებულებას უწინარესად დედა განიცდიდა, რომელიც მიამიტურად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მისი შვილისთანა პატიოსანი, განათლებული და გაბედული ვაჟკაცი სხვა არ იყო ამქვეყნად. მწერალი იგონებს გარდასულ დღეებს:

„საბრალო დედაჩემი მეტყოდა ხოლმე ჯერ კიდევ მენშევიკების დროს: ნოე ჟორდანიამ სემინარიის სამი კლასის სწავლა ძლივს მოიცოდვილა, შენ ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი ხარო. ასე რომ საქართველოს პრეზიდენტი შენ უნდა იყვეო.

მე გამეცინა:

შენ ხომ გაგიგონია დედი, კაცს სოფელში არ აყენებდნენ და მამასახლისად ამირჩიეთო. პრეზიდენტობა რა ჭირად მინდა, ჩემს ქვეყანაში დამაყენონ და მუშაობის უფლება მომცენ, სხვა რაღა მინდა.“[9]

ელისაბედ თოფურიძე შვილის დევნას ხელისუფლების მხრიდან მტკივნეულად აღიქვამდა, თუმცა სასოწარკვეთილებაში არ ვარდებოდა. როცა მწერალს მესამეჯერ დაუპირეს დაპატიმრება, სახლში შემოჭრილ ჩეკისტებს ის ხისტად შეეპასუხა:

„აი როგორი მხეცები ხართ, თქვენ, ძაღლიც კი გაახელა თქვენმა მოსვლამ.“[10]

თუმცა ჩეკისტებშიც იყვნენ გულმოწყალე ადამიანები. საქართველოს „ჩეკაში“ მსახურობდა ვინმე პოპოვი, სიკვდილის კომენდანტი, როგორც მას შეარქვეს. ის განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა მწერლის მიმართ. მან საკუთარი მანქანით მიიყვანა ე. თოფურიძე თბილისის სადგურზე შვილთან გამოსათხოვებლად სოლოვკაზე გადასასლების კვირაძალს. დედა მხნედ შეეგება შვილის განსაცდელს. სულიერად დაზაფრულს ერთი ცრემლიც არ დასცდენია. მხოლოდ ეს უთხრა კონსტანტინეს[11]:

„აბა, შენ იცი, არ შეშინდე და არ შემარცხვინო.“

მწერალს გადასახლებაში ყველაზე ხშირად დედა ესიზმრებოდა და ეს ზმანება მას სულიერ სიმტკიცეს მმატებდა, რწმენას უნერგავდა, დაუმორჩილებლობის მუხტს უღვივებდა. თუმცა გამწარებული დედა არა მარტო შთაგონებით იზიარებდა შვილის გამწარებულ ხვედრს, არამედ მთელი თავისი შინაგანი სიმართლითა და ძალმოსილებით ლამობდა კონსტანტინეს ტყვეობიდან გამოხსნას.

მან გულმოწყალების და მიტევების წერილიც გაუგზავნა სს. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს უფროსს მამია ორახელაშვილს, რომელსაც მწერლის მიმართ გარკვეული

თანაგრძნობა გააჩნდა. სახელმწიფო ჩინოვნიკმა მწერლის დედის წერილი სს. ცკ-ის თავმჯდომარეს ფ. მახარაძეს გადაუგზავნა: განაწამები ქალი ასე მოთქვამს თავის გასაჭირს:

,,მომიტევეთ, რომ სახელმწიფო საქმეებით უზომოდ დატვირთულ ადამიანს ამ ჩემი თხოვნით გაწუხებთ. მაგრამ სხვა გამოსავალი არ მაქვს და იმედია მოუსმენთ შვილის უბედურებით გატანჯულ დედას.

პირადად მინდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ იმდენად დაუძლურებული მოხუცი ვარ, რომ ამის შესაძლებლობაც არ მაქვს. შეიძლება მოგეხსენებათ, რომ ჩემი შვილი კ. გამსახურდია უკვე ერთ წელიწადზე მეტია დაპატიმრებულია. ამჟამად ის იმყოფება სოლოვკაში – ავადმყოფი, დასუსტებული. ის ავად იყო აქ ყოფნის დროსაც, ხოლო სოლოვკის მხარის ჰაერი ეს ხომ მისთვის პირდაპირ დაღუპვაა, სიკვდილით დასჯას უდრის. და აი, მოგმართავთ თქვენ, როგორც ისეთ ადამიანს, რომელსაც შეუძლია მისი მდგომარეობის შემსუბუქება, სიკვდილის ხელიდან გამოტაცება, უბედური დედისთვის დაბრუნება.

გარწმუნებთ, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება სრული გაუგებრობაა. თუ მას მართლაც დაუშავებია რამე, თავისი ახალგაზრდობით, მან თავისი დანაშაული უკვე გამოისყიდა თავისი ტანჯვითა და სასჯელით. ის, მოგეხსენებათ მწერალია, კულტურული ძალა, რომელიც ყოველთვის შეძლებს თავისი მუშაობით სარგებლობა მოუტანოს ქვეყანას და თუ ცოდვა რამ მიუძღვის ხალხისა და მთავრობის წინაშე ამ მუშაობით გამოისყიდის. მაშ, დაუბრუნეთ უბედურ დედას მისი საყვარელი ძე, ქვეყანას – კულტურული მოღვაწე. შეუნდეთ, თუ რამე დააშავა, მიეცით საშუალება ემსახუროს ხალხს.

თუ შეუძლებლათ ჩათვლით მის საქართველოში დაბრუნებას მიანიჭეთ უფლება სამხრეთ ოსეთში ან უკრაინაში ცხოვრებისა, რაც ყოველ შემთხვევაში, მისი სიცოცხლისათ-

ვის არ წარმოადგენს საფრთხეს. ნუ გამიცრუებთ უკანასკნელ იმედს, პატივცემულო მამია. შეიბრალეთ საბრალო მოხუცი დედა. გეევედრებით ნუ დააყოვნებთ ჩემი თხოვნის შესრულებას. თითოეულ დღეს შეუძლიან აღმაც დაატრიალოს, წაღმაც მიმართოს მისი შესუსტებული ჯანმრთელობის საქმე."[12]

გულის სისხლად დაწერილმა წერილმა იქნებ შებერებული გული აუჩუყა ფ. მახარაძეს, რამეთუ მან იმავდროულად დასვა საკითხი კ. გამსახურდიას საქმის გადასინჯვის შესახებ, რამაც საბოლოოდ მწერლის შეწყალება და ვადაზე ადრე გათავისუფლება დააჩქარა. კ. გამსახურდია სოლოვკიდან 1928 წელს გაათავისუფლეს. თბილისის სადგურში მას ძმები დახვდნენ. მათი შეძრწუნებული სახეები მოწმობდა იმას, რომ დედა უკვე ცოცხალი არ იყო. სიკვდილის წინ თურმე ის მხოლოდ ერთ რამეს სთხოვდა შვილებს.

„პირზე ხელი დამაფარეთ, ეგებ ეს ოხერი სული არ ამოვიდესო."[13]

ამ ტრაგედიის განცდამ მწერალს, როგორც თავად აღნიშნავს, ათიოდე წლის სიცოცხლე მოაკლო. მისი ტყვეობაში ყოფნის ჟამს დედამისს ექვსთვალიანი ოდა სახლის ადგილას პატარა ერთვალიანი სამზადისი აუშენებია, რათა კონსტანტინეს ოდიშთან სულიერი კავშირი არ შეეწყვიტა.

დედის სიკვდილით განცდილი მწუხარება და ტკივილი გაბმულ ელეგიასავით გაისმის ნოველაში: „დამსხვრეული ჩონგური".

„ვაიმე, შენმა სიკვდილმა ჩემი გული ისე დაამსხვრია, როგორც ჩემდამი სიყვარულმა შენი მტირალა ჩონგური. ღამეების საშინელი მელანქოლიით დასეტყვილი დღე და ღამე ვფიქრობ დედიკო შენთვის.. სიხარული გაეყარა ჩემს სულს. დავმარტოხელდი და არ მესმის, როგორ იქნება, რომ ჩემი ხმა შენ ველარ მოგწვდეს როგორ იქნება ძვირფასი დედა, რომ ჩვენ გაგვთიშოს თუნდაც სიკვდილმა."[14]

კ. გამსახურდიას პროტაგონისტები აღმერთებენ და აიდეალებენ მშობელ დედას. მოკრძალებასა და მოწიწებას ამჟღავნებენ მისდამი. განსაკუთრებულ მიუსაფრობას და მარტოობას განიცდიან კონსტანტინე სავარსამიძე და თარაშ ემხვარი, ვინაიდან ისინი მწერლის მსგავსად შემოქმედებითი წვის ძიებაში უცხოეთის ქარებს გადაჰყვნენ და დედის ხილვას დანატრებულნი გულს სევდიანი მოგონებებით იქარვებდნენ. სავარსამიძესთვის ერთადერთი ნუგეში სიზმარია, სადაც ყველაზე მეტად ის დედას ნახულობს, რომელიც გულმდუღარედ სთხოვს შვილს სამშობლოში დაბრუნებას:

..ახლა საით მიხვალ შვილო. არ გეყო სულ სხვის ქვეყანაში ყოფნა, შენზე ამბობენ კარგი ბიჭია, მაგრამ საქართველო არ უყვარს, სულ უცხოეთშია. სიტყვით დიდი პატრიოტია, არაფერს აკეთებსო. შენი ამხანაგები დაბრუნდნენ, ყველა ოჯახს მოეკიდა. ყველა ბედნიერია, ყველა მუშაობს თავისი ქვეყნისათვის. შენ კი მთვარეულივით დადიხარ სხვის ქვეყანაში.“[15]

სავარსამიძე დედის სულიერი მღელვარების დამშვიდებას ლამობს. ის პირდება გამზრდელს, რომ მალე ჩამოვა, უთუოდ ქართველ ქალს მოიყვანს ცოლად, 12 შვილი ეყოლება და უკლებლივ ყველა ქართულად ილაპარაკებს. მას დედის ნაჩუქარი ლაზური ფული გასაოცარ იდეებს აღუძრავს, მისი შეგონებები კი სიცოცხლის წყურვილს უორკეცებს. დედამისს სჯეროდა, სანამდის კაცს დედა ჰყავს მუდამ ახალგაზრდად ითვლებოდა და ის ისევ მშობელ მიწას დაუბრუნდებოდა. სავარსამიძეც ბრუნდება თავის ქვეყანაში როგორც უძღები შვილი. სამშობლოს სურნელებას მონატრებული ის საქართველოს მცხუნვარე მზეს სთხოვს ამოაშროს მის სახსრებში უცხოეთში შესუნთქული ნისლი და სინესტე. მას უხარია, რომ დედის კალთაში წევს, როგორც გულწითელას მართვე შინ მობრუნებული.

მშობელი მიწის სინოყივრემ და სილბომ საკარსამიძის გარდასახვა გამოიწვია. ის ტაია შელიას ჯოგში აპირებს შესვლას. თუმცა დედის ხათრი აქვს, რომელსაც ვერაფრით ვერ გაეგო შვილი საქართველოს თავმჯდომარე რატომ ვერ გახდა. ახლა კი მისი მეჯოგეობის ამბავს უცილოდ მძიმედ გადაიტანდა და გაუმწარდებოდა მოხუცებულს დარჩენილი ცხოვრების წლები.

საკარსამიძესთვის დედა სამშობლოს ალეგორიული სახეა, რომელსაც დაცვა და მოვლა ჭირდება. რუსეთის იმპერიის სიმბოლო სლანსკი ბაგრატოვანთა გვირგვინსა და მასში მოთავსებულ თამარის ალმასს ეპოტინება, რაც საკარსამიძის გამძვინვარებას და გაცოფებას იწვევს. საკარსამიძის მსგავსად თარაშ ემხვარიც ევროპაშია. მას დიდი ასპარეზი აქვს, თუმცა სადაც დიდია ასპარეზი, იქ მოასპარეზეც მრავალია, ამიტომაც საამურად ჩაესმის ოქუმიდან დედის მიერ მოწერილი სიტყვები: „სხვის ბაღში თურაშაულის დარგვას, საკუთარში მაჟალოს დათესვა გერჩიოსო.“[16]

თარაში გრძნობდა, თუ როგორ ელეოდა დედას წლები. მაჯაგანით არჩევდა დედის ნაწერებს, სადაც სიტყვებს ალალ-ალაგ მარცვლები აკლდა. თუმცა მისთვის უმთავრესი იყო ამ წერილის წაკითხვისაგან მოგვრილი სიხარული და სითბო. ამიტომაც თარაში მთელი ერთი კვირა ატარებდა უბით დედის ბარათს, ვიდრე მთლად არ დაიცრიცებოდა ქაღალდი. პარიზში ყოფნისას დედის ალერსს დანატრებული თარაში ძილში ეფერებოდა გამზრდელს.

„ასი წლის რომ გავხდე დედა, და ასი წელიც რომ დავრჩე უცხოეთში, თუ შენ შინ მეგულები ფესვები მაქვს მეთქი ჩემს მიწაში, ასე ვიტყოდი. ასი წლის რომ გავხდე, დედა უცხოეთიდან მობრუნებული დაგიძახებ კარის ალაგთან, დედა, შინ ხარ მეთქი?“[17]

- მაიას ცრემლით და ჯაფით სავსე სიცოცხლე, ცხრა ზამთრის ბნელი ღამეები მარტოხელა გატარებულ ოქუმში,

ერთადერთი ვაჟის უცხოდ გადახვეწის გამო გაღებული შინაგანი ხარკი იყო. თარაშიც გულისტკივილით იგონებდა მოხუცებულ დედას, რომელიც შვილს უცხო ქალზე დაქორწინებას არ ურჩევდა: „თუ ჩემი სიყვარული არ გამოგლევია, უცხო ქალი არ შეირთო, რადგან უცხო ქალი ჩვენს წესებს არასოდეს შეეგუება და მე ამის ჯავრის გადავყვებიო“.[18] თარაშმაც დაუჯერა დედას, რის გამოც მრავალი ქალის ცრემლი შეეხალა დედამისის მტკიცე სურვილს.

თარაში მუდამჟამს გულისტკივილით იგონებდა დედას უცხოეთში, თუმცა საქართველოში მობრუნებულმა მხოლოდ ორჯერ მოაკითხა ოქუმში. სამეურნეო საქმეებშიც ვერ ეხმარება დედას, რომელიც შვილს მოუცლელობის გამო საყვედურობს კიდეც. თარაში ბავშვობაში ოქროს ზანდუკებს ჰპირდებოდა გამზრდელს, ახლა კი ხელცარიელი და შემოძარცვული დგას მის წინაშე. მაგრამ დედისათვის უმთავრესია მისი მომავლის სასო და საფიცარი გულიკო ჯანსაღი იყოს, მას გვერდში ედგეს და სამშობლოს გამოადგეს.

დედაშვილური სიყვარულის აპოლოგიაა წარმოჩენილი ისტორიულ რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“. აქაც დედასა და შვილს შორის თვალუწვდენელი სივრცეა აღმართული. მოვალეობის შეგრძნება აიძულებს კონსტანტინე არსაკიძეს ფხოვის მიწაზე მიტოვებული მოხუცი დედის შორეული ჩვენება გონების თვალით სრულად შეიცნოს. ხუროთმოძღვარი გრძნობს თუ როგორ დაფაცურობს შუაცეცხლთან დედა. ჩრაქით როგორ აღვივებს ცეცხლს და როგორ ავედრებს უზენაესს თავის ერთადერთ ვაჟს:

დავსნეულდი შვილო, მეშინია არ ამომხდეს უშენოდ სული. ცნობა მოვიდა კვეტარში: გაუცვნიხარო გიორგი მეფეს. ალბათ მეფესაც ეყოლებაო დედა, ალბათ მეფესაც ეყვარებაო დედა. დედა დაიფიცეო მეფეს, შეევედრეო, ჩემს მაგივრად, გამოგიშვასო დედის სანახავად. ერთხელ მაინც, ერთხელ მაინც თვალი მოგკრა როგორმე. სიკვდილის წინ დაგ-

ლოცო შვილო, შემდეგ ამისა ნუ შემრჩება სუნთქვა, შემდეგ ამისა მიმიღოს უფალმა.“[19] მოვალეობის შეგრძნება და მეფისადმი მიცემული ვაჟკაცური სიტყვა არ აძლევს უფლებას არსაკიძეს გულჩვილი იყოს და დედაშვილურ გრძნობებს აჰყვეს.

სასიკვდილო აგონიით შეპყრობილი არსაკიძე, რომელსაც სვეტიცხოვლის მოუმთავრებლობის გამო სიცოცხლის დათმობა ენაღვლება, სიზმარში სთხოვს დედას ილოცოს მისი სიცოცხლის გადარჩენისათვის. მაგრამ მშობელი დედა ტაძრისათვის სულშეწირულ შვილს ახლოს არ იკარებს და წყალსაც არ ასმევს. თითქოს სიცოცხლის მწუხრს სინდისის ქეჯნამ შეაწუხა ხელოვანი და თავისი ქმედების საზღაურად აღიქვამს დედის ასეთ მოქცევას. თუმცა სიზმარში პირგამეხებული დედა ცხადში, სულითა და ხორცით დაოსებული, სულთმობრძავი უტას გადასარჩენად მიემართება. მორიელებისაგან დაგესლილი შვილის ნახვამ კი სასოწარკვეთილი დედა ქვად აქცია.

დედის აღმზრდელობითი როლი და კეთილისმყოფელი ზეგავლენა მიჩქმალულია რომანში „ბელადი“, რასაც თავად მწერალი თავისებურად ხსნის: „მე მქონდა ჩემი მოსაზრება, რომელსაც დეტალურად არ შევეხები, რომ სტალინის დედა და მამა დიდად არ ვაჩვენე. თუმცა ამის შესახებ მასალები ბევრი მქონდა. მე ჩემი პოლიტიკა მაქვს წიგნის წერისას.“[20]

მწერალმა მშვენივრად უწყოდა სტალინის ნელ-თბილი ურთიერთობა მშობლებისადმი, ამიტომაც შეეცადა არსებული სინამდვილე და უტყუარი ფაქტები გარკვეული შემოქმედებითი დოზით ეჩვენებინა, ისე რომ არც სტალინის თავმოყვარეობა შელახულიყო და არც ოჯახური ტრადიციები ყოფილიყო იგნორირებული.

კ. გამსახურდიას მეორე ისტორიულ რომანში „დავით აღმაშენებელი“ დავითის დედა, ელენე დედოფალი, წარმოჩენილია, როგორც სათნო, ქრისტიანული ღვთისმოსაობით შემ-

კული ქალბატონი, რომელიც სამეფო პალატის დარბაზებში ფხიზლად ადევნებს თვალყურს ზნეობის დაცვას. დედოფალი ძვალმაგარი და ჭიროსანი დედაა, რომელიც სახელმწიფოებრივი მასშტაბით აცნობიერებს დავითის მიერ გადადგმულ პოლიტიკურ სვლებს. ის გრძნობდა შვილის გამორჩეულობას და დავითის მტრებს მტკიცედ პასუხობდა: „როცა მოყვასი შენი საქმეს დაიწყებს, სანამ მას არ მოათავებს, არ უნდა განიკითხო იგი“ [21]

ელენე დედოფალი ვეჟინის მარცხის გამოც ნაღვლობდა. გულმეცნიერი დედა კარგად ხედავდა, რომ გიორგი მეფის ახირებამ საერთო ქართული საქმე წაახდინა. ამიტომაც შვილის საწოლ დარბაზში ფეხაკრეფით შეპარული, მძინარე დავითს შუბლზე კოცნით და ლოცვით პატიებას სთხოვს. ამ ლოცვით დაფრქვეულ მდუღარებაში კი იმდენი სალბუნი იყო, რომ მტრების დასათრგუნველად ხელმეორედ ივსებოდა მეფის მდუმარე ძალა. ნიშნეული და მრავლისმეტყველია რომ დავითი თავისი სიცოცხლის მიზანს სათაყვანებელ დედას უმხელს.

„სანამ ტფილისი ჩვენი არ გახდება, მე ვერ მოვისვენებ, დედი. სამი სიცოცხლე რომ გებოძა ჩემთვის სამივეს ტფილისის ასაღებად დავლევდი, იცოდე.“[22]

კ. გამსახურდიას მადლმოფენილ პოეტურ სამყაროში ქართველი დედა სიყვარულის, სათნოებისა და სიკეთის პირველსაწყისია, შვილთათვის სალოცავი ხატი და საფიცარი-უპირველესი. ამიტომაც რეკვიემივით ჟღერს მწერლის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი სიტყვები:

„ნუ შეველევით, მოვეფეროთ დედას მადლიანს, დედის გარეშე არ მრავლდება გწამდეთ სიკეთე და არც არა იბადება დედის უვნებლად“.[23]

თავი IV

მოზეიმე ქართული ფრესკა

კ. გამსახურდიას მისმა სიყრმის მეგობარმა ლ. გუდიაშვილმა მოზეიმე ქართული ფრესკა შეარქვა. მ. ჯავახიშვილმა კი თანამოკალმეს ფრესკების მხატვარი უწოდა. მწერლის მისტიური მდუმარებით აღსავსე ასკეტური სახე ოდნავ ჩამოჰგავს კიდეც რენესანსის მხატვართა მიერ ფრესკაზე გამოყვანილ წმინდანთა სათაყვანებელ ლანდებს. მათსავით უძირო და სევდიანია მწერლის სულიერი ხატება და გარეგნული პორტრეტი. ხშირად უთქვამს კიდეც მხატვრებისათვის: „დამხატეთ ნაღვლიანი, გამომსახეთ ამ ბედკრულ ცხოვრებაზე გულამღვრეული და შემომწყრალი.“[1] თუმცა მოზეიმე ფრესკის მსგავსად მწერლის ნაღვლიან სახესაც გადაეფინებოდა ხოლმე ღიმილის სხივი. ამ იშვიათი სიცილის გამო უწოდეს მწერალს ჟურნალ ნიანგის თანამშრომლებმა მოხდენილი სახელი: „კოლხი კაცის ფრესკის ღიმილი.“

კ. გამსახურდიას ცხოვრების ეტლი სამშობლოს ბედისწერასთან იყო გადატხრული. ღირსებაშელახული ქვეყნის მძიმე ხვედრი კი დალხინებული ცხოვრების საფუძველს არ აძლევდა მწერალს. ის მართლაც იშვიათად უნახავთ გაღიმებული. ერთხელ ნათელასაც უთქვამს მარად მოღუშული მამისათვის:

— რატომ ხარ ასე, შუბლი გაიხსენი, გაიცინეო, მამა!

— რა ვქნა, ჩემო ნათელიკო, ასეთი ცხოვრება მარგუნა ბედმა![2]

საბჭოთა იმპერიაში გამეფებული ტოტალიტარული რეჟიმი და ანექსირებული სამშობლოს მონობის უღელქვეშ ცხოვრება სულს უხუთავდა მწერალს. შინაგანი დაძაბულობისა და ჭარბი ემოციების მოძალების დროს კი ის იუმორითა და ღიმილით იქარვებდა გარს მოზღვავებულ სევდას. ამ

გზით ცდილობდა განემუხტა მღელვარება და სულიერი წონასწორობა შეენარჩუნებინა.

კ. გამსახურდიას იუმორი მრავალფეროვანია. აქ თანაბარი დოზით იგრძნობა როგორც გროტესკი და სატირა, ისე ირონია და სარკაზმი. თავად მწერლის ახლობლების განცხადებით მას მეტად ზომიერი იუმორი ახასიათებდა. თავადაც იტყოდა ხოლმე: „ხუმრობა რომ ფარგალს გადასცდება ის უკვე ღრეჭაა."[3] მწერალს მის მიმართაც წარმოთქმული ხუმრობაც არასოდეს სწყინდა და სალისითაც ჩაებმებოდა ხოლმე ამ გახუმრებაში. თუმცა ის ერთმანეთისაგან ანსხვავებდა ზომიერ ხუმრობასა და წრეგადასულ, უმართებულო ქილიკს, რომელსაც ხშირად მიმართავდნენ უნიათო კრიტიკოსები მისი სახელის დისკრედიტაციისათვის. მწერალი მოთმინებით იტანდა მათ გაბოხტომებს. იტყოდა ხოლმე „კრიტიკის იმუნიტეტი მოვიპოვეო", თუმცა ამ კალამბურამ მომეტებულად გაათამამა ზოგიერთები და საბაბი მისცა საკმაოდ მაღალი ტრიბუნებიდან მწვავე ბრალდებები წამოეყენებინათ მისთვის. ასეთ დროს მწერლის იუმორი მრისხანე ძალას იძენდა. ის არ განიცდიდა არავითარ მორიდებასა და მოკრძალებას. ცინიზმგარეული მსჯელობით ცდილობდა გაავებული ოპონენტების დაშოშმინებას და საკუთარი ლიტერატურული პრინციპების ზედმიწევნით დაცვას. ამის გამო მწერალს ნაკლებად ადარდებდა დაბალი ლიტერატურული გემოვნების მქონე მკითხველის დაკარგვა. შენიშნავდა კიდეც: „მე როგორმე გავუძლებ ერთი მკითხველის დაკარგვასო."[4]

კ. გამსახურდია ხშირად ცდილობდა გროტესკულ მიჯნაზე შეეგდო სიტყვა. მწერლის აზრით „გროტესკი არც სატირა არის და არც სარკაზმი, რაღაც საშუალო."[5] გროტესკი ქართულ მწერლობაში ნაკლებად ვითარდებოდა, ვინაიდან თუ საბჭოთა მწერალს თანამედროვეობის ამსახველ თემაზე კრიტიკული ინსტრუმენტი ეჭირა ხელში, მაშინ მას ეპოქის ნეგატიურ მხარეებზე საჯაროდ უნდა დაეფიქსირებინა

მწერლური პროტესტი. თუმცა ამ პროტესტში მარტო ცინიკური ხითხითი როდი უნდა ისმოდეს, არამედ ცრემლნარევი ღიმილიც უნდა გამოსჭვიოდეს. სწორედ ასეთი ცრემლნარევი ღიმილით დახატა მწერალმა „მთვარის მოტაცებაში“ თავისი გმირები, თუმცა სასაცილოდ ვერ გასწია თარაშ ემხვარი, ვინაიდან გზააბნეული ადამიანის ტრაგედია სულაც არ არის სასაცილო. მეორეს მხრივ, თარაშის პიროვნების სარკასტულ ტონალობაში დახატვა ეროვნული იდეალების და ღირსების შელახვის ტოლფასი იქნებოდა, რასაც თავად მწერალიც მიუთითებს ერთგან: „მეჩვენებინა გროტესკითვე თარაშ ემხვარიც, ცხადია, კრიტიკის თვალში მოვიგებდი, მაგრამ შესაძლოა, ეს ხასიათი წააგებდა: ამ გმირს ჩემივე თაობის ტკივილები ახლავს, თაობის, რომელმაც ბრძოლით, ქენჯნით გაიკაფა გზა.“[6]

განსაკუთრებული სიმძლავრით მწერლის ირონიამ მის პუბლიცისტიკაში იჩინა თავი, სადაც მისი სატირა დროდადრო დაუნდობელი და შეუბრალებელი ხდებოდა. სწორედ პუბლიცისტური სატირის მეშვეობით მოასერხა მან ცნობილი რუსი კრიტიკოსის ვ. შკლოვსკის მიერ მის მიმართ გამოთქმული ბრალდებების გამასხარავება. შკლოვსკის ლანძღვა-გინებით აღსავსე წერილები დაიბეჭდა ისეთ ცნობილ რუსულენოვან გაზეთებში და ჟურნალებში, როგორიცაა „ზნამია“, „ნოვი მირი“ და „ზარია ვოსტოკა.“

რუსი კრიტიკოსი სხვა ბრალდებებთან ერთად ეროტიზმისა და ნატურალიზმის გამოც ედავებოდა კ. გამსახურდიას. ის სარკაზმით მიუთითებს მეფე გიორგისა და ფხოველი დედაკაცის სასიყვარულო სცენაზე. შკლოვსკი არ მალავს თავის გაოცებას და გაკვირვებას იმასთან დაკავშირებით, რომ ფხოველ ქალს, რომლის სიყვარულს თავად ქართველი მეფე ნეტარებით დასწაფებია, ცხვრის სუნი ასდიოდა. კ. გამსახურდიამ ცინიკური პასუხით გაისტუმრა კოლეგა.



აკაკი და კონსტანტინე

– „ცხადია მე-11 საუკუნის ფხოველ დედაკაცს პარიზული სუნამოს სუნი არ აუდიოდა, ალბათ.“[7]

კ. გამსახურდიამ რუს კოლეგას არ აპატია უღირსი საქციელი და თავისი სატირული კალმით საკავშირო მასშტაბის ჟურნალებში გამოქვეყნებული წერილებით ისეთი სი-

ლა გააწნა, რომ მისი ტლაშუნი მთელს იმპერიაში გაისმა, რამაც სხვა თანამოაზრეებს მწერლის შემოქმედების ტენდენციურად გაშუქების სურვილი და ინტერესი საგრძნობლად გაუნელა. კ. გამსახურდია წერს: „მწერლის ხელშია სასტიკი სარკაზმის მშვილდისარი, ეპიგრამული და პარაბოლური მეტყველების გესლიანი შამარი და ასე იგერიებს იგი თავის მტრებს.“[8]

გამძაფრებული სარკაზმი შეინიშნება კ. გამსახურდიას პოლიტიკური ხასიათის წერილებში. მწერლის აზრით უთუოდ დიდი პიროვნებები იყვნენ ის ადამიანები, ვინც სიცოცხლეში უმძაფრესი იარაღით, სახელდობრ დაცინვის საჭრეთლით იყვნენ აღჭურვილნი, რომლითაც მათ მძაფრი და ბასრი სარკაზმი შესძახეს თავიანთ საუკუნეს. მწერლის აზრით: „სიცილის მომგვრელი რამეების თქმა და კომიკურ აღწერას დიდი გენიოსი თუ შესძლებს.“[9] სწორედ ასეთ გენიოსად ილია ჭავჭავაძეს მიიჩნევს, რომელმაც თავის „მგზავრის წერილებში“ მასხარად აიგდო იმპერიული სულისკვეთებით გამსჭვალული რუსი ჩინოვნიკები.

კ. გამსახურდია ილიას მსგავსად ააშკარავებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს იმ რუს დიდმოხელეთა უზნეო ზრახვებს, რომელთაც საქართველო ქართველების გარეშე წარმოედგინათ. მწერალი ქართული ინტელიგენციის იმ ნაწილსაც დასცინის და კუჭის აპოლოგეტებს უწოდებს, ვისაც საქართველოს ურუსეთოდ ცხოვრება შეუძლებლად და წარმოუდგენლად მიაჩნდათ.

კ. გამსახურდიას ენამოსწრებულობა მთელი სიმწვავით მწერალთა კავშირში გამართულ ლიტერატურულ დისპუტებზე ვლინდებოდა, სადაც მწერალი კოლეგებთან გამართულ დისკუსიაზე უკომპრომისოდ იცავდა თავის ლიტერატურულ შეხედულებებს. ასეთ დროს მას თავისი სატირული კალამი დამოკლეს მახვილივით ჰქონდა აღმართული და ლახვარივით აძგერებდა მართალ სიტყვას იმათ, ვინც მის შემოქმედებას

უმართებულოდ ქირდავდა. კ. გამსახურდიამ სამი ჯოჯოხეთური წელი მოანდომა დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ თარგმანს. წითელი ტერორისადმი ამხედრება ინტელექტუალური სარკაზმითაც იყო შესაძლებელი, ვინაიდან ბოლშევიკები თავდაპირველად ფრიად განიცდიდნენ ინტელექტის დეფიციტს. ასე გააცურა მწერალმა სახელგამის ხელმძღვანელი, როცა დანტეს „ღვთაებრივი კომედიის ქართული თარგმანი „დივინა-კომედიას“ სახელით მიაწოდა დასაბეჭდად, ვინაიდან შესაძლებელი იყო სახელგამის ჩინოვნიკი სიტყვა „ღვთაებრივის“ გამო დამფრთხალიყო და წიგნის დაბეჭდვაზე სულაც უარი განეცხადებინა. როცა პოემის თარგმანი გამოვიდა პრესა უარყოფითად გამოეხმაურა ამ ლიტერატურულ მოვლენას. „ცისფერყანწელებმაც“ დაიწუნეს თარგმანი, რამაც მწერალი ერთობ გააღიზიანა და ირონიულად გაკიცხა თანამოკალმეები:

— „რაკი თქვენ ჩვენი თარგმანი არ მოგეწონათ, მოდით სამიოდე სტროფი თარგმნეთ და თუ გამოგივიდეთ, მე ჩემს მთელ ჰონორარს დაგითმობთ მეთქი.“[10]

კ. გამსახურდიას საქართველოს ანექსიის შემდეგ ქვეყნის მომავალი მუქ ჩრდილებში და ფერებში ეჩვენებოდა. ამის გამო ხელისუფლების წრეებშიც ბევრი მომდურავი ჰყავდა. ერთმა მაღალჩინოსანმა წყენა არ დამალა და მოურიდებლად უთხრა მწერალს:

— კაი კაცი ხარო, მაგრამ გესლიანი ენა გაქვსო, რაზეც მან პასუხი არ დააყოვნა:

— რა ვქნა, გესლიანი ენა მე განგებამ მომიგდოო.[11]

მწერლის მიერ გესლიანი ენის გადმონთხევა მართლაც განგების ნება იყო, რათა ამ ბასრი იარაღის მეშვეობით ძირფესვიანად გაექირდა კომუნისტური წყობის ტირანია და ობსკურანტიზმი, ფლიდი ჩინოვნიკების ოინბაზობა და მუცელღმერთობა. სარკაზმითა და ირონიით შეხვდა კ. გამსახურდია 1931 წელს მწერალთა კავშირიდან მის გარიცხვას. მწერალი

ხელისუფლების შეთქმულებად აღიქვამდა ამ ფაქტს. ამ შეთქმულების თანამონაწილე მ. ტოროშელიძე კი განსაკუთრებით აითვალწუნა, ვინაიდან მას მწერლობასთან არავითარი შეხება არ ჰქონდა და საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოსტზე არჩევამდე სავაჭრო ორგანიზაციას „ცეკავშირს“ ხელმძღვანელობდა მწერალმა „ჩეკ“-ას უფროსს ლ. ბერიას შესჩივლა მწერალთა საერთო ოჯახიდან მისი მოკვეთა და თან ირონიული ტონით დასძინა:

„მე მგონი ავჯობებდა მალაქია ტოროშელიძე ისევ ცეკავშირის კვერცხების გამყიდველად დაგენიშნათ.“[12] ნიშნეულია ის ფაქტი, რომ „ჩეკ“-ას აგენტი მ. ტოროშელიძე თავადვე შეიქმნა რეპრესიების მსხვერპლი. სწორედ, იმ ტრაგიკულ დღეების გამოძახილია სატირული ლექსი, სადაც ისტორიის მწარე რეალობის საფუძველზე ნაჩვენებია თუ როგორ უსწორდებოდა „ცეკა“ ზოგიერთ თავის თანამებრძოლს:

„ჩეკამ უთხრა ცეკას: აწი რაღა ვქნათო?
დავიჭირე სულყველა, ვინც კი რამე სოქვაო
საქმე აღარა მაქვს რა, არც დარდი მასვენებსო
„ცეკ“-ამ ასე მიუგო: უნდა მისდგე ჩვენებსო!“[13]

კ. გამსახურდია ადამიანის ხასიათს, მის სულიერ სამშვინველს სიცილის მეშვეობითაც სწვდებოდა. მწერლის შენიშვნით არაფერი ისე არ ახასიათებს ადამიანს, როგორც სიცილი. მან ცხოვრებისეულ კრედოდ გაიხადა დანტე ალიგიერის სენტენცია, „სიცილი სულის ტაროსია“ ამიტომაც ის უაღრესად სასოწარკვეთილების ჟამსაც არ კარგავდა იუმორის გრძნობას და სიცილის ხალისს. 1924 წლის ამბოხებაში ეჭვმიტანილი მწერალი მეტეხის ციხეში გამომწყვდეული იუმორისტული კედლის გაზეთს ადგენს და მეგობრებს გულიანად აცინებდა. არადა, მოგვიანებით, როგორც სანდო წყა-

როებიდან შეიტყო. თურმე დასახვრეტთა სიაში ყოფილა გამწესებული.



კ. გამსახურდიას არ ახასიათებდა თავისი ცხოვრებისეული ეპიზოდების მძიმე ფორმებში წარმოჩენა. იტყოდა ხოლმე: „სიცოცხლე ხუმრობად, თამაშად უნდა აქციო“[14] განსაკუთრებით ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობაში ცდილობდა თავისი პიროვნული სამძიმალის მიჩქმალვას, რადგანაც კარგად უწყოდა, რომ ხელისუფალთაგან მოჩვენებითად მოგვრილი სიბრალულით უწინარესად მისი თავმოყვარეობა და პიროვნული ღირსება შეილახებოდა. ასე შეინარჩუნა მან ღირსება სოლივკაში გადასახლების დროს. საქართველოში გამომგზავრების კვირაძალს მწერალი ორიოლის სადგურზე საშა გეგეჭკორმა იცნო, რომელმაც თავის კუპეში შეიყვანა და იქ მყოფ „ჩეკ“-ას უფროსს ლ. ბერიას წარუდგინა რეპრესირებული მწერალი:

— „ლაუ, გაიცანი კონსტანტინე გამსახურდია.

— საქართველოს „ცეკ“-ს უფროსს გაეცინა და მიუგო კოლეგას:

— შენ ვის მაცნობ საშა... გამსახურდია ჩემი ძველი კლიენტია.“[15]

როცა ხელისუფლების პირებმა მწერალს გადასახლებაში თავსგადახდენილი ამბები გამოჰკითხეს მან გროტესკულ ფორმებში უამბო იმ კოშმარული განცდების შესახებ, რაც გამოიარა სოლოვკაში ყოფნის ჟამს. მწერლის მონათხრობმა ძლიერ გაახალისა არასასურველი მასპინძლები. კ. გამსახურდიას დაკვირვებით: „აგრე ყოფილა მუდამ. სატანჯველი თუნდაც კოშმარული, მის მოლოდინშია მძიმე ასატანი. ბოლოს არც მაშინაა ადვილი მისი განცდა, როცა პირისპირ შეხვდები მას. მაგრამ როცა ეს ყოველივე განვლილია მისი თხრობა მხოლოდ ახალისებს მთხრობელსა და მსმენელს.“[16]

მწერალი არც 1937 წლის რეპრესიების სუსხიან დღეებში ღალატობდა იუმორს. როცა დააპატიმრეს „სახელგამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლიდა გასვიანი და სასტიკად აწამეს, ქალის ბუნებამ ვერ გაუძლო და მანაც თავის თანამოაზრეებში და თანამზრახველებში კ. გამსახურდია დაასახელა. საქმეში კ. გამსახურდიას ოქმიც იყო დაკითხვაზე. გამომძიებელმა კითხვა დაუსვა:

— რატომ დაგასახელათ ქალბატონმა ლიდა გასვიანმა.

— ახალგაზრდობაში მომწონდა, მერმე ცოლად არ შევირთე და ალბათ ამიტომ“.[17] — ცრემლნარევი ხუმრობითვე უპასუხა გამომძიებელს მწერალმა.

უკიდურესი ძნელბედობის ჟამსაც დარდის გასაქარვებლად და სულის სანუგეშებლად იუმორის მადლი დიდ სამსახურს უწევდა მწერალს. იუმორისადმი სიყვარული მისმა უახლესმა მეგობარმაც ნ. ბერძენიშვილმაც შეუქო, თუმცა ერის მესვეურობაზე პრეტენზია დაუძრახა ჯერაც ახალგაზრდა მწერალს:

„ხუმარადაც ვარგებულხარ
ვაჟკაცობით პირველიო,
მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას
თუმც მის ადგილს სულ ელიო.“

კ. გამსახურდიას ათეული წლების მანძილზე ჰქონდა მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა ჟურნალ „ნიანგის“ თანამშრომლებთან. მწერალს უყვარდა მათთან მუსაიფი, ანეგდოტების მოყოლა. ზოგჯერ ფრთიან ფრაზას ესროდა რედაქციაში მოფუსფუსე ჟურნალის თანამშრომლებს:

— რას იქთ, ვოჟებო ვის ჯღანავთ ახლა[18] — ნიანგელებიც ჩვეული იუმორითა და ხალისით პასუხობდნენ ქართული პროზის დიდოსტატს და როდესაც მორიგ „დაჯღანულ“ სახეს აჩვენებდნენ, მისი გოროზობიდან ნატამალიც არ რჩებოდა, ისეთი სითბოთი და ალერსით გაუნათდებოდა სახე.

კ. გამსახურდია არასოდეს არ თაკილობდა ახალგაზრდა და დამწყები იუმორისტების გვერდით თავისი დიდებით მოსილი სახელისა და გვარის დაბეჭდვას. მისი სიბრძნითა და სიმახვილით აღსავსე, ხალხური იუმორით განმსჭვალულ იგავარაკებს მკითხველი პირველად სწორედ „ნიანგის“ ფურცლებიდან ეცნობოდა. დიდ კონსტანტინეს დიდი მწერალი სატირის გარეშე არ სწამდა. ეს გულთბილი ურთიერთთანამშრომლობა „ნიანგის“ ათი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ნომერში დასტამბული ლექსიდანაც ჩანს:

„ნიანგო, ღმერთს გეფიცები!
გულში სულაც არ გემდური
არ დავფარავ, თუმცა მითქვამს
ბევრჯერ შენი საყვედური.

ვწუწუნებდი, შესაჭმელად
ვხედავთ ყველას ვეამები

და ჩემად კი მიხაროდა
მე ხშირ-ხშირი რეკლამები.“[19]

მწერალი ხშირად დადიოდა „ნიანგელებთან“ რედაქციაში, რათა თანადგომა და სიყვარული გამოეხატა მათდამი. ეს თანამშრომლობა ომის პერიოდშიც გრძელდებოდა, რასაც განსაკუთრებით ემადლიერებოდა ჟურნალის რედაქცია: „ნიანგის გვერდზე გაისმა მრავალი გამორჩეული მწერლის, პოეტის, მხატვრისა და საზოგადო მოღვაწის ომახიანი ხმა. შ. დადიანი, კ. გამსახურდია, გრ. აბაშიძე, გ. ქუჩიშვილი და სხვანი თავისი ლექსებით, იუმორისტული მოთხრობებით, თუ შაირებით და იუმორესკებით გვერდში ედგნენ ქართველ ხალხს. მათი ხალასი, ვაჟკაცური სიცილი აქარწყლებდა კარზე მოვარდნილი მტრის უძლეველობის მითს.“[20]

კ. გამსახურდიასა და ჟურნალ „ნიანგის“ თანამშრომლობა ზოგჯერ მუქ ფერებშიც ვითარდებოდა. მწერალს ჟამიდანჟამ „ნიანგის“ ოხუნჯობაზეც მოსდიოდა ბრაზი. როცა ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს „ნიანგმა“ კარიკატურა გამოაქვეყნა, სადაც კ. გამსახურდია ჩოხა-ახალუხშია გამოწყობილი და თეთრ ცხენზეა ამხედრებული. გვერდით მწევარი მოჰყვება ღვედით, წარწერა კი შემდეგი შინაარსისა იყო:

„სწავლულებთან სიარულში გამსახურდი კოსტა
და ჩაღექი რიგში აკადემიკოსთა.“

მწერალს ამჯერად სერიოზულად მოსვლია გული. საჯაროდ იმუქრებოდა, ყური უნდა მოვაჭრე „ნიანგის“ რედაქტორს, ძველმა ქართველებმა ასე იცოდნენო. საერთოდ, მწერალს ხშირად ხატავდნენ მიმინოთი ხელში გაძვალტყავებულ ცხენებზე ამხედრებულს, რაც მის გაღიზიანებას იწვევდა. მწერალს არც ის მოეწონა „ნიანგელებმა“ დანტეს ბიუსტზე მისი და კონსტანტინე ჭიჭინაძის კარიკატურები რომ გამო-

ხატეს, ნიშნად მათ მიერ დანტე ალეგიერის ,,ღვთაებრივი კომედიის'' უსუსური თარგმანისა. თუმცა ის წყენას გულში დიდხანს არ იტოვებდა, მღელვარებას ისევ სიცილით იქარვებდა და მათი ურთიერთობა ჩვეულ შემოქმედებით კალაპოტში დგებოდა.

კ. გამსახურდია დედოზარებს არისხებდა საქართველოს ეროვნული ცნობიერების გასაღვიძებლად, რუდუნებით აცოცხლებდა წარსულ დიდებას და იქ, სადაც ხმალივით ელვარე სიმართლეს წინააღმდეგობა ელობებოდა ნიღბად იუმორს, ირონიას, გროტესკსა და სარკაზმს ირგებდა. სიცილის მადლით ცდილობდა ადამიანისა და ბუნების იდუმალი კიდობანის გახსნას... წამებითა და ბრძოლით გაკაფულ გზას სწორედ სიყვარული და წრფელი იუმორი უნათებდა.

V თავი

„ზღვისფერი გაქვს თვალები და..“

„ჩვენ პოეტები ყველაზე საწყალნი ვართ, გამოთქმის ტალანტნი. საშინელი, მაგრამ ტკბილი წარწყმედაა შემოქმედება და ვინც ამ თრიაქით მოიშხამება, მშვიდობა არ უწერია მის სულს“[1] სწერდა კ. გამსახურდია თავის მეგობარს ნ. აგიაშვილს და ამ სიტყვებით ჭეშმარიტი პოეტის მძიმე ხვედრზე მიანიშნებდა. მწერალმა თავისი თანამოკალმე მეგობრების მსგავსად შემოქმედებითი პარნასის კარები ლექსებით შემოალო. მისი ადრეული ლექსები იბეჭდებოდა „ოქროს ვერძში“, რომელიც 1913 წელს გამოდიოდა ქუთაისში. მწერლის ურბანისტული ლექსები და სონეტები წლების მანძილზე იბეჭდებოდა „პრომეთესა“ და „ილიონში“, გაზეთებში „თემი“, „კოლხიდა“, „სახალხო საქმე“ და სხვა პერიოდიკაში. მართალია, კ. გამსახურდიას ლექსების გარკვეული ნაწილი შეიკრიბა და გამოიცა კიდეც, თუმცა, მისი ბევრი პოეტური სტრიქონი დღესაც უცნობი და მიუწვდომელია ქართველი მკითხველისათვის. მავანნი კი ხშირად უხერხულ სიტუაციაში მოხვედრილან იმის გამო, რომ არაფერი სცოდნიათ მწერლის პოეტური აღმაფრენის შესახებ. ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდა კ. გამსახურდიას ერთი ნაცნობი, რომელიც ასე იხსენებს დიდ მწერალთან განცდილ უხერხულ მომენტს:

„ზემელზე ვდგავართ. შექეიფიანებულმა კონსტანტინე ბატონმა ჩამოიარა თავისი ძაღლით და ჩვენც ძაღლებივით ავედევნეთ.

- შინ მიგაცილებთ-თქო. მწერალს ესიამოვნა – მიცნობთო?

რას ჰქვია ბატონო გიცნობო, თქვენი ლექსები ზეპირად ვიცით. დაუფიქრებლად უპასუხა ერთმა. სად გავპარულიყა-

ვით აღარ ვიცოდით. თავად მწერალი არ დაიბნა და ბავშვები უხერხული მდგომარეობიდან გამოიყვანა.

რას ერჩი ამ ღლაპებს. პირველი მსოფლიო ომის დროს დაწერილი ჩემი ლექსებიც სცოდნიათო.“[2]

კ. გამსახურდიას სიჭაბუკის ლირიკის ნიმუშებში ზეაღმტაცი და უცნაური წუხილის მომგვრელი სევდა გაისმის, რაც მისი ეროვნული ცნობიერების ნათელი ანარეკლია. მწერლის აზრით პოეზია სამსჯავროს გამართვაა საკუთარი თავის მიმართ. ამიტომაც პოეტი უწინარესად მაღალი იდეალების მქონე, მორალურ-ეთიკური ღირებულებებით აღჭურვილი უნდა იყოს, საკუთარი ხალხის ესთეტიკური და ეთიკური აღზრდა უნდა იტვირთოს. ჭეშმარიტი პოეტის მისიაც აქ უნდა გამოიკვეთოს. მან ხალხი ცხოვრების მაღალი იდეალებისაკენ უნდა წაიყვანოს. თუმცა საზღაურად მასაც, იესოსა და ამირანის მსგავსად. თავისი გოლგოთა და ჯვარცმა ერგება წილად:

„შენცა პოეტო, სინათლისა და ცეცხლის ჯვაროსანს
გახსოვდეს ხშირად გამწარდება ოცნება ტკბილი
ეკლის გვირგვინი წილად ხვდება ჭეშმარიტ მგოსანს,
ვით ქრისტეს ჯვარი და ამირანს რკინის ბორკილი.“

(„იესო და ამირანი“)

ცეცხლი, რომელსაც მგოსნის მუზა მოაფრქვევს, სულია დიად მზესავით ტკბილი ჩანგით აჟღერებული. მგოსანი მშვიდად, აუმღვრელად ჭვრეტს ვნებათა, ოჯახებისა და სახელმწიფოთა რღვევას და ნათლად აღიქვამს შეუცნობელის ჯერაც შეუცნობ ამოცანას. ის, ვით მთის წყარო უერთდება მარადისობის ზვირთებს ცხოვრების სიღრმისა და ვნებათა ზღვის შესაცნობად:

„იქ ჯადოს ვეძებ ზღვის ფერად ქვებით
მოვირთავ გვირგვინს, გვირგვინს ძლევისას,

მიწის შვილნო, ვერ გამომყვებით
ჰანგს ვერ გაიგებთ უკვდავებისას.“

„ზეკაცი“

ნამდვილი მგოსანი თვით განიცდის ყოველი ადამიანის ბედ-იღბლის სიტკბო-სიმწარეს. ისე როგორც მსოფლიო კაცი მსოფლიო ჭმუნვით შეპყრობილი მიემართება ბედი ქარიშხლის წინააღმდეგ, სწორედ ისე გადადის მგოსნის მგრძნობიარე სული დიად მზესავით დღიდან ღამეზე. პოეტი თავის სულის ლტოლვას ჩანგის სიმებს მიანდობს მზის ნათელის შესამკობად:

„სხივთა ძაფები მოვსტაცე მზესა.
მით ოქროს ქნარზე გავაბი სიმნი.
იმათ მივანდე გულისა ზრახვა
მზის სადიდებლათ შევქენი ჰიმნი.“

„მგოსნის სიმღერა“.

პოეტს ესმის კვნესა მდუმარე მთების, სრულად შეიცნობს იდუმალ არსთა სამყაროს. მისი სულის სიღრმეში მუდამ ხარობენ თვალ-წარმტაცნი სიბრძნის ყვავილნი. მგოსანი კი ტკბილხმოვანი მომღერალიცაა და დაღვრეშილი წინასწარმეტყველიც, ერთსა და იმავე დროს ღმერთებისა და ადამიანების მეგობარიც.

„თქვენ ბედისწერა კოშკის ჩემის კიბედ
მოგიხმარს
ჩემი ოცნება კი თვით შექმნის ცხოვრების
სიზმარს.“

„ზეკაცი“

კ. გამსახურდიას ადრეული ლექსები იმითაა ღირებული და ფასიანი, რომ მათი უმრავლესობა ნაციონალურ ელფერშია გახვეული, სევდითა და განცდებითაა აღსავსე. მწერლის ამაყი სული ვერ ეგუება ეროვნული იდეალების ფეხქვეშ გათელვას. მას სწამდა, რომ ქართველი ერის არტერიებში კვლავაც დულდა საღი ენერგია სახელმწიფოებრივი ბჭეების ამოსაკირავად. ერის ლტოლვა და წადილი კი ძლიერ პიროვნებათა ქმედებაზე უნდა აირეკლოს. ასეთ ძლიერ პიროვნებათა რიცხვში ილია ჭავჭავაძის სილუეტი გამორჩეულია, ვინაიდან თავისი სიცოცხლის მანძილზე მას უდიდესი ნეტარება და სულის შერხევა უბოძებია ადამიანებისათვის. ამის გამო მწერალმა მთელი საუკუნის თაობათა მთავარსარდალი უწოდა მას. სწორედ ილიას საღმა ნაციონალიზმმა და ეროვნულმა იდეებმა უნდა მოაცილოს ბნელი სუდარა და ხელშემხუთავი წყვდიადი სამშობლოს.

„დიდო მგოსანო! შენს ღვთაებას სამშობლო მხარეს
გარს გრძნეულ ქსელად მოჰხვევია მუდმივი ძილი,
კირთების ქვეშე იგი მოსთქვამს ცრემლს აფრქვევს
მწარეს
ნუთუ არ გესმის ტურფა მონის შავი დუმილი“.
„ელეგია“

კ. გამსახურდიას ილიას მსგავსად უმძიმს სამშობლოსთან გაყრა. თუმცა ვიკინგური ხასიათი და ქართული ტრადიცია არ აძლევს საშუალებას ცრემლებით დაშორდეს საქართველოს. არადა ნაღვლობს ისეთ ქვეყანაში ცხოვრებას, სადაც ერთი ქალიც არა ჰყავს, რომ ლექსი უძღვნას, სადაც ერთი ძაღლიც არ დაიყმუვლებს, რომ სადმე ზღვაში დაიკარგოს. მგოსანი მწუხარებით ემშვიდობება სამშობლოს ხავერდოვან, ზურმუხტოვან მთებს და გიჟმაჟ მდინარეებს.

„რა რიგ გშვენოდათ მინდვრებო
ღაწვზე ყვავილთა ხალები
ვფიქრობდი: აქ სად მისულა
დიდი თამარის თვალები!“

„სევდა მამულისადმი“.

პოეტის ცრემლიან თვალებს არ ძალუძს დღეს უჩინარი ტალღით ჩანთქმული „აღთქმის კუნძულის“ შეხედვა. ამიტომაც გამოსალმების ჟამს ზურგშექცეული დაადგება იდუმალებით და ფიქრით მოცულ გზას:

„ვიცი ვიტირებ, გაყრის ლოცვას კი
არვის მოვასმენ, გულს ჩავიმარხავ
ვიცი ვიტირებ, ჩემო ძვირფასო
ხოლო მგოსნის ცრემლს ვერ დაინახავ“

„უნდა გავშორდე“

კ. გამსახურდიამ კარგად იცოდა, რომ სამშობლოს მთლიანობისა და თავისუფლების უზრუნველყოფა შეიძლებოდა მხოლოდ ეროვნულ მისწრაფებათა და აღთქმათა თავის დონეზე აწევით. მგოსანი კი სულით ფაქიზი არსებაა, მაგრამ ომის კვირაძალს მან თავისი პოეზიით, მთვარისა და მოყვასის სიყვარულით კი არ უნდა გააბრუოს გარშემო მყოფნი, არამედ ომისა და სისხლით ვნებით დამუხტოს ისინი:

„ხან გრიგალი ვარ ზღვით მონაბერი
ხანაც ზეფირი მქროლავი ველათ
ხან სევდის ჩონგურს კვნესით დაუმღერ
ხან მზეს ვესწრაფვი მე უზრუნველათ“

„მგოსნის სიმღერა“

ქვეყანა დღეს სწორედ ამგვარი გზნების მქონე გმირებს საჭიროებდა. საერთო განსაცდელის ჟამს კი ყოველმა პოეტმა მხოლოდ ისეთი სტრიქონების ქვეშ უნდა დასწეროს თავისი

სახელი და გვარი, რომლისთვისაც ხმლის მოქნევას შესძლებს ყოველ წუთს. მწერალს უყვარდა ფიგურალურად თქმა: „ლექსის უკან, როგორც ხმლის უკან, ვაჟკაცი უნდა იდგესო“,[3] ვინაიდან ომების ქარტეხილებში იწრთობოდა ქართველი ხალხის რაიონული სული. იმიტომაც მგოსანი, როგორც მაღალი იდეალებისა და ზნეობრივი ღირებულებების მსახური, როგორც რიგითი ჯარისკაცი თავის ქვეყნისა კალმის მაგიერი მახვილის მტკვრთველი ხდება. საქართველო დიდი ხანია ასე ახლოს არ ყოფილა თავისუფლების აღდგომის ცისკართან, ამიტომაც თურქი ასკერების მუხანათურად თავდასხმით აღშფოთებული პოეტი ბრძოლის ველს მიაშურებს. მუშკის მოყვარულს თოფის წამალი ენატრება, მამა-პაპათა უკვდავ აჩრდილებს მიუყვება გამძვინვარებული და გახელებული:

„მუზების პარნას მე ვარჩიე ბნელი ყაზარმა
გუშაგად მივალთ, ერო ჩემო,
შენს ველ-მინდვრებში.“

პოეტი არსებობისათვის მძიმე წუთებში ამერ-იმერეთის ქართველობას ერთიანობისაკენ მოუწოდებს. ის, როგორც მკლავმაგარი მესაჭე და მეზარე თავის ქვეყნისა, ცეცხლოვანი სიტყვებით ჰეროიკულ სულს უნერგავს განაწამებ ხალხს:

„ჰხამს მომაკვდავი მამულისთვის ცეცხლს
ეზიაროს.
ქართველო ერო გარეწართა გროშზე გაგყიდეს!
სჯობს მტრად მოსულმა ჩვენ ცხედრებზე,
გადაიაროს.
ვიდრე სამშობლოს ვერაგულად თვალებს
დასთხრიდეს“

(„ქართულ არტილერიას“)

მწერალი უსაზმნოდ მოსთქვამს წარსულში ძალოვანი გრიგალების ქროლვისა და ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალის შედეგად დაკარგულ სუვერენობას და ქვეყნის გაუხარელ ყოფას. მალე სიონის ზარმა ახალი საბედისწერო დღე აუწყა საქართველოს მოსახლეობას. რუსულმა ჩექმამ თავისუფალი საქართველოს სამართლიანი ეპოქა ფეხქვეშ გათელა. გლოვის ძაძებში გაეხვია საქართველო. ქვეყანამ უთანასწორო ბრძოლაში ხელმეორედ დაკარგა სახელმწიფოებრიობა, რასაც სულის შეძვრამდე განიცდის ახალგაზრდა მგოსანი. ის, როგორც „მტირალი თვალი საქართველოსი“ მელანქოლიური სულის პრიზმაში წარმოაჩენს არსებულ სინამდვილეს. პოეტური ხილვის დიდი სიმძაფრეა წარმოჩენილი ლექსში „შაბათ საღამოს ტფილისში“

„დაეხატა მტკვარს მკერდზე საფირონის ციონი
მოკვდა ბაგრატიონი, მოკვდა ბაგრატიონი,
აგუგუნდნენ ზარები, აქვითინდა სიონი.“

საოცარი ლირიულობითა და სინატიფით გამოირჩევა დედასადმი მიძღვნილი ლექსები. მწერლისათვის დედა სამშობლოს ალეგორიული სახეა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხელყოფის დღეს თბილისის ქუჩებში სახეშეშლილი მოხუცი ქალი დაბორიალებდა, რომლის ბედს მწერალი საქართველოს მძიმე ხვედრს ატარებს:

„იმ ღამეს მეც ტფილისის ქუჩებზე დავწრიალებდი. ის მოხუცი მეც შემხვდა, გერმანელების ეკლესიის ეზოში იჯდა და სტიროდა ჩუმად. ადგილის დედას მიაგავდა საქართველოისას, საკუთარი შვილების მიერ გაძარცულსა და ყელგამოჭრილს“.[4]

სოლოვკაზე გადასახლებული მწერალი დღენიადაგ დედაზე ფიქრობდა – სიზმარში ეფერებოდა. პოეტი შორეულ ყი-

ნულეთიდან სთხოვდა თავის ძმებს დედა უვნებელი და ჯანმრთელი დაეხვედრებინათ. თუმცა ვერ მოუსწრო ცოცხალს. და როდესაც სოლოვკიდან დაბრუნებულმა თავის სოფელში დედის მიერ შეკოწიწებული ისლის სახლი იხილა, სულიერმა სევდამ და განცდებმა ვერ დაიტია მგრძნობიარე სული და ტკივილი უნატიფეს ლირიკულ სიმებად გადმოიღვარა.

„ისლის სახლი, ისლის სახლი
ქარი!
ქარი!
ქარი!
შენ მაჩვენე მზის სიახლე,
და ზღაპრების მხარე
მე ზღვის ნისლებს გადავყევი და მთებს მოვეფარე
ველარ ვნახე შენი სახე, ველარ მოგისწარი

ისლის სახლი, ისლის სახლი.
ქარი!
ქარი!
ქარი!

(„ისლის სახლი“)

მგოსანს სიხარულის საუნჯე გადაეკეტა, ვარამის გესლით გაითანგა მისი სხეული. უკუნეთ ღამეს მიმართავს ნუგეშად აპოვნინოს საყვარელი დედა, რომელმაც იქნებ ზეცაში გაიკეთა კარავი და გარდასულ მზეთა წილნაყარი გახდა:

„მეც მყავდა დედა, ის წავიდა, მარტო დამტოვა,
ვის მივაკითხო? აღარ არის ამ სააქაოს.

მახსოვს აქ იყო, ისიც ვიცი, რომ აღარ მოვა
ვის მივაკითხო? ამ ბნელ ღამეს თუ მრუმე ქაოსს.“

„რეკვიემი“

კ. გამსახურდიას ადრეული სიჭაბუკის ლექსები ბიბლიური წარმოსახვის ფერადოვნებით ხასიათდება. ქრისტეს ჯვრისაგან ანთებული ფარული სხივი სითბოსა და სულიერ სიმშვიდეს ანიჭებს პოეტს. თავისი დიდი სულიერი წინაპრის ნიკ. ბარათაშვილის მსგავსად ისიც დაეძებს ტაძარს სულიერი თავშესაფრის პოვნის სურვილით აღტკინებული:

„დავეძებ ღვთიურ ჰარმონიას ჰანგად დარხეულს
დავეძებ ტაძარს ღვთაებისას და ვითხოვ შველას,
წავალ ვემთხვევი მაცხოვარის წამებულ სხეულს,
და მუხლმოდრეკით მეც ვიმღერებ მარია სტელას“

„მარია სტელა“

პოეტს სურს მხურვალე რწმენით დაეწაფოს ღვთაებრივ სიტყვას, მის თვალშეუდგამ წიაღს და სიღრმეს. ის გულით მიისწრაფვის იქით, სადაც უზენაესის იდუმალი ჩურჩული ისმის:

„მთაზე დგას ჩვენი ტაძარი წმინდა
ხედავ ოქროსფრათ ბრჭყვიალებს ჯვარი!
გვიწვევს ცისკარზე სალოცავათა
სირინოზ ხელით ნარეკი ზარი.“

„მთაზე“

პოეტი მხურვალე ლოცვას აღავლენს მაცხოვრისადმი. ობლად დარჩენილს ქვითინითა და ვედრებით სურს ცხოვრების ფსკერზე დალექილი ამაოების შხამი მარტომ ამოსწოვოს და ყოფნის ძთას ამაღლებული რწმენით ესაფეხუროს.

„სულო ჩემო, იყავ მარტო... აკი ხედავ ყველას
სძულხარ
გულს სწყურია მარტოობა, გულს სწყურია
ლოცვა წმინდა.
სხვის კერპებზე ვერ ილოცავ, სხვებთან ერთად
რო მოსულხარ
შენ რა გინდა სხვის ზეიმზე, შენ, შენ
რაღა გიხარია.
აკი მიხვდი რომ ცხოვრება შავბნელ-ღამის
სიზმარია.“

„შენ რა გინდა?“

კ. გამსახურდიას ამაღლებული სული მკაფიოდ წარმოჩნდა ლექსში „ქრისტე პარიზში“, რომელიც დღემდე ინარჩუნებს ზემოქმედების ძალას. სამყაროს ცოდვებით გულგასენილი მგოსანი ყველას, ვისაც არ ერიდება უფლის ენის და არ აქვს მაცხოვრის შიში, მოახლოებული განკითხვის დღით ემუქრება. ამ დღეს ზეცით მოვლენილი ღვთაებრივი რისხვა თავის ნარეკლიან გზაზე წალეკავს ცოდვის შვილებს და ადამიანების ახალი მოდგმა განახლებული გულით აღავლენს უფლის საგალობელს. პოეტი განშორებულ ღმერთთან დაახლოებას და ბიბლიურ იდეალებთან ზიარებას ქადაგებს.

„ვისაც ოცნებით ზრდიდნენ მონები
მოევლინება მსოფლიოს ცხადად
ახალი მოდგმა ადამის ტომის

მაღალ ღვთაებას უმღერის ოსანას“

„ქრისტე პარიზში“

ქრისტიანული მრწამსის საგალობელია მცხეთისადმი თქმული პოეტური აღსარება. პოეტი მცხეთის ქალაქს ისე ეფერება, როგორც დედას მადლიანს, სათნოებითა და სიკეთით დამაშვრალს. მისთვის მცხეთა წმინდა ალაგია. სულიერების ნავთსაყუდელი. სვეტიცხოველი კი – სრულიად საქართველოს მირონის შემკრები:

„მცხეთა გიყვარდეთ – საქართველოს წმინდა ემბაზი,
ყველა ქართველის სანუკვარი ხატი სარწმუნო
მცხეთაა ჩვენი სააკვანე, საბრძანი ღმერთის
და ღმერთმა ნუ ქნას, ვერ დავიცვათ მისი საუფლო.“

(„მცხეთა“)

კონსტანტინე გამსახურდიას ლექსების მთავარი მაგისტრალი – მიჯნურობაა. საგანი და შთაგონების წყაროო – რებეკა ვაშაძე. ვნებით აფეთქებული სიჭაბუკე მის პოეზიას მდიდარ სულიერ საზრდოს აწვდიდა. ქუთაისის პერიოდის ლექსები სწორედ ასეთი ვნებითა და განცდებითაა დამუხტული. კონსტანტინე ფანატიურადაა შეყვარებული რებეკასადმი, რომელიც მან გიმნაზიაში სწავლების პერიოდში გაიცნო. პოეტი სატრფოს „რევას“ ეძახდა. მრავალ მის ლექსს ასეცაა აქვს წამძღვარებული. „ვუძღვნი რე-ვ-ას“. ახალგაზრდა კონსტანტინე მთელი არსებითაა შეყვარებული. ის თავდავიწყებით შენატრის სატრფოს თვალებს – ტანჯვის ცეცხლით მიბნედილს და მინაზებულს. მას ზარავს იმის შიში, რომ არყოფნის წყვდიადში ეს თვალები ისე ჩაქრება სამუდამოდ,

რომ მათ წადილსა და ხვაშიადს ვერავინ გაიგებს. ბრბოში დაკარგული პოეტის სული განმარტოებას დაეძებს, მაგრამ წინ მოარული თვალთა ზღვა არ აძლევს მოდუნების საშუალებას:

„აი, ტანჯვის ცეცხლი, მოქანცული თვალებიც,
რომელნიც გვაგონებენ, ოდესმე ნახული
ლამპის შუქს,
ბნელ სახლიდან გამოკრთობილს,
იმათ გარშემო კი მაისის დილით კდემა
კისკასებს.“

„თვალები“



რებეკა ვაშაძე

პოეტის რწმენით თვალები ადამიანის სულის სარკეა, რომლის სხივთა ციალი ზოგჯერ ზღვის ქაფივით ასპეტაკებს მგოსნის სულიერ სამშვინველს, ზოგჯერაც კი – მათი გაციებული მზერა სულს უყინავს და სიცოცხლეს უმწარებს. ვნე-

ბით აღგზნებული მგოსანი კი მაშინ გრძნობს სიცოცხლეს სრულყოფილად და აღმატებულად, როცა სატრფოს ძოწისფერ ტუჩებზე კოცნას ქარგავს თვალდახუჭული. თუმცა სატრფოს მის სულში ყოველთვის არა აქვს ბინა. რაც მათ ყოფნის ხიდს მსუბუქად არყევს და სამყაროს იდუმალებაზე აფიქრებს:

„მაშ, რაღა ვქნა? ვისღა ესმის
სულის ჩემის ღაღადისი?
ამაოა კაცთა ყოფნის
თვით დასაბამ-დასაწყისი“

„ბედის სიმღერა“

პოეტის სხეულში საყვარელი ადამიანის სული ბინადრობს. მისი გული სატრფოს ცრემლითაა დასეტყვილი და მისი ერთადერთი ნატვრაა თავისი გულის ფიქრთა ვნება ოცნების ქალიშვილს გაუმხილოს.

„მე მინდოდა შენს სარკმელთან
სერენადა რომ მემღერა,
სევდით სავსე ამ სიმღერით
ჩანგის ჩემის წყნარი ჟღერით
სულის კვნესა გამომეთქვა“

(„მე მინდოდა“)

მგოსანი თვალცრემლიანი გასცქერის ცისკარს, სადაც რებეკას კდემამოსილ სახეს სიშორის ნისლი ფარავს, მაგრამ მისი შორეული სუნთქვაც სულს უკრავს პოეტს და ისიც მთრთოლვარე ხმით ბედის სიმღერას მღერის:

„ცას რუხი ნისლი გადაეფარა
მე კი მინდოდა მემზირა მზისთვის
სულს კაეშანი შემოეპარა
არ ვიცი რისთვის, არ ვიცი რისთვის“

„არ ვიცი რისთვის“

მგოსნის ცრემლები დილის ცვრად ეპკურა მისი ტრფობის ყვავილს. მას სურს სევდის უფსკრულს თავი დააღწიოს და სატრფოს ბაგებზე კოცნით დაღლილმა დალიოს სული და მარადისობას შეუერთდეს.

„მოდი ჩემო სევდავ! კიდევ მიმღერე,
ახლა როდესაც ნამღერი მაქვს გედის სიმღერა

სიკვდილის სახეც, როს შევიტკბო სულს
შეეთვისა,
მაგრამ ტრფობა ხომ სიმბოლოა უკვდავებისა“

(„შენ ისევ სდუმხარ“)

მალე შეყვარებულებს დროებით განშორება მოუწიათ. კონსტანტინე სანკტ-პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც ის ჩაირიცხა საიმპერატორო უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. პოეტი ძლიერ განიცდის იმ გაფრენილ სანეტარო წამს, რომელიც მას თავის სიცოცხლის მზესთან აახლოებდა:

„ვიცი ქარი თან წაიღებს ყველაფერს თან
გაიყოლებს,.
ეჰ, ვინ უწყის, ბედის ეტლი თუ საითკენ
მიმაქროლებს!“

(,,შემოდგომის აკორდები'')

მუსიკალური კეთილხმოვანებითა და მგრძნობელობითაა აღბეჭდილი ლექსი ,,გაყრა'' პოეტის მიუსაფარი სული მიწაზე ტკივილს ვერ იტევს და ობლად ტირის სატრფოს ალერსს დანატრებული:

,,შენ წახვედი, ქარი კვნესის,
ჩამოეშვა მწუხრის ბინდი
გულის ოხვრა ცას არ ესმის,
ძირს დავემხე, ავქვითინდი''

(,,გაყრა'').

მშობლიური მიწის სევდამ და სატრფოსთან განშორებამ ჭმუნვის დაღი დაამჩნია პოეტის შუბლს. მართალია, ის გადალახავს ყოფნის ზღუდეს და მათი სიყვარული ჯვრისწერითაც დაგვირგვინდა, თუმცა ოჯახური იდილიის დასამკვიდრებლად ამ უმანკო და სათნო ურთიერთობამ არ იკმარა. ულმობელმა ბედისწერამ სამუდამოდ დაამკვიდრა მათ შორის სევდის ბაღი. თითქოს წინასწარ გამოიტირა მგოსანმა სატრფოს სულში მობინადრე თავისი მზეგადასული სიჭაბუკე:

,,მწუხარეა ჩემი ლოცვა, ვით ქვითინი ობოლ
გედის,
მხურვალეა ჩემი ლოცვა, ვით ვედრება ღვთისა
დედის,
ობლათ კვნესის სული ჩემი, ვინ ბინდისას სტირს
ნაძვნარი
ობლად კვნესის ჩემი ქნარი''

,,შენ რა გინდა''

დახვეწილი ოსტატობითა და ჰარმონიულობით გამოირჩევა კ. გამსახურდიას გახმაურებული ლექსი „ზღვისფერი გაქვს თვალები“, რომელიც 30-იანი წლების უმშვენიერესს ქალბატონს თ. ჯიქიას უძღვნა. თავად ლექსის ადრესატი ასე იხსენებს მწერალთან ურთიერთობის ერთ ლამაზ შეხვედრას: „მახსოვს ერთ-ერთ შეკრებაზე, ჩვენი მეგობრის ოჯახში მან წაიკითხა ეს დიდებული ლექსი და მითხრა, რომ იგი მე მეძღვნებოდა. ლექსი ყველას მოეწონა – მე ყველაზე მეტად. მინდოდა მეკოცნა კიდეც კონსტანტინესათვის, მაგრამ მომერიდა.“[5] სიყვარულის ჰიმნივით ჟღერს მარადი უჭკნობი სტრიქონები:

„ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას
თუ არ შეგებრალები და მითხოვდები სხვას
მივატოვებ გაზაფხულზე თესვასა და ხვნას
გადავლახავ ადიდებულ ჭოროხსა და მტკვარს,
ცეცხლს გავატან შენს სამყოფელს, შენს სიყვარულს ქარს,

და მოგიკლავ მოღალატევ, მაგ ნაფერებ ქმარს.
ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას.“

კ. გამსახურდიასთვის პოეზია კეთილის საწყისია, საკუთარი ცხელრის საკუთრივე ცრემლით განბანვაა. ამიტომაც როცა მის დაღლილ სულს მცირეოდენი სევდა შემოაწვებოდა, ის ლექსს მიმართავდა, როგორც ადამიანის სულის განწმენდის ყველაზე დიდ საშუალებას. პოეტი ლექსის მეშვეობით საკუთარი სულის პრიზმაში გატარებულ და დანახულ ცხოვრების სილუეტებს სათუთად აწვდიდა ქართველ მკით-

ხველს, რადგანაც კარგად უწყოდა, რომ მთელი ქვეყანა უზარმაზარ ქარხნად რომ ქცეულიყო, ბულბულის გალობა მით უფრო სანატრელი და სასურველი იქნებოდა.

დამოწმებული ლიტერატურა

თავი 1

ეროვნული დამოუკიდებლობა და ქართული ენერგია

1. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს. 'სოციალისტ-ფედერალისტი'' 1921, № 70.
2. ახალმოსულის შენიშვნები. სახვალიო საკითხისათვის. 'სახალხო ფურცელი'', 1917. 12.II. №793.
3. ორი ორიენტაცია. 'სახალხო საქმე'', 1918. 10.V. №22.
4. ბაქრაძე. დავიწყებული იდეა. 'რწმენა''. გვ. 55.
5. ილია ჭავჭავაძე თუ არჩილ ჯორჯაძე. 'სახალხო ფურცელი'' 1917. №824-825-330.
6. კ. გამსახურდია. 'სულხან-საბა ორბელიანი'' IX. გვ. 173.
7. კ. გამსახურდია. 'დიონისოს ღიმილი''. თხ. ოც ტომად. II. გვ. 227.
8. კ. გამსახურდია. 'მკვდრეთით აღმდგარი ქვეყანა'' VII. გვ. 229.
9. მწერლისა და კინო-მუშაკების გაერთიანებულ კრებაზე. VIII. გვ. 500.
10. ნ. ბარათაშვილი. თხზულებანი. თბ. 1968. 'ბედი ქართლისა''. გვ. 145.
11. ახალმოსულის შენიშვნები. სახვალისო საკითხისათვის.
12. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს.
13. კ. გამსახურდია. VII. გვ. 224.
14. ილია ჭავჭავაძე თუ არჩილ ჯორჯაძე.
15. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს.
16. კ. გამსახურდია. რუსთავი. VII. გვ. 240.
17. ქართველ მწერალთა კონფერენცია. გაზ. 'ტრიბუნა''. 1921. №45. X.13.
18. ილია ჭავჭავაძე. ტ. V, გვ. 37.

19. ილია ჭავჭავაძე თუ არჩილ ჯორჯაძე.
20. კ. გამსახურდია. VII. გვ. 47.
21. პოლიტიკური მიმოხილვა. ჟ. 'პრომეთე'' 1917. №1.
22. მწერლის დღიური. 'საქართველოს საკითხი საზღვარგარეთ. 'სახალხო ფურცელი'' 1917. № 904.
23. გაორებული საქართველო. 'სახალხო ფურცელი'' 1917 № 832.
24. ველიკორუსები და არარუსები. 'სახალხო საქმე'' 1917. №25.
25. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს.
26. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს.
27. ANNO. 1923. VI. გვ. 453.
28. იქვე.
29. ANNO. 1923. VI. გვ. 453.
30. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს.
31. ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი.
32. იქვე.
33. ANNO. 1923.
34. საქართველო-რუსეთის დამოკიდებულებისათვის. 'სოციალისტ-ფედერალისტი'' 1921. № 75, № 76.
35. პასუხი. 'სოციალისტ-ფედერალისტი''. 1921. № 62.
36. იქვე.
37. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს.
38. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს.
39. ბიბლიოგრაფია. გ. ტაბიძის ჟურნალი №5. 'ილიონი'' 1923. №4.
40. ბიბლიოგრაფია. გ. ტაბიძის ჟურნალი №5. 'ილიონი''. 1923. №4.
41. ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი.
42. იქვე.

1. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს.
2. კ. გამსახურდია ANNO. 1923. VII, გვ. 452.
3. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრ. სახა. არქივი. ფ. 80 აღ 1. საქ. 169.
4. იქვე.
5. კ. გამსახურდია 'ლანდებთან ლაციცი". ვ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმი. გვ. 88.
6. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრ. სახა. არქივი. ფ. 600 აღ 1. საქ. 169.
7. იქვე. ფ. 471 აღ 1. საქ. 138.
8. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრ. სახა. არქივი. ფ. 600 აღ 1. საქ. 21.
9. იქვე.
10. იქვე.
11. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრ. სახა. არქივი. ფ. 600 აღ 1. საქ. 21.
12. იქვე.
13. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრ. სახა. არქივი. ფ. 600 აღ 1. საქ. 21.
14. იქვე.
15. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრ. სახა. არქივი. ფ. 600 აღ 1. საქ. 21.
16. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრ. სახა. არქივი. ფ. 600 აღ 2. საქ. 21.
17. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრ. სახა. არქივი. ფ. 300 აღ 1. საქ. 93.
18. კ. გამსახურდია 'ლანდებთან ლაციცი". ვ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმი. გვ. 88.
19. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრ. სახა. არქივი. ფ. 8 აღ 1. საქ. 1799.

20. კ. გამსახურდია. VIII. გვ. 24.
21. კ. გამსახურდია 'ლანდებთან ლაციცი'' ვ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის მუ'ზეუში. გვ. 89.
22. გაზ. 'სოციალისტფედერალისტი'' 1921. № 62.
23. 'ლანდებთან ლაციცი''. გვ. 92.
24. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრ. სახა. არქივი. ფ. 300 აღ 1.
25. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრ. სახა. არქივი. ფ. 300 აღ 1. საქ. 92.
26. 'ლანდებთან ლაციცი''. გვ. 92.
27. 'ლანდებთან ლაციცი'' გვ. 94.
28. ნ. კირთაძე. 1924 წლის ავჯანყება საქარიოველოში. 1996. გვ. 413.
29. ვ. ნინუა. მოგონებები. საქ. გ. ლეონიძის სახ. ქართლი ლიტ. ისტორიის მუზეუმი. გვ. 21.
30. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრ. სახა. არქივი. ფ. 8 აღ 1. საქ. 596.
31. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრ. სახა. არქივი. ფ. 300 აღ 2. საქ.191.
32. იქვე. ფ. 300 აღ 1. საქ. 191.
33. ნ. კირთაძე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო, 1997, გვ. 241.
34. 'ლანდებთან ლაციცი'' გვ. 97.
35. 'ლანდებთან ლაციცი''. გვ. 97.
36. გ. ზალდასტანიშვილი. 1924 წლის ავჯანყება. თბ. 19.
37. ნ. თალაკვაძე მემუარები. გ. ლეონიძის სახ. ქაროლი ლიტ. ისტორიის მუზეუმი.
38. ნ. კირთაძე 1924 წლის ავჯანყება საქართველოში 1996. გვ. 193.
39. 'ლანდებთან ლაციცი''. გვ. 103.
40. იქვე.
41. იქვე.
42. იქვე.

43. გაზ. 'კომუნისტი", 1924. 12.VIII.
44. ნ. კირთაძე 1924 წლის აჯანყება საქართველოში 1996. გვ. 413.
45. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრ. სახა. არქივი. ფ. 8 აღ 1. საქ. 2421.
46. 'ლანდებთან ლაციცი" გვ. 104.
47. იქვე. გვ. 35.
48. იქვე.
49. ჟურნ. 'დროშა" 1925. № 28.
50. ჟურნ. 'დროშა" 1925. № 28.
51. გ. ტაბიძე 'მოგონებები იმ დღეების როცა იელვა. 'მნათობი", 1924. № 5.
52. გ. ტაბიძის უბის წიგნაკი. გ. ლეონიძის სახელობის ქართ. ლიტ. ისტორიის მუზეუმი.
53. ს. სიგუა. მარტვილი და ალამდარი III. გვ. 209.
54. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრ. სახა. არქივი. ფ. 8 აღ 1. საქ. 1199.
55. კ. გამსახურდია. VIII, გვ. 248.
56. 'ლანდებთან ლაციცი" გვ. 209.
57. გაზ. 'გრიაალი" 1996, №7.
58. 'ლანდებთან ლაციცი" გვ. 26.
59. გაზ. 'ლიტერატურული საქართველო". 1991, VIII.
60. 'ლანდებთან ლაციცი". გვ. 114
61. გაზ. „ლიტერატურული საქართველო". 1991, VIII.
62. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრ. სახა. არქივი. ფ. 184 აღ 3. საქ.175.
63. იქვე.
64. იქვე.
65. იქვე.

§2 ქართული ჟურნლისტიკის სათავეებთან

1. კ. გამსახურდია ბიბლიოგრაფია, თხზ. ათტომეული, ტ. VII, გვ. 414.

2. კ. გამსახურდია „ლანდებთან ლაციცი“ გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმი. გვ. 25.
3. კ. გამსახურდია. მე ბრალს ვდებ. „სახალხო ფურცელი“, №103.
4. კ. გამსახურდია „ლანდებთან ლაციცი“ გვ. 27.
5. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფ. 60. აღ.1, საქმე 169.
6. კ. გამსახურდია „ლანდებთან ლაციცი“, ვ. 87
7. ს. სიგუა მარტვილი და ალამდარი ტ. III, გვ. 240.
8. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.60, აღ. 1, საქმე 169
9. კ. გამსახურდია, „ლანდებთან ლაციცი“, გვ. 89
10. საქართველოს პრეზიდენტის არქივი 14-1-493, ფ. 35, 41.
11. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 8, აღ.2, საქმე. 6.
12. კ. გამსახურდია „ლანდებთან ლაციცი“, გვ. 177;
13. კ. გამსახურდია, უცნობი წერილები, „კოლხური კოშკი“, 1996წ. №8.
14. კ. გამსახურდია ახალი წარმატებანი ვუსურვოთ იუბილარეს, ტ.VIII, გვ. 270.
15. კ. გამსახურდია, უცნობი წერილები, „კოლხური კოშკი“ 1996წ. №8.
16. კ. გამსახურდია, გიორგი ნატროშვილის მოთხრობები, ტ.VIII, გვ. 154.
17. კ. გამსახურდია, გასაუბრება ღამეულ სტუმართან, ტ. VIII, გვ. 297.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება და ერთსულობის აპოლოგია

1. კ. გამსახურდია, თხზ. ათტომეული, IX, გვ. 165.
2. გ. მერჩულე გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ქართული მწერლობა, I, გვ. 524.
3. კ. გამსახურდია, IX, გვ. 44.
4. ლ. მროველი, ცხოვრება მეფეთა. ქართული მწერლობა, I, გვ. 54.
5. კ.გამსახურდია, VII, გვ. 435.
6. კ. გამსახურდია, VIII, გვ. 296.
7. სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე-სიცრუისა“, ქართული პროზა, ტ. V, გვ. 22.
8. კ. გამსახურდია, IX, გვ. 184.
9. კ. გამსახურდია, IX, გვ. 194.
10. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1991, №70.
11. კ. გამსახურდია, VIII, გვ. 293.
12. აკ. წერეთელი, V. გვ. 35.
13. გაზ. „ლომისი“, 1922, №11.
14. აკ. ბაქრაძე. ილია და აკაკი. თბ., 1997, გვ. 164.
15. კ. გამსახურდია, VIII, გვ. 40.
16. ილია ჭავჭავაძე, V, გვ. 476.
17. „სახალხო ფურცელი“, 1917, №824-830,
18. გ. ტაბიძე, ნ. ტაბიძე, გალაკტიონი, 2000წ. გვ. 87.
19. მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები, გვ. 82.
20. აკ. ბაქრაძე, რწმენა, 1990, გვ. 111.
21. ნ. ღორთქიფანიძე, ნოველები, გვ. 56.
22. გ. რობაქიძე, ქართული რენესანსი, გვ. „საქარვნელო“, 1917, №257.

23. ჯ. ღვინჯილია, წერილები კლასიკურ და თანაედროვე ქართულ ლიტერატურაზე, გვ. 57.
24. ლიტერატურისა და ხელ-ის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.8. აღ.1, საქმე 1100.
25. „ძმები ხართ თუ მტრები?“ გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921, 13.08.109
26. კ, გამსახურდია, უცნობი წერილები, გაზ. „გრაალი“, 1996, №6.
27. კ. გამსახურდია, VII, გვ. 318.
28. კ. გამსახურიდა, „ლანდებთან ლაციცი“, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმი, გვ. 33.
29. ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, 1989, გვ. 54.
30. იქვე, გვ. 58.
31. გ. შარაძე, მემედ აბაშიძე, 1995, გვ. 106.
32. გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1983, 23.08.
33. ვ.ნოზაძე, „საქარვთველოს აღდგენისთვის ბრძოლა მესხეთის გამო“, 1989, გვ. 54.
34. „ძმები ხართ თუ მტრები“
35. ლიტერატურის და ხელოვნების ცენტრი სახელმწიფო არქივი, ფ.8. აღ.I, საქმე, 1560.
36. კ. გამსახურდია, VIII, გვ. 341.
37. „ძმები ხართ თუ მტრები?“
38. იგივე
39. იგივე
40. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფ.8, აღ.1. საქმე 550.
41. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.8, აღ.1, საქმე 1109.
42. კ. გამსახურდია, თხზ. ათტომეული, VIII, გვ. 23.

43. კ. გამსახურდია, საქართველო-რუსეთის დამოკიდებულებისათვის. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921, №75.
44. ძ. კოსტავა, გამოსათხოვარი, „ლიტერატურული საქართველო“, 1990, №6.
45. კ. გამსახურდია, VIII, გვ. 306.
46. ეფ. საჩინოელი, საქართველოს განაპირა ქვეყნების რაიონები, გაზ. „ტრიბუნა“, 1922, №131.
47 კ. გამსახურდია, პასუხი. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921, №62.
48. კ. გამსახურდია, VIII, გვ. 812.
49. იგივე
50. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.8. აღ.1, საქმე 997.
51. ლხცს არქივი, ფ.8, აღ.1, 1799.
52. ლხცს არქივი, ფ.8, აღ.1, 1799.
53. ლხცს არქივი ფ.8, აღ.1, 1799.
54. ლხცს არქივი ფ.8, აღ.1, 1799
55. ზ. გამსახურდია, წერილები. ესეები, თბილისი, 1991, გვ. 380.
56. კ. გამსახურდია, VIII, გვ. 312.
57. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.8, აღ.1, საქმე 807.
58. გეორგიკა, II, გვ. 120.
59. გეორგიკა III, გვ. 50.
60. საბჭოთა კავშირის პრეტენზიები თურქეთისადმი 2003, გვ. 26.
61. კ. გამსახურდია, VIII, გვ. 64.
62. საქართველოს ისტორიიის ნარკვევები, VIII, გვ. 31..
63. ქართლის ცხოვრება, VIII, გვ. 137.
64. კ. გამსახურდია, VII, გვ. 63.
65. იქვე

66. გაზ. „კლდე“, 1915, №6.
67. ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, 1991, გვ. 37.
68. „სახალხო ფურცელი“, 1917, №789.
69. „სახალხო ფურცელი“, 1917, №774.
70. „საქართველო“, 1919, №16.
71. „ძმები ხართ თუ მტრები?“
72. ათა თურქი. ათა თურქის სიტყვები და მოხსენებები, 1945, გვ. 70 (თურქულ ენაზე).
73. გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“, 2002, №9.
74. კ. გამსახურდია, გამოძახილი, VIII, გვ. 21.
75. ს. სიგუა, მარტვილი და აღამდარი. I, გვ. 267.
76. კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა, IV, გვ. 343.
77. კ. გამსახურდია, IV, გვ. 343.
78. საბჭოთა კავშირის პრეტენზიები თურქეთისადმი, 2009. გვ.7.
79. პოლიტიკური შენიშვნები, თურქეთი. 1953, „ლიტერატურული გაზეთი“, №8.
80. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.8, აღ.1, საქ. 1996.
81. ს. სიგუა, მარტვილი და ალამდარი, I, გვ. 226.
82. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2003, №1.
83. იქვე.
84. იქვე.
85. საბჭოთა კავშირის პრეტენზიები თურქეთისადმი, 2003, გვ. 7.
86. იქვე, გვ. 9.
87. იქვე, გვ. 10.
88. გაზ. „კომუნისტი“, 1945, 18.12.
89. კ. გამსახურდია „კოლხეთში“, VIII, გვ. 61.
90. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.8, აღ.1, საქ. 1238.

91. კ. გამსახურდია, ჯონ ბელი, „იანკი“ და სტამბოლელი ავადმყოფი. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949წ. №13.
92. იგივე
93. იგივე
94. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.8, აღ.1, საქ. 1657.
95. გ. ჩიტაია, ჩემი ცხოვრების გზებზე და ბილიკებზე. 1991, გვ. 79.

§ 1 „მაფალუ“ „ნოთე“ ანუ სამეგრელოს საკითხი

1. ზ. გამსახურდია, სამეგრელოს საკითხი (რეცენზია ისაკ ჟვანიას წიგნზე)
2. ზ. გამსახურდია, სამეგრელოს საკითხი
3. ლ. ბერია, მეგრელ ავტონომისტთა შესახებ. გაზ. „კომუნისტი“, 1925, 17.09
4. ლ. ბერია, გაზ. „კომუნისტი“, 1925, 17.09
5. იქვე
6. იქვე
7. იქვე
8. ჟურნ. „ჭითა ჩხორია“, 1930, მეგრულ ენაზე.
9. ი. ჟვანია, „ყაზახიში გაზეთი“ 1930, VII-IV
10. „ყაზახიში გაზეთი“, 1930.
11. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფ. 8, აღ.1, საქ. 562.
12. ი. ჟვანია, როგორ ელოდა სამეგრელოს გლეხობა საბჭოეთის ხელისუფლებას, 1931.
13. კ. გამსახურდია, წერილი ამხ. გიორგის „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1982, №3.
14. „ყაზახიში გაზეთი“, 1930, №11.

15. კ. გამსახურდია, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1982, №3.
16. იქვე
17. იქვე
18. კ. გამსახურდია, „სახალხო ფურცელი“, 1917, №852.
19. ილია ჭავჭავაძე, V, გვ. 471.
20. ი. გოგებაშვილი, II, გვ. 451.
21. ზ. გამსახურიდა, სამეგრელოს საკითხი.
22. წერილი ამხ. გიორგის
23. იქვე
24. იქვე,
25. გაზ. „კომუნისტი“ 1924, 24.09
26. გაზ. „კომუნისტი“ 1924, 24.09
27. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფ.8, აღ.1, საქ. 506
28. კ. გამსახურდია, „ლანდებთან ლაციცი“
29. იქვე
30. იქვე
31. კ. გამსახურდია, საკავშირო ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის რეზოლუციის გამო. VIII, გვ. 312.
32. ზ. გამსახურდია სამეგრელოს საკითხი.
33. წერილი ამხ. გიორგის
34. ზ. გამსახურდია სამეგრელოს საკითხი
35. კ. გამსახურდია „ლანდებთან ლაციცი“, გვ. 191.
36. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.8, აღ.1, საქ. 1799.

თავი 3

ქართული სულის არისტოკრატები

1. კ. გამსახურდია. თხზულებათა ათტომეული ტ. IX. გვ. 585.
2. კ. გამსახურდია. „ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი“ გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. №56.
3. მიხ. მჯავახიშვილი. უბის წიგნაკიდან. თბ. 2005. გვ. 287.
4. ქეთევან ჯავახიშვილი. მიხეილ ჯავახიშვილი. თბ. 1984, გვ. 154.
5. მიხ. ჯავახიშვილი უბის წიგნაკიდან. თბ. 1984, გვ. 154.
6. ს. სიგუა, ქართლის ბედი და ბოლშევიკური ჟამი. „მწერლის გაზეთი“, 2003. №15.
7. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფ. 8, აღ. 1. საქმე 1944.
8. კ. გამსახურდია. „ლანდებთან ლაციცი“ გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტ-ის ისტორიის მუზეუმი, გვ. 52.
9 კ. გამსახურდია. ტ. VIII, გვ. 367.
10. კ. გამსახურდია. ტ. VIII, გვ. 318.
11. კ. გამსახურდია. ტ. VIII, გვ. 495.
12. კ. გამსახურდია. ტ. VIII, გვ. 164.
13. კ. გამსახურდია. ტ. VIII, გვ. 355.
14. კ. გამსახურდია. ტ. VIII, გვ. 164.
15. მიხ. ჯავახიშვილი. ტ. VI. გვ. 264.
16. ლიტ. და ხელ. ცენტრი სახ. არქივი. ფ. 8. აღ. 1. საქმე 562.
17. ქ. ჯავახიშვილი. მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება. 1991. გვ. 221.
18. კ. გამსახურდია. ტ. VIII, გვ. 358.

19. იგივე.
20. იგივე.
21. მიხ. ჯავახიშვილი. ტ. VI, გვ. 33.
22. ლიტ. და ხელ. ცენტრი სახ. არქივი. ფ. 8. აღ. 1. საქმე 1271.
23. გაზ. „გრაალი“ შალვა დადიანი. 1996. №1
24. ლიტ. და ხელ. ცენტრი სახ. არქივი. ფ. 8. აღ. 1. საქმე 3.
25. გაზ. „გრაალი“. 1996. №1.
26. იქვე.
27. გაზ. „გრაალი“ 1996. №1.
28. იქვე.
29. გაზ. გრაალი“, 1996, №1.
30. კ. გამსახურდია, შ. დადიანი. ტ. VIII. გვ. 140.
31. ნ. ტაბიძე. გალაკტიონი. თბ. 2000. გვ. 483.
32. ლიტ. და ხელ. ცენტრი სახ. არქივი. ფ. 8. აღ. 1. საქმე 1799.
33. კ. გამსახურდია. გალაკტიონ ტაბიძე. ტ. VIII, გვ. 201.
34. ლადო ასათიანი. ერთტომეული. თბ. 1979, გვ. 284.
35. იქვე, გვ. 285.
36. ლ. ასათიანი. ერთტომეული. გვ. 85.
37. ს. სიგუა. მარტვილი და ალამდარი. ტ. I. გვ. 216.
38. ლადო ასათიანი. ერთტომეული. გვ. 284.
39. ნ. აგიაშვილი. პირად-პირადი. 1986. გვ. 219
40. ნ. აგიაშვილი. გვ. 219.
41. ლ. ასათიანი. ერთტომეული. გვ. 356.
42. კ. გამსახურდია „ლანდებთან ლაციცი“ გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმი. გვ. 28.
43. გ. მგელაძე. მე ვარ ჯარისკაცი ჩემი ერისა. თბ. 1990. გვ. 115.

44. გ. მგელაძე. დას. ნაშრომი. გვ. 20.
45. კ. გამსახურდია „ლანდებთან ლაციცი“ გვ. 217.
46. გ. მგელაძე. დას. ნაშრომი. გვ. 33.
47 კ. გამსახურდია. „ლანდებთან ლაციცი“ გვ. 127.
48. გ. მგელაძე მე ვარ ჯარისკაცი ჩემი ერისა. გვ. 7.
49. ლიტ. და ხელ. ცენტრი სახ. არქივი. ფ. 8. აღ. 1. საქმე 238.
50. ლიტ. და ხელ. ცენტრი სახ. არქივი. ფ. 8. აღ. 1. საქმე 238.
51. როს. ჩხეიძე. ბედი პავლე ინგოროყვასი. თბ. 1944. გვ. 235.
52. კ. გამსახურდია. ჟ. „დროშა“ 1970. № 7.
53. გ. მგელაძე. მე ვარ ჯარისკაცი ჩემი ერისა. გვ. 38.
54. კ. გამსახურდია. სიტყვა საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის პრეზიდიუმისადმი. ტ. VIII, გვ. 464.
55. კ. გამსახურდია. ტ. VIII, გვ. 461.
56. ს. სიგუა. მარტვილი და ალმადარი. გვ. 57.
57. გ. მგელაძე. დას. ნაშრომი. გვ. 36.
58. გ. მგელაძე. იქვე, გვ. 9.

§ 1 სამშობლოდან მოგვრილი ზედაშე

1. კ. გამსახურდია. მგოსნის დიდება და ბედნიერება „ოქროს ვერძი.“ 1913. №2.
2. გრ. რობაქიძე. ფიქრები „ოქროს ვერძზე“ „ოქროს ვერძი.“ 1913 №3
3. გრ. რობაქიძე. „ოქროს ვერძი.“ იქვე.
4. კ. აბაშიძე. ახალი თუ ძველი სიტყვა? „სახალხო საქმე“ 1918 №296
5. კ. გამსახურდია. „თქვენ უსწავლელნო. ცრუ რუსთაველნო.“ გაზ. „პოეზიის დღე.“ 1921. №103

6. კ. გამსახურდია. „ჩვენი კულტურ-პოლიტიკა.“ გაზ. „ლომისი.“ 1922 №6
7. „თქვენ უსწავლელნო, ცრუ რუსთაველნო.“
8. ტ. ტაბიძე. სმერდიაკოვის პირით. გაზ. „პოეზიიის დღე.“ 1921 №58
9. „თქვენ უსწავლელნო, ცრუ რუსთაველნო.“
10. გრ. რობაქიძე. ჩემი განმარტება. „სოციალისტ-ფედერალისტი.“ 1921 №107
11. „თქვენ უსწავლელნო, ცრუ რუსთაველნო.“
12. აკ. ბაქრაძე. კარდუ. 1992. გვ 149
13. კ. გამსახურდია. პოეზიის დღე. „სოციალისტ-ფედერალისტი.“ გვ 192
14. „სოციალისტ-ფედერალისტი.“
15. აკ. ბაქრაძე. იქვე
16. კ. გამსახურდია. პოეზიის დღე. „სოციალისტ-ფედერალისტი.“ 1921. №58
17. გრ. რობაქიძე. ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. 1996. გვ 24
18. იქვე, გვ. 26
19. იქვე, გვ. 28
20. გრ. რობაქიძე. ჩემთვის სიმართლე ყველაფერია.
21. იქვე, გვ. 252
22. იქვე, გვ. 21
23. იქვე, გვ. 57
24. ზ. გამსახურდია. წერილები. ესსეები 1991. გვ. 386
25. კ. გამსახურდია. თხზ. ათტომეული. VIII გვ. 392
26. გრ. რობაქიძე. ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. გვ. 58
27. იქვე, გვ. 165
28. იქვე, გვ. 60
29. იქვე, გვ. 269
30. ს. სიგუა. მარტვილი და ალამდარი

31. გრ. რობაქიძე. გულნადები. ,,ლიტერატურული საქართველო.'' 1991 №1
32. იქვე.
33. გრ. რობაქიძე. ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. გვ. 250
34. ლიტარატურისა და ხელოვნების ცენტ. სახელმწიფო არქივი. ფ. 8. აღ. 1. საქ. 1799
35. გრ. რობაქიძე. ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. გვ. 484
36. გრ. რობაქიძე ,,ლიტერატურული საქართველო.''

§ 2 ჯვარი წამებისა

1. კ. გამსახურდია – დავით კაკაბაძე, თხზ. ათტომეული, ტ.IX, თბ., 1985, გვ. 500.
2. გაზ. ,,გრაალი'' 1996. №7, გვ. 3.
3. გაზ. ,,გრაალი'', გვ. 3.
4. იქვე.
5. კ. გამსახურდია ლანდებთან ლაციცი, ხელნაწერი, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმი, გვ. 104.
6. კ. გამსახურდია, ლანდებთან ლაციცი, ხელნაწერი, გვ. 65.
7. გაზ. ,,ლიტერატურული საქართველო'', 1991, №28, გვ. 3.
8. გაზ. ,,ლიტერატურული საქართველო'', 1991, №29, გვ 4.
9. კ. გამსახურდია, ლანდებთან ლაციცი, ხელნაწერი, გვ. 181.

10. კ. გამსახურდია, ლანდებთან ლაციცი, გვ. 108.
11. იქვე, გვ. 115.
12. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფ. 284გ, აღ. 3. საქმე 175.
13. კ. გამსახურდია ლანდებთან ლაციცი, ხელნაწერი, გვ. 116.
14. კ. გამსახურდია, დამსხვრეული ჩონგური, თსს, ოცთომეული, ტ.I, გვ. 221.
15. კ. გამსახურდია, დიონისოს ღიმილი, თხზ. ოცთომეული, ტ.II, თბ., 1992, გვ. 118.
16. კ. გამსახურდია, თხზულებანი, ტ.II, გვ. 144
17. კ. გამსახურდია, თხზ. ტ.I, გვ. 341.
18. კ. გამსახურდია თხზ. ტ.I, გვ. 341.
19. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 284. აღ. 3, საქმე 190.
20. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 8, აღ. 1. საქმე 832.
21. კ. გამსახურდია, თხზულებანი, ტ.II, გვ. 59
22. კ. გამსახურდია, ტ.II, გვ. 59.
23. გაზ. გრაალი, თბ., 1996, №7, გვ. 28

თავი 4

მოზეიმე ქართული ფრესკა

1. კ. გამსახურდია. კ. გამსახურდიას უცნობი წერილები. გაზ. „კოლხური კოშკი“, 1995, №2. ?
2. კ. გამსახურდია. „კოლხური კოშკი“, 1996, №28.
3. კ. გამსახურდია. გაზ. „გრაალი“, 1996, №2.
4. ჟურნალი „ნიანგი“, 1991, №32.
5. კ. გამსახურდია. მთვარის მოტაცების გამო. ტ. VIII, გვ. 356.

6. კ. გამსახურდია. VIII, გვ. 372.
7 კ. გამსახურდია. ჟურნალი „ზნამიას“ რეცენზენტის საპასუხოდ, IX, გვ. 449.
8. კ. გამსახურდია. IX გვ. 484.
9 კ. გამსახურდია. IX გვ. 264.
10. კ. გამსახურდია. „ლანდებთან ლაციცი“, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმი, გვ. 196.
11. კ. გამსახურდია. მწერლებისა და კინო-მუშაკების გაერთიანებულ კრებაზე. ტ. VIII, გვ. 493.
12. კ. გამსახურდია. „ლანდებთან ლაციცი“, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმი, გვ. 177
13. გაზ. „ტრიბუნა“ 1922, 26 III.
14. კ. გამსახურდია. გაზ. „კოლხური კოშკი“, 1996. №28.
15. კ. გამსახურდია. „ლანდებთან ლაციცი“, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმი, გვ. 165.
16. „ლანდებთან ლაციცი“ გვ. 165.
17. ს. სიგუა. მარტვილი და ალამდარი. ტ. I, თბ. 1997, გვ. 227.
18. ჟურნალი „ნიანგი“, 1991 წ.
19. იქვე.
20. ჟურნალი „ნიანგი“, 1991 წ.

თავი V

„ზღვისფერი გაძვს თვალები და...“

1. კ. გამსახურდია, წერილი ნ. აგიაშვილს, საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმი.
2. ჟურნალი „ნიანგი“, 1991 წ. გვ. 9
3. კ. გამსახურდია, თხზ. ათტომეული, ტ. IX,. გვ.580.
4. კ. გამსახურდია თხზულებანი ოც ტომად, ტ.I, გვ. 108.
5. ი. კუკავა, „თავად ჰგავხარ ზღვას“, გაზ. „თბილისი“, 2004წ. 14-15 იანვარი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

სინათლისა და ცეცხლის ჯვაროსანი

„იქმენინ ნათელი“. 3

თავი I. ეროვნული დამოუკიდებლობა და ქართული ენერგია 5

§1. სულის ამბოხი 54

§2. ქართული ჟურნლისტიკის სათავეებთან 100

თავი II. ეროვნულ-სახელმწიოფოებრივი ცნობიერება და ერთსულობის აპოლოგია 117

§1. „მაფალუ“ „ნოთე“ ანუ სამეგრელოს საკითხი 191

თავი III. ქართული სულის არისტოკრატები 222

§1. სამშობლოდან მოგვრილი ზედაშე 261

§2. ჯვარი წამებისა 284

თავი IV მოზეიმე ქართული ფრესკა 298

თავი V „ზღვისფერი გაქვს თვალები და...“ 310

დამოწმებული ლიტერატურა 327

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge